

ირაკლი გამათავა



ანუ უკანასკნელი პატიონის
სისხლიანი ქრონიკა
(ისტორიული რომანი)

გამომცემლობა
„გლობალ – პრინტი+“

თბილისი
2011

ეძღვნება უძვირფასესს — დედაჩემს

სარედაქციო კოლეგია:
მაყვალა გონაშვილი
გენრი დოლიძე
დავით კახაბერი

დიზაინერ-დამკაბადონებელი:
სალომე ფორჩიძე

კორექტორები:
მანანა გორგიშვილი
გიორგი კორკელია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თორნიკე ჩახვაძე
გიორგი ჯგურენაია



9 789941 037443

ISBN 978-9941-0-3744-3

ଶ୍ରୀ ମହାତ୍ମା
ପଦମନାଭ

„ამა ესევითარსა და სრულყოფასა ყოვლისა სოფლისასა და სანუტროთა გემოთა საწადელთასა მოინიჭა ძმისნული მისი, ძვილი დავით ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე, სახე-კეთილი და ყოვლითა ჭელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობასა მათისა, გარნა რომელი ცუდ იქმს ყოველთა სიკეთეთა და სწავლულებათა, სახე-უკლებობათა და ჭაბუკებათა, იგი ექმნა მკლველ და შემმნარებელ უამთა ცხოვრებისა მისისათა“.

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი

– **ღ**ემნა, სად ხარ, ძმისნულო, კარში გამოდი... ღვთის გულისთვის, დამენახე! – გაისმა მეფე გიორგის მრის-სანე ხმა, რომელიც საოცრად ჰეგავდა კლდიდან დაშვებული არწივის ყეფას, – ბარისკენ მქროლავს შიგადაშიგ რომ სძლევდა ხოლმე ხელმწიფე ფრინველისთვის ესოდენ შეუფერებელი, ენით აღუწერელი უძლურება.

გუგარქის [ლორეს] ციხისკართან მომდგარი მეფეთ მეფე უფლისნულს შესარიგებლად უხმობდა. დასიცხული და შუბლზე ოფლდადენილი ხელმწიფე მზის სხივებს იჩრდილავდა, დასავლეთით მოსაზღვრე კლდეკარის საერისთავოს გასჭვრეტდა, საიდანაც მომზირალ გამამნარებელთა სახლი* ოდესლაც ძილს უფრთხობდა საქართველოს ერთიანობას.

– ღმერთო, ეს რა წყეული სანახებია, – გასცრა მეფე გიორგის და პაპის [დავითის] მკლავის ძალა ინატრა, რომ სამუდამოდ შეემუსრა ასერიგად მოჯანყე ტაშირ-ძორაგეტი.

ერთი შეხედვით შეატყობთ, ციხე სამკუთხა პლატოზე აეშენებინათ, ორი მხრით ხეობები იცავს, მესამე მხრიდან

* ბაღვაშთა კარი.

– ციხესიმაგრეთა კედლების სისტემა, რომელიც ალიზის ზღუდით განმაგრებულა. გულდაგულ ამოყვანილი ბალავარიცა და ზედნაშენიც მყარია; ეტყობა ციხის სიმტკიცე-ურღვევობაზე მოფიქრალ კირითხუროს ნიჭი და შრომისმოყვარეობა ამ უკანასკნელისთვის შეუწირავს, დასტურად, ამაყად აზიდულ ქვის კომპლექსს, ყველა ღირსებასთან ერთად, ბუნებისთვის მახასიათებელი სიმკაცრეც შეუმშვენებია. ციხეს მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს, ისიც დაგმანული ჭიშკრითა და შეიარაღებული მცველებით გარემოცული.

ციხის სიმაგრისთვის ფლისკინაც* აუგიათ.

მწუხრის ზარის ჩამორეკვისთანავე მცველები ზღუდეში დატანებულ კარს ურდულს უყრიან. განგაშის ზარის სიახლოვეს, რომელსაც მტრის მოახლოებისას იყენებენ ხოლმე, ჭრაქიც ანთია და ღამის ებგური, ანუ დარაჯი ფხიზლობს.

ალბათ კი არადა წარმოუდგენელია ამ ციხესიმაგრის გატეხვა. მისი ჰაეროვანი, თავბრუდამხვევი სიმაღლის დასალაშქრად ბრძოლისთვის საყოველთაო და უკვე მოძველებული ხერხი – ბაგირით გასვლა – სრულიად გამოუსადეგარია, რაღაც ციხეში გამაგრებულ მოისრეთ წინდაწინ იციან აღნიშნული და გალავნის შემოგარენს ყურადღებით ზვერავენ. გარდა ამისა, ამ მეთოდს მსტოვრები მიმართავენ, ისიც ომის გაჩაღებამდე. საკმარისია ებგურებმა ფლისკინასთან მოახლოებული შეიარაღებული შეამჩნიონ და განგაშის ზარით კარისკაცთ უხმობენ...

[ამჟამად, მეფე მცირე ამალის თანხლებით მომდგარა და ამბოხებულთა დასაშოშმინებლად სხვა უფრო გონივრულს თუ მოიფიქრებს].

* ციხეთა გარშემო აღშენებული წყალთა შემოსადგმელად, რათა ადვილად გერ მიიახლონ მ(ე)ბრძოლინი. (აქ და სხვაგანაც გამოყენებულია ს.ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“).

გიორგის ძვირფასი ქსოვილისგან შეკერილი სამეფო ბისონი მოესხა, ერთიანად ძონისფერი. თავზე თვალ-მარგალიტით შემკული გვირგვინი ეხურა. ტანსაცმელი ოქრომკედით ნაქარგი სამხრით შეემკო, რომელსაც სტავრას ეძახიან; სამკლავეც ოქსინოსდარია. ბისონის ქვეშ ფესვედი სამოსელი მოუჩანს, რომელსაც სხვანაირად პოდირით იხსენიებენ. გულმკერდზე ჯვარი ჰკიდია, სულ იაგუნდითა და გიშრის თვლით, გელათის მოზაიკისებრ გაწყობილი. ფეხთ წითელი ფერის ტარსიკონი* უჭერს, ოდნავ წაწვეტებული და ცხვირაპრეხილი. ხმლის ქარქაში იჭერს მზის სხივს და ძვირფასი მეტალი თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებს. მასში ავგაროზია ჩასმული და გიორგის სჯერა, რომ იგი ავადმყოფობის, ხიფათისა და ავი თვალისგან დაიცავს.

ორნამენტები და სტილი ქართულს ჰგავს, თუმცა გასაკვირი არაფერია. რატომ უნდა დამსგავსებოდა იგი ბერძნულს, თურქულს ან არაბულს?! ერთი სამეფო ხმლის დამზადება გაუჭირდება თვითმყოფადობისა და ინდივიდუალიზმისთვის მებრძოლ ერს, რომელსაც ყველაფერში კუთვნილება და მენინავეობა ახასიათებს. თუკი ქართველს ებრძოდნენ, ძვირფასეულობას სტაცებდნენ, წიგნიერებას უწუნებდნენ, ბიბლიოთეკებს უწვავდნენ, ტაძრების ჩუქურთმებს ურღვევდნენ, ამას მხოლოდ შურითა და ბოლმით აკეთებდნენ, რადგან ქართულ ციხე-ქალაქებს, გალავნებს, ქონგურებს, ციტადელებს, ეკლესიებს, უბრალო ოდებს, სამზარეულოს, ტრადიციასა და ადათებს ვერ ჰგუობდნენ და სწყინდათ, თვითონ მოკლებული იყვნენ ამ სიმდიდრეს. დიახ, მაშინ როცა ქართულად იწერებოდა სიმღერა, ლექსი, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, სხვას აზრის თავისუფალი გამოხატვაც არ ხელეწიფებოდა. გლეხი

* თხელი, რბილი ტყავი.

რომ გლეხია, ისიც კი საღამო ხანს, არაქათგაცლილი და ილაჯნართმეული, ტკბილად ისვენებდა ისლით დახურულ ოდაში და არც კი აფიქრებდა ხორშაკი ქარი, კოკისპირული წვიმა; მომთაბარე დამპყრობელი კი, შიშით თავზარს რომ სცემდა პლანეტის ნახევარს, უბინაოდ, უსახლკაროდ დაეხეტებოდა ცისქვეშეთში.

დაღათუ, ეს მიღწევაც იმ შრომის ტოლფარდია, რაც ჩვენმა წინაპრებმა გასწიეს. არასდროს გვიომია გეოგრაფიული საზღვრების შესაცვლელად და არც პოლიტიკური რუკა დაგვიწერია ახლებურად. უბრალოდ, კუთვნილ მიწაზე [თეოლოგიური შეხედულებაც რომ გაგვაჩნია, ლვთის-მშობლის წილხვდომელობის შესახებ] ათასწლეულებს ვანდომებდით წვრილმანთა შექმნას. აზომ,* მეფის ხმალზე გამოკვეთილი ორნამენტებიცა და ძვირფასი ქვების სიმეტრიაც ისეთივე ეროვნული გახლდათ, როგორც ავადსახსენებელი ქართული ლალატი.

შავ ულაყზე ამხედრებულ გიორგის ციხის ქონგურიდან დასცექერდა დემნა უფლისწული. მეფე უნინდელთან შედარებით უფრო საზარლად გაიძახდა ძმისწულის სახელს და ციხის კედლებში მომწყვდეული ექო ლამის წყვდიადს უერთდებოდა.

მოაგონდა დემნას, მეფის ასულთან ერთად რომ ხეტიალობდა იმ სადგომებში, ჟამთააღმწერელმა ლეგენდის თანახმად ვარძია რომ დაარქვა. უნდა კიდეც იყვიროს: – აქ ვარ, ძიაო, მაგრამ სულიდან ამოხეთქილი სინდისის მტარვალი გრძნობა არ აძლევს ამის უფლებას. თითქოს ცხოვრებამ მათ შორის გადებული ხიდი ჩაწყვიტა და მდინარის ორ საპირისპირო შენაკადთან დარჩნენ განმარტოებულნი, განსხვავებულ გულისთქმას აყოლილნი. ცხადია, მდინარე ორთაგან ერთს უცილობლად დაახრჩობდა და

* ამდენად.

არასგზით აპატიებდა აჯანყებას.

— ღვთის სახელით გიბრძანებ, დამორჩილდე ერთიანი საქართველოს მეფეს!.. რადგან სისაძაგლეა ტახტისთვის მებრძოლმა ბაგრატიონებმა ერთმანეთს წაჰკიდონ: დიაკონი და ფირჩოსანი, ზეპურნი, გლახაკნი, უღონონი და დავრდომილი. ეს კარგად იცი, უფლისნულო და დასანანია, თუ ჭრაქის შუქზე საღვთო წერილის დასწავლა დროის საფლანგად გჭირდებოდა. გადარჩენის მიზნით ადამიანმა უფალი თავის არსებაში უნდა ჰპოვოს, რადგან რწმენადაკარგული კაცი ოსტატისგან აღზრდილ იმ ვაი შეგირდს მაგონებს, რომლისთვისაც ჯაფა ამაოდ გაუწევიათ. — სინითლის ალმური დაჰკრავს მეფეს და ცდილობს როგორმე ხვეწნანარევი კილო შეასმინოს აჯანყებულ დემნას.

ისმენდა უფლისნული აღმზრდელის შეგონებას და ხმათა მუსიკასავით ყურს სწვდებოდა მეფის შეფარული სიბრძნე. ჭრაქის შუქზე ბიბლიის კითხვის ხსენებამ შეაშფოთა და მოსვენება დაუკარგა. იმდროინდელი განცდა დაეუფლა, ბავშვობაში ვეებერთელა ჭამი კენჭებს რომ ყრიდა; დიდ-ხანს, ძალიან დიდხანს აყურადებდა ფსკერისკენ გრუბუნით მფრინავ ქვას, ვიდრე ხმა არ მინავლდებოდა. ახლა მორიგს აიღებდა და იმ უკანასკნელს მიადევნებდა... თითქოს ამ კენჭივით გაიჩხაკუნა მასში წარსულის მოგონებამ და ლამის ტირილი მოუნდა.

იცოდა, სიზმარეული ემართებოდა მეფეს და ძილში ბოდავდა ხოლმე. იქნებ, ახლაც ამის მსგავსი სჭირდა, თორემ რას ნიშნავდა ასე გულიანად ნათქვამი ფრაზა: — ადამიანმა უფალი თავის არსებაში უნდა ეძიოს!..

— ვაი, შე უბედურო კაცთა მოდგმავ! ხანდაზმულ მეფეს აცდევინებ ციხის კართან და არც კი ხდი თავის აღზრდილთან პირისპირ საუბრის ღირსს. თუმცა ახია, ვისაც ჰვინია, რომ წმინდა წერილი, ბერძნულ-სპარსული ენები, ფილოსოფია თუ სხვა საბუნებისმეტყველო დარგის შეს-

წავლა მოზარდის ცნობიერებას განანათლებს. ხშირად, ყველაზე განწავლულთ უყურადღებოდ რჩებათ მორალი და ზნეობა; არადა რის მომტანია ცოდნა, რომელიც მედიდურს გახდის ადამის ძეს, თავკერძობა კი დაავიწყებს, რომ ზრდილობა იმაზე ძვირად ფასობს, ვიდრე ქალაქები: განძა, შირვანი, ანისი და დვინი.

ჯერ კიდევ მამაშენის, დავითის სასთუმალთან სიკვდილის პირას მყოფ ძმას დავპირდი, რომ ვიზრუნებდი შენზე და სრულწლოვნებისთანავე საკუთარი ხელით დაგადგამდი გვირგვინს, მოგცემდი სკიპტრას და ღვთითკურთხულ სამეფო ტახტს დაგითმობდი.

მეფემ პერანგიდან გრანილი ამოაცურა და სიბნელეში ააფრიალა სახელმწიფო გერბით დამტკიცებული ანდერძი. თან დაატანა:

— ესე წიგნი დაიწერა მეფეთ მეფე დავითის აღსრულების ჟამს. ქრისტეს შობითგან ათას ას ორმოცდათხუტმეტსა წელსა; წიგნის შედგენას ესწრებიან: კათოლიკოსი, ზეპურნი, მეფის ძმა გიორგი, მცირენწლოვანი ყრმა დემნა, ივანე, სუმბატ ორბელიანის ვაჟი... სიტყვა-სიტყვით ჩაიწერა მეფის უკანასკნელი ნება:

— «პო, დიდებულნო ქართველნო, თქვენ თავად მხნედიცით, თუ როგორ იღვანა მამაჩემმა თქვენთვის, და კვლავ განაახლა ეს სამეფო; და სიკვდილის ჟამს დიდი აღთქმითა და წიგნით მე მიბოძა ეს სამეფო. ხოლო ამჟამად მე მიახლოვებული ვარ აღსასრულს და შენ, ძმაო ჩემო, გიორგი, არც წილი და არც სიტყვა არ გეკუთვნის ამ ტახტისათვის. ან, როგორც მამაჩემმა მე მიბოძა საკუთრად სამეფო ტახტი, მსგავსადვე, მე ჩემ პირმშოს დემნას ვუწყალობებ მას ყველა თქვენთაგანის მოწმეობით, ხოლო შენ, გიორგი, ძმაო ჩემო, დადექ ჩემს ადგილზე და დაეუფლე ქვეყნის ძალთმთავრობას. და იყოს შენი ნაწილი მემკვიდრეობისა, რომელიც მამაჩემმა მოგცა, ვიდრე აღიზრდება ჩემი ყრმა».

ვფიცავ, ძმისწულო! უზენაესია ჩემთვის პირობის წიგნი, მაცხოვრის ხატის, ცხოველმყოფელი ჯვრის და წმინდა სახარების წინ რომ შედგა, რომლის ძალით შენია ტახტი და ყველა ქართული სოფელი; გვედრებ, ნუ გამიმწარებ მეფობის უკანასკნელ დღეებს.

უნყი, სამეფო სპა რჩეულია და ერთგულ მებრძოლთა ლამქრად მოყრა არ გამიჭირდება. უბრალოდ, მეთაკილება პირველკაცობისთვის თვალები დავთხაროთ ერთმანეთს. მე ისიც მეყოფა, რეგენტი ვარ შენი და ერთი ნასოფლარიც საკმარისია საიმისოდ, ბედნიერად გავლიო სიცოცხლის უკანასკნელი დღენი!..

ღმერთია მოწამე, ჩემზე ძლიერ კეთილისმყოფელი ვერ იქნება შენს გვერდით შემოკრებილნი, რომელნიც მხოლოდ უკეთესი სახელოს ძიებით არიან დაკავებულნი და სულაც არ ედარდებათ როგორი ხვალინდელი დილა გაუთენდება სამეფო კარს.

დემნა, შვილო... გახსოვდეს, პირადი ბედნიერების მაძიებელნი საშიშნი არიან და გულით ნუ ენდობი პირმოთნეთ, ლიქნის მოყვარულთ, სამშობლოს სახელით რომ სჩვევიათ ბოროტის-ყოფა, მერე კი ირწმუნებიან, ასე სჭირდებოდა ქვეყანასო. არაფერი სწყურიათ ადამიანებს, გარდა განდიდებისა და სახელის მოხვეჭისა.

ღრმად ჩაიხვნეშა მეფემ და განაგრძო:

– ყველა დიდი ომის წინ ვპირდებოდი ჯარს, რომ გამოჩენილ მხედარს ნოყიერ მიწას ვაჩუქებდი, საუკეთესო სოფელს დავუთმობდი ან სამეფო კარზე მეტ პატივს მივაგებდი. ამის ჟინით შეპყრობილნი აათკეცებდნენ ბრძოლისუნარიანობას და მიკვირდა ხოლმე, როგორ შეეძლოთ ანგარებასა და უკეთესი ხვალინდელის მოიმედეთ თავი გაეწირათ!.. ვასრულებდი კიდეც პირობას, რადგან მეფის სიტყვა ერთ სახელმწიფოდ მაინც ფასობს. ერთხელაც რომ გააუფასურო დანაპირები, მერე ეჭვი უსახლ-

დება ხალხს და უნდობლობის ჭია ხრავს. გაწილებული კაცის გულის ხელმეორედ მოგება კი, ვგონებ, შეუძლებელი არის!..

ასეთ მეფურ სიტყვას ვიძლევი, შენს წინაშე, უფლისწულო, რომ ხელს არ ვახლებ არც ერთ ამბოხებულს!.. მეტიც, იერლაყს – წყალობის წიგნს დავწერ და ყველას შეწყალებულად გამოგაცხადებთ.

– ყველაფერს რომ თავისი სახელი დაერქვას, ის დრო უფროა მგონი, მეფევ!.. – ვეღარ მოითმინა დემნამ და დუმილით შეწუხებული გამოეპასუხა გიორგის. – ლიქნის და ჟამის კაცები უფრო მეტი გყავთ, ვიდრე ტახტის კანონიერ მემკვიდრეს. – მოგეხსენებათ, შორიახლო ჩასაფრებულთა უმეტესობა მსტოვარ-აეშაგი* უფროა, ვიდრე ნამდვილი ბრძოლა-მყოფი. ყველაფერს მშვენივრად უძღვებოდით მეფევ, აქამომდე, ვიდრე ნამოვიზრდებოდი. იმედოვნებდით, რომ უასაკოს სახადი შემეყრებოდა და დავიღუპებოდი.

კარგად მახსოვს, [ბ]ძლუამლი კრიკინათი** მოწამლულს არც კი გამაკარეთ აქიმები, დაიჩემეთ – მეფის მკურნალი თუ უშველისო და ლამის სული ამომძვრა ტაბახმელიდან მის დაბრუნებამდე. [იგი ფილენჯით*** დაავადებულ იკუნკელისძის სამკურნალოდ წასულიყო];

კაი ათ დღეს მასმევდა დიოფალი ბურდუხანი მთის ყვავილთა ნახარშს...

ბოლო წლებში ძილშიც მოსვენება დაკარგეთ, მეფევ!.. კი არა და ბორგნეულობაც დაგჩემდათ. თავს იმართლებდით, ვითომ აღმოსავლურმა ლიტერატურამ შეგაშფოთათ, ბრძოლის სტრატეგიაზე მუშაობდით... მაგრამ ძნე-

* მზვერავი, ჯაშუში.

** ველური ყურძენი.

*** დამბლა: სენისა მიერ ფილენჯად წოდებულისა მოღებოდა (წართმეოდა) ენა, ჭელი და ფერჭი.

ლად თუ მოტყუფდებოდა გონიერთაგანი, რომ დღითიდღე გძულდებოდით.

ბევრჯერ გააჯანჯლეთ მეფედ კურთხევის წესი. კათოლიკოსი ვითომ მირონის საკურთხად, ტაძრის ასაშენებლად და საეკლესიო ტიპიკონის დასაწერად გამგზავრებულიყო აფხაზეთს, მის დაბრუნებამდე კი შეუძლებელი იყო ტახტის გადმოლოცვა. გეკითხებოდით, როგორ ხდება მეფედ კურთხევა, ან რა ვქნათ თუ პატრიარქი არ მობრძანდა უახლოეს ხანებში; მპასუხობდით: – ამგვარად დაწერილა ძველთაგან: ცერემონია უნდა გაიმართოს მცხეთაში, უმთავრეს დედა ეკლესიაში – სვეტიცხოველში. ხელდასხმა აუცილებელია განხორციელდეს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. საზეიმო პროცესიას, წინ გავუძღვებით მე და სამანდატურო ოქროს არგნით, მანდატურთუხუცესი. სამეფო ხმლით აღჭურვილი ამირსპასალარი საზეიმო ვითარებაში ხმალს წელზე შემოგაკრავს. რიგითობა მკაცრად უნდა დავიცვათ, რათა ფაენი* ლირსეულად დაიჭირო და მითქმა-მოთქმა არ მოჰყვეს ქრისტიანებში.

ამირსპასალარის უკან ამირახორი და მეჯინიბეთუხუცესი დადგება. მარჯვენა მხრიდან კი გამოგვაცილებენ მწიგნობართუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. უკან სამეფო ფარითა და ლახტით დატვირთული ჩუხჩარხი გამოგვყვება.

გულში ვფიქრობდი, ამდენი ვაზირის ერთად შეკრებას წლები არ ეყოფა-თქმ. ვარაუდში არც შევმცდარვარ...

– შენ ხელმწიფისთვის საჭირო ყველა აუცილებელი თვისება არ გაგაჩნდა აქამდე, ძმისწულო! ამადაც ვერ ვაკურთხებდი მეფედ კაცს, რომელიც მერყევიდა მალემრწმენი ბუნების იქნებოდა.

ასეთი წესი გვაქვს ქართველებს, ტახტს პირმშობით

* სკიპტრა, სამეფო ჯოხი, რომელსაც თავზე ხვირი და ჯვარი აქვს.

გადავცემთ პირველ ძეს. ორ, სამ ან მრავალ ძმათა შორის, პირველი თუნდ უღირსი, მეფობისთვის შეუფერებელი, ტრადიციისამებრ მაინც გვირგვინის მფლობელია, შესაძლოა, ასერიგად ამიტომაც ვისჯებით!.. მართებულია, შვილმა მამის უძრავ-მოძრავი ქონება ანდერძის სახით ჩაიბაროს, სხვანაირად ტახტის მემკვიდრეობით მიღება უკანონო მგონია. ცხადია, დღემოკლე ჩემს ძმას არც სხვა ძე ჰყოლია და განგებამ ამ მხრივ – მე სრულებით დამსაჯა, მაგრამ ხომ შეიძლება დაელოდო ასაკს, უამს, როცა ღირ-სეული და ღვთითკურთხეული იქნება შენი გამეფება.

გვირგვინს ძალაუფლებასთან ერთად უძილო ღამეები, უბედურება, ტანჯვა და შიში მოაქვს. ცდებიან, როცა ფიქრობენ, ვითომ ტახტი კაცს ბედნიერს გახდის. [მეფობის პირველი დღეები მიხაროდა. ლამის ტახტზე მეძინა და გვირგვინს ძილშიც არ ვიცილებდი. თანდათან ოქროს სიმხურვალემ დამწვა, სამეფო საბრძანებელი ეკლიან სავარდლად მომეჩვენა და უკვე ვნატრობდი, დარბაზობა მალე დასრულებულიყო, რომ როგორმე ტახტიდან წამოვ-ფრენილიყავ და იატაკზე დავმჯდარიყავი]. სიმართლე გითხრა, მშურდა კიდევ მიწის მუშაკის, ყმა-გლეხის, რომელიც ალერდზე* არხეინად იჯდა და საბალახოზე გაყვანილ ნახირს მწყემსავდა.

მერწმუნე, კაცი რომელსაც ედარდება საკუთარი თავი და ოჯახი, ტანჯულია, რადგან მრავალთა ბედნიერებაზე ზრუნვა უწევს, თუმცა შეუდარებელია მისი გვემა მეფეს-თან შედარებით, რომელმაც კუთვნილ ბედნიერებას ურდეული უნდა დაადოს, გასალები სადმე მოისროლოს და თანაბარზომიერად სამეფოს ყველა მოპინადრეს შეუქმნას დიდებული მერმისი.

– იქნებ ეკლები სულში აღმოგიცენდათ, მეფევ და ტახტს

* ნედლი ჩალა.

ბრალი სრულებით არ მიუძღვის?! ვინ იცის, სინდისი სამართებელივით რა დროს მოგებჯინებათ ყელზე. ახლაც, განა ნანატრი ძალაუფლების დაკარგვის შიშმა არ მოგიყვანათ ჩემამდე? გეშინიათ, მთლიანად არ შეგიორგულდნენ კარისკაცნი, ციხოვანნი და მცველნი ქალაქისანი! ჩვენ კი კალიებივით არ გავმრავლდეთ, რადგან იმ ცნობილი ანდაზისა არ იყოს, იცით, ძალა აღმართს ხნავს. ეს რომ არა, რაში გენალვლებათ ლორეს ციხეს გამოკეტილთა ხვედრი, რომელთაც, თქვენი ვარაუდით, ხანგრძლივი ზამთარი ან შიმშილი მოიკბილებს.

— შესაძლოა შიშმაც მომიყვანა, დემნა, მაგრამ გახსოვდეს, შიში რომ სძლიო, იმის სიახლოვეს უნდა იტრიალო, რასაც უფრთხი! შიშით ძლეული კი ჩვენ ორს შორის, უფლისწულო, შენ უფრო ხარ, მგონი, რომელიც კადნიერად საუბრობს აღმზრდელთან და დაბლა ჩამოსვლას ვერ ბედავს.

დალათუ ბავშვობიდანვე ასე იცოდი. იპოდრომზე ცხენს რომ აჭენებდი, სანადიროდ მიეშურებოდი და სრადან იპარებოდი, პატიების თხოვნას ვერ ბედავდი და თამარის ენით შუამავლობდი. ბრაზი კი არ მახრჩობდა, შენც გაპატიებდი, მიგიტევებდი დანაშაულს, თუმცა ვხელდებოდი, როცა ვხედავდი, დესპანი იყო ჩვენს ურთიერთობაში აუცილებელი.

ქურაში გავარვარებულ სპილენძს მიუგავდა მეფეს პირსახე. ამაყ და ზვიად გოლიათს სახე მოღრეცოდა და სასონარკვეთილი მხედარი მთელი ძალით ექაჩებოდა ცხენის სადავეს, რადგან იცოდა, მისთვისაც რომ თავისუფლება მიეცა, ალბათ რომელიმე ქარაფიდან გადაფრინდებოდა.

— ამაოდ გნამს, დემნა, ფარისევლების, რომელთაც ვითომ უხარიათ შენი წარმატება. გრძელი და ტანჯვით სავსე გზა გამოვიარე. ასაკმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. მარტო იმისთვის ლირდა მეფე გიორგი მოვლენოდა საწუთოს, რომ უცილობელ დასკვნამდე მისულიყო: გო-

ნიერი კაცი თანაბარზომიერად სჭირდება უმეცარსაც და ჭკვიანსაც. ასეთი გონიერთაგანი ხარ შენ. გარეშემო მიმოიხედე და ნახავ, შენ რჩეული ხარ, ვისაც მეფის გვარი ხელს უწყობს მერმისის უზრუნველსაყოფად. გარდა იმისა, რომ ბაგრატიონი ხარ, მრავალმხრივ განათლებულიც ბრძანდები. რასაც შენ უბრძოლველად მოიპოვებ, სხვებს ომის და თავდადების ფასად თუ ერგებათ. წარმატება ხონჩაზე დადებულად არავისთვის მიურთმევია ბედის-წერას, ამიტომ სწორად ანგარიშობენ, იმ გვირგვინს და-გადგამენ თავზე, რომელიც ისედაც შენი კუთვნილებაა. სამაგიეროდ, შენს თვალში ამაღლდებიან; დაგაჯერებენ, ვითომ მათი წყალობით მოიპოვე ასე ნანატრი ძალაუფლება. სანაცვლოდ, დაარიგებ მიწა-წყალს, გასცემ სალაროს ქონებას და სახელოსაც შესთავაზებ მედროვეთ.

უფლისწულო, რა იქნა ის სიამაყე, რომელიც ასერიგად გიხდებოდა სამეფო კარზე აღზრდილს? მდაბიოებთან ლუქმის გაყოფა მაშინ შეიძლება, თუკი რაიმე სარგებელს მიიღებ სანაცვლოდ. თავმოყვარეობა რომ უკუაგდო, საიმისოდ, მასზე უფრო დიდი ფეშქაში უნდა გებოძოს!.. მე თუ მკითხავ, მეფეთა ხვედრია ბრძოლა და ომში თავდადება, თუმცა ყველა მეფემ უნდა იცოდეს წინდანინ, რისთვის იბრძვის ასე მონდომებით. რადგან ომში გამარჯვებაც შემთხვევითობაა, შეიძლება გიმტყუნოს ბედმა და მერე რა უნდა ჰქნა? გაურკვევლობა უმძიმესი სასჯელია, რომელიც შიგნიდან ყორანივით გძიგნის. შენც იმ ფიტულს ემსგავსები, ყანებში საფრთხობელად რომ სჭირდებათ.

– სიყვარულიო? საომრად მიმავალსაც ხშირად გითქვამთ, სიყვარულით ვიქნევ ხმალს, თორემ იმის ილაჯი რამ მომცა, ასე ქანცგაულევლად ვიბრძოლო ჟამ და ჟამო!.. აზმნობთ, თითქოს სიყვარულით კაცთა კვლაც გამართლებული იყოს, ასე არ არის, მეფევ?

– ასეა, დემნა! სწორედ რომ ასეა! სიყვარულით მო-

ქნეული ხმლის ელვარებაცა მიყვარს, ნაგები ტაძარიც, დარღვეული ციხის გალავანიც, წირვა-ლოცვაცა და აჯანყებულნიც. ტახტმოშიებული კაცის ნახვაც მიყვარს, ხელაუთრთოლებლად ყველას განირვას რომ შეძლებს.

თითქო ეს უკანასკნელი მინიშნება იყო ლორეს გამაგრებული უფლისნულისთვის. ასე პასუხობს:

– სიყმილი* მტანჯველი გრძნობა არის, თუმცა ტახტის შიმშილი გამონაკლისთაგანია, რომელიც სიამით გავსებს და ბედნიერს გხდის.

– დემნა, ყური დამიგდე. თავხედია ბუნებით ქართველი, ლალატსა და ამბოხს ჩვეული. ჭეშმარიტებაა, ერთიანობა თუ გვიშველის, თორემ ასე გათითოკაცებით, დანაწევრებით და გათიშვით ყოველგვარი ლირებულება მიღმიერში გვრჩება, როგორც უპატრონო და ჟამისგან შემუსრულნივთისაებრ. თუმცა, ამგვარ ჭეშმარიტებაზე მეტად გვიღირს ერთი დღის სამყოფი პურის ნატეხი!.. შენც იმათ აჰყევ, რომელთაც მკვეთრი მიზანი და სამოქმედო გეგმა არასდროს ლირსებიათ. იმათ რიგებში ჩაეწერე, შინაომები რომ სიამოვნებას გვრიდათ და ვაჟკაცურად მტერთან გამკლავებას ერჩივნათ ძმათა წილ კბილთა წაკნაკი!..

ორბელები, სურნეუნისის** ამინდივით ცვალებადნი არიან. ვერ გაიგებ, რა სურთ სინამდვილეში. 1161 წელს, შა, ბანის თვეში,*** როცა ანისზე გავილაშქრეთ, მძიმე ომი გარდაგვხვდა და ციხე-ქალაქი ავიღეთ; მმართველად სადუნი დავნიშნე, რომელსაც უმაღლალატი დასწამა ივანემ და სიკვდილით დავსაჯეთ. მერე ორბელმა ამირსპასალარობა მომთხოვა, თანაშემწედ კი სარგის ჯაყელი დაიყენა. ამან შეაშფოთა შაპ-არმენად წოდებული ხლათის მფლო-

* შიმშილი.

** თებერვალი.

*** ივლის-აგვისტო (ძვ. ქართულად თიბის და ქველთობის თვე).

ბელი, არზრუმის მთავარი და დიარბექირის მმართველიც კი. 80.000 ლაშქრით გარემოეცვა ანისს, თუმცა აქაც თავი ისახელა ივანეს სარდლობამ. 2.000 ყმა და 6 მთავარი ტყვედ ჩაგვივარდა. თურმე გაგისთან ივანე ამირსპასალარმა თავისი გულადობით აოტნა ელდიგუზ ათაბაგი.

ვერაფრით ჰგუობდნენ მუსლიმი ამირები ანისის დაკარგვას! აკი სწორად ანგარიშობდნენ, მათვის ეს ქალაქი ჩრდილოეთის ზღუდე იყო, რომლის წართმევის შემდეგ კუთვნილი სამფლობელოების დაცვას ვერასგზით შესძლებდნენ.

არზან არ-რუმის მფლობელი მეფე სალთიკი დავატყვევეთ და ვაიძულეთ არზრუმი ქართველთათვის დაეთმო! შაჰ-ბანუვარმა, სალთიკის დამ, ძვირფასი საჩუქრები გამომიგზავნა და მევედრა, შემეწყალა არზრუმის მფლობელი და განმეთავისუფლებინა.

ქრთი წლის თავზე დვინზეც ვილაშქრეთ, ეს იყო ზუსტად 1162 წლის თიბა-ქველთობას. «ან რომელ არს არა-რატისა ძირსა ზღუარი სომხეთისა და ადარბადაგანისა». დვინიც საოცარი ქალაქი იყო. მესმოდა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა. ამიტომ მასზე შევაჩერე ჩემი ყურადღება.

რანსაც შევესიეთ 1165-1166 წლებში. ლამის განძამდე მივაღწიეთ, მოვარღვიეთ ქვეყნის საზღვარი. ივანეს ბედნიერებისგან თვალები უბრნებინავდა. ასაკში მყოფი ბერიკაცი ხმალზე სიხარულით ათამაშებდა თითებს. ტფილისისკენ ვბრუნდებოდით, სიტყვა რომ გამომთხოვა: – მეფევ, მომანდე უფლისწულის აღზრდა. დამდე ეს პატივი მე მოხუცს და ვფიცავ, კმაყოფილი იქნები ჩემგან განეული სამსახურით.

ბრმად ვენდობოდი მას ან როგორ არ გავნდობილიყავ კაცთან, რომელსაც ქართული ჯარის მთავარსარდლობა

შევთავაზე... ურიგო კაცი არ იყო ივანე, მამასავით ვყვარობდი მას; მთელი ცხოვრება ქართულ სამეფო ოჯახს მიუძღვნა. თავდაპირველად დიდმა დავით ალმაშენებელმა ალმოაჩინა ორბელთა ბრძოლის ტაქტიკა, 1118 წელს მეფემ ალყა აგარის ციხეს შემოარტყა, გამარჯვების შემდეგ კი ივანეს ჩააბარა ციხის კლიტენი. მოგვიანებით დემეტრემაც უფრო მეტი მამული დაუმტკიცა მას ერთგული სამსახურისთვის.

— მუდამგზის ასე იყავით, მეფევ! როცა კი რამ მიკეთებია, არაფერი მოგწონებიათ. მიკვირს, თქვენს ხელში მშვილდთა მოზიდვას როგორ დავეუფლე. არადა, ვითომ გამეცადინებულ იყავნ, კარგი მოისარი დავმდგარიყავი. უგრძნობელობამ პირველსაწყისს დაგაშორათ, ხელმწიფევ, უემოციობამ კი სხვა ადამიანურიც დაასამარა თქვენში. მე თუ მკითხავთ, უბრალობა უფრორე უხდება ადამიანს, ვიდრე სიამაყე. არც შინაყმებთან პურის გატეხვას მივიჩნევ მდაბიობებად. ორბელებთან ცხოვრებას დავეუფლე, მეფევ! თქვენგან წართმეული მათ ამინაზლაურეს და თუ რამ ვისწავლე, მეტი წილი მათი დამსახურებაა.

— შენ ისე ძალგიძდა ისრის ტყორცნა, ქამანდის* დაჭერა-მოზიდვისა არაფერი გაგეგებოდა. გნუინდა, როცა გმოძლვრავდი, ქვისმთლელი, რომელმაც წინდანინ არ იცის რა გამოკვეთოს მატერიკისგან, ქვასაც აფუჭებს და საჭრელსაც პირს უბლაგვავს-მეთქი. სრას კიბესთან ფაფარაშლილ ლომთა ქანდაკებაც შემთხვევით გამოკვეთილი გეგონა. შენ კი მაჯერებდი:

— ხელი რომ ქვას მიჰყვეს და ოსტატმა შექმნილი შეიძულოს, ამისთვის ქვაც უნდა გააფუჭოს და ინსტრუმენტიც. სანაცვლოდ დარწმუნდება, რომ უნიჭოთაგანია.

ნუთუ ყრმობისას არაფერი გაგიფუჭებიათ, ძიავ? —

* სუსტი მშვილდი.

მკითხავდი. აი, აქ კი შევცბუნდებოდი. მოგატყუებდი, რომ მეთქვა, არა, არაფერს ვაფუჭებდი ძია, დამჯერი და უწყინარი ბალლი ვიყავი-თქო.

წამით დადუმდა გიორგი, გულში კი ეს გაივლო: რომ არაფერი გამეფუჭებინა, ტრადიციისამებრ, ტახტზე ან განსვენებული დავითი იქნებოდა და არა მე, მეფის უმრნემესი ძე.

მინდოდა გულახდილს გამემხილა და მთელს ბავშვობაზე მესაუბრა. როგორ ვიზრდებოდით სასახლეში მე და მამამისი. ტყუპებივით ვგავდით ერთმანეთს. უბრალოდ ჩემზე ასაკით უფროსს გახშირებული ჭაღარაწვერიჰქონდა და კოწოლდაყრილიყო.* ვაზირთა თათბირზე დასწრება სძაგდა დავითს, ავადმყოფობას იმიზეზებდა და დემეტრეს თხოვნით მის ნაცვლად საბჭოს უმეტესწილად მე ვესწრებოდი. ვითომ ნაავადმყოფარს, სასთუმალთან ვეახლებოდი დამით და თათბირზე გამომსვლელთა სიტყვებს უკლებლივ ჩავუკაკლავდი.

— შეხედე, რა სულძალლი ყოფილა მერემეთუხუცესი, ამაზე თვითონ მეფემრად სთქვაო, — მეტყოდა მამაშენიდა ცნობისმოყვარე თვალებით ჩემს ყველა მოქმედებას აკვირდებოდა. მიხაროდა, რომ ჩემს ნაამბობზედ ხალისობდა და ამით თავდაჯერებული გათენებამდე ვტიტინებდი ხოლმე. ძმობაც კარგი გვქონდა, ღმერთმანი. კარგი კი არა, შესაშური.

— იმდენად სახარბიელო, რომ დღემდე ვერ გაგირკვევიათ ღვიძლი ძმა რა ვითარებაში მოგიკლეს. უპირველესად, მამა ქრისტიანი იყო და არასვით დაუშვებდა საკუთარი სიცოცხლის ხელყოფას. სამეფო კარი კი საპირისპიროს ამტკიცებს, გჯერათ, მამაჩემმა ჰინდური ბალლამით თითქოს თავი მოიწამლა. ასე რომ ყოფილი-

* კულული.

ყო, ქრისტიანული წესის თანახმად, არც კათოლიკოსი აღუვლენდა ლოცვას და როგორც უპატიებელი ცოდვით გარდაცვლილს, გელათის ტაძარშიც როდი დაკრძალავდნენ... «არა ცილი სწამო»-ო, ბრძანა უფალმა, თუმცა ასე საეჭვო ვითარებაში მამის დაღუპვას ორგულთა მზაკვრულ ხელწერას ვამსგავსებ!

—«არა კაც ჰკლა»-ო, ეგეც სწერია შენგან ნახსენებ წმინდა წერილში, ძმისწულო, და ტყუილად აზმნობ, თითქოს ძმის მოკვლას შევძლებდი. კარგად იცი, რომ «წასულია ეჭვიანი კაცის საქმე. ვიდრე სხვას შესჭამდეს, ის საკუთარ თავს დახრავს». ძმის მოკვლა რომ გამიოლებოდა არც ეგეთი სასტიკი ვარ, დემნა!

— არ ხართ მთლად სასტიკი, მამამძუძევ, მაგრამ დღე-სავით ნათელია, საქმეს თუ დასჭირდება უკან არაფერზე დაიხევთ!.. მერწმუნეთ, არც კაენს ენდომებოდა დიდად აბელის დაღუპვა, მზვაობრობასა და პირველკაცობის წყურვილს მისთვის ცნობიერება რომ არ წაერთვა.

ვარძიის მშენებლობა წამოგეწყოთ იმ წელს. ვუყურებდი კლდეში ნაკვეთ ქალაქს; თუმცა უფრო მართალი ვიქნები, რომ ვთქვა ქალაქ-სახელმწიფოს-მეთქი. ეს იყო უიშვიათესი ქართული გენის ქვაბულთან ღალადი. თითქოს ლოდების იმპერიას შეესივნენ ივერიელნი და მატერიკისგან რაღაც დიადის შექმნას ცდილობენ. რომ აქაც, როგორც ყველაფერში, განგების ნება ერია. შეიძლებოდა სხვა ერისთვის ქვათა კომპლექსი შეუმჩნეველი დარჩენილიყო და ისევ ქვადვე დაეტოვებინათ. მაგრამ აქ გამოჩენდა, მეფევ, თქვენი ხუროთმოძღვრული შორსმჭვრეტელობა. მშურდა კიდეც, რადგან ვგრძნობდი, მსგავს სიდიადეს ჩემი მარჯვენა ვერასდროს გამოკვეთდა.

გამოქვაბულთა კამერებს ზოგან განიერი სანგრევით ჭრიდნენ, ზოგან – ვიწროთი; ხელმარჯვე მუშები წერა-

ქვით მუშაობდნენ, ხურონი ქვათანი წალკატით* სასურველ ფორმას აძლევდნენ ნაკვეთ ადგილს, გალატოზნი მესანგრეთ ხელმძღვანელობდნენ, მეხრეები ხარებითა და აზავერებით** ქვა-ქვიშას ეზიდებოდნენ.

ის-ის იყო საზამთრო რეზიდენცია სრულეყოთ მშენებელთ და თამარის თხოვნით ღვთისმშობლის ტაძრის საძირკველი დაალოცვინეთ იქაურ მოძღვარს. «თუ ვისმე ნებავს ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი და ნაშენები ქუაბ-ქმნილი» – ასე დააწერინეთ ამაზედ მწიგნობარს.

გელიქაშად*** იყავით დაბანაკებული. დედოფალ ბურდუხანთან ერთად სეირნობდით, მე და თამარი კი ვთამაშობდით. ძიძას ფეხი სტკიოდა და ასაკისგან მოტეხილს არ შეეძლო ჩვენსავით ერბინა. საგრძნობლად ჩამოგვრჩა კიდეც.

ბურდუხანი ჯავრობდა, რა გოგოს საქმეა ქვის-მთლელებთან ყოფნა ან რაში ადარდებდა ასულს მშენებლობის ყველა წვრილმანი. თქვენ კი პასუხობდით:

– როგორ თუ რაში აინტერესებს, ხომ გთხოვეთ, დედოფალო, პირმშო ისე აღმეზარდა, როგორც თავად ვინებებდი.

ჩურჩულით აცმაცუნებდით თხელ ტუჩებს და ასპიტთ სისინივით მომესმა:

– დედუფალო, შრომისმოყვარე და მიზანდასახული ქალი, სინამდვილეში, მკლავმაგარ მამაკაცზე ბევრად უმჯობესია. გონიერებით უნდა აღვზარდოთ თამარი, რომ გამოადგეს მისი ნიჭი სამშობლოს.

* ქვათა სათლელი ინსტრუმენტი.

** ხარი საკიდარი (ოთხფ.)

*** შორიახლოს.

გეფა* ბურდუხანი კი ცხარობდა:

– მე ვიცი, როგორც გამოიყენებს ნიჭს იგი. ასული ოჯახს ეკუთვნის ქორწინებამდე, მერე კი სხვის გვარს და სამეფოს სწირავს ცხოვრებას. ჩემზეც იმედოვნებდნენ, მეფე ხუდდანის ასული, შუენებითა და მომფენაობით მზის სადარი გავითათებს ოვსთა სამეფოს. მაგრამ რა ბედნიერება მოვუტანე მამულს, თქვენც კარგად ხედავთ! მისხალიც ვერა შევმატე მას.

– თქვენზე არ ვიცი, ბურდუხან რა იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ როგორც კი მოილოგინეთ და პირველად [ჩვილს ხელს ვერ ჰქიდებდით და ყველასგან მალულად მე მიწევდა მისი მზრუნველობა]. ვნახე ქმნილ-კეთილი და ყოვლითურთ უნაკლო თამარი, გონება გამინათდა! ისეთი სიხარული მომაწვა, ვაჟის შეძენისას რომ შეიძლებოდა დამუფლებოდა. არადა, ჩვენში გლეხსაც კი ასულის შეძენისას ცხვირ-პირი ჩამოსტირის.

– როგორ შეგბედოთ, მაგრამ დემნა ხომ არ დაავიწყდა თქვენს მეფურ ბრწყინვალებას? – შეიცხადა დედუფალმა.

თქვენ მსტოვარივით აფაციცებდით თვალისჩინს, „ხომ არავინ გაიგონას“ ფიქრი ჩასახლებულიყო მეფურად ალანძულ მზერაში. ზურგსუკან მე და თამარი ვიდექით. შეიშმუშნეთ, უხერხული სიტუაციის განმუხტვას შეეცადეთ და მეფას გაეპასუხეთ:

– სწორი ბრძანდებით, მოწყალეო ბურდუხან, ლამის დაგვავიწყდა თამარიცა და დემნაც. ნახეთ, კვლავინდებურად ორთავე ბავშვი გადიას გამოქცევია.

შემდეგ ძვირისხსენებას მოჰყევით ძიძისას; მაგრამ მეფევ, ის კაცი არ იყავ, შეფარვით ნათქვამი გეღიარებინათ!.. ოსტატურად დაიძვრინეთ თავი და არც კი

* დედოფალი.

შეგეტყოთ, ორიოდ წუთის წინ, ტახტზე და მის მომავალზე რომ დელავდით. აი, თამარი და დედოფალ ბურდუხანის ალმური მის დღემში არ დამავიწყდება. – ჩემია ტახტი, მხოლოდ ჩემი და მას არავის დავუთმობ, ეს იყო შენი იმდღევანდელი ნაუბრის თავი და ბოლო.

ამიტომ იყო, აღდგომის კვირას, ვნების შვიდეულს, დიდებულების თანხლებით გეახელით და ფიცის აღსრულება გთხოვეთ. თქვენ გაგეცინათ, ვნების კვირას რა ეშმაკეულმა გაფიქრებინათ მეფეს ხლებოდით და სამეფო რეგალიები გამოგეთხოვათ. ცუდ დროს მობრძანდი, ბატონიშვილო და ლომისის დღესასწაულს* დაელოდე, აღდგომიდან მეშვიდე კვირას, რადგან ამ პერიოდში ხელდასხმისთვის ერთ ქრისტიანსაც არ ეცლება!..

უბრალოდ, მიზეზი იყო თქვენგან თქმული, თორებ მეფის სიტყვას ისეთი ძალა ჰქონდა, მარტო ქრისტიანთ კი არა, ურჯულოსაც სულ ჩიქვით და მუხლმოყრით გამოფენდა სასახლის წინ.

კალოობას რაც მოხდა კარგად გეხსომებათ, ალბათ.

სრას შემოგარენში მომცრო ეკლესია რომ იდგა, მლოცველებმა ეზოში ზოსტერით** ჭადარზე დაკიდული ხუცესი დაინახეს. მითქმა-მოთქმა მოჰყვა, ბერმა სიკვდილამდე დასწყევლა თქვენი სახლეული:

– «კრულ, წყეულ და შეჩვენებულ [იყავნ] პირითა ღუ-

* უძველესი სალოცავი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მდინარების ქსნისა და არაგვის წყალგამყოფი ქედის უღელტეხილზე. განეკუთვნება IX-X საუკუნეებს. სახელწოდება, ტრადიციის თანახმად, ლომახარს უკავშირებენ. ვარაუდით, თავდაპირველად ლომისა მთვარის საკულტო ტაძარი ყოფილა. ქრისტიანული ეკლესია აუგიათ წარმართული ტაძრის ადგილზე. ლომისა იყო მთიულეთისა და ქსნის ხეობის მოსახლეობის უპირველესი სალოცავი. აქვე წყდებოდა ბევრი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო საკითხი.

** სამღვდელო სარტყელი, ქამარი.

თისათა» – ულირსად დადგმული სამეფო გვირგვინის გამო. მორნმუნეთა შორის კი იქადაგა: – უბრალოთა სისხლი ღვთისგან ითხოვს განჩინებას.

– სავლეს ენაყბედობამ აღსარების საიდუმლო გაათქ-მევინა და ამისთვის ეკლესიისგან შეირისხა. სამეფო კარი უბრალოა ამ საქმეში. წმინდა სინოდმა გამოიკვლია და განჩინებით გადაწყდა მისი ანათემა.*

დიდად არ მწყენია, რადგან საეკლესიო წესთა დამრ-ღვევი, მოძღვარი კი არა, მუცლით-მეზღაპრე უფროა, რომელიც თავს იღუპავს და უმეცრებით სხვასაც უფსკ-რულისკენ მიაქანებს. მიღწეულით მუდამ უკმაყოფილოა კაცი. გვგონია, ვითომ ჩვენებრ ნიჭიერი სხვა არვინ დაი-არება წუთისოფელში; მერე გვისახლდება რაღაც ქვე-მძრომი არსება, რომელიც გვარნმუნებს, – უკეთესს იმსახურებ, – გაცილებით მეტი გეკუთვნის, – შრომის შესაბამისად არ გინაზღაურდება... [და ეს თაფლივით ამო სიტყვები გიბიძგებს ამბოხებისკენ; იქნებ კი არა-და, მართლა ხომ არ გეკუთვნის უმჯობესი მერმისი?]; ასე დაემართა სულძალლ ნახუცარს. ყოველ კვირას რომ ქადაგებდა უძლები შვილის იგავს, თვითონ გახდა მე-ტისმეტი სიმაძლრის მსხვერპლი. წარმოიდგინე, ხალხს რაღაცას უზღუდავდე, ლოცვის დასრულებისთანავე კი აკრძალულს თავად მიმართავდე! იმ ფარისევლის მს-გავსად სირცხვილნაჭამია ნახუცარი, რომელმაც ილო-ცა: – «ლმერთო! გმადლობ შენ, რომ მე არა ვარ ისეთი, როგორც სხვა კაცი – მტაცებელი, ცრუ ან როგორც ეს მეზვრეა». ნახუცარზე უფრო წმინდა და ცხონებულია, ვინც მეზვრეს მსგავსად იტყვის: – «ლმერთო! მილხინე მე ცოდვილსა ამას, რამეთუ მსმენია ვინც აიმაღლოს თავი თვისი, ის დამდაბლდეს და ვინც დაიმდაბლოს, იგი

* ეკლესიის გადაწყვეტილება სასულიეროს განდევნის შესახებ.

ამაღლდეს».*

მეფეებ პირჯვარი სამგზის გადაიწერა.

ბისონზე და სამკლავეზე დატანებულმა თვალთა ელ-ვარებამ დემნას გიორგის წინანდელი ნათქვამი გაახსენა, ყველაფერს, ქართულად უღერადს თუ გამოსახულს რომ ადიდებდა მეფე.

— ძია, იმ ფარისევლისა არ იყოს, თქვენც ქართულზე ასე აღტაცებით საუბრობდით ამ რამდენიმე წუთის წინ და დაგავიწყდათ რა გაცვიათ. ბერძნული ბისონი, პოდირი,** სტავრა და ტარსიკონი... ნუთუ ჩვენს სამკერვალოებში დაილია ფეხსაცმელი ან ტანთსამოსი? თუ ისინი მკერვალთუხუცესისგან მეფისთვის შესაფერისი ფუფუნებით არ იკერება?

ეს ისე ვერაგული დაცინვით უთხრა დემნამ, რომ მეფეს ეუხერხულა კიდეც.

— არ ვიცოდი, ძმისწულო, სამოსით თუ ფასდებოდა მეფეთა ცხოვრება.

— საწყენად როდი ვთქვი, მეფევ! მეხამუშა სავლეს დაცინვა; არც ის იყო სწორად თქმული — მრევლს მორალს შთააგონებს, თვითონ უღირსობისაა მოქმედი. თუმცა ადამიანის უდიდესი ნიჭია, თავის დირეთა დასამალად, სხვის თვალში ბეწვი ეძიოს.

შემდეგ ნაუცბათევად ჰკითხა: — ლაზიკა რასა იქმს, მეფეო!

გიორგის სახეზე ოპიზის ქვისფერი დაედო. ნეტა საიდან გაიგო უფლისწულმა ლაზიკას შესახებ? ნუთუ ჩემზე უმჯობესი მსტოვრები ჰყავს ბატონიშვილს? ამ „ნუთუმ“ შეაშფოთა მეფე. მოსვენება დაუკარგა. უნდა კიდეც ჰკითხოს, სხვა ხომ არაფერი იცი? მაგრამ არ უნდა თავის

* იგავი ფარისევლისა და მეზვრის შესახებ. სახარება ლუკასაგან (18, 10-14)

** კვართის მსგავსი, სამოსელი შემცველი სხეულისა მკლავითგან ფერჭ(თა)მდე.

მხილება. იცის, რიტორია ბუნებით დემნა, სათქმელს ყოველთვის პირდაპირ და ბოლომდე ამბობს.

— ის აქ არის, — ჩურჩულით თქვა უფლისწულმა; — ხმა დაირხა, ვითომ ამ ხარჭასგან ყრმას ელით. ვიდრე მოილოგინებდეს ჩვენსას იქნება, ორბელებთან. სიფრთხილე მმართებს მეფევ, რომ თქვენს ავაზაკურ გეგმას წინ აღვუდგე!

ისეთი განცდა დაეუფლა მეფეს, თითქოს გვამის რაღაც ნაწილი ამოკვეთეს, თუმცა ამოკვეთილზე ძლიერ სულამოგლეჯილისას ჰგავდა მისი უმწეო მდგომარეობა. ხუთვა დაემართა, თავბრუ დაეხვა და მეამბოხეთ რომ მეფეთ მეფის უძლურება არ ეხილათ, სასწრაფოდ გაეცალა გუგარქის ციხეს.

* * *

«ოდეს ორბელნი გადგეს, ქორონიკონი იყო სამას ოთხმოცდაჩუდმეტი».

მაშინ მეფე გიორგი, მცირე ამალითურთ, არხეინად სახატეს მდგარა და ბავთმა* ამცნო დაწვრილებით ყოველი.

სწორედ ის ორბელები არიან, ოდიდგან ორბეთის ციხეს და მასთან მდებარე ძირის სოფლებს რომ ბატონობენ. მხედველობიდან არც ბირთვისისა და ფარცხისის ციხეები გამოგვრჩეს.

ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ალგეთის ხეობის ერთ ნაწილს «ორბეთის ქვეყანა» უნდა რქმეოდა, ციხისა და მხარის მფლობელს კი — ორბელი.

საისტორიო წყაროებში ამ საგვარეულოდან პირველად მოხსენიებულია ივანე ორბელი, რომელიც ერთდროულად დაეუფლა ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის სახელოს და ანისის გამგებელიც გახდა; წყაროებში

* ბოროტი მოამბე, ავი ამბის მომლები.

იხსენიებენ მის ძმას, ლიპარიტ ორბელს – რომელიც ჯერ ამილახვარი, მოგვიანებით კი ქართლის ერისთავი გახდა.

ბოლოს იპრიანა ივანე ორბელმა და სიძის, დემნა უფლისწულის აგარის ციხეში გამეფებით საბოლოოდ შეუორგულდა სამეფო კარს.

დემნა ნაღვლობდა, რამეთუ ყველა წესის დაცვით არ დაედგათ მისთვის გვირგვინი. კათოლიკოსის ნაცვლად ლოცვანს სოფლის ეკლესიის მოძღვარი კითხულობდა. არც მცხეთის შემოგარენში, სვეტიცხოვლის გუმბათქვეშ მიერთმიათ მისთვის სამეფო რეგალია. მანდატურთუხუცესზე უფრო მდაბიო არგანი შეაჩერეს და ულოცავდნენ უკვე მეფედკურთხეულს.

სახეეკეთილი უფლისწული მორჩილად იდგა, თითქოს გარინდულიც ჩანდა და ღვინით შეზარხოშებულ მეინახეთ გასცეკერდა. გვერდით, ძვირფასი თვლებით მოვარაყებულ ტახტზე ივანე ორბელის ასული [დინარა] იჯდა, რომელიც ცდილობდა დედოფლის პატივი მოერგო და თავზე დადგმულ ფატას შიმუნვარს ასწორებინებდა. უფლისწულზე მეტად ორბელის ასულს უხაროდა აგარის ციხეში გამართული ცერემონია. ბედნიერებისთვის მეტი რა უნდა მანდილოსანს? ორიოდ თვის წინ საქორწინო გვირგვინი დაადგეს, რომელიც ამ მოკლე ხანში სადედოფლოთი შეუნაცვლეს.

დიახ, ეს ყველაფერი იმ აგარის ციხეს ხდება, სხვაგვარად აზეულას რომ უნოდებენ. გამომდინარე იქიდან, რომ გეოგრაფიულად აზეულა თელეთის ქედზეა, დაბა კოჯრის სამხრეთით.

ორბელთა გვარი დიდი პატივით სარგებლობდა აღმოსავლეთ საქართველოში. ისინი მუდამ მეფის კართან დაახლოებულნი იყვნენ. დაწყებული ბაგრატ IV-დან – გიორგი III-ის ჩათვლით. არც დემეტრე I ყოფილა გულგრილი მათ მიმართ. ორბელებს ნებისმიერ დროს

შეეძლოთ დაელაშქრათ რამდენიმე ათასი ერთეული მებრძოლი. ვინაიდან ივანე ამირსპასალარი იყო, იგი განაგებდა მეფის მონასპას, სახასო და საფეოდალო მამულებიდან გამოწვეულ ლაშქარს, დაქირავებულ რაზმს, ამილახორსა და ზარდახნისუხუცესს.

ბრძოლებში სახელგანთქმულ ივანეს ბრმად ენდობოდა ერისკაცობა. ალბათ ამიტომ იყო, რომ კანონიერი მეფისთვის ტახტის დაბრუნების მოტივით 30.000 მეომარი შეეკრიბა. ასე დაიყოლია ივანე ორბელმა ყოველი ორბელის გვარისანი, ჰერნი, კახნი, სამცხელნი, თორელი, სუმბატის ძე ლიპარიტი – ქართლის ერისთავი, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი, გრიგოლ ასათის ძე, შოთა ართავოჩის ძე, ივანე ვარდანის ძე, კახა ჯავახი შვილებითურთ, მემნა ჯაყელი, სარგის და ვარამ მხარგრძელი შვილითა და ძმისწულით, გრიგოლ ანელი აპირატის ძე, ჰასან კაენისა პატრონი და კაენის მხარეთა მმართველი, ბოლოს დიდი გამრეკელიც.

* * *

მეფე გიორგი ნაჭარმაგევს იყო ტაძრეულით, როცა პირველად ნახა ლაზიკა. თუ ბურდუხანზე სწერდნენ «მისებრი სძალი არა ეხილვა ქართლის თემსა» ამისგან საპირისპიროდ, ლაზიკა არც სილამაზით იყო ტანლომი და მომფენაობით მზის სადარი. წითური კონონა თმა ჩამოშლილი ჰქონდა. ღანვებზე სინითლის ალმური დაჰკრავდა და ღიმილის დროს ლოყა ოდნავ ეკეცებოდა.

ყოველთვის უბრალოდ ემოსა ლაზიკას. მეფემ რამდენჯერაც ინახულა, მუდამგზის დარიჩინის ფერის კაბით ნახა, რომლის ამოღებული გულიდან მშვენიერ მკერდს აჩენდა. მხარზე ძონისფერი კუბასტი მოეგდო, რომლის ორივე თავი საგულდაგულოდ მოეკვანდა და ჩვევად ჰქონდა, უხერხულობის უამს იხსნიდა. მეფეს უგონოდ

შეუყვარდა ლაზიკა; კი არადა ყოველი ომიდან მობრუნებული ალაფთა შორის არჩევდა საუკეთესო ქსოვილს. იცოდა მეფემ, ხავერდოვან ატლასს ჰყვარობდა ასული, ამიტომ მოქარავნებისა და დიდვაჭარ ზანქან ზორაბაძელისგან ხშირად ყიდულობდა ძვირფას ქსოვილებსა და ძაფებს, რადგან ყველა ხელსაქმეთა შორის ქსოვა ემარჯვებოდა მას.

ლაზიკა ერთიანობაში იყო მშვენიერი. ცალკე აღებული მისი ცხვირ-პირი, თვალ-წარბნი, სახის პროპორცია არც-თუ საამო სანახავი გახლდათ. თუმცა ჰქონდა მას რაღაც ისეთი, რაც სანდომიანს და მიმზიდველს ხდიდა.

მეფე მასთან მშვიდად იყო. უკვირდა კიდეც, როგორ შეიძლება საერთო ჰქონდა ლაზიკასნაირ ქალთან.

კი არადა, როცა ეკლესიამ გაიგო მეფის ხარჭასთან კავშირზე, გიორგის ზნეობისა და სამეფო კარის ღირსების დაცვისკენ მოუწოდა, მდაბიო დიაცთან ტრფიალი კი მკაცრად აუკრძალა.

– ქართული სამეფო ოჯახი წმიდათაწმიდაა და მეფე ვალდებულია პატივი სცეს მას. – განაჩინა ეკლესიამ.

საპასუხოდ მეფემ შათირის* ენით ასე შეუთვალა მირიანის ძე მიქაელს: (დაწერა არ ინება, რადგან შიშობდა მემატიანეს ხელში არ ჩავარდნოდა უსტარი ან მალემსრბოლთათვის არ წაერთმიათ წიგნი, ხოლო მეფის მოძულეთ ურნმუნოებასა და ეკლესიის უპატივცემლობაში არ დაედანაშაულებინა იგი).

– ჩემით გაქვს ჭყონდიდელობა და ჩემითვე თუ გამოსტაცებ ანტონ გნოლისთავისძეს მნიგნობართუხუცესის ტიტულს. თქვენს ბედს შენატრის სამღვდელოების ნახევარი და შესაძლოა უფრო მეტიც. ის გიორგი მეფე არ გეგონოთ, აშოტ კურაპალატივით უსუსური აღმოვჩნდე

* შიკრიკი.

და იმ ქალთან კავშირზე უარი ვთქვა, რომელიც მუცლით ჩემს ნაყოფს ატარებს. ნულარ ეცდებით საბელი შეაბათ ლაზიკას და ტაძრის გზას გაუყენოთ, როგორც ერთი ვინმე ცოდვილთაგანი. თუნდ დაირაზმოს ეკლესია, მასზე უარს არაფრით ვიტყვი. ბოლოს და ბოლოს მეფესაც ეთქმის ხალხში სიტყვა. მეფესაც ჰყავს თავისი ერთგულნი და ნუ გადაჰკიდებს წმინდა სინოდი ეკლესიასა და სამეფო კარს ერთმანეთს. მე შეუვალობა მივეცი ტაძრებს, დაგიკანონეთ მიწები, არც ბეგარით განუხებთ და სხვა საადგილმამულო გადასახადით. მამონის მცველი არასდროს ვყოფილვარ და მონასტრის მშენებლობაშიც დიდალ შემონირულობებს ვიძლევი.

მეფემ გაითვალისწინა ისიც, რომ ეკლესია დედოფალს აამხედრებდა მის წინააღმდეგ, ამიტომ ისიც აცნობა:


– ბურდუხანისთვის არაფერი დამიმალავს, ისედაც ცხადია ხარჭას ჰამბავი და მიიღეთ ყველაფერი ისე, თითქოს სამეფოსთვის კეთდებოდეს ყოველი.

ამა სიტყვასა ამონმებს უზენაესი მეფე, ღვთის ნებით, მეფეთ მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვან-შაპთა, შაპან-შაპთა და ყოვლისა მაშრიყისა და მაღრიბისა თვითმფლობელობით მპყრობელი, მეფეთ მეფე გიორგი III;

ეკლესიას ისლა დარჩენოდა დაეთმო, ხელსაყრელი დრო გამოეძებნა და ძმრად ამოედინა მეფისთვის ეს უკმეხი საუბარი. ამიტომ კათოლიკოსი თითქოს შეეგუა ამ ამბავს. მხოლოდ მეფეს შიგადაშიგ ახსენებდა:

– სიძვისგან თუნდ ვაჟი გეყოლოთ, გვირგვინს მაინც არ დავადგამთ. ულირსად დასმულ მეფეს გვირჩევნია უმეფობა იყოს საქართველოში. «ძირთაგან დავით წინასწარმეტყუელისათა აღმოცენებულ ვართ და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განეგების მეფობა» ყოველთა ბაგრატიონთა.

մեղյա գոռորդի օմեդունցեծք, բոցորու ხարժաստան յուր-
տոյերտոնի մուտքարշեա, զայսիս պոլուս թշմտեզեցամո, և եզա
դանարհինսաց դասամշաք գաեցուա.



სამი
მეორე

„შენ, ვახტანგე სანატრელი ხარ შენთვის ღმრთის მქებარისა, ცნამცა შენი მტერთა ძლევა, თვითონ შზებრ მშვენებრისა, მუსლიმანთ ამნიუსედელისა, ქრისტიანთ მშენებარისა, და ვინ დაგბადა, მასვე ნებავს ბადება შენებარისა“

უცნობი ავტორის ლექსი მეფე გიორგი III-ზე*

6ატზე წარწერილს ვკითხულობდი, როცა მსახურმა მომახსენა: – მეფეთ მეფე გიორგიმ ჭაბუკი მოიყვანა, ვინ-მე – ბექა და გთხოვენ ეახლოთ როგორმეო!

ჯერ ერთი მსახურისგან თქმული არ მომენონა, რატომ უნდა ვხლებოდი მეფეს და ამ არასწორად გამოხატულმა სიტყვამ დამალონა, მერე გული შემიფრიალდა და ცუდად მენიშნა ვინმე ბექას გამოცხადება. ესეც კი ვიფიქრე, იქნებ მეფის ძეა და ხომ არ მაცლიან ტახტს ხელიდან-თქო. ამი-ტომ, სასწრაფოდ მოვიხურე ჯუბა და როგორც მსახურმა თქვა, მეფეს ვეახელ.

სტუმარს მოზრდილი ფიდაკი** ჰქონდა და ეს ნიშანი უხდებოდა კიდევც.

ცნობისმოყვარედ ვათვალიერებდი, თუმცა ეტყობო-და, მდაბიო უფრო იყო, ვიდრე ზეპურთა შთამომავალი. უფლისწულობისაც ვერაფერი შევატყვე და მხოლოდ ახლა ვიგრძენ, წინანდელივით ისე ხშირად არ მიცემდა გული.

მეფემ ბრძანა:

– შავშეთის ტყეში ვიპოვე ეს გლახაკი და ჩვენსას იქნება, ვიდრე ოპიზას გავამგზავრებდე! მანამდე კი, უგუნებოდ მყოფია და იქნებ სასახლის შემოგარენი მოანახულებინო.

* სამეცნიერო ლიტერატურაში ლექსი პირველად გამოიყენა პავლე ინგოროვამ და მიაჩნდა ხოტბა-პოემის ფრაგმენტად. პირველად ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა. სავარაუდოდ, ის დაწერილია გიორგის მეფობის პირველ პერიოდში, 1161-1165 წწ.

** ხალი პირისა.

სიხარულმა ამიყოლია, უნინდელმა ურუოლამ და ღელვამ გამიარა; ვიფიქრე, იქნებ დარბაზზე ძლიერ ციხის ნახვამ აამოს-თქო; მიუვალ ადგილებშიც მყავდა, საოსტიგნეც* და აპანოც ვანახე, თუმცა არაფერი გახარებია. ბოლოს, საყდარში ვთხოვე გაყოლა. ისიც იმიტომ, რომ ჩემი ბიძისწული, მეფის შვენიერი ასული [თამარი] მეგულებოდა;

ტაძრის კედლების მოხატვა მხატვარს ახლახან დაესრულებინა.

მკითხა:

– ვინ მოხატა აქაურობა, უფლისწულო?

ვუპასუხე:

– მეფემ მოიწვია ბიზანტიიდან, სანაქებო ოსტატი იყო, ხატწერაშიც განაფული.

– ასეც ვიცოდი! მშვენიერია, თუმცა აქ ქართული სული არ არის! ეს ღვთისმშობელიც ბერძნულია, არადა ხომ შეიძლებოდა უბრალოდ მოეხატათ ღვთის სახლი? ამიტომ მიყვარს გელათი. მოზაიკიდან დაწყებული – გუმბათით დასრულებული – ყველაფერი ეროვნულია.

უნდოდა ეკითხა, გელათს ხომ ხართ, უფლისწულო ნამყოფი, მაგრამ იმავწამს გაახსენდა, ლიხთ-იმერეთს იყო მეფეთა საძვლე-საგოდებელი.

ისევ ძველს მიუბრუნდა:

– თუმცა, მეც რომ ბიზანტიას ვყოფილიყავ და ებრძანათ მომეხატა რომელიმე ეკლესია, რასაკვირველია, იქაურობას ქართულ ხელწერას დავამჩნევდი. ყველა ოსტატი ხომ მუშაობისას, სინამდვილეში, ეროვნულ ჭრილში, საკუთარ თავს ქმნის.

ამაზე არასდროს მეფიქრა. ტახტზე ფიქრს ისე შევენუხებინე, რომ სხვა საზრუნავზე დრო არ მრჩებოდა. – ჩანს არც მეფე გიორგის უფიქრია, თორემ ადგილობრივს

*საკუჭნაო.

მოახატინებდა საყდარს. – ვიფიქრე და ვუთხარი:

– ასეა, ბექა. დიდებულთ ანდობენ ყოველთვის მნიშვნელოვან საქმეს. ჩვენთან უცხოელს მეტ პატივს სცემენ, ვიდრე თანამემამულეს. მერე ვამაყობთ, გავიძახით, ესა და ეს სამონასტრო კომპლექსი ამა და ამ მხატვრის მოხატულიაო და უყურადღებოდ გვრჩება ნიჭიერი ქართველი, რომელიც გასცექრის უცხოელისგან ხელქმნილს და თავისთვის ანგარიშობს, სად დააკლო მხატვარმა ოსტატობა, რამდენად დაირღვა სიმეტრია და როგორ მოხატავდა თავად იგი ხარაჩოებზე ფუნჯით ხელში რომ მდგარიყო.

ეროვნულს აქამდის ასევინმე შეეწყებინოს, ჯერად მომისმენია დარბაზობისას ვაზირთა და წარჩინებულ მოხელეთა ნაძალადევი სიტყვა, ბრძოლიდან დაბრუნებულებს ყველაფერი ისე დაუხატავთ, თითქოს სამშობლოსთვის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს. მაგრამ ის საუბარი მეფის საამოდ თქმული უფრო იყო, ვიდრე გულიდან სიმართლით ამოხეთქილი. ფარისევლური ელფერი დაჰკრავდა მათ ნაუბარს და აღმზრდელი გადმომიჩურჩულებდა:

– შეხედე, დემნა! მათ სურთ ხელმწიფეს ასიამოვნონ. ერთგულებაში ნუ მიუთვლი მისათვალს.

– ვხედავ, საუბედუროდ ვამჩნევ, ისინი თავიანთ თავს არ ეკუთვნიან!.. – ჩურჩულითვე ვპასუხობდი.

გულდაგულ შევათვალიერე ბექა და აღმოჩენამ გამაოცა.

– ფეხსაცმელები არ გაქვს, ბექა?

იგი საკურთხეველს ათვალიერებდა, მზერა არ მოუცილებია სინმინდისთვის, თითქოს რაღაცას ამონმებსო და მითხრა:

– ტაძარს შემოსვლამდე გავიხადე, უფლისწულო.

ავუხსენი, ასე მუსლიმები იქცევიან, ვიდრე მეჩეთში შევიდოდნენ.

მან თქვა:

— სწორი ბრძანდებით, მაგრამ მათ როდი ვბაძავ. ისინი მხოლოდ იმისთვის შედიან ფეხშიშველნი, რომ ერიდებიან ტაძრის მოსვრას. მე კი, მინდა ფილაქანს ტერფით ვეხებოდე; — მშენებელთა დაღვრილი ოფლის, საკურთხეველქვეშ მიწისგან შემუსრულ, დალენილ ნეშტა სევდის შესაგრძნობად.

— ამას სხვათა დასანახად ხომ არ აკეთებ, ბექა? — ვიკითხე უხერხულად.

— სხვათა დასანახად რომ მექნა, შემოსვლამდე გეტყოდით, შემომხედეთ, ფეხშიშველი შევდივარ უფლისწულომეთქი, რადგან შეიძლებოდა თქვენს მხედველობას თვათახედვიდან მდაბილ ბიჭის საქციელი გამორჩენოდა...

რას გრძნობ-მეთქი, — დავუჩემე!

— გრძნობაზე მართებულია, რომ გეთქვათ, რა გესმისო. შეკითხვა შევასწორე, — რა გესმის, ბექა?

— ტკივილიანი მიწის მოთქმა... ამბობს, ნუთუ ასე უხვად იმიტომ დასთხიერ ქართველებმა სისხლი, რომ სხვათ მიმსგავსებოდით?

მერე კედლებიდან მომავალ ექოზეც მიამბო.

— გადაღებეთ ან კირით შეათეთრეთ, ყველგან დამპყრობლის ძალა იგრძნობა. იხვეწება, ქართული ლვთისმშობელი შექმენით. ბიზანტიურივით პირქუში და მზერაგაყინული, მქირდნელი* კი არა, ბავშვივით უმწიკვლო, უნაზესი და სანდომიანი გამოხედვით. ისეთი, მლოცველს რომ თავის მესთან დააპირისპირებს და მორჩილს გახდის.

პმასობაში, თამარის იადონივით წკრიალა ხმა მომესმა.

ბექა ასულისკენ ცნობისმოყვარეობით მიგრიალდა, ზურმუხტისფერი თვალები მოისრისა, ვითომ ძილბურან-

* გამკიცხველი.

შია და რაღაც სანატრელ სიზმრისთვის თავის მინებება არ უნდოდა. ისევ დაჭყიტა თვალები და შესძახა:

— ეს არის! აქ არის, ღმერთო დიდებულო! ალბათ შენი ნებაა, ასე ანაზდად რომ მაპოვნინე ქართული ღვთისმშობლის სახე...

ასულთან მიირბინა, მუხლებში ჩაუვარდა და კაბის კალთა დაუკოცნა.

თამარს სარტყელ-გულისპირიანი, ოქრომკედით ნაქარგი მოლურჯო კაბა ისე უხდებოდა, თვალს ვერ მოსწყვიტავდით. შავ თვალებში ასაკისთვის შეუფერებელი სევდა უციმციმებდა. (მაშინ ალბათ ასე შვიდი წლის თუ იქნებოდა). ძალიან უბრალო თავშალი ეხურა, საიდანაც კოხტად დავარცხნილი დალალები მოუჩანდა, არც კი ეკადრებოდა, ისეთი, მაგრამ მთლად ძონძნაკერიც რომ მოეგდო მხრებზე, მისი ენით აღუნერელი სილამაზე მაინც შესამჩნევი იქნებოდა.

მითხრობად შეუძლებელ არს აღვნერო თამარი, მკითხველო... ადამიანურზე ძლიერ ღვთიური გამომეტყველება ჰქონდა. მე სწორედ ეს უბრალოება მიყვარდა მასში. მიკვირდა კიდეც, გიორგისგან განებივრებული ასული უკარება და თავნება სულაც არ გახლდათ.

მეფეს წესად ჰქონდა, სალაროს გაახსნევინებდა ქრისტეშობასა და აღდგომის დღესასწაულებზე და ქონებას უხვად გასცემდა. ასე იქცეოდა პაპა დემეტრე, ალბათ ტრადიციის დაცვას ცდილობდა, თორემ სხვამხრივ მეფე გიორგი III ხელმომჭირნე კაცი იყო. თამარი კი პირიქით, თავის პატარა მუჭში ჩაიყრიდა ოქროს მონეტებს და ისე გააჩუქებდა, ვერც გაიგებდით, სიმდიდრეს ვის სწყალობდა.

— უკვე შებინდდა, დროა სრასკენ გავწიოთ. — მამას ეწყინება, დროულად თუ არ მივბრუნდებით, — «სიტყვითა ოქრონექტარითა» თქვა თამარმა და სასახლისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

წკვარამი იყო, თუმცა სიბნელე ვერას დაგვაკლებდა.

აჩახჩახებულ ლამპარივით წინ მიგვიძლვოდა თამარი. მე და ბექა უკან მივდევდით.

ჩემს გვერდით საძინებელში მოათავსეს ბექა, თუმცა ძილი არ გაჰქარებია. ალბათ სასთუმალს ვერ ჰგუობ-მეთქი. ვკითხე... გამომიტყდა, რიურაუზე მეფე საოქრომ-ჭედლოში აგზავნიდა გამოცდილ ოსტატთან, რომელსაც წვრილმან სახელობო საქმეში უნდა მიხმარებოდა.

— შეგირდობას მაინც გიპირებდნენ, ბექა, თანაგიგრ-ძნობდი სიხარულში. — ამის თქმაზე ტუჩზე ვიკბინე და ვცანი, რომ ჭაბუკს გონება მოვუწამლე.

— თუ ოდესმე გამიმართლებს და ოქროს სამჭედლოს გამა-კარებენ, მეც მოვჭედავ ჩემს ღვთისმმობელს. იმდენად ქარ-თულს, ბიზანტიური სირცხვილით თვალს ვერ უსწორებდეს.

მეოცნებე და ახირებული ჭაბუკის შემჭევრებულ თხრო-ბად მივიჩნიე ყოველი!.. უცხოური კულტურის ქომაგიც გახლდით და არ მესიამოვნა ასე გაუთასურება ბიზან-ტიელთაგან ნაწყალობევი სულიერი მემკვიდრეობის.

გამოვემშვიდობე და დასაძინებლად პალატში შევედი. მესანოლეთუხუცესმა შემოიხედა, — ბატონიშვილს ხომ არაფერი სწადიაო? — მწყურვალი ვარ — ვთქვი ნახევ-რადმძინარებ.

ოთახში ამირეჯიბმა თუ საწოლის მეკარემ, კარგად ვერ გავარჩიე რომელმა, ბროლის თასით წყალი შემომიტანა.

თაფლუჭისგან* მთვრალივით სარეცელზე მივესვენე.

ნაშუადლებს გამეღვიძა. [სხვათა შორის, მეფე ამაზეც მსაყვედურობდა, უმჯობესია ადრიდან შეეჩინო ძილვრთო-მიანობას, თორემ მერე გაგიჭირდება].

კარის მცველმა ასე მამცნო: — ზარდახნის მეჯინიბემ, თვით ჭიაბერ მეჯინიბეთუხუცესის ბრძანებით, ცხენები შეუკაზმა ბექას, საყბეური შეუსხა, მისრატულთუხუცესს

* ერთგვარი მათრობელა სასმელი.

მიუყენა და მათრახი ხელთ შეაჩერა. ციცხვთუხუცეს თე-დოს თანხლებით კი მე და მესტუმრებ გამთენისხანს გა-ვამგაზვრეთ ისინი ოპიზაში...

ციცხვთუხუცესის საქმე არ იყო სტუმრის გამგზავრება; მას სახლის გვა, შეშის კოდა, ცეცხლი ანთება, წყლის ზიდვა და სხვა საშინაო ხელსაქმე ევალებოდა. თუმცა ვიცოდი, მეფის მესაიდუმლე და ნდობით აღჭურვილი პიროვნება გახლდათ.

* * *

ციცხვთუხუცეს თედოს ნაამბობი:

უცნაური კაცი იყო ბეშქენ ოპიზარი. მსმენოდა მასზე მრავალი, მაგრამ სტუმრებს თუ ასე გულგრილად დახვდებოდა არ მეგონა. მოუცლელობას დააბრალა ყველაფერი, მით იმართლა თავი.

რომ მივედით დაზგასთან ლითონის ფირფიტას ამუშავებდა. თავი არ აუნევია, მხოლოდ თქვა – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ღვთის შვილნო! – წვეტიანი ინსტრუმენტი – მასხალი ეჭირა ოსტატს და ფირფიტაზე მკვეთრ კონტურებს ავლებდა.

ოპიზის სახელოსნო მდიდრულად მოწყობილი მეჩვენა. შესაძლოა მე გლახაკი ვიყავ და ციცხვთუხუცესობის მიუხედავად, ხელმოკლედ ვაცხოვრებდი ოჯახს, ამიტომ ჩანდა იქაურობა ზეალმატებულად; მაგრამ მსგავსი სიმდიდრე გიორგი მეფის კარზეც არ მეხილა. ოქრო-ვერცხლის ზოდები მზის სხივებს იჭერდნენ და ყველა ნივთი უცხოდ ბზინავდა.

პირველი, რაც თვალში მომხვდა ეს იყო სხვადასხვა ზომის ჩაქური, ყალამი და საჭრელი. მაგიდას შეგირდები უსხდნენ და ბეშქენისგან ისმენდნენ ჭედური ხელოვნების ისტორიას. იგი ქართულ ჩუქურთმაში ორნამენტის გადაბმის ნესებზე საუბრობდა.

– არსებობს წნა, ანუ მარტივი გადაბმა, გადაჯვარე-

დინება და გადაჯაჭვება. ყურადღება მიაქციეთ ადამიანის ფიგურათა გამოსახულებას. მთავარია ჰარმონია არ დაირღვეს და ნაკეთობა ერთ მთლიანობად აღაქმევინოთ მხილველთ. ზერელედ ნუ გამოსახავთ ყველაზე უმნიშვნელო დეტალსაც, რადგან კარგი ოსტატი თანაბარზომიერად უნდა მუშაობდეს ადვილ თუ ძნელად გამოსაყვან ადგილთანაც კი.

მერე წურწურით ჩამოდენილი ოფლი მოიწმინდა და ჩვენთან დანანებით აღნიშნა:

– ხომ შეიძლებოდა ერთი ნიჭიერი შეგირდი მაინც მოდგომოდა ბეშქენ ოპიზრელის სახელოსნოს? – სულ ბოლოს თავაზიანად იკითხა: – რა ემარჯვება ჭაბუკს, ძმაო თედო?

მე მხოლოდ მეფის დავალებით ვიყავ ოპიზრელთან მისული და წარმოდგენა არ მქონდა, რა ეხერხებოდა ბექას.

უჩუმრად ვიყავით ორიოდ წუთი. სიჩუმე იუხერსულა ბექამ და თქვა:

– მსახურად დაგიდგებით, ოსტატო, თქვენ და შეგირდებსაც. საჭირო მასალას დროულად მოგაწვდით, წვრილმანმა საქმემ დრო რომ არ დაგაკარგვინოთ!..

– კარგით, რა გაეწყობა. მეფის ნება უზენაესია, თედო, თორემ დიდად არ მეხალისება ვინმეს მიღება.

ფული გავაჩხაკუნე და ქისიდან სამი თითით ის მონეტები ამოვიღე, რომელიც მეფეს ბეშქენისთვის გამოეგზავნა. გადავთვალე, ათი დრაპამი* აღმოჩნდა.

– საწყისად კმარა, ოსტატო! დანარჩენს დროგვიჩვენებს.

– მეფეს რატომ ადარდებს ასე ძლიერ ამ ჭაბუკის ბედი? – ცნობისმოყვარედ მკითხა.

– ისე, უბრალოდ, – ვუპასუხე.

* ოქროს ფულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი XI-XII სს. ქართულ წყაროებში.

[აქ კი ვიგრძენი, ციცხვთუხუცესმა რაღაც ხვაშიადი იცოდა მეფის და საგულდაგულოდ ცდილობდა ჩემთან საუბრისას არ წამოსცდენოდა].

– ისე რომ არაფერი ხდება ამ ცისქეშეთში, კარგად იცი, ძმაო... სიკეთეს თუ თესავენ, მკამდე ვარაუდობენ, რომ მალე მოიწევენ სასურველ ნაყოფს.

– ზოგჯერ დიადი საქმე გულისთქმით კეთდება, ამგვარ გულისთქმას მიჰყვა ალბათ მეფეც.

მერე მიუბრუნდა ბექას;

– ჭაბუკო, ხატნერას ხომ არ ისწავლიდი?

– ხატის შექმნა რომ შეძლო, თავდაპირველად ხატ-მორჩილი უნდა გახდე. ხატში მხატვრული ოსტატობა გენიალურ დონემდე უნდა შესრულდეს, რომ სიმეტრია არ დაირღვეს და წმინდანის ყურებისას არ დაფრთხეს მლოცველი; მე კი, ვგონებ, საიმისოდ ჯერ არ ვარ მზად.

ზუსტად იმას ამბობდა ბექა, რასაც ცოტა ხნის წინ ბეშქენი შეგირდებს უხსნიდა.

თახჩას მიადგა და იქიდან სახარების მაკეტი გა-მოაბრძანა. აღნიშნა:

– თექვსმეტი წელია, რაც მასზე ვმუშაობ. მაგრამ, რომ ვუყურებ, თითქოს რაღაც აკლია. რას იტყვი, ბექა?

– ვშიშობ, რომ გენყინებათ.

ბეშქენი არ მოეშვა, მაინც ათქმევინა:

– არქაულია, სტილი მოძველებული, მშრალი და ემო-ციაც ნაკლები. სხვა დანარჩენი კი უზუსტესი მანერითაა შესრულებული.

– მომწონს... ნიჭიერთან ერთად, პირდაპირიც ხარ, თურმე!.. – ისევ დახედა ოსტატმა ბერთის ჯერაც დაუს-რულებელ სახარებას. მკაცრად გამოსახულ მაცხოვარს, საპირისპირო მხარეს, ვედრების პოზაში თავდახრილი ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი ედგა.

– იმდენი ნაკლი აღმოაჩინე ერთი შეხედვით, მგონი ღი-

რებული არც რამ გააჩნია, – წაატანა ბეშქენმა.

– გააჩნია, ოსტატო, გააჩნია... თუნდაც ის, რომ ფიგურები ასკეტური გამომეტყველების არ არის, როგორც ბიზანტიურ ნაკეთობებშია, ძირითადად. მცენარეები, ფოთლები, გორაკები და ბუნება მათთან უტყვია, თქვენთან, ოსტატო კი ყველაფერი მეტყველებს და სუნთქავს. თქვენი რელიგიური ხელოვნება კომპლექსურია და სინამდვილესთან ახლოს, მათი კი განკერძოებული. ბიზანტიელთა ხელნაკეთი ნივთს გვაგონებს, თქვენი კი ადამიანივით ცოცხალი და მოძრავია. ნაოჭები და პირისახის ნაკვთების მოცულობა, დიამეტრი, შუალედი ჰაეროვანია, იმათი – დიდი ხნის უხმარ კოკასავით დამშრალი. თქვენთან ხელოვნება და შემოქმედებითობა თავისუფალია, ბიზანტიურთან – ხელოვნური და შებოჭილი. თუმცა, რაც ერთი შეხედვით შეიძლება ნახოს კაცმა, ის არის, რომ თქვენთან მცდელობა არის – ადამიანმა, ღვთისგან ქმნილმა სასწაულმა, სამყარო უკეთესობისკენ შეცვალოს, თავისი სრულყოფის მიზნით უფალში ჰპოვოს დაკარგული ღირსება. დიალ, თქვენ ცდილობთ მხილველი კიდეც შეაშინოთ, დააფიქროთ, ტკივილი აგრძნობინოთ, რნმენა განუმტკიცოთ; მათთან კი როგორ არის? დაგიდებენ წინ, უფრო სწორად დაგიყრიან არაფრის მთქმელი, გაყინული მზერით გამოკვეთილ ქანდაკებებს და თავად უნდა გაერკვე ყველაფერში. ბოლომდე არაფერს გიხსნიან, გაურკვეველს გტოვებენ და მათ შემხედვარეს მიუსაფრობა ერთიათად გიორკეცდება.

ამის შემდეგ, მე მათ დავეთხოვე, სხვას ვერაფერს მოგახსენებთ, ბატონიშვილო...

მსახურთუბუცესმა უხმო თეოდოს და აბანოსთბობა დაავალა.

* * *

შაპ-არმენთან და ადარბადაგნის ათაბაგთან მოსალაპარაკებლად გავაგზავნეთ ქართლის ერისთავი ლიპა-

რიტი, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე და ანანია დვინელი. ვიმედოვნებდით, რომ გიორგიზე ჯავრის საყრელად და დაკარგული ანისის დასაბრუნებლად ლაშქარს მოგვაშველებდნენ.

ბოლთას ვცემდი, უზომოდ ვღელავდი; ორბელს შევუარე. ძალლი იგი შიმშილითა განლიგებულიო, რომ იტყვიან ისე ღონემიხდილი მეჩვენა მხცოვანი ივანე. იმ დღეს რატომ სამჯერ მაინც არ ვკითხე, მეფემ ხომ არ მოიხელთა გაგზავნილნი-მეთქი...

– ნუ ღელავ, თუნდ რომ შეიპყრან, ვერაფერს ავნებენ, რადგან ლაზიკა ჭადრაკის ფიგურასავითაა. ყველა სახი-ფათო ვითარებაში პაიკად გამოვიყენებთ მას. საკმარისია გაგზავნილთ მეფემ ავი შეამთხვიოს და ვერასდროს იხილავს ხარჭას ცოცხალს.

ლაზიკა ციტადელთან მეგულებოდა. მას გამოზნექილ მუცელზე ხელები დაეკრიფა. როგორც კი დამინახა, ტყვე ქალისთვის ესოდენ შეუფერებელი ღიმილით გაეპო ბაგე.

მუხლებში ჩამივარდა, – ნუ მავნებთ, ღვთის გულისათვის, – მთხოვა და ყვრიმალზე ცრემლი გადმოუგორდა.

დავამშვიდე, – უსაფუძვლოა თქვენი ღელვა, ლაზიკა. ხომ იცი, მართლმორწმუნე ვარ და შიში არაფრისა გქონდეს.

– მჯერა უფლისწულო, ზნესრული ხართ და ღვთისმოშიში, მაგრამ ღამისპირულზე თქვენი თანამეცხედრე მოპრძანდა. ასე მითხრა: – უმჯობესია ვაჟი არ შვა, თორემ სულს გაგაფრთხობინებთ ორთავე დედა-შვილს. დამწყევლა, ნეტამც მოგშლოდეს მუცელი, რადგან დაატარებო ცოდვილად ჩასახულს. დამემუქრა, იმისთვის არ ავჯანყებულვართ, შენ გაგვებედნიერებინე. ამას გეუბნება დედოფალი დინარა. გახსოვდეს, ორბელის სისხლის ვარ და კუთვნილს კბილებით დავიცავ.

– მყავდეს ეგეც სამეფო გვარის. – ჩაიდუდლუნა დემნამ. „აქაც მაჯობა გიორგი მეფემ“. შევუთვალე, ივანეს ასულზე

უნდა ვიქორნინო და რას ფიქრობს ბიძაჩემი-მეთქი. მეფეს გაეხარდა, ფრიად კმაყოფილი დარჩა. წინდანინ განჭვრიტა, ორბელნი საჩინონი იყვნენ, თუმცა სამეფო გვარისანი არა. უფლისწული კი, რომელიც ქვეშევრდომთან იქორნინებდა, ამ შეუწყნარებელი, უპატიებელი საქციელისთვის ტახტზე უფლებას დაკარგავდა. რა ვიცოდი, მე ბრიყვამა! უბრალოდ მივენდე ჩემს მამამძუძეებთ და ნახეთ, რა მზაკვრობა დაუგეგმავთ. პატივმოყვარე ივანე არაფრით სჯობს თურმე გულზვიად გიორგის. მამაჩემის ანდერძის აღსრულება სინამდვილეში ფეხებზე ჰკიდიათ.

- შენზე მიამბე ლაზიკა, – მოწყალედ ვთხოვე.
- ჩემზე გიამბოთ? რა ისე მიცხოვრია, უფლისწულო, რომ ლირდეს ჩემი მოსმენა?!

კოლხეთს გვქონდა მიწური და იქ ვცხოვრობდით. ნებიერი გლეხები* ვიყავით და გაჭირვებით ვახერხებდით მიწის საზღვავის და ყალანის** დაფარვას.

მოგეხსენებათ, კოლხეთის დაბლობი ჭაობიანია და რაკი მოსავლის მოყვანა გვიჭირდა, თავს ვაჭრობით ვირჩენდით.

დედას ნაადრევი მშობიარობა დაეწყო, შვიდი თვის ვაჟი გაჭირვებით შვა და მიიცვალა. მაშინ ცხრა წლისა ვიყავ, ბატონიშვილო. ჩემი ასაკის გოგონები უკვე ოჯახს ქმნიდნენ, თხოვდებოდნენ, მე კი ძმას ვზრდიდი. ძუძუ არ მიწვებია მისთვის, თორემ სხვამხრივ არაფერი დამიკლია. რაკი უასაკო გახლდით და ბევრი არაფერი გამეგებოდა, მამამ დამმოძღვრა:

- ლაზისტანში ახალდაბადებულ ბავშვს მაშინვე თეთრეულში ახვევენ და წესისამებრ, ორმოც დღემდე დედას

* ნებიერი ისეთი გლეხი იყო, რომელიც თავისი ნებით, გარკვეული პირობით, ეყრდნობოდა ფეოდალს.

** ბეგარა.

უწევს, მაგრამ რაკი დედა გარდაიცვალა, შენს გულზე მიიწვიონეო.

მწვანე მძივებით მოვრთე აკვანი, ბამბის ლეიბი დავუფინე და ვიდრე რწევას დავუწყებდი – ფეხებში ერთი ბალიში ჩავუდე.

თურქ-სელჩუკები გამუდმებით გვაწიოკებდნენ, ჩვილებს გვტაცებდნენ და ბაზარზე ტყვედ ჰყიდდნენ.

ჭასთან დოქს ვავსებდი წყლით, როცა ჩადრში გახვეული შევნიშნე. ჩვილი იღლიაში გაეჩრა და მიარბენინებდა. დავედევნე, ქანცის გალევამდე უშედეგოდ ვსდიე.

მამა სათოხარიდან გვიან დაბრუნდა. მშიერი იყო, მაგრამ სიყმილი სულ გადაავიწყდა, როცა ლოგინზე დამხობილი და ნამტირალევი მნახა. მიბრძანა, მეთქვა, რისთვის ვტიროდი. დაასკვნა კიდეც, ალბათ უკეთურმა, ქვეგამხედვარმა პატივი აგყარაო! მაშინ სლუკუნით ვუთხარი, შიო გაიტაცეს მამა, ახლა რა გვეშველება-მეთქი.

მას მერე დავეძებთ, ტყვეთა სყიდვას რატომ ათჯერ მაინც არ დავესწარით. ყველა ხერხი ვცადეთ და ვერსად მივაკვლიეთ. აგერ ჩვიდმეტ წელზე მეტი გავიდა. ისე დაიღუპა მამაჩემი, ყრმანულის პოვნის იმედი არ დაუკარგავს.

– როგორდა იცნობთ ამდენი წლის შემდეგ?

– ცნობით კი ვიცნობ, ოღონდ კი სადმე გადამყარა და... ტუჩისა და ცხვირს შორის მოყავისფრო ფიდაკი აქვს, მსგავსი ნიშანი თავისით არ ქრება, ხოლო თუ დასტაქარი ჩაერევა – სიკვდილს იწვევს.

– რამე თუ ეხსომება შენგან, ლაზიკა?

– რა გითხრათ, უფლისნულო... ძალიან პატარა იყო მაშინ! ლაზურ ჯადოსნურ ზღაპარს ვუყვებოდი ხოლმე, სამი ძმის შესახებ... თქვენც გექნებათ გაგონილი, დემნა-ბატონო.

მერე აღიღინდა ლაზიკა, ძლივს გასარჩევად ამბობდა:

«ვიყავით სამი ძმა. ვიშოვეთ სამი მშვილდი: ორი – გატეხილი, ერთიც უისრო.

წავედით.

– მერე რა მოხდა? – სიტყვა შევაშველე;

ვნახეთ სამი ტბა: ორი – ამომშრალი, ერთში წყალი არ იდგა.

ტბაში სამი იხვი ჯდა: ორი – მკვდარი, ერთს სული არ ედგა.

უსულო იხვი მოვკალით უისრო მშვილდით და წავედით. მერე?

შემდეგ ერთ დიდ სოფელში სამი სახლი ვნახეთ: ერთი – ცარიელი, ორში არავინ იყო.

ცარიელი სახლიდან სამი დედაბერი გამოვიდა: ორი – მკვდარი, ერთს სული არ ედგა.

უსულო დედაბერმა სამი დიდი ქვაბი მოგვცა: ორი – გატეხილი, ერთს ძირი არ ჰქონდა.

უძირო ქვაბში ჩავდეთ იხვი და მოვხარშეთ»...

აი, ამას ვუყვებოდი ყრმას დღენიადაგ... – აქ კი ცრემლები მოერია ლაზიკას; ტირილს აპირებდა, მივიწიე და შუბლი დავუკოცნე მტირალს.

– სხვა ვინმემ თუ იცის, შენი ოჯახის ამბავი? – ვკითხე, რათა ეჭვი გამეფანტა.

– მეფე გიორგიმ იცის, დამპირდა კიდეც, მაპოვნინებდა იმ ერთადერთს. ნათელი იყო ყველაფერი, ეჭვიც დავადასტურე! მეფემ რომ უნინ სასახლეში ვინმე ბექა მოიყვანა, ალბათ ის იყო ლაზიკას ძმა. მას მართლაც ჰქონდა ნიშანი, რომელიც დიაცისგან აღწერილს საოცრად ჰგავდა. ხოლო ბექა ალბათ სხვისგან დარქმეული სახელი იქნებოდა. ისიც მომაგონდა, ბექქენმა ციცხვთუხუცეს თედოს რომ ჰკითხა: – მეფეს რატომ ადარდებს ასე ძლიერ ამ ჭაბუკის ბედიო, – მან კი ხვაშიადი დამალა და უპასუხა: – „ისე, უბრალოდო“. ჭკვიანი კაცი იყო ბექქენი და მისი გუმანით ნათქვამი ვიწამე: – „ისე რომ არაფერი ხდება ამ ცისქვეშეთში, კარგად იცი... სიკეთეს თუ თესავენ, მკამდე ვარაუდობენ, რომ მალე მოიწევენ სასურველ ნაყოფს“.

მკათათვემდე შორი იყო ნეტავ?

დავუმალე ლაზიკას ბექას ადგილსამყოფელი და არც
ის გავუმხილე, მის ძმას რომ ვიცნობდი.

* * *

ვიდრე ტფილისს ვიყავ, ვერავინ გაბედა მეფის წინააღმ-
დეგ აჯანყება, როგორც კი სახატეს ბანაკად-მყოფი მიგუ-
ლეს, გადაიბირეს დიდებულნი და უფლისნულის უფლების
დაცვის მოთხოვნით დაირაზმნენ ჩემს წინააღმდეგ.

რანამს შევიტყვე განდგომილთა სამხედრო სამზა-
დისზე, აჯანყებულთ დავასწარ და ტფილისს დავპრუნ-
დი; მსტოვართ კი ხმა გავავრცელებინე ხალხში:

– მეფეს, ასე ოცი ასეული მხედარი მაინც შეუგროვე-
ბია და ყივჩაყ ყუბასარისგან თანამწე ძალას ელოდებაო!..

ეს ისე, თორემ სინამდვილეში ჯერხანობით მონასპის
იმედად ვიყავ.

დელგმა იყო და გაჭირვებით მივაღწიე სრამდე. ერთ-
ბაშად დავსველდი და სიცივემ ამიტანა. შემეშინდა, ვაი-
თუ უამინდობით ისარგებლონ შეთქმულებმა და თავსხ-
მაში შეუმჩნევლად მოადგნენ სასახლეს.

შუალამით ლაშქრის წვევას აზრი არ ჰქონდა და გა-
დავწყვიტე კარგად მოვმზადებულიყავ, რათა აჯანყებუ-
ლებს არ ეძლიათ ჩემზე.

ეჟვნად რეკდა ჩემს სულში მარტოობა...

მგზავრობით დალლილს ჩამეძინა.

ღამით ყვავის ბახალა მრავალჯერ მესიზმა. საშინლად
ჩხაოდა და ელდანაცემმა ის დემნას ხმას მივამსგავსე:

– კუთვნილი ტახტი დამიბრუნე, ძია! იკმარე, რაც
იბატონე აქამდე!.. ღვთისგან ნაბოძებს თქვენ როგორ
წამართმევთო!..

შიშმა წამომაგდო, ძილი გამიკრთა. სარეცლით გამო-
ველ. სარმუზა, ანუ ჩაფლა გავიძვრე და ფარეშთ მივეცი
შესანახად.

წესი იყო ამგვარი, ან ორხოვადაფენილ* სკამზე უნდა ვმჯდარიყავ ან ოქროჭედილ ტახტზე. ტახტი ვანაცვალე... დარბაზთ ვუხმე.

პირველი ყივჩაყი მეახლა – ხუთასი რჩეული მხედრითურთ; დავუფასე ერთგულება და ვთხოვე, დარბაზის გასრულებამდე მოეცადა, რადგან ვაზირებთან ყოფნის, საბჭოზე დასწრების უფლებით არ სარგებლობდა.

ყუბასარს გავაყოლე ეზოთუხუცესი, ხოლო სრასთან შეკრებილ კარისკაცებზე ჩურჩხელა, პური და ოჯალეშის ღვინო მივატანინე.

თავლაში დავაბინავეთ ცხენები, რადგან მწყურვალნი და გაოფლილნი მეჩვენა. [სასახლეს ხუთასი ჯარისკაცის მოვლა ორიოდ დღით არ გაუჭირდებოდა, მათი დათხოვა კი იმიტომ არ მინდოდა, ვშიშობდი, ეგებ ნებისმიერ წუთს ორბელები თავს დამსხმოდნენ].

გადაწყდა: რაკი «ლაშქრობა და ლაშქრობისა ვაზირობა ამირსპასალარის ხელთ იყო», განდგომილი ორბელის ნაცვლად დადგენილმა მოხელემ მოითხოვა „მზაობის“ წიგნი გაეგზავნათ ყოველი კუთხით და ქვეყანაში საომარი ვითარება გამოეცხადებინათ. მისივე თქმით, ჯარის წინაშე მეფეს უნდა ეთქვა, რომ აჯანყებულებმა მაჰმადიანებთან მოკავშირეობით გადაწყვიტეს სამეფო ტახტიდან მისი გადაგდება. რომ მათი გამარჯვების შემთხვევაში საფრთხე დაემუქრებოდა მართლმადიდებლურ ეკლესიას და რელიგიას, დავითისგან განდევნილი თურქობა კი ისევ მოედებოდა საქართველოს ციხე-ქალაქებსა და სოფლებს. რომ დემნას აჯანყებით სინამდვილეში მაჰმადიანობა ზეიმობდა და საჭირო იყო გონიერება, რათა ეძლიათ მათზე.

მაშასადამე, ომი გარდაუვალი იყო. ახლა გამარჯვება მას ხვდებოდა წილად, ვინც მეტ ძალას მოუყრიდა თავს,

* საოიანი გადასაფარებელი.

ამასთან სიბრძნეს და სიმამაცეს გამოიჩენდა.
დარბაზისერი მალევე დავშეალე.

¶ სევ ვუხმე ყუბასარს და სასახლიდან თვალი გადავავ-
ლე მხედრობას. მეცოტავა, ასე მცირე ამალით რას გავხ-
დებოდი. შემატყო უკმაყოფილება და მითხრა:

— დიდო მეფეო, საკმარისია ვთქვა «ჭალაშ»* და ეს რაზ-
მი სასწაულს მოახდენს. ომის ღმერთივით იბრძვიან, სისწ-
რაფე არ აკლიათ და ხმლის ქნევის დიდოსტატებიც არიან. მათ
თავისუფლება სწყურიათ, იმის შიშით რომ ტყვედ
არ წაგვარონ გამარჯვებულებმა, სისხლის უკანასკნელ
წვეთამდე ომობენ. შიში არაფრისა აქვთ, სასოწარკვეთი-
საც არ გაეგებათ, დაღლით ძნელად იღლებიან; ერთგულე-
ბა მათთვის ვალდებულება არის;

— რატომ იბრძვიან, ყუბასარ, ისინი განსაკუთრებული
მონდომებით? — მეუცნაურა ცოტათი;

— უკმაყოფილონი რომ არ იყვნენ, კარგ საზღაურს ვა-
ძლევ. ფულით დიდი საქმის კეთება შეიძლება, მეფევ!

— მაგრამ ხომ შეიძლება განდგომა სცადონ, თუ სხვა
მეტს შეაძლევს?

— რაზმში არავის ვლებულობ ისეთს, ვისაც ყრმანული არ
ჰყავს, მეფევ. რისამე დაკარგვის შიში თუ არ ექნათ, მართ-
ვა შეუძლებელი გახდება. ყველას ცხოვრება და სისუსტე
უნდა შეისწავლო. რაც მეტ სილაჩრეს აღმოუჩენ, მით უმ-
ჯობესია შენთვის. ამიტომაც, რთულია ყუბასარის ლაშ-
ქარში მოხვედრა. ასე ცოტანიც ამადაც ვართ, მეფევ... ათი
თითივით ვიცნობ ხუთასივე მხედარს. როგორც თითები არ
უშლიან ერთმანეთს, ასე არიან ესენიც. საჭირო დროს და
ადგილას ყოფნა ეხერხებათ. მხარდამხარ ბრძოლა უყვართ
და ასჯერ მეტანაც რომ უბრძანოთ იერიში, სიმცირის

* ყივჩაყთა ენით – მოწინავე ხაზზე მებრძოლი წინამსრბოლთაგან.

გამო უკან არაგსზით დაიხევენ.

— ყუბასარ, მთლად კარგი ამბავი არ მაქვს. კეთილმსახური ამირაპეტი ქურდისგან მოვისმინე წუხელის:

— დიდხანს ვსდიეთ აჯანყებულებს, რიყე-რიყე, კლდე-ლრე წონიალს არ დავეშურეთ, კაპანშიც* მოგვიწინა გავლა, ბეღშიც** და ვიდრე ცხენები არ დაიღალნენ, ხმალი ვადანში არ ჩაგვისვენებია. ამასობაში კაენის ციხეს მივადექით. ლიპარიტმა დემნა ციხეში გაამაგრა, კაეწონის მთავარმა კი მუქარით შემოგვითვალა: — თუ კიდევ ცდით საზღვრის მოშლას, მთელს მაჰმადიანურ სამყაროს მოვმართავ თქვენს წინააღმდეგ.

მეფე კვლავ ჰყვებოდა ამირაპეტი ქურდის ნაამბობს:

— სხვა გზა არ იყო, უკან დავიხიეთ და რას ვხედავ, მხარეობელიც მათ მხარეს არ იბრძვის? თავზარი დამეცა. მსმენოდა, უშიშარი კაცი იყო იგი, «სამჭედროთა ზნითა შემკობილი», თუმცა მედროვე და უამის შემყურეც. როგორც ჩვენში იტყვიან, გველივით იცვლის ტყავს. დემნას მომავალ მეფედ სახავს და ამიტომაც აქცია სამეფო კარს ზურგი. მას ახლდა — თორელი და დიდი გამრეკელი. ცხადი შეიქნა, ორბელებს დიდძალი მხარდამჭერნი ჰყავდათ და ომში ძლევა თავისუფლად შეეძლოთ.

კარგად იცით, ივანეს დისნული ცოლად ჰყავდა ამირაპეტს, ამიტომ როგორც სახლის ნათესავმა და კეთილმზრახავმა*** შეუთვალა:

— მეფის დანაბარები უნდა გადმოგცეთ, მოყვარევ და იქნებ შემომიშვათ ციხეში.

— ორპირთან, მრუდთან და მზაკვართან ენაყბედობას ჩვეული არ ვარო! ლისპი კაცი ხარ, სიავის მთესველი და სიანჩხლის მომქმედი. შენი საქმე ბრძოლა როდი არის და

* ვიწრო გასავალი კლდე-ლრეებიან ადგილებში.

** გორაკებიანი ადგილი.

*** სიკეთის მრჩეველი.

არა მგონია შუამავლადაც ივარგოს შენნაირმა. – შემოუთვლია ივანეს.

ამირაპეტმა სხვა შადინიც* მიუგზავნა და როცა არაფერმა გაჭრა ისარზე გამოაბა ჩემგან მინაწერი, რომელიც კატაპელტით** უტყორცნიათ; ასე ვუბრძანე:

– «დიდო იოანე ორბელი, მხნეო, ძლიერო და უძლეველო, თუკი სიცოცხლე გსურს, თუკი გსურს, რომ მეფის წინაშე ძველებური პატივი და ღირსება გქონდეს, ციხიდან გამოდი და დემნა უფლისწულიც ჩამაბარე».

საპასუხოდ რაც მომწერა, შენი თვალით ნახე. რეტი მესხმოდა, უსტარის კითხვის თავი არ მქონდა და თავადვე წავაკითხე:

– ბალანგარნო,*** «თქვენი რჩევა არ მომენტონა, დიდებულნო, დიდნო, ძლიერნო! ეს ცხოვრება წარმავალია. მეფემ ისეთი რა პატივი უნდა მომავოს, რომ გარდაცვლილისთვის მიცემული ფიცი გავტეხო და აღთქმას ვუდალატო?»

– სულძალლი! ვფიცავ, როცა შევიპყრობ ამ უკმეხ პასუხს არ ვაპატიებ. – დაიქადნა ყივჩაყმა და სიძულვილისგან სახე მოელრიცა. კბილები ერთმანეთზე გადააჭდო და ააწაკნაკა.

– დიდედა ჯაყა რას იქმს? – მკითხა ყუბასარმა.

– ძველებურადაა, ყივჩაყო, ოღონდ ასაკმა უფრო მოტეხა და დააუძლურა.

– ქმრის და სამი ძის დაღუპვის შემდეგ რით უდგას უბედურს სული! – დანანებით აღნიშნა ყუბასარმა. – ბუნებით ძლიერი შვა განგებამ, თორემ სხვას მის ნაცვლად ძლიერ გაუჭირდებოდა.

* ნათესავით სომებს ნიშნავს.

** ისართ სატყორცნელი მანქანა.

*** კაცი მოუსმინარი.

ჯაყისწყალივით* წმინდა იყო იგი მუდამ, ამიტომ ჯაყა შევარქვი მეტსახელად. [საყვარელ ადამიანებს მეტსახელს ვარქმევდი და ეს ლამის წესად დამჩემდა. ამ ამბავმა ლაზიკა მომაგონა, რომელიც შემთხვევით ვიპოვე, ლაზისტანის ზღვასავით მეტყველი თვალების გამო – ლაზიკა ვუწოდე]. ჯაყასგან წყენა არ მახსოვს, ღმერთმანი.

ყუბასარს ათასჯერ გაგონილი ექნებოდა ეს ისტორია, მაგრამ მაინც კმაყოფილებით მაყურადებდა.

– დავით აღმაშენებელმა როსლა ყივჩაყთა მთავრის, ათ-რაქა შარალანის ძის ასული – გურანდუხტი ცოლად ითხოვა, შიმუნვარად წამოიყვანა ჯაყა. მისი სათნოება გვიან შეუმჩნევია მამას, – დემეტრეს;

წესისამებრ, უფლისწულს წიგნიერი, წარჩინებული, ზრდიდა, ამიტომ დავითს მწიგნობართუხუცესი დაუნიშნეს აღმზრდელად, მე კი ჯაყასთან დამტოვეს.

მამას ხშირად უთქვამს, გლეხის ქალისგან ცხოვრებას ისწავლი, შვილო, ამიტომ დიდგვარიანთაგან ტვინის გამოლაყებას მირჩევნია ჯაყასგან გაგონილი შეიმეცნო. სიმართლე გითხრა, მახარებს, რომ ეს პატივი შენ გერგო.

მამინ ვფიქრობდი, მამას უბრალოდ სურს გული არ დამწყდეს და თანამიგრძნობს-მეთე, მაგრამ ჯაყამ ამინდივით მასწავლა კაცთა გამოცნობა! ვენაცვალე იმის მანდილს, მან სამეფო გვარს მიუძღვნა მთელი ცხოვრება.

ყუბასარი დამეთხოვა; ვიდრე ზღურბლს გასცდებოდა შევძახე:

– ვფიცავ, ყუბასარ, ჩემო ერთგულო, მსახურო! გამომატყუებინე უფლისწული დემნა ლორეს ციხედან, მიხსენ ამ ჭირისგან და სანაცვლოდ ამირსპასალარობას გიპოძებ!

– მე ხომ უგვარო ვარ და წარმოუდგენელია ოდესმე ამ

* მდ. ახალციხის რ-ში, ფუხოვისწყლის შენაკადი, სიგრძე 26 კმ. აუზის ფართი 126 კმ.²

პატივს ვეღირსო, მეფევ. – ჩურჩულით მითხრა, – ამას არ გთხოვთ, ხელმწიფევ. აჯანყებულებს უახლოეს ხანში მუხ-ლმოყრით გამოვფენ ამ სრასთან; ოღონდ ერთს გვედრებთ, დიდედა ჯაყას დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენია. ამას წინათ შემჩივლა, ყივჩაყი ვარ და მინდა სამშობლოში დავ-ბრუნდე, ვიდრე მივიცვლებოდე. მეფეს ვერ ვუმხელ ნასვ-ლის მიზეზს, ვშიშობ გული არ ეტკინოს. დამავალა, მეთხო-ვა თქვენთვის ჯაყას თავისუფლება! იცით, ბრძოლა და ხრმლის ტრიალია კაცთა საქმე, ქალებს ბუნებამ საძვლეთა მწყემსვა დაავალა. მასაც გული საფლავებისკენ მიუწევს.

– ჯაყა თავისუფალია, ყივჩაყო! რაც ღმერთმა თავისუ-ფალი დაბადა, მას ადამიანები ვერასგზით შეზღუდავენ. წინ ერთი მნიშვნელოვანი საქმე მიძევს. ჯაყას მახვილი თვალი და გამოცდილება მესაჭიროება და როგორც კი მოვაგვარებ, ჩემი ხელით გავგზავნი ყივჩაყეთს.

ყუბასარმა ჭიაბერთან შეხვედრა მოიმიზება, თავი დამიკრა და დამეთხოვა.

* * *

ბეშქენი სახელოსნოში ბერთის სახარებაზე მუშაობდა; მეტყველმოძულე ოსტატი ოპიზის სკოლის მხატვრულ სტილზე ესაუბრებოდა თავისზე ასაკით უმრნემეს შე-გირდს და ცდილობდა მისი სულიერი ღირებულებით გაე-მიჯნა ოპიზა სხვა საოქრომჭედლოსგან. ბეშქენი აქებდა დახვენილ, რელიეფურ პლასტიკას, სადაც ორნამენტები და ჩუქურთმა მაღალმხატვრულად იყო შესრულებული.

– ოქრომჭედელი კი არა, ოქროსმქანდაკებელი უნდა გვიწოდონ, ბექა. ეს ორი ერთმანეთს ემიჯნება. მოქან-დაკე, მჭედლისგან განსხვავებით, ფრთხილი, გაწაფული, დახელოვნებული და მეტად წინდახედულია. საკმარისია უმნიშვნელო შეცდომა და უფასურდება მთლიანი მასალა. ჭედურ ნაკეთობას კი გადაადნობ, ხელმეორედ ჩამოასხამ

და ვიდრე არ სრულყოფ, მრავალჯერ შეგიძლია შეკეთება.

აი, ოქროსმქანდაკებელი სულ სხვაა. თითქოს მასში ღმერთი სახლობს, რომელიც მკვეთრი ხელწერით ცდილობს თიხისგან, ე.ი არაფრისგან ისეთი რამ შექმნას ან გამოიყვანოს, რომელიც შემოქმედს აიძულებს ჰაპბეროს, ანუ ღვთისგან ჩაისუნთქოს პირველად.

— შეხედე, ჭაბუკო, რა მოუქნელნი არიან! ვერასდროს შექმნიან ღირებულს, რადგან ”შჭედელმა, რომელმაც არ იცის ფოლადის ფასი, ხელს უმიზეზოდ იწვავს”. ისინი დაუფიქრებლად ქმნიან ნაკეთობებს, ამიტომაც ვერაფრით შესწოდებიან შესაქმნელის არსს.

ეს სახელოსნო მათთვის სახლივითაა, სადაც დაუმადლებელ პურს ჭამენ!.. აი, ჰერონე ავაგს, რა სხვაობაა აღმოსავლურ და დასავლურ ოქრომჭედლობას შორის. — გეტყვის, ის აღმოსავლურია, ეს დასავლურიო. ვერც ჩუქურთმის გადაბმის წესი შევაგნებინე აქაურ შეგირდთა უმრავლესობას.

მხოლოდ შენ ხარ რჩეული, შესამჩნევია შენი მკვეთრი ხელწერა და ხედვა; გითვალთვალებ შორიდან, ერთი დეტალის შექმნას ათთორმეტ დღეს მაინც ანდომებ, ხანაც უმეტესს. ისინი ერთ დღეში ქმნიან მაცხოვრის და ღვთისმშობლის კარედს... მათ მუდამ ეჩქარებათ, შენ კი, ბექავ, გესმის, რომ ყველაფერს დროში უნდა გამობრძედება, გაკაუება და განმტკიცება. სიჩქარე დასაშვებია, თუ ისეთ საქმეს აკეთებ, რაც ფიქრს არ საჭიროებს. შედეგად, მათი ნახელავი უსახურია, შენი კი — სრულყოფილი. ამიტომ, უმჯობესია სახელოსნო დავაცლევინოთ შეგირდებს; ჩვენ ორმა ვიმუშავოთ, ბევრს გასწავლი ბექა, რომ შრომა გაგიადვილო.

— ნიჭიერი კაცი ცოდვაა, ბატონი, დასაღუპად. მომინება გვმართებს, იქნებ მათაც მიაგნონ ოდესმე ღირებული ორნამენტის ქარგილს. თვალ-ყური ვადევნოთ, ოსტატო! დაუჯერებელია თუნდაც ერთი დიდებული ფრაგმენტი არ გამოჩარხონ. ამით უფრო ძლიერ განვი-

თარდება ქართული ოქრომჭედლობა.

- სახელოსნოში რამდენი შეგირდი იქნება, ოსტატო?
- შენი ჩათვლით ოცდაცამეტი.
- რა ღირს სახელოსნოს შენახვა წლიდან წლამდე?
- ცხრაას დინარზე მეტი, მაგრამ მოწყალე მეფე გიორგი მხარს გვიჭრს.
- სხვაგვარად არც შეუძლია, იძულებულია ასე მოიქცეს.
- რატომ, ბექა? განა სამადლო საქმე შეიძლება ძალატანებითაც გაკეთდეს?
- რთული სათქმელია, ოსტატო როგორ ესმის ადამიანს სიტყვა – მადლი და სამადლო. ზოსიმეს თქმით, «ესე ენად ქართული დამარხულ არს და ლაზარეს ენად იწოდების». ამ ენას ერთი საოცარი თვისება აქვს. ოქროკვეთილ ანბანში ბგერათა მონაცვლეობით სიტყვა ყირამალა დგება და დედაბუდიანად იცვლის აზრს, წინა შემთხვევის მსგავსად.
- კარგად ვერ მიგიხვდი, ჭაბუკო.
- მადლი კეთილშობილური საქციელია, ოსტატო ბეშქენ, აი, სამადლო კი მოჩვენებითი, დანაყვედრები კეთილშობილებით შესრულებული საქმე. იმ ანდაზისა არ იყოს, მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე წინ დაგხვდებაო; სამადლოდ ქმნილი საქმე პირიქითაა, თუ დაგხვდება კისერ-საც მოგატეხინებს.
- მეფის შემთხვევაში როგორლა არის, ბექა? – ანკესი გადაუგდო შეგირდს.
- მიუხვდა ბეშქენს ჩანაფიქრს და გაეპასუხა:
- დანამდვილებით ის ვიცი, როცა გზააბნეული დავხეტიალობდი და თავშესაფარს ვეძებდი, მეფე გიორგიმ სადარნო საპუსუნოს* მიპოვა. რომ არ მოსულიყო ვინმე და დახმარების ხელი არ გამოეწვდინა, ალბათ ახლა იმ უფსკრულში მექნებოდა სული დალეული. ვაფასებ მის

* მიწისქვეშა შესასვლელი, ჩასაფრების ადგილი.

რაინდობას, ამიტომ კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. თუმცა, ისიც ჭეშმარიტებაა, რომ პირადი ბედნიერების საზომით როდი უნდა შეაფასოს კაცმა მეფის ცხოვრება.

ეამა პასუხი ბეშქენს, უთხრა კიდეც:

— კამკამა ნაკადულივით სუფთაა შენი ნათქვამი, შეგირდო. მაგრამ, როცა მოგიწევს ცხოვრების რიტმს ფეხი აუწყო, ეცადე გუბესთან არ მიხვიდე, თორემ მყვართა ყიყინი შეგაძრნუნებს.

ამასობაში საოქრომჭედლოში ანაფორიანმა კაცმა ბეშქენ ოპიზარი იკითხა; ბერმა გრაგნილი ამოაცურა ანაფორიდან და მონიწებით გადასცა ოსტატს.

«ესე გასამრჯელო ამ დიდებული საქმისთვის არს ოცდასამი დრამი. წყაროსთავის სახარების დასაწერად ვაგზავნი ორასი დრამის ვერცხლს, ოცი დრამის ოქროს თვლებს და მარგალიტს. ნაწერეთ: ვინც ცუარი ანუ ღილოკილო დააკლოს და შეუცვალოს რად ამას ნაჭედ-სა კრულმცა არს მკვდარ და ცოცხალი გაუზსნელად».

დამკვეთი ტბეთის ეპისკოპოსი, — ი. მტბევარი.

ბოლოში წელი იყო დასმული, მის ქვეშ კი წმინდა ნინოს ჯვარი, რომლის გასწვრივ წვრილი ასოებით ეპისკოპოსს მიეწერა: — ყოვლადწმინდა იყოს შენი შემწე და მფარველი! დაე, საუკუნეებმა ვერ შთანთქას, ოპიზრელო, თქვენგან ხელკვეთილი.

ბეშქენმა სათათბიროდ გვერდზე გაიხმო ბექა:

— რაკი სახელგანთქმული ოსტატი ვარ, წყაროსთავის სახარების მოჭედვა მე მომანდეს, თუმცა... ბერთის სახარება ჯერაც დაუსრულებელი მაქვს. დროის სიმწირის გარდა, მიზანშეუწონელი მგონია ორი საქმე ერთდროულად შევასრულო. მარტივი არ გეგონოს! ჯანი ხელს დიდად მიშლის და ვშიშობ, ეგებ ეგ ბერთის სახარებაც ვერ დავასრულო. ყოველდღე ღმერთს ვევედრები, მის დასრულებამდე სიცოცხლე გამიხანგრძლივოს; ამ დიდ

საქმეს კი ვერასგზით წამოვიწყებ. ბებერს იმდენი ძალა რამ მომცა, შეგირდებსაც და უკვე დაწყებულთაც ღირ-სეულად წარვუძღვე.

— იქნებ უმჯობესია, მართლაც განმარტოვდეთ, ბეშ-ქენ ბატონო. ოცდასამ დინარს მთელი წელი ვერ გაშოვ-ნინებთ შეგირდები.

— წინანდელ მსჯელობას ეწინააღმდეგები და ეჭვქვეშ აყენებ, ჭაბუკო. მაშინდელის ნათქვამის არ გჯერა თუ ახლანდლის? ბეშქენი ის კაცი არ არის ფულმა დააბრმა-ვოს. იქნებ, შენი ნათქვამისა არ იყოს, შესაძლოა ამ შე-გირდებმაც ოდესმე გაინაფონ ხელი და ჩემი სიხარბის გამო ვერ დავლუპავ ქართულ ოქრომჭედლობას, რო-მელიც ბოლო ათეული წლებია განვითარების გზას დაადგა.

— მაშ, რას აპირებთ, ოსტატო? უარს ხომ ვერ ეტყვით ეპისკოპოსს? ან რა დროში ვარაუდობთ მის შესრულებას?

— სწორედ ამისთვის გიხმებ, ბექავ! დრო მე კი არა შენ განსაზღვრე! მე ამ პატივს შენ გიწყალობებ.

— ეპისკოპოსმა ეს თქვენ დაგავალათ და უხერხულია მის სიტყვას განვუდგეთ.

— ასეც ვიცოდი, — თქვა ბეშქენმა. — როცა გრაგნილს ვკითხულობდი, შეგატყვე, მეოცნებედ გიბრწყინავდა თვალები. ჩემს ადგილას ყოფნა გინდოდა. სიმართლე გითხრა, უკვე რახანია აქ ხარ და გამუდმებით იმას ვფიქრობ, ამ ჭაბუკას ნიჭს ხომ არ ვუკლავ-მეთქი. ახლა გამოჩენდება შენი ოსტატობა, ბექავ. ეს იქნება ნიჭთა შორის პაექრობა; გახსოვდეს, ხალხი მუდამ ფხიზელია. მათ შეუძლიათ ბეშქენ ოპიზრელის გვერდით ბექაც აღიარონ — ოპიზრელად!

თავჩაქინდრული ბერი მოზაიკას ჩასჩერებოდა. ალ-ბათ მიწის იატაკის მეტი არ ენახა მის დღემში;

ბეშქენმა პრქვა:

– ბერო, პასუხად უთხარით ტბეთის ეპისკოპოსს, ჩვენთვის მლოცველს, ამ საქმეს ბექა ოპიზრელი გააკეთებს. ეჭვს ნუ შეიტანენ მასში. ახალგაზრდაა, მაგრამ ჩემებრ ნიჭიერი. კურთხევას ველოდებით მისგან, ხოლო რა სრულყოფს საქმეს, მე თვითონვე ავწონ-დავწონი და შევაფასებ ნამუშევარს. თუ ნახელავი არასიმეტრიული ან ხარვეზიანი იქნა, დაგიბრუნებთ მოჭედვისთვის განკუთვნილ საფასურს და ხელფასსაც.

როდესაც ბერი გაბრძანდა საოქრომჭედლოდან, ბექა გადაეხვია ოსტატს, უთხრა კიდეც:

– გმადლობთ, რომ მენდეთ, დიდო ბეშქენ.

– შეგირდო, ჩემს წინათგრძნობას ვენდე, – თქვა და კვლავ ბერთის სახარება გადაშალა. სამგზის გარდაისახა პირჯვარი, ლოცვასავით თქვა, დიდება შენდა უფალო, რომ კიდევ ერთი დღე მაჩუქე, მე სნეულსო და მუშაობას შეუდგა.

– აი, ამიტომ არის იძულებული მეფე ეს სახელოსნო შეინახოს, რადგან იგი ერის საგანძურია, ხოლო ბეშქენ ოპიზარი, ლირსეული მესაჭე და წინამდლოლი. ამის თქმა მინდოდა უწინდელ საუბარში.

ბეშქენს, მგონი, არც გაუგია ბექას ნათქვამი, რადგან მუშაობისას იგი თავის თავს არ ეკუთვნოდა და ყურადღება მთლიანად სამუშაოსკენ ჰქონდა მიმართული.



* * *

შაპ-არმენთან ნიჯადის* სათხოვნელად წასული ანანია დვინელი, ლიპარიტი და ქავთარი მშვიდობით მობრუნდნენ, ამირსპასალარ ივანეს ეახლნენ; ლიპარიტი და ქავთარი ივანესთან საუბარს მოერიდნენ და ანანიას სთხოვეს წვრილად ეამბნა შაპ-არმენისა და ელდიგუზ ათაბაგის დანაბარები.

ანანია ოდნავ მოიხარა წელში, წვერი მოიფხანა და მწუხარედ განაცხადა: — შაპს მართალია დიდად სძულს გიორგი III, თუმცა ტახტისთვის მებრძოლ ბიძა-ძმისწულის ომში ლაშქრით მონაწილეობას შეუძლებლად მიიჩნევს.

— რატომ, ვკითხე გაკვირვებულმა, — განა მეფემ არ გამოსტაცა ანისი? ეს უმდიდრესი ქალაქი ხმლით შემოიერთა და ნუთუ შურისძიების წყურვილი არ აწუხებს?

ივანე მდუმარედ იყო. ძლივს მოახერხა ამეტყველება.

— ქორონიკონსა სამას ოთხმოცსა, მეფემ გაჭირვებით აიღო ანისი, შეიპყრა სალდუხი, ამოსწყვიტა ყოველი ძალი მისი, მათ შორის სახლეული, მოაღებინა ძლუენი და საჭურჭლენი, რომელი არა აითუალვოდა. და აღივსო სამეფო და ლაშქარნი ჩვენი. ქალაქის თავად დამნიშნა. იმ დღიდან მოსისხლე მტრად მთვლის ელდიგუზ ათაბაგიცა და ხონთქარი შაპ-არმენიც. სხვას რას ველოდი, მე ბედ-შავი? ხუთიოდ წლის წინ მეფის მხარდამხარ ვიბრძოდი, ახლა კი ლირსება და თავმოყვარეობა ფეხქვეშ გავთელე, მაჰმადიან მტრებს დავუზავდი.

ქავთარმა სცადა ივანეს დამშვიდება: — ძმაო, ხომ გაგიგია, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო!.. ალბათ მიგიხვდა ჩანაფიქრს ის სულძალლი. ანისზე რომ გიჭირავს მზერა, ეს ყველამ იცის. გეკუთვნის კიდეც, რადგან მთელი ძალ-ღონე ამ უმდიდრესი ქალაქის დალაშქვრას შეალიე.

* დამხმარე ლაშქარი.

შენ ანისი ისე გიყვარს, არავის დაუთმობ მას; ხოლო მეფეს თუ ძლევ, ამით ვერც შაპი და ვერც ათაბაგი ვერაფერს მიიღებს. ყრმაც მიხვდება, რომ მათ მხოლოდ გამოყენების მიზნით დაუკავშირდი.

— გაჩუმდი!.. შენ ვინ მოგცა უფლება ასე თავისუფლად იმჭევრმეტყველო ჩემს მიზნებზე? ძალიან კარგი, თუ ხვდება გარეშე თუ შინა მტერი, რომ ანისს სიცოცხლის ფასადაც არ დავთმობ. ახლა კი დამეკარგენით. მომეცით ფიქრის და განმარტოების უფლება.

დემნა ჯერ ანანიას აყურადებდა, მოგვიანებით განრის-ხებულ ივანეს უსმინა, ბოლოს საგონებელში ჩავარდნილ ქავთარს, რომელიც ამაოდ ცდილობდა გამძვინვარებული მოხუცის დაშოშმინებას.

დიდი ხნის უძილო უფლისწული საძინებლად გაეშურა.

სამინელი რამ ესიზმრა.

ლმერთო დიდებულო!

ხედავს ვიღაც შავ ანაფორაში გამოწყობილი ბერი პურის ყანებს ლენავს. ბერი გზადაგზა იფქლის და ღვარძლის მარცვალს არჩევს. ბალას თუ დააკვირდები, უფრო და უფრო ადამიანს ემსგავსება. ბოლოს, წამოიმართა უკეთურება; კარგად არ ახსოვს უფლისწულს იმისი სახე, მაგრამ გრძნობს, რაღაცით მას ჰგავს. — მამაჩემი ხომ არ არისო, — გაიფიქრა დემნამ. — ახლა იმ მეორეს შეხედა! აი, იმის სახე ნამდვილად კარგად გაარჩია. გიორგი III იყო უცილობლად. თავჩაქინდრული, მორჩილი და მშვიდი სახით, მზერაგარინდული იდგა და ბერის ჩოხას ებლაუჭებოდა. ანაფორიანი, მამობრივი ალერსით, ეფერებოდა იფქლის მარცვალს და ჰპირდებოდა: როცა ყველაფრის დრო მოვიდოდა, იგი კუთვნილს მიიღებდა!..

უფლისწულმა დემეტრეს სახეც აღიდგინა მაცხვარიშის ტაძრის ფრესკით, სადაც მხატვარ მიქაელ მაღლაკელმა მეფედ კურთხევის ცერემონია ასახა.

ბავშვობაში გაგონილი ჰქონდა, უდავოდ კარგი მხატვარი იყო მაღლაკელი, თუმცა მას, როგორც შემოქმედსა და ფერმწერს არ შეეძლო საყდრის სწრაფად მოხატვა.

ნაადრევასაკშისოფლის ეკლესია მოახატვინეს; როგორც იქაურ კაცს, მერმე მაცხვარიშიც მიანდეს. ხატ-ფრესკებსა და დემეტრე მეფის პორტრეტს განსაკუთრებული სიდინჯით ხატავდა. გამუდმებით ჩაესმოდა ოსტატის ნათქვამი: – ნახატში მარტო საკუთარი თავი კი არა, მთელი ქვეყანა უნდა შეიცნო, მიქაელ. – ამადაც, სცადა მან და ეროვნულს მცირე კუთხური ხელწერაც დაამჩნია.

მერმე განრისხებული ოსტატის საყვედური ჩაესმა: – მე გითხარი საკუთარი თავის შეცნობა იწყება ერთობიდან და არა ნაკუნ-ნაკუნ დანაწევრებული მიწა-წყლიდან-თქო! შენ გვითხოვთ რამე განსაკუთრებული ჰქმენ?! შეხედე, რას ჰგავს იგი. მასში არც ქართული სულია, არც სვანური სი-დიადე ჩანს! არც ეს კაცია მეფე დემეტრესავით სანდომიანი. წელმრუდი გამოგვსვლია, შეგირდო, ნახელავი!.. ადი ხარაჩოებზე და გულისხმიერად მიმოავლე კონტური. თუ მას არ სრულყოფ, ნუ გააცხადებ ვისი ნამოწაფარიც ხარ.

მაღლაკელი ხარაჩოებიდან ძირს დაეშვა; მართლაც დარღვეული სიმეტრია თვალს სწრაფა. ყავისფერ ტანსაც-მელში გამოწყობილ მეფეს ეშმაკური გამოხედვა ჰქონდა. ფრესკისგან განსხვავებით ტანსრული დემეტრე მხატვარს აიძულებდა თავისი ნამდვილი სახე დაებრუნებინა.

ყურს სწვდა მეფის საყვედურიც: – ოხ, ეს მხატვრები. მუდამ იმას ხატავთ, რაც მოგწონთ და როგორადაც ხე-დავთ დასახატავთ! მაგრამ იკითხეთ, თქვე დალოცვილნო, მოგვწონს კი საბოლოოდ ის, რაც გააკეთეთ?

გულმოსულს ფუნჯი იქვე მიუყრია. ოფლით გასვრილი სამოსი გაუხდია და მდინარეზე საცურაოდ წასულა.

საზიზღარმა ხმამ იქაც მისდია: – წყალი უნმინდურებას კი ჩამორეცხავს, მაგრამ სულში დაგუბებულ ჭაობს თავად

უნდა უსაშველო!.. დაბრუნდი საყდარში და უკანასკნელად შესდექ ხარაჩოზე. წუ ნებივრობ, მდაბიო რამ შეუქმენ კაცობრიობას, ამის უფლება არ გაქვს!!!

თავბრუ დაეხვა და ძლივს ფუნჯმომარჯვებულმა მთელი დღე შეუსვენებლად გადახატა დემეტრე მეფე. საცოდავად დაღრეჯილ ხელმნიფეს ნამდვილი სახე დაუბრუნა და მიქაელმა იგრძნო, ფრესკაც მისი მადლიერი იყო.

ყველაფერი ისე ხდებოდა, რომ ბატონიშვილს ცხადი ეგონა. ძილ-ღვიძილში თურმე ბორგავდა. სარეცელზე ჩამოჯდა, ნახევრად მძინარე. ისევ ჩათვლიმა... ახლა უფრო საშინელს ხედავს: ის ანაფორიანი კაცი, დავითგარეჯის მონასტერშია. ხელში ლოცვანი უჭირავს და საყვედურობს მას: – ჩემი ადგილი აქ არის! სულ იმ ბოროტი მარცვლის ბრალია ყველაფერი. მწამს უფალი, ღმერთი ყოვლისა მპყრობელი, მინის და ცის, მაგრამ ღვთისმსახურება მხოლოდ ლოცვა-ვედრებაში როდი არის. ხელფეხშეკრული ვარ, ვერაფერს ვაკეთებ ვერც ჩემი სარწმუნოების და-საცავად, ვერც – სამშობლოს კეთილდღეობისთვის. როცა წმინდა წერილს ვკითხულობ, ბრძოლებზე და სისხლის-ღვრაზე ვთიქრობ. საკურთხეველთან მყოფს, რატომღაც ხმალი მენატრება და ჯვარს ისე მაგრად ვუჭერ ხელს, თითქოს ხმლის ტარი იყოს!.. რა უნდა ჩემნაირ კაცს მონასტერში. – ამის თქმაზე ქარმა აუფრიალა ანაფორა და დემნამ დაინახა ბისონი და პალიკარტი. მერე ყელში სწვდა და დახრჩობას უპირებდა: – დამიბრუნე ჩემი ტახტი და მეუფება, ურჩო შვილო, დავით! – დამიბრუნე სულის სიმშვიდე, რომელიც წამართვი, დემნა!

სიზმარი ივანეს ვუამბე, მან კი მითხრა: – ის გესიზმრა, დემნა, ხალხისგან რა მითქმა-მოთქმაც გესმის. მამაშენს დემეტრესთვის არაფერი წაურთმევია. უბრალოდ ატყობდა, იჩაგრებოდა, პირმოთნე გიორგისგან, რომელიც მამასთან ლაქუცით და მოწყალებით სამეფოს ითხოვდა.

* * *

შეთქმულები კოჯორს იმყოფებოდნენ და იქიდან ცდილობდნენ მეფე გიორგის შეპყრობას. წესით, მათ ჩანაფიქრს ვერავინ მიხვდებოდა, რომ არა ყუბასარის წინ-დახედულება. გონიერმა ყივჩაყმა გიორგი გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ცხადი იყო, თუ გიორგი ტფილისამდე უვნებლად ვერ ჩააღწევდა, ჯარის გამოყვანაც გაძნელდებოდა. ყუბასარს რამდენიმე საათი უნდა გაეძლო ბრძოლაში, შემდეგ კი მეფე დამხმარე ლაშქარს გამოაგზავნიდა.

ყივჩაყ ყუბასარის ხუთასკაციანი ლაშქრის გარდა, დვალები და საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეთა მოლაშქრენიც მეფის მხარდასაჭერად დაირაზმნენ. ორმოცი ათასი კაცი მაინც იქნებოდა.

მეფემ სიტყვით მიმართა მხედართ:

– ქართველი ბუნებით დაცინვას და ღალატს ჩვეულია. ისარგებლეს რა ჩემი ქალაქში უმყოფლობით, შემიორგულდნენ ორბელნი, ამიმხედრეს ძმისწული დემნა და იქადნებიან, მეფედ ვცნო მათგან აგარის ციხეს ხელდასხმული უფლისწული. დემნას სამეფო ტახტი, რასაკვირველია, ეკუთვნის, თუმცა ვახტანგისეულ ტახტზე მანამ ვერ დაბრძანდება მეფური ბრწყინვალებით, ვიდრე ქვეშევრდომის ქალზე იქნება ჯვარდაწერილი. სამეფო გვარი წმინდათან-მინდაა და დიოფალიც მეფის სისხლისა უნდა იყოს! მეთანაღრება სისხლისღვრა მოძმე ქრისტიანთა შორის, თუმცა ღმერთია მოწამე, ამას შეთქმულები მაიძულებენ. უპირველესად სამშვილდე ავილოთ, ძმანო, მერმე ლორესკენ დავიძრათ. თუკი სამშვილდეს მარტივად გამოვტაცებთ, ლორეში გამოკეტვა მოუწევთ. ციხეს სხვა გასასვლელი არსაიდან აქვს. შიმშილით დაიხოცებიან ან უსისხლოდ ჩაგვბარდებიან. ჰა და ჰა ორ-სამ თვეს გასძლონ. მერმე შერცხვენილნი მიატოვებენ უფლისწულს და პატიებას

მთხოვენ ურჩობისთვის. მზად ვარ, როგორც მათზე მზრუნველმა მამამ ყოველი ზედგამზრახი* გულში ჩავიკრა და შევუნდო თანანადებნი მათი. ხოლო თქვენ, ვინც არას-დროს დაღლილხართ იარაღის წელზე შემორტყმით, თქვენ, ვინც არწივისებრ ენაფებით მტერთა სისხლს და იობის მოთმინებით ითმენთ ბრძოლის ველზე, ჩემს სიცოცხლეში მეფის მფარველობის და განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნებით. ახლა, კი დავიძრათ წინ, – ორპირ ორბელთა კბილთა ღრჯენის და გაუსაძლისი მოთქმის მოსასმენად! დალოცვილად, ფეხბედნიერად გევლოთ, ძმანო. შენ, ჰეი, დროშისმტვირთველო, ამაყად გეჭიროს ბუნი** და აფრიალე სვიანი გორგასლიან-დავითიანი სეფედროშა.*** უხდება მას კიდეც თავის აწევა და ზვიადობა!..

მეფეს გზად საღერღელი აშლოდა და ქართულ ჯართან ერთად მიიმღეროდა. ლაზიკაზე ფიქრები ანუხებდა გიორგის. – „ალბათ, მალე მოილოგინებსო“, – აზმნობდა. მოაგონდა, ფერდობიდან სიმღერ-სიმღერით მომავალი ქალიშვილი რომ შემოეფეთა. ისიც მოაგონდა, ნიამორივით ყელმოღერებული ლაზიკა მის მუხლებთან ჩამომჯდარი რომ ეკითხებოდა, – სიკვდილამდე გეყვარებით მეფევ? თუ ქალს ვშობ, ხომ არ შეგძულდებით? ან რას მიპირებთ მოლოგინების შემდეგ, ტაძრის გზას ხომ არ გამიყენებთ?!

მეფე საკუთარ გრძნობაში კარგად და ბოლომდე ვერ გარკვეულიყო. დანამდვილებით მარტო ის იცოდა, ლაზიკას ორბელთაგან გამოხსნა აუცილებელი იყო. დანარჩენს

* მოღალატე.

** დროშის ტარი, ძელი, რომელიც ჯვრის გამოსახულებით სრულდებოდა.

*** „გორგასლიანი და დავითიანი“ დროშა ქუთაისის სამეფო ზარდა-ხანაში ინახებოდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში, ახალციხის ბრძოლის დროს, თურმე თურქებს გაუტაციათ და დაუკარგავთ.

დრო უჩვენებდა, როგორ მოქცეოდა ბედდაწყევლილ და სვედამნარებულ ქალს.

ამაზე ფიქრში უკვე ციხეს მიადგნენ. ყუბასარი თავისი რჩეული ჯარით გამოეყო მეფის ლაშქარს.

ნისლიანი ლამე იყო. ბინდ-ბუნდში ომი მოუხერხებელი იქნებოდა, ამისთვის გათენებას უცდიდნენ მეომრები. გარიურაჟზე კი, ვიდრე მწვერვალი მზის სხივებს დაიჭერდა, ფიცხელ ომს გააჩაღებდნენ.

მხოლოდ ეს ბრძანა ყუბასარმა, – ცეცხლს მიეცით ლორე, რათა შიგ გამაგრებული ორბელთა ჯარი ვაოტნოთ ციხიდან და ბრძოლის თანაბარი პირობები შევქმნათ. თუ მათ იქიდან არ გამოვიტყუებთ, ვეჭვობ, გამარჯვება შევძლოთ!..

ძილი გაუკრთა მეფე გიორგის. დედოფალი ბურდუხანი მთელი ლამე ლიტანიობდა და უფალს მშვიდობას ავედრებდა.

* * *

ლაზიკას მუცლის ტკივილებმა წამოუარა. ტკივილი მით უფრო უმძაფრდებოდა და უფლისნულ დემნას ჩაესმოდა ქალის გაუსაძლისი კვნესა. თავით ფეხებამდე დაურბინა რაღაც იდუმალმა განცდამ და იმ ექოს აყურადა, რომელმაც ბავშვობაში გადიოს ხმა მოაგონა.

– მიშველე, უფლისნულო, ვიღუპები, მგონი, – თქვა მიბნედილი ხმით ლაზიკამ და ხელები საშველად გაინვინა. რა შეგცოდე, უფალო, რომ ასე ერთბაშად მაზღვევინე ყველა შეცოდებისთვის. რა ჩემი ბრალია, თუკი გულისთქმას ავყევ და ამაოებამ დამატყვევა; მეც, როგორც სულიერს, მსურდა ბედნიერება უბედურების წილ, მშვიდობა – უამიანობისას, დალხენა – ტკივილგამოვლილი ცხოვრების სანაცვლოდ. რას ვეზიარე? გამთელა ცხოვრებამ, დამამცირა და ფეხქვეშ ფარჩასავით გამიფინა. ასე მონდომებით ვიცავდი ქალურ უმწიკვლოებას და მეფის ხარჭად

ვიქეცი. ვიცი, საითაც მიაქანებს წუთისოფელი ჩემნაირ აშართ! შემთხვევით არაფერი ხდება საწუთროში, მაგრამ არც განგების მჯერა დიდად. საკუთარი ხელით ყელზე სამართებელი გამოვისვი, ისე რომ არავინ დამმუქრებია. სუსტია ადამიანი, თავისი უძლურების სააშკარაოზე გამოტანას ერიდება. ამიტომაც, ყველაფერს ვითომ ბედისწერას ვაბრალებთ, მათ შორის – მარცხსაც. დახელოვნებული ვართ რიტორიკაში და ფუჭად ვმეტყველებთ. სინამდვილე კი ის არის, რომ მიზანდაკარგულები ვართ ადამიანები და ყველაფერს, რასაც ასე კბილთა ღრჯენით ვიცავთ, ილუზია ჰქვია. გესმით, უფლისწულო რას ვამბობ? მე მგონია, რომ ეს ომებიც ურნმუნოთა გამოგონილი რამ არის, ეშმაკისთვის კვარცხლბეკის დასადგამად დასჭირდა კაცობრიობას. კვირით კვირამდე მარხვას ვინახავთ, სამრეკლოს ზარებს ვაყურადებთ, საკურთხეველთან ვლიტანიობთ, მეორე დღეს კი... ეს არის რწმენა, ადამიანებო? რწმენაც იარაღია ჩვენთვის, თორემ ქრისტეს მცნების დამცველი მახვილს არ აიღებს, რადგან ყველამ ვიცით, ვინც იარაღი აიღოს, იარაღითვე მოიკლასო. ამაზე ხშირად წუნუნებდა ჩემთან გიორგი. ძალაუფლება იმისთვის მინდა, რიდით და შიშით მომეკიდონ, თორემ თუ ჩემი უძლური ბუნება ვაჩვენე ვისმე, შემიძულებენ. მეფეში ერი გმირს ხედავს და მხდალი არავის სჭირდება მესაჭედ და წინამძღვრად.

ეს ყველაფერი დღესავით ნათელია ჩემთვის და ვხვდები ჭეშმარიტებას, თუმცა მიკვირს, მე რა მინდოდა თქვენსას. გლეხის ქალს ხელსაქმე ემარჯვება, თორემ სხვამხრივ არარას ეკითხებიან. ეს ნებიერი ქალი კი ჯერ მეფე გიორგის გადაპყარა საწუთრომ, მოგვიანებით დასდო პატივი და უფლისწულიც გააცნო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ლაზიკა ორბელთათვის და მეფე გიორგისთვის ერთნაირად საჭირო დედაკაცი გახდებოდა.

სიბრალულით გახედა დემნამ ლაზიკას. მართლაც ნია-

მორს ჰგავდა იგი. ერთი ეგ იყო, კლდის თხემზე კი არა, ციხის ქონგურთან იდგა.

სანუგეშო სიტყვარომვერმოქექაგონებაში, უწუმრად გავიდა; მარტოდმარტო დარჩა ლაზიკა – თავის ტკივილთან და წუხილთან ერთად.

ის კვლავ მოთქვამდა...

* * *

ტბეთის ეპისკოპოსმა მოიწერა:

– დიდო ბეჭედი ოპიზრელო, სახელოვანო ოქრომოქანდაკევ, შენს ხელში ოქრო ბრძენ კაცივით მეტყველებს; რაკი გგონიათ, რომ ახალბედა ბექა შესძლებს წყაროსთავის სახარების უნაკლოდ შესრულებას, ნება თქვენია. ჩვენ, ეკლესიის მსახურთ, გვწამს, რომ თქვენ გადაწყვეტილებაში არასგზით შეცდებოდით. უფლის სასწაული შეუცნობელია და დიადია საქმენი მისნი. დაუ, ღმერთი იყოს მისი შემწე. ჩვენ, ტბეთის ეპარქიის მესვეურნი და შავი სამღვდელოება, კურთხევას ვაძლევთ ბექა ოპიზრელის მარჯვენას ამ უზენაესი საქმის უკვდავსაყოფად. გთარავდეთ სამების ძალი და მადლი. მამა ღმერთისგან შექმნის უნარი გებოძოთ, რადგან „მანაც ყველაფერი კეთილად შექმნა თავის დროისთვის, თვით იდუმალის შეცნობად აღძრა გონება კაცთა, ოლონდ ისე, რომ ვერ გაუგონ ღვთის ნამოქმედარს თავი და ბოლო“; და პირველმან დაარქვა ყველაფერს სახელი, მიუჩინა ადგილი შექმნილს სამყაროში და ჰარმონიული გახადა ცხოვრება; მაგრამ კაცის გულისთქმამ არ ინება მშვიდობა და ამხედრდა ღვთის წინააღმდეგ. მოინდომა კაცმა ღვთისებრ ახალ-ახალ სასწაულთა მოხდენა; ამგვარად გაჩნდა დედამიწაზე: პალიტრა და მხატვარი, ფუნჯი და ყალამი, კედელი და სალებავი; აიღო კაცმა ესე საღებავი, შეაზავა ის გამომწვარი თიხით ნაშენ კედელზე და ისე დახატა ყველაფერი, რომ წინდანინ არ იცოდა როგორი გამოვიდოდა მისგან ხელქმნილი. იქნებ მამა ღმერთმაც არ იცოდა, რომ ევას სახით აჯანყების მოთავეს ქმ-

ნიდა, თორემ არც კი დაეშვა მისი დაბადება? ძე ღვთისამ კი ევას მუცლით ნაშიობ კაცობრიობის ცოდვათა მისატევებლად ზღო სისხლით, გაეკრა ჯვარზე, რათა ადამიანი კვლავ მამა ღმერთან მიეგვარა, ოღონდ ცოდვით განწმენდილი, განსპეტაკებული. იცოდა ძე ღვთისამ, რომ ადამის მოდგმას შემოქმედთან მისასვლელი გზა დაჲკარგვოდა; შეეცოდა ქრისტეს გზაბნეული და ფეხმობარბაცე კაცობრიობა; დაიჩივლა ღმერთან, შენგან ქმნილთ ნუ მიატოვებ განსაცდელში, მომავლინე მიწაზე ადამიანად, რათა ვიხსნა ისინი გეჰენისგანო. გამოგვეცხადა ღვთისმშობლის კალთას ამოფარებული ყრმა, რომელმაც გვასწავლა: სიყვარული, მეგობრობა, თავგანწირვა, მიტევება, აგვივსო გული სიბრალულით, სისხლი განწმინდა ზიზღისა და ბრაზისგან; მაგრამ გავიკვირვეთ, როგორ შეიძლებოდა მიწაზე დაბადებულ კაცს მინის ცოდვა ისევე არ აჲყოლოდა, როგორც კაენს; რომ შეუძლებელი იყო მასში არ ყოფილიყო ფარისევლობა, ღალატი, ვერაგობა, სიძულვილი... ვანამეთ იმისთვის, რათა გვენახა ძე კაცი – ჩვენგან მოხელთებული და განწირული – თითქოს მამა ღმერთის მიმართ შურისძიება გვინდოდა იმ ყველაფრისთვის, რაც დაგვმართა. აი, აქ იმარჯვა იქსომ! დანარჩენი თქვენც იცით, ოპიზრელნო! შემთხვევით როდი გწერთ ამას. რაოდენ დიდი არ უნდა იყოს ბექა ოპიზრელი, თუ მას ღმერთი ნაპოვნი არ ჰყავს, უსახური იქნება მისი ნახელავი. მჯერა, რომ სამებას აუცილებლად ეძიებს. ყველაფერი ახლა მის ხელშია. ჩვენ ვერაფერში ვანუგეშებთ და ვეხმარებით. მას ბრძოლა მოელის ორ დემიურგ ძალთა შორის. ერთი ყველა ჩუქურთმას ღვთისთვის მისადაგებულს შექმნის, მეორე – საპირისპიროდ, სატანის გასახარელ გრეხილს დაწნავს. სულ ბოლოს დავინახავთ, რომელმა სძლია ხელოვანი.

ბეშქენმა უსტარი შემართებით წაიკითხა; უნდა გენახათ შეგირდთა შურით აღვსილი გამომეტყველება. მათ ამრეზილ სახეზე ამოიკითხავდით ახალგაზრდა ოსტატი-სადმი სიძულვილს. ღრმა მნუხარებით ამოიხვნეშეს და

უღიმდამოდ განაგრძეს მუშაობა.

ბექა დაზგასთან იდგა. უჩუმრად მიუახლოვდა ბეჭენს და ჩასჩურჩულა: – უხერხულია ასე საჯაროდ ამის გამოცხადება, ოსტატო... ისინი ათეული წლებია ამ პატივს ელიან. ეგებ უნუგეშობა იგრძნონ და ნიჭის დაუფასებლობა, რაკი ახალწვეულს მეტ პატივში ამყოფებთ.

ბეჭენი გაოცებული სახით მოტრიალდა, ეტყობოდა რაღაც მწუხარე ფიქრმა გადაურბინა სახეზე, ჯაჭო-ჭროდა თვალები მოჭუტა და პასუხად თქვა: – უფრო მეტს მოინდომებენ! შეუცნობლად როდი მოვქცეულვარ.

იუხერხულა ბექამ და ცოტათი მორიდებულად იგრძნო თავი. ყრუ ტკივილმა დაურბინა და საჩქაროდ გარეთ გავიდა პაერის ჩასასუნთქად.

ქარი ბებერ მგლისებრ ყმუოდა.

ამაზრზენ სიჩუმეს მხოლოდ ფოთოლთა შრიალი არღვევდა.

შორით შაშვთა სტვენა მოისმოდა. ბუჩქნარში ჭინჭრაქა ფართხალებდა. ხეზე დაკიდული კოდალა გულისგამან-ყალებლად უკაკუნებდა ხის მერქანს და მაჟაურისგან* დედახეს გულ-ღვიძლს უთავისუფლებდა.

შეეცოდა ბექას კოდალასგან მოხელთებული მწერი, რომელიც მხოლოდ მავნებლობდა და არავითარი სიკეთე მოჰქონდა თავისი არსებობით დედამიწელთათვის;

შეღონებული ისევ სახელოსნოში დაბრუნდა. იმ დღესვე შეუდგა ღვთისმშობლის სილუეტის გამოყვანას. თამარის სახე თვალწინ ედგა და ცდილობდა როგორმე არ დავიწყებოდა გოგონას სანდომიანი მზერა, ამ რამდენიმე თვის წინ რომ იხილა პირველად!..

– შენს მოსვლამდე ჩემს თავს არ ვეკუთვნიდი, ჭაბუკო. შენ მე ახლებურად დამანახე ქართული სამჭედლო. ჩვენ, ოსტატებს არ გვიყვარს, როცა მუშაობისას გარეშე გვით-

* მატლი ხის გულთ(ა) მჭამელი.

ვალთვალებს. დღის სინათლეს მანამ არ ვანახებთ ნამუშევარს, ვიდრე არ დავასრულებთ, რადგან თან იმის შიშიც გვდევს, როგორ აღიქვამს მას უცხოთა თვალისჩინი. ნუ მიწყენ, შეგირდო... ცნობისმოყვარეობის ბრალია, რომ ფეხდაფეხ დაგდევ. ყველა ოსტატს ხრავს ეჭვი – რომელი უფრო დიდია, მასწავლებელი, რომელმაც პრაქტიკულად ყველაფერი იცის, თუ – შეგირდი, რომელიც ახლა ეუფლება ცოდნას, ნიჭის და ბედისწერის წყალობით კი მარტივად იხვეჭს სახელს და ეძიებს დიდებას.

მხოლოდ გირჩევ, მეტი ყურადღება დაუთმე ადამიანებს, რომლებსაც ძერნავ პლასტიკაზე. ახლა კი განაგრძე, ხელს არ შეგიშლი, ჭეშმარიტად დიდებული რამის მომსწრე ვხდები, ჭაბუკო ბექავ...

აქვე, ჩემს ქვეშაგებზე, ისე მივესვენები, თითქოს ოთახში არც ვიყო.

* * *

– მწყობრში დადექით აბჯრისმტვირთველნო და მეომარნო, – ბრძანა ყუბასარმა, რომელიც სპასალარ ივანე ორბელის განდგომის შემდეგ ქართულ ჯარს მეთაურობდა. სვიანი დროშა ამაყად ფრიალებდა; ყივჩაყი რჩეული ხუთასი კაცით განმარტოებით იდგა და მხოლოდ ბუკის და სპერმურის* ხმას უცდიდა, რომ ფიცხელ ომში ჩართულიყო. ქვეითნი წინა ფლანგზე ჩამწკრივებულიყვნენ, უკან ცხენოსანნი იდგნენ. ესეც იმისთვის, უკან დახევა რომ ებრძანა მეფეს და ჯარის სარდალს, ცხენოსანთ ქვეით ჯარისკაცთათვის ხელი არ შეეშალათ და დაბნეულობა არ გამოეწვია ლაშქარში. შეიარაღებაც არნახული ჰქონდათ. ანისში გამარჯვების შემდეგ საჭურჭლე გაეუმჯობესებინა სამეფო ლაშქარს. მშვილდ-კაპარჭის,

* დიდი ნაღარა.

ისრის, აკინაკის,* ჯაჭვის, ლახტის, ქაფას, საბარკულის, ფარის და აფთის** გარდა, მათ ოთხი მოზრდილი კატა-პელტიც ჰქონდათ და ორი ლოდსატყორცნი მანქანაც. საჭიროებისას, თუ ციხის აღება გაძნელდებოდა, მოუწევ-დათ კედლების განგრევა.

მეფის ერთგულების ნიშნად გლეხობაც შექუჩებულიყო. მართალია არცთუ საჭირო იარაღით იყვნენ აღჭურვილნი, მაგრამ უბრალო ხელკეტებითაც შეეძლოთ მეფე გიორგის დასაცავად გამოსულიყვნენ.

და აი, გამოჩენდა შავ ბედაურზე ამხედრებული მეფეთ მეფე გიორგი III. სულ დამავითებული მეფითხველო, ამ ცხენზე მეამბნა. გიორგიმ იგი ხევსურეთში, ცნობილ მეჯინიბეს გააწრთვნევინა. ასე ეგონა გიორგის, მკაცრ კლიმატში გა-ზრდილი მთის ცხენი უფრო მარდი იქნებოდა და მეტადაც მიენდობოდა; მეჯინიბეს ამ უნიკალური ჯიშის გამოსაყვა-ნად თერთმეტი წელი დასჭირდა. მისი მტკიცებით, ყინვას, სუსხს, უწყლობასა და ხორშაკს იოლად იტანდა ცხენი. წი-ნათ ვახსენე, მეფე ყველაფერს სახელს არქმევდა-მეტქი; გიორგიმ ბედაურს ხევსურა დაარქვა. საუცხოოდ გამოი-ყურებოდა ხევსურა. ფაფარი და ძუა მოთეთრო, ალაბას-ტრისფერი ჰქონდა, ასეთივე ფერის – გულ-მკერდი, ხოლო უნაგირი და ყელსაბამი კოხტად მოჭედილი...

გიორგის ასე ათი-თორმეტი წლის ასული მისდევდა. გეგონება, სამეფო წვეულება გაუმართავს მეფეს ან სანა-დიროდ მიეშურება!.. რა საჭიროა, ღმერთმანი ასე უა-საკო ომში იახლო? მაგრამ ჩანს ხელმწიფეს რაღაც აქვს განზრახული.

ვიდრე ბრძოლის დაწყების ნიშნად ხელს აღმართავ-და გიორგი, ლორეს ციხის ძირთან დადგა და გასძახა

* ოროლი, შუბი, ლახვარი.

** ბრტყელი და ტანგრძელი მახვილი.

უფლისნულს; უნინდელივით თბილი და ხვეწნანარევი კი არა, უფრო მყაცრი, დაუნდობელი ხმით. – დემნა, ნუ დაუშვებ მოძმეთა შორის სისხლისლვრას. ჩამოდი ციხი-დან, მზად ვარ მოსალაპარაკებლად.

დემნამ ციხიდან გადმოიხდა. შეათვალიერა მეფის ლა-შქარი და ცოტათი დაფრთხა. ივანემ მხარზე მოუჭირა უფლისნულს და უთხრა: – ასე გადაეცი, სიძე-ბატონო, ან ტახტი დასთმოს, ან სამეფო ორად გაიყოს! წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლა გარდაუვალია.

– მეგონა თამარს მაინც შეამჩნევდი, შეჩვენებულო! იმისთვის ვიახელ ომში, რომ თუ უსამართლოდ დავლვრით ათასობით ადამიანთა სისხლს, მეც ხომ უნდა გავიღო საფასური. ჩემი სახლეული და უძვირფასესი ქალიშვილი აქ მყავს, ამ ჯარისკაცთა გვერდით და ისევე მზად ვართ და-ვიხოცოთ, როგორც მზად არიან დანარჩენები. გვედრებ, ახალმოასაკევ... შეიბრალე შენი ერი და ნუ გახდი ერთმანეთის სისხლის მსმელად და ხორცის მჭამელად. რადგან გახსოვდეს, უსამართლოდ ზვარაკად შეწირულნი ძმრად ამოგვადენენ ცხვირში იმ უბედურებას, რაც მათ შევამთხვიერ და დავმართეთ.

თამარს ცრემლები ჩამოუგორდა. ანიშნა გიორგიმ, დაე-ძახა უფლისნულისთვის, რადგან ცხადი იყო, ქალიშვილის შეძახილიც გულს აუჩუყებდა დემნას. ერთად გაზრდილ ბიძისნულთ ხომ უზომოდ უყვარდათ ერთმანეთი;

ასულს სასულეში ნერწყვი გადაცდა, ძალა მოიკრიბა და შესძახა:

– დემნა, ძმაო, გესმის ჩემი? – ისე ხმატკბილად თქვა, შეძრწუნდა უფლისნული.

– მესმის, მესმის, თამარ. აქ ვარ, ვაყურადებ, დაო, შენს იადონივით წკრიალა ხმას.

– წამოდი, დემნა, სასახლეში წავიდეთ, ისევ ძველებუ-რად ვიცხოვროთ. გახსოვს, ვიდრე აღსაზრდელად სხვაგან

წაგიყვანდნენ, ციხე-ქალაქს აშენებდნენ ჩვენსას. ისნის დარბაზიც ეს-ესაა დავასრულეთ, სამრეკლოში ზარები დავაკიდინეთ, ტაძარი ერთიანად მოვხატეთ, ლაჭყორიც* დავდგით, არ გინდა ეს ყველაფერი ნახო?

— ამას ძალიან გულუბრყვილოდ ამბობდა ასული. — არ უნდა გაეშვი მამას სხვასთან აღსაზრდელად! ძალიან ტკბილად და ბედნიერად ვცხოვრობდით და ვიცხოვრებთ კიდეც. ასე არ არის?

— ასეა, თამარ! ბედნიერებაც ისევე წამართვა მამაშენმა, როგორც ტახტი და სხვა საკუთრება. თუმცა, მოსაწევარს** ვერავინ გაექცევა, დაო... სწორად თქვი, ზარები ჩამოვაკიდინეთ, ქალაქი ავაშენეთ, დარბაზი მოვაწყვეთ, რადგან ეს ყველაფერი მხოლოდ შენთვის კეთდება და არავინ ფიქრობს დემნაზე...

უცნაური დღე იყო. მზე უკვე გორას ეფიცხებოდა და მალე სიბნელე დაისადგურებდა კვლავ. ლოდინით დაღლილი ჯარი ამაოდ ელოდა მეფის ბრძანებას. გიორგის გული უგრძნობდა, დემნა უომრად დანებდებოდა და ფარ-ხმალს დაყრიდა.

კახა ჯავახის ძე მივიდა უფლისწულთან და მოახსენა:

— ყველა ღირსებასთან ერთად მეფეს კაცობაც დაუკარგავს, რომ სათამაშოდ და გასამარჯვებლად უასაკო ქალიშვილს იყენებს. ნუ დაუჯერებ, რადგან თუ ახლა დანებდებით, არათუ ტახტს ან მის ნახევარს, არამედ სიცოცხლესაც არ გაღირსებთ. ჩემზე უკეთიცნობთ, უფლისწულო, თქვენს აღმზრდელს და გულუბრყვილოდ ნუ მიენდობით. იმიტომ გეუბნებით, გატყობთ, მალემრნმენმა გუნებამ გძლიათ და არათუ ბრძოლას, დანებებას აპირებთ.

ამ საუბარს ისმენდა დიდი გამრეკელი. მან ამოაცურა

* ლერწმით თუ წკეპლით დაწნული სახლი.

** მოსახდენი ამბავი.

ხმალი ბუდედან და სისხლში გამჯდარმა ტრადიციამ შეანუხა: თუკი ხმალს ამოიღებდა ქარქაშიდან, ის აუცილებლად უნდა გასვრილიყო სისხლით. მოაგონდა კახა ჯავახის ძის ნათქვამი, „ყველა ლირსებასთან ერთად მეფეს კაცობაც დაუკარგავს“, მსწრაფლ ეძგერა კახა ჯავახის ძეს და თავი გააგდებინა.

სისხლით შეფერადდა იქაურობა. გამრეკელმა თქვა:

– ოდითგან ასე ყოფილა! მეფე, ავითუ კარგი, ლირსეული მესაჭე თუ უღირსი გვირგვინოსანი, ერისთვის თავ-განწირული თუ ფუქსავატ-მუქთახორა, მაინც მეფეა და იმისი აუგი ვერავინ გაბედოს! ხელმწიფის ძვირადხსენება უდიდესი დანაშაულია და შენდობას ამაოდ ელის ამის მომქმედი! მართალია სამეფო კარს განვუდექ, მაგრამ იმის იმედით, ვიმედოვნებდი, ასე უფრო უმჯობესი იქნებოდა ქართლისთვის. შევცდი, ახლა კი ჩამომეცალეთ. – თქვა და პირველმა დატოვა აჯანყებულნი. მას მიჰყვნენ კვალდა-კვალ: გრიგოლ ანელი და მხარგრძელები.

აირივნენ აჯანყებულნი. ერთმანეთის ნდობა დაკარგეს და მეტად დაიბნენ. აღარ იცოდნენ, ვის მიმხრობოდნენ, – ძლევამოსილ გიორგის თუ ტაშირის ამჟამინდელ გამგებელს, – ამირსპასალარ ივანე ორბელს!..

ასაღამოვდა.

სიბნელემ დღის სინათლე გაფანტა და წკვარამში დაინ-თქა ტაშირ-ძირაგეტის სამეფო.

უკუნში ახმაურდა ბუდა ლამურებმა იწყეს ფართხალი. წყალსაც კი დაეძინებაო, რომ იტყვიან, ისე მიყუჩდა არემარე.

დემნასთან ლაზიკა გამოცხადდა.

– რა გატირებთო, – იკითხა მორჩილად.

– ვის რა მიზეზით უწყლიანდება თვალები, რას გაიგებ, ლაზიკა, – მიუგო უფლისნულმა.

ფლასშემოხვეული ლაზიკა უხმოდ იდგა, გარინდული, მზერაგაყინული.

– ნანობთ, უფლისნულო?

– ვნანობ, ლაზიკა, როგორ არ ვნანობ... მივხვდი, რომ ერთი კაცის ბედნიერების სანაცვლოდ სამეფოს დაღუპვა უმსგავსობაა. სისხლით მოპოვებული გვირგვინიც რაში მარგია, თუ იცი? ეს ყველაფერი, გულის სიღრმეში არას-დროს მდომებია. პატივმოყვარე ორბელების გამო ავჯან-ყდი!.. თანამესარეცლეც უსიყვარულოდ შემრთეს... მართ-ლაც ჩინებულად გამომიყენეს. ჩემნაირი კაცი სამეფოს ვერასდროს წარმართავს ღირსეულად. მეფეს განირვა და მოკვლა ხელაუთრთოლებლად უნდა შეეძლოს, საჭიროე-ბისას თვალსაც დასთხრის, დამნაშავეს გააძევებს, ქონე-ბას ჩამოართმევს; ასე მოიქცა პაპა დემეტრეც. «აბულე-თის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელინადსა მეფობისა მისისასა, და მეტეხთა დადვა ფიცის არ გატეხისათვს». მე ეს არც ერთი შემიძლია, ლაზიკა. შენს მუცელში მყოფსაც, თუკი ვაჟი იქნა, მეფე ამ თვისე-ბებს გადაულოცავს! უნებისყოფო არაფერში სჭირდება სამეფო კარს.

– რას აპირებთ, უფლისნულო?

– ომზე უარს ვამბობ! ძიას შევევედრები, მომიტევოს დანაშაული.

– გიორგი შეცდომას არავის პპატიობს, დემნა ბატონო, და ეს ჩემზე უკეთ, ვგონებ, თქვენ უფრო იცით.

გაუკვირდა დემნას გიორგის საყვარელი ქალისგან ნათ-ქვამი. მაში, როგორ მოვიქცე, ხომ არ მირჩევ რამესო, ამას მეტყველებდნენ მისი თვალები.

ქალი მიხვდა მავედრებელი მზერის ჩანაფიქრს და ურ-ჩია: – გაიქეცით, ვიდრე გვიანი არ არის, ბატონო.

– შენ თვითონ, თუ ასე კარგად იცნობ მეფეს და ფიქ-რობთ, რომ არც ერთ შეცდომას არ აპატიებს სულდგ-მულს, არ გეშინია, რომ მასთან რამე შეგეშალოს? თავად რატომ არ გარბიხარ სადმე?

— ეეეჱ, — ამოიხვნეშა ლაზიკამ. — როგორც ხარჭობაზე უნებართვოდ დამიყოლია, ასე მაიძულებს სხვა საქმესაც. ქალს და მით უფრო ხარჭას, სიტყვა სად ეთქმის, უფლისწულო... ჩემი ბედი და მომავალი, ბედისწერამ კი არა, მეფე გიორგიმ გამოჭედა, ისე გამოაწრთო, როგორც ქურაში მოელვარე რვალი. არსებობს ძალა, რომელთანაც შეჭიდება დროის ამაოდ ფლანგვაა. გამარჯვება ყოველთვის მართალ კაცს როდი ერგება, უმეტესწილად გავლენიანნი იმარჯვებენ. კალმახი იმით არის რჩეული, მდინარის წინააღმდეგ მხოლოდ ის ბედავს ცურვას, სხვა თევზები კი წყლის ნაკადს მისდევენ! ამ მხრივ მე სხვა მორჩილ თევზებს ვემსგავსე. ასეა, დემნა ბატონი! აღმოვაჩინე, ზოგს ბედი სულ არ სწყალობს, ზოგსაც პირიქით და მაინც უბედურია.

— ბედნიერება, სინამდვილეში, მეტისმეტი უბედურებით დაღლილი კაცის ილუზიური შთაგონების წყაროა და ის არც არასდროს ჰპოქებია კაცს თავისი არსებობის მანძილზე. ბედნიერება უმეცარსა და ბრძენს განსხვავებულად ესმის! გონიერს შენება ახალისებს, უგუნურს – ნგრევა; ჭკვიანს ეიმედება მერმისი, რისთვისაც საკუთარი თავის შეცნობას იწყებს, რათა საჭირო დროს მოხვედრის შემთხვევაში მარტივად დაანახოს საზოგადოებას, რამდენად მახვილგონიერია იგი. სულელი პირიქით, ასე ვარაუდობს, რომ ჯერ გარემო უნდა შეიცნოს, ადამიანები და სულ ბოლოს საკუთარი მე! მაგალითად, მეფისთვის ბედნიერება ტახტის შენარჩუნებაშია, ჩემთვის – გვირგვინის მოპოვებაში. ასე რთული კი არ არის ცხოვრება, ლაზიკა, უბრალოდ მას ძალით ვართულებთ ადამიანები. მარტივი არაფერი მოგვწონს, შეგნებულად ვეძიებთ სირთულეს, მიუწვდომელზე ფიქრს ვეჩვევით და ყველაზე ძნელად მისაღწევის დაძლევის შემდეგ მონაპოვარს ზედაც არ ვუყურებთ, ნადავლით უკმაყოფილო ვართ და ახლა მორიგ მსხვერპლს ვეძებთ.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სვენებ-სვენებით საუბრობდა დემნა. ლაზიკამ იფიქრა, სათქმელს მორჩია უფლისნულიო და დააყოლა:

– ბედნიერება ის არის, რაშიც თავს დამშვიდებულად იგრძნობთ, დემნა ბატონიშვილო. ბედნიერება ზოგისთვის თივის წინ დაბმული აბლავლებული ხარის მენახირობაა, სხვათათვის დამშეული პირუტყვისთვის ბალახის და წყლის დროული მიტანა!.. ბედნიერებაა თუნდაც ის აკეთო, რაც გსიამოვნებს და არა ის, რასაც იძულებით გაკეთებინებენ.

– ვითომ? – გაელიმა დემნას და მიუხვდა ქალის ფარულ ნაამბობს, აშკარად ამხელდა, რომ ორბელთა ნებაზე დაყოლილი და აჯანყებული უფლისნული ჭადრაკის ფიგურასავით იყო, რომელიც სხვათა მომავლის განსადიდებლად თავისას არც კი უფრთხილდებოდა და მერმისს პინაზე ისე ათამაშებდა, როგორ უდიირადაც შეიძლება მოექცე წარსულის ქიმერიონს. „მაშ, ის უნდა ვაკეთო, რაც მსურს?“, ნუთუ ამას ამბობს ხარჭადყოფილი დედაკაცი, რომელმაც უსაფუძღლოდ დასთმო თავისი პატიოსნება და ლირსება საფრთხობელას დაამსგავსა.

– შენ რა იცი, დედაკაცო, ვინ უფრო კმაყოფილია ამ ცხოვრებით? უმნიკვლოება ისე დაგითქერა მეფე გიორგიმ, როგორც ეტლი სრესს ხოლმე ანაზდეულად გადმომხტარ კატა-კურდლელს! – ეს ისე უხეშად გამოუვიდა დემნას, რომ ენის წვერზე იკბინა. საკმაოდ გვიანი იყო შეცდომის გამოსასწორებლად! გზააბნეულ, უნუგეშოდ მყოფ ლაზიკას გული უფრო ატკინა დაუდევრად თქმულით, მაგრამ სიმართლე ისედაც აშკარა იყო ქალისთვის.

– უთქვენოდაც ვიცი, უფლისნულო, როგორი გზა განვლე საწუთროში. დალხენილად არასდროს მიცხოვრია. არც სამეფო პალატებში გამღვიძებია ოდესმე. გლეხის ქალს მარტო მატყლის ჩეჩივას და ეზოს გვას ასწავლიან. თქვენ-

ებრ განათლება არავის მოუცია და შიმშილის დასათრგუნად ადრიდან შევუდექი ერქვანს,* ვამუშავებდი ყამირ მინას, ოფლით მომყავდა წლიური მოსავალი; სათოხარზე ყანაში ვიყავი მაშინაც, რასაკვირველია, წინსაფარშემოკრული და თავშალშემოხვეული. მაშინდა ყვავილებიანი ჩითის კაბა მეცვა, ფეხზე – ქალამანი. დასიცხული, მანდილის ბოლოთი ვიმშრალებდი ოფლს და სოფელმა რომ მნახა თავშიმველი, ხმა დაჰყარეს, მეძავი გამხდარა ნიანიას ქალიშვილიო. უმტკიცე მერე სოფელს რამდენიც გინდა, არა პატიოსანი ვარ, ნუ დამცინით, კერია არ შემირცხვენია, თმის ნაწნავი და სახე იმისთვის როდი გამოვაჩინე ჭაბუკებს გავკეკლუცებოდი!.. ცუდის დაჯერებას რა უნდა, კარგი სთქვით თქვენა თორემ... ნამტირალევი, მამის შიშით, შინ მისვლას ვერ ვბედავდი.

სწორედ იმ დღეს გადავეყარე მეფეს!.. ვევედრე, თავშესაფარი მომეცით ხელმწიფევ და შიმუნვარად დავუდგები დედოფალს-თქო. მან მითხრა: – მეფა ბურდუხანის მსახურზე გაცილებით მწყაზარი** ხარ და სამეფო კარზე შენი მიყვანით მის მზეს ჩავასვენებო.

ასეთი წესი დასჩემდა წუთისოფელს, ლვარძლიანებს კეთილთა ჯიბრზე ხანგრძლივი სიცოცხლით ასაჩუქრებს; თუ წაქცეულს დაგინახავენ – ლაფს დაგასხამენ, თუ მყარად დგახარ – ნიადაგს გამოგაცლიან. რა ჰქნას უკეთურებამ, რამეთი მაინც ხომ უნდა გაერთონ სოფლად? ახლახან მყითხეთ, რატომ არ გარბიხარ თავადო? გასაქცევი თუ არ გაქვს და არც თავშესაფარს გპირდება ვინმე, ძნელია აიბარგო და ბოგანოსავით იხეტიალო ამ ოხერ-ტიალ ქვეყანაში. ყველა გზა, ჩემგან არჩეული, მეფის კარამდე მიდის და თავს ზევით ძალა არ არის.

– ხომ არ შეეჩივე, ლაზიკა, მეფე გიორგის? ხმატკბილი

* გუთნის ქართული შესატყვისი.

** მოხდენილი, ლამაზი.

და მუსიკალურია ხელმწიფის ხმა და სირინოსივით ეგებ შენც დაგატყვევა? შენებრ გონიერი ქალი არაერთხელ იპოვიდა გამოსავალს, მაგრამ ჩანს მოგწონს ეგ სიბილნე და მეფესთან თანაყოფა.

— ისეთ რამეს მეკითხებით, უფლისნულო, რისი უფლებაც არ გაქვთ!.. ეს პირადულია და ვეჭვობ პასუხის გაცემა შევძლო. ზღვარს ცდება თქვენი ცნობისმოყვარეობა. დროის ფუჭად ფლანგვას გერჩივნოთ გადაწყვიტოთ, რა უფრო აჯობებს, დარჩეთ ორბელებთან და მეფეს შეებრძოლოთ, თუ დანებდეთ გიორგის და სამეფოზე დაილაპარაკოთ. ისე, ორბელებს თუ გაუმხელიათ შენთვის როგორ მოწამლეს მამაშენი? სანამლავი თურმე ღვინოში გაურევია ივანეს და შეზარხოშებულ დავითს აზარფეშადან დაუცლია იგი. ივანე და მეფე გიორგი გამოსავალს იპოვიან, შეთანხმებასაც მიაღწევენ, რადგან უხსოვარი დროიდან მოკავშირეები არიან! მებრალები, დემნა ბატონო, რადგან მათ თამაშს თქვენ ეწირებით, უცოდველი ულისნული, ტახტის კანონიერი მემკვიდრე და ღირსეული ბაგრატიონი. დანებდით, დემნა ბატონო, მეფეს, ხომ იცით ყრმანული არ ჰყავს და არც მე ვუშობ მემკვიდრეს. ვაჟიც რომ იყოს, ხარჭის ნამშობს, ეკლესია მაინც არ გაამეფებს. შეურიგდით მას, სისხლი რატომ უნდა დაღვაროთ იმისთვის, რისი მოგვარება მშვიდობიანადაც შეიძლება?

ჭკუაში დაუჯდა უფლისნულს ლაზიკას ნათქვამი. ჯერ მეფეს პატიებას სთხოვდა, მერე ეკლესიას ჩარევდა ტახტის დაბრუნებაში. ოღონდ ჯარი არ გაეულიტა და მზად იყო ყველანაირ დათმობაზე ნასულიყო.

— რისთვის ავჯანყდი? რა მეგონა, სისხლდაუღვრულად ლანგრით მომართმევდნენ სამეფო რეგალიებს? კახა ჯავახის ძე მოაგონდა, მისი ტრაგიკული აღსასრული; აქაც დაიდანაშაულა თავი.

შუაღამეზე ერთი-ორჯერ თამარის აცრემლებული

პირსახე მოეჩვენა, ასული და-ძმური სიყვარულით კვლავ სთხოვდა სრაში დაპრუნებას.

საბელი მოძებნა. ერთი თავი მაგრად გამოკვანძა, შეამოწმა თუ გაუძლებდა სიმძიმეს და მალულად გად-მოიპარა ლორეს ციხიდან. ფრთხილობდა, რადგან მისი გაპარვა ივანეს არ უნდა შეემჩნია.

ბანაკ-ბანაკ ეძებდა მეფის ასულს. ხელმოცარული ბი-ძას შეეფეთა, მზერა ვერ გაუსწორა გიორგის და თავჩაქინ-დრულმა აღმოუტევა: – მომიტევეთ, მეფეო. თვალისჩინი დავკარგე და გონდაბინდულმა უარგყავით. მზად ხართ, ისევ მორჩილ ძმისწულად მიმიღოთ?

– რ-ა-ს-ა-კ-ვ-ი-რ-ვ-ე-ლ-ი-ა, – დამარცვლა მეფემ. – ისეთი ვერაგი და მოსისხარი* არ ვარ ძმისწულო, ხალხს და შენ რომ გვონია. უფრო მეტი პატივით მოგეკიდები, რადგან ძმათა შორის ომი ამაცილე და სისხლიანი ამბის მოწმე არ გამხადე ჩემს სიცოცხლეში. ასე რომ, მიპატივე-ბია დანაშაული შენი...

გიორგიმ ეშმაკურად გაიცინა, იყო მასში ნამდვილად ფარისევლურიც. სასწრაფოდ ჯარის სარდალი იხმო, რომელსაც უთხრა: – ალიონზე, ამბავი გაავრცელეთ მეომ-რებში, მთავარი შეთქმული – დემნა დაგვნებდა, იარაღი დაჰყარა და «უამნი არიან მშვდობისანი». ჭკვას უხმოს ივ-ანემაც, თუ კვლავ ამირსპასალარობა სურს! დროს ვუყოფ შუადღემდის, აჯობებს დამითმოს ლორეს ციხე.

ყუბასარიც დაიბარა და რქუა: – რანამს ხელთ ვიგდებ ორბელს, დაპირებისამებრ, ჯარის მთავარსარდლობას გადმოგილოცავ.

– და რას უპირებთ ივანეს?

– მოვიფიქრებ, ყივჩაყო! დრო წინ გვიძევს...

* სისხლის ამლები.

* * *

ზვიადი კაცი იყო ივანე ორბელი, გაუჭირდებოდა დემნა უფლისნულივით ფეხებში ჩავარდნოდა მეფეს და ემუდა-რა: – სიცოცხლე შემინარჩუნე, მე მხცოვანს და შემინდე ორგულობა და ღალატი.

გაცეცხლებული ცოფს ჰყურიდა, დემნაზე ბრაზი მოს-დიოდა და ვაჟკაცობას უწუნებდა სიძეს.

ივანეს ასული ღანკვებს იკანრავდა:

–რა ადრე დასრულდა მამა ჩემი ბედნიერება, არა-და რა ძლიერ მოვიხდინე დედოფლობა. ხომ ვამბობდი, სომხეთს მიმათხოვე, ასე უმჯობესი იქნება-მეთქი. ახლა კი მოწმე ხარ იმისა, როგორ გააუბედურე და დააჭკნე საკუთარი ქალიშვილი. მარწმუნებდი, მამებმა ქალიშ-ვილების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული იციან და უკეთ ვიცი, რა უმჯობესია შენთვისო! შეცდი! მო-ტყუვდი! ყალბი და ფარსი გამოდგა აგარის ციხის ცერე-მონიალი. შენგან გამეფებულ დემნას ისევ ჩვენ თუ ვცნობთ, სახლეული, თორემ სხვას არავის სწამს მისი მეფობის. რა მიქენი უბედურო მოხუცო, რისთვის გამა-ჩინე, თუ ასე ბედის დასაცინს გამხდიდი!.. შევარცხვინე შენი ვაჭრული სული, ბერიკაცო! საანგარიშო გოდორით როგორ ცუდად დაიანგარიშე, რა უფრო სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვის. ამირსპასალარობა არ გეყო? ან რა გაეგებოდა ომის? მეფის ლაშქარზე სამჯერ მეტი მაინც გყავდა და მაინც დამარცხდი? ნუ დამარწმუნებ, ვითომ დემნას მამის ანდერძის შესრულებას ითხოვდი და ან-გარებით არაფერს აკეთებდი. ამ ბილნ-ჰამბავს დემნა დაიჯერებს, მე არ მწამს ამგავრი სიცრუის. წადი, მოხუ-ცო! რას უცდი, დროზე ამბორ-ჰყავ მეფის მუხლები. მსახურად გშობა განგებამ და ამაზე მეტი არც გინერია. მსახურებს კი ევალებათ მეფის საამოდ თავდახრილებმა იარონ და ყოველი ბრძანება უკლებლივ შეასრულონ!

ვიცი, გიჭირს პატიება ითხოვო, შენ ხომ შენი სიამაყე განგრევდა მუდამ და ამ სიამაყეს შეენირე. უმწეოდ დარჩენილ დიდ ივანეს, წარმოიდგინეთ რა დილა გაუთენდა... აჲ, ჲა, ჲა... – ფარისევლურად, მოჩვენებითი სიხარულით გაიცინა ივანეს ასულმა და იმის ყრუ ქირქირი ექოდ მოედო ლორეს.

– ასეა, ასე! უმეცარი ვყოფილვარ, რომ შენი ბედნიერების სანაცვლოდ ავჯანყდი, დინარა. როდის ყოფილა ლორი ფეხევეშ მოფენილი მარგალიტის ბრჭყვიალებას გაეკვირვებინოს? «აჲა, მოვიდა უამი და მოდის კიდეც, როცა ყველა სათითაოდ გაიფანტება. მე დამტოვებთ, მაგრამ მე არ ვარ მარტო! ვინაიდან მამაა ჩემთან... ეს მიტომ გითხარით, რომ მშვიდობა გქონდეთ... წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით; მე ვძლიერულს».

– მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს ესე ყოველი, მამაჩემო!.. შენ არ იყავი კერპებს რომ თაყვან ეგებოდი? როგორ არ იცოდი, დიდო ორბელო, კერპები იმსხვევიან და შენც მათებრ განადგურდებოდი. როგორ ამბობდი? მე არმაზის სალოცავი ვარ, უფალო, ქარტეხილებისგან დაფშვნილი და გაცამტვერებული.

სიბერეში ორგულობა და მუხთლობა დაგჩემდა. საკუთარი თავის დაღუპვა არ იკმარე და ასულიც ჩაითრიე მორევში. მეფემ თუ მხრებზე თავი შეგარჩინა, მარტოკაცობა მოგელის უკანასკნელ დღემდე. ორბელთა გვარს გადაშენება უწერია, მამაჩემო.

– წყეულო!.. ჯერ კიდევ შენს შობამდე მიწინასწარმეტყველეს, რომ დინარის* მოყვარული იქნებოდი, ამიტომ

* ძვ. არაბული ოქროს მონეტა. თავდაპირველად ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ოქროს მონეტის ასლი იყო. ხალიფა აბდ-ალ-მალქის სამონეტო რეფორმის (695-697) შემდეგ მან სახე იცვალა და მუსლიმური იერი მიიღო. VII ს. ბოლოსათვის დინარის წონა იყო 4,25 გრ.

სახელზე დიდად არ მიფიქრია, – დინარა გინოდე. ძღვენის მოყვარული იყავ და ომიდან დაბრუნებული ჭრილობას კი არ მისინჯავდი, „რა მომიტანეს“ მეტყველი თვალებით ხელებში შემციცინებდი. ძონის, იაგუნდის, გიშრის და ფირუზის ქვებს იწუნებდი; ალმასს, ლალს და ბრილიანტს შეჰქაროდი.

დემნა ალსაზრდელად რომ მოვიყვანე, მისაყვედურე, რამ გაფიქრებინა მხოლოდშობილი ასულის გვერდით ვა-ჟის დაბინავება, ხალხის საქილიკო რად ჰქმენიო, მოკლე ხანში კი ნიშნობის დღეც დამათქმევინე. ასეთი წესი გაქვთ ადამიანებს, ჯერ უჩიჩინებთ, თქვენთვის სასურველს აკეთებინებთ, აჯანყებას აიძულებთ, მარცხის შემდეგ კი საყვედურობთ, რა გებრძოლებოდაო!.. გულქვა ყოფილხარ, ასულო... სიბრალულის არრა გცოდნია თურმე. წადი! თვალად არ დამენახო. შვილებს მამები მანამ გიყვართ, ვი-დრე მკლავში ძალა გვერჩის და პატივისცემა ხელგვეწიფება! მოხუცის, ბერიკაცის გრძნობებს კი არავინ უფრთხილდება. უფრო სათნო და კეთილი მეგონე! შენ კი ანგარებით გიცხოვრია ამ ხნის მანძილზე ორბელებთან...

მერე ფიქრს მიეცა ივანე. იქნებ სამეფოს გაყოფა მოვთხოვ მეფეს კვლავინდებურადო, მაგრამ მეფისგან შემოთვლილი გაახსენდა:

– «ყოველი სამეფო, თავის თავის წინააღმდეგ დაყოფილი, გაუდაბურდება, და ყოველი ქალაქი ან სახლი, რომელიც დაიყოფა თავის თავის წინააღმდეგ, ვერ გაძლებს». * ეს იმას ნიშნავდა, რომ მეფე სამეფოს გაყოფაზე უარს აცხადებდა. გიორგი გაერთიანების იდეით იყო შეპყრობილი და ქვეყნის დანაწევრებას არ შეეგუებოდა.

– „ხმალი დაყარე, დიდო ივანე!“ – უთხრა სულის ექომ, რომელიც შემოიჭრა მასში და დასცინა: – „მრავალ ომში

* მარკოზი, 3,24; ლუკა, 11, 17.

სახელგანთქმულო, გმირო, ახლა წრუნუნასავით უნდა გაიქცე ლორედან? როგორ აჯობებს, მუხლი მოუყარო თუ უბრალოდ თავი ჩაქინდრო დამნაშავე ბავშვივით?“ მაშა-სადამე, ამირსპასალარმა ხმალი უნდა შეიხსნას წელიდან და დაყაროს ჯარის წინაშე? ს-ი-რ-ც-ხ-ვ-ი-ლ-ი ივანეს, შესაბრალისი გახდა მთელი მისი მოდგმა.

ბარბაცით ჩამოიარა ციხის კედლიდან, ქართულ ჯარ-თან მივიდა, სინანულით გადახედა მათ, ყველას მამო-ბრივი სიყვარულით უმზერდა. მთელი ცხოვრება ამ ჯა-რისთვის მიეძღვნა; თავდაპირველად მათ მხარდამხარ იბრძოდა, აბჯრისმტვირთველიც იყო ოდესლაც, მედ-როშეც, მხედართუფროსიც, ბოლოს სპასალარი გახდა. მათთან შიმშილიც გამოუცდია, დაჭრილიც ყოფილა, პურობაც გაუმართავს, გამარჯვებაც უზეიმია; ის ვინც ჯარს ბრძოლისკენ მოუწოდებდა დღეს გაიძახის:

— გნებდები, შენ გაიმარჯვე მეფევ! ნება შენია, ისე მვ-ნებ, როგორც მოგესურვება. მაგრამ გაიხსენე, არაერთი გამარჯვება მოგაპოვებინე და მოხუცს ნუ გამამწარებ.

— როგორ აბეჩავებს კაცს გასაჭირი, — გასცრა ამის შემხედვარე გიორგის. — მე ასეთ დამცირებულ და სა-სონარკვეთილ ივანე ორბელს არასდროს ვიცნობდი. დაგლახავებულა, რანამს სამეფო კარისთვის ზურგი შეუქცევია. ჰმ, სახელოვანმა გმირმა როგორ უომ-რად მოიმტვრია ფეხი ამ ერთი ციდა ციხეში! ლორეში განცდილმა მარცხმა დათრგუნა მხცოვანი ორბელი, დააჩიავა და სასო წარუკვეთა.

გულმხიარულები დაბრუნდნენ ტფილისს. ქორონი-კონი იყო 1177 წლის მიწურული. გამარჯვებულ მეფე გიორგის შეყრილი სამღვდელოება, «ყოველნი სამე-ფოისა ჩუენისა მონაზონნი და ეპისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათოლიკონი, მოძღუარნი და ყოველნი მეუდაბ-ნოენი» დაუხვდა და აიძულეს:

– «ყოველსა ბეგარისაგან» გაანთავისუფლე ორთო-დოქსული ეკლესია და დაგვიმტკიცე შეუვალობა, რო-მელიც ეს-ესაა გაგვიუქმეთ; თქვენ 1170 წლის სიგელით შიომღვიმის მონასტერს განუახლეთ ძველი შენირულო-ბები, თუმცა სამ სოფელს – რუეთელთ, შიოსუბნელთ და ჩიქუნურელთ ხელმწიფის სასარგებლოდ შრომა დააკის-რეთ. ეკლესია ერს მწყემსავს, მართებულ გზაზე აყენებს, რა დროსაც ათასგვარ გამოცდას გადის ბერ-მონაზენო-ბა, ამიტომ უკანონოა კიდევ ერთი გასაჭირი შევამთხ-ვიოთ სამღვდელოებას და ისეთი მძიმე გადასახადები დავუწესოთ, რომლის დაფარვას ადგილობრივნი ვერას-დიდებით შესძლებენ!

ეკლესიას ძალაუფლებაც გააჩნდა და ხალხიც ბრ-მად ენდობოდა მათ გადაწყვეტილებას. ისლა დარჩენო-და მეფეს ეღიარებინა ეკლესის დამოუკიდებლობა და ხელშეუხებლობა დაედასტურებინა.

საბოლოოდ გაუქმდა მიწის გადასახადი ეკლესია-მო-ნასტრებისთვის. მეფემ პირობის წიგნი დააწერინა, რომ მის სიცოცხლეში ბეგარისგან ათავისუფლებდა ტაძრებს და სასულიერო პირებს.

ყუბასარს კი მეფემ გადაუჩურჩულა:

– ქართველს გონიერება საკმარისზე მეტად არგუნა განგებამ. მოთმინებაც უხვად გვეწყალობა ეტყობა, რადგან ხელსაყრელ დროს წლები ვუცდით ხოლმე, რომ ისეთ დროს ჩავცეთ მეტოქეს მახვილი, როცა ყველაზე ნაკლებად მოელის ამას. ჩინებულად გამოგვდის ჟამის კაცობა. ჩემი ტფილის არყოფნისას შემიორგულდა ძმისწული, ორბელები, დაბოლოს ეკლესიაც. მაგრამ ასეა, დათმობა და უკანდახევა უნდა შეგეძლოს, თუ ეს აუცილებელი არის.. დღეს ვთმობ ხვალინდელი გამარ-ჯვების სანაცვლოდ!.. იცი ყველაზე დიდი უბედურება რა არის ჩვენში? ერთმანეთის ჯიბრით ვცხოვრობთ და

ხათრი დაგვავინყდა. ადამიანურია ეგეც...

მხეცთა სისხლი მწყურიაო მეფემ და ბაზიერს დააბარა, – სანადიროდ მივეშურები და მყის მოემზადენით, ხომ იცით ლოდინი მძაგს!



Հ Յ Ա Ր Յ Ո
ՅԵՍԱՔԵ

„კლდეკარის ციხეში ჩაკეტილ დემნას ჯადათები მიადგნენ. ერთმა თვალები დაუშრიტა, მეორემ ლაჯებში დანადაადო და დაასაჭურისა. დემნა ჭკუაზე შეცდა. დიდხანს აღარ უცოცხლია. უფრორე სირცხვილით სიმძიმილმა მოიხელა ზრო-შვენიერი ჭაბუკი. გელათის სამეფო საგო-დებული არ აღირსეს და მცხეთას დაფლუს ცხედარი“.

ლ. სანიკიძე

ნადირობისას სიმკვირცხლეს და მარჯვე სროლას ეუფლებოდა გიორგი, ამადაც სალაშქრო ვარჯიშობას ყოველკვირა მართავდა მეფე. სამზადისი საგანგებო მოხელეს ებარა, – მონადირეთუხუცესა. მას ევალებოდა ძალლების გამოკვება, შესაფერისად გაწრთვნა; «ესენი გიორგობას კარზედ მოვლენ და თევდორობამდის კარზედ არიან. რაზომიც დაიკლვის, ერთისაგან კიდე, ყველასა შიგან[ი] მონადირეთ არის ძალლთა სახარშოსა, ტყავი მათი. გაშვებისა უამსა სამ-სამი თეთრი მართებს, ჭორციელისა კვირიაკესა ექვსი ტყ[ა]ვი. თევდორობის მეორე დღეს ძალლთ დასწერენ. და რომელიც მწიგნობარი დასწერს, ოთხსა ანუ სამს ძალლსა მეფისად გარდააყენებს».*

მეჯინიბეთუხუცესს ხევსურა სანადიროდ მოეკაზმა. სხვანიც მზად იყვნენ წასასვლელად.

ვერ ვიტყვი, რომ ნადირობა არ უყვარდა გიორგის-მეთქი. ისე ლალად დაედევნებოდა ხოლმე დაჭრილ არჩეს, ორმოც წელს მიტანებული მეფე, გეგონებოდა ჭაბუკობის ასაკში არისო კვლავინდებურად.

უცაბედად ხედავს სასახლედან მოხუჯი ჯაყა ქლოშინით გამორბის. ყივჩაყს სახეზე თითბრისფერი** ადევს, გზად ერთი-ორჯერაც წაბორძიკდა და მოსასულიერებელი შეიქნა.

* ქართველი ერის ისტორია - ტ. 5, ნაწილი 13.

** ბუნებით ყვითელი სპილენძი.

— ლაზიკა გიხმობს, გიორგუნა, [ასე მიმართავდა გიორგის], საჩქაროდ წამომყევი, საცაა იგი მოილოგინებს.

— როგორ ფიქრობ, ჯაყა, ვაჟს შობს დიაცი? — მეფე ტუჩებს აცმაცუნებდა და უზიმოდ ღელავდა.

ჯაყა ჭკვიანი ქალი იყო, მას შეეძლო მარტივად გამოეცნო მომავალი ჩვილის სქესი. გაახსენდა ყუბასარისთვის მიცემული პირობა: „ჯაყა თავისუფალია, ყივჩაყო! რაც ღმერთმა თავისუფალი დაბადა, მას ადამიანები ვერასგზით შეზღუდავენ. წინ ერთი მნიშვნელოვანი საქმე მიძევს. ჯაყას მახვილი თვალი და გამოცდილება მესაჭიროება და როგორც კი მოვაგვარებ, ჩემი ხელით გავაგზავნი ყივჩაყეთს“. დიახ, მოხუცი უნდა დახმარებოდა ლაზიკას ჩვილის დაბადებაში.

— მისი მუცლის მოყვანილობა მაფიქრებინებს, რომ ქალს შობს, შვილო, გიორგი. მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ჭიბლარი ჩამოზნექილი არ აქვს, არც მუცელია წაწვეტებული; განიერი ხდება დღითი დღე, ამიტომ მგონია, რომ ასულს დაბადებს. ბევრ ქალს მოულოგინებია და არასდროს შევმცდარვარ. ღმერთმა ჰქინას, არასწორი ვიყო და მოხუცს გამიმტყუნდეს ალლო!

— ღმერთმა ინებოს, შენ განდობ ყივჩაყო ამ საქმეს!

ჯაყამ ხელსაწმენდი და სუფთა ნაჭრები შეიტანა, დამხმარედ მსახური შეიყვანა და მოსალოგინებელს კბილებშუა მსხვილი ჯოხი გასჩრა. უშველებელ მუცელზე ხელები გადააჭდო და დანის პირით შემოაჭრა ტანსამოსი. გაშიშვლებული ლაზიკა მორჩილად იწვა ლოგინზე და შიგადაშიგ, კრუნჩხვებით შეწუხებული, ნალივით იკუნტებოდა. ტკივილის მოსამატებლად რაღაც წამალი შეაძლია ჯაყამ.

„ბედად გავგზავნე ბურდუხანი და თამარი ისანს“, — ფიქრობდა გიორგი და დარბაზში ბოლთას სცემდა. მოუსვენრობა შეეტყო, სულმოუთქმელი ელოდა შვილის დაბადებას. — ვაჟი თუ ქალი? ვაჟი თუ ქალი?

ჩვილის ტირილი გაისმა. მეფემ ფეხი ვერ მოიცვალა, ადგილიდან ვერაფრით დაიძრა და სუნთქვაშეკრული ხარების მომლოდინე გაირინდა.

ბოლოს, ვერ მოითმინა და თავზე წაადგა ჯაყას, რომელიც ახალშობილს ჭიპლარს ჭრიდა.

– ცნობისმოყვარეობა მომერია, დიდედავ!

შიმუნვარი სისხლიან სამართებელს წმენდდა და გასვრილ ხელსახოცს რეცხავდა.

მეფე გიორგი სულ ახლოს მიიწია საწესო შესამოსელში გახვეულ ყრმასთან, ფეხებშორის დახედა, სარცხვენელს უნებურად მოარიდა მზერა და დამწუხრებული მიბრუნდა.

ლაზიკას დედობით განცდილი სიხარული გადაავიწყდა, ალმაცერად გახედა მეფეს და უსაყვედურა – ჯერაც არ შეხებიხარ შვილს და უკვე როგორ მოახერხე მისი შეძულება, განა თამარიც ასული არ არის, გიორგი?

– ასულია, მაგრამ ასეთი გრძნობა მისი დაბადებისას როდი დამმუფლებია.

იქვე მდგომ ჯაყას კი გადაუჩურჩულა:

– ეს ყოფილა ბედი ჩემი, დიდედა ჯაყა. – და ტახტისკენ გასწია.

თან მოესმა ლაზური წყევლა:

– ქდოქი მოწკიმეი, თრანგიქ ჩქიმისთეი ღეთიგი დოგიტალას! კოლო-კობოს მოჭკოდა, პოტე ვა გოგოჭკოდა!*

* * *

მდივნის ჩანაწერებიდან:

იერუსალიმს, მოკლე ხნით, სასულიერო აკადემიაში ვიყავი თეოლოგიის და ფილოსოფიის შესასწავლად, როცა მამცნეს ფრიად გასახარელი ამბავი: – მეფე გიორგი თა-

* ფესვამოგდებულო, ღმერთმა ჩემსავით უპატრონო ობლად დაგტოვოს; სიმწარე განახოს და ჩემი თავი არ დაგავიწყოს!

ვის ცხოვრებაზე წიგნის დაწერას აპირებს და კარგ გასამრჯელოსაც იძლევაო.

ჩემი გვარიშვილობის წყალობით ყოველთვის მდიდრულად ვცხოვრობდი, სიღარიბეს და შიმშილს არასდროს შევუწუხებივარ! სახელი და დიდება არ მაკლდა; მოწინებით და რიდით მეპყრობოდნენ ჩემს ქვეყანაში, ვიდრე იქ ვცხოვრობდი. ეამაყებოდათ ჩემით და მესმოდა ჭორები, რომელთა მოსმენა მაინც მსიამოვნებდა. მაგალითად: განათლება ათენში მიიღო, იმდენივე ენაზე მეტყველებს, რამდენი დამწერლობაც არის; თვით რომის პაპს მიუწვევია მრჩეველად, მაგრამ კათოლიკე არ გამხდარა და წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, მრჩევლად სხვა კაცი დაუნიშნავთ!

ძალიან კარგად ვიცოდი, რაც მახარებდა. თითქმის ყველაფრის მნახველი ვიყავ! გამოცდილება არ მაკლდა, მაგრამ მეფეთა ცხოვრების დასაწერად, პირველ ყოვლისა, სასახლეში ცხოვრება მესაჭიროებოდა. ალბათ ჩემსავით გაინტერესებთ როგორ ცხოვრობს ქართველი მეფე.

ევროპა, რომ იტყვიან, სულ ფეხით მქონდა მოვლილი. სიმდიდრე, ოქრო-ვერცხლი, ძვირფასეულობა და ფუფუნება თვალისთვის სანახაობად კი არა, ყოველდღიურობად მექცა. სადაც მივდიოდი, რომის ბერ-მონაზვნებთან თუ საფრანგეთის მეფესთან, ყველგან ერთიმეორეზე უმჯობესი პირობები მხვდებოდა. ტფილისი ნაადრევ ასაკში დავტოვე. იქაურობის თითქმის არაფერი გამეგებოდა და წარმოდგენას მხოლოდ წყაროებში ამოკითხულით ვიქმნიდი.

მეფის ცხოვრების აღწერა არცთუ ადვილი იქნებოდა, მით უფრო, რომ დამკვეთი თავად გიორგი იყო! ის უნდა ჩამეწერა წიგნში, რასაც მიკარნახებდნენ.

სამეფოს ოცდაექვსი მწიგნობარი ჰყავდა. ისინი წვრილად წერდნენ, რა ეცვა მეფეს ვაზირობისას, ვინ ესწრებოდა ორშაბათობით სააჯო კარს, რა საქმეს განიხილავდნენ

სასამართლოზე, რას განაჩენდნენ, პურობისას ვინ ეჯდა მეფე-დედოფალს, მეღვინეს სადაური ღვინო შემოჰქონდა და სხვა. ზოგჯერ ასე დაწვრილმანება მათ ნაწერს მოსაწყენს ხდიდა.

ვიცოდი, მწერალი ქურაში გავარვარებულ ლითონს ჰგავს; რაც მეტად აკვესებ მუგუზალს და ახურებ ქურას, მით მტკიცნეულად და მართლად აუღერებს. ამბავი რომ ნათლად გადმომეცა, გულით სუფთა უნდა ვყოფილყავი. მე ის უნდა მეწერა, რასაც თავად ვნახავდი და განვიცდიდი, თუმცა გაჯიქებაც არ ივარგებდა. მეფე თუ ურჩიბას შემატყობდა, სამაგალითოდ დამსჯიდა. ამიტომ ორ ენაზე ვწერდი წიგნს; რასაც მეფე მკარნახობდა – ქართულად, დანარჩენს სხვათა ენებზე.

სასახლეში რომ მივედი, მესტუმრე დამხვდა. ჩინებულად გამიმასპინძლდა და გიორგის დავალებით პალატები მაჩვენა. ვიმედოვნებდი, მეფის ოთახი მაინც იქნებოდა შედარებით მდიდრულად მოწყობილი. ამირეჯიბმა და მესაწოლეებმა კარი გამიღეს და რეტი დამესხა. მსგავს სიღარიბეში, არათუ საქართველოს მეფეს, მეც კი არ მეცხოვრა. „კარგ გასამრჯელოს იხდიან, არა? რის გადახდა უნდა შესძლოს ამ ღატაკმა მეფემ“ – ვიფიქრედა ცოტათი ვინანე ასე დაუფიქრებლად რომ დავთანხმდი მეფის წინადადებას.

მიწურში ცხოვრობდა მეფეთ მეფე გიორგი III. ნესტის სუნი იგრძნობოდა შესასვლელში. საძინებელზე მუთაქა იდო. ხის ამაღლებული ლოგინი იდგა, მაღალი თავით, რომელზეც რაღაც უცნაური ფიგურები იყო ამოკვეთილი. ლოგინს ქვეშ ხალიჩა ეფინა, კედელზე კი რომელიაც წმინდანი გამოესახათ. სიცივემ შემაწუხა და ფეხის წვერიც მომეყინა.

- მეფის სამოსი მიჩვენეთ, – დავავალე მსახურთ.
- რაც ტანთ ეცვა, იმ ბისონის და პალიკარტის გარდა ერ-

თი კაბა შეიკერა. ბოლო ხანებში აიჩემა, როცა მივიცვლები და გააპატიოსნებენ ჩემს გვაძს, ის სამოსი ჩამაცვითო.

რომ ვნახე მეწყინა, ნუთუ ასე მდარე გემოვნება აქვს მეფეს, ან იქნებ უბრალო კაცია და იმიტომ იცვამს ვერცხლის სალამასურს?

სეფე-პირთ სერობა* ღამე შემოგვესწრო. სამხარზეც ვერ გავტეხეთ პური და ძლიერ მომშიებოდა.

საფარეშოდან კერასი** მოიტანეს და ვაზირთა წინ დადვეს. მეტყავემ და მეჭურჭლემ, რაკი საკმარისი ქონი არ იყო, სელის ზეთიც მოიღეს.

წესი იყო, მნიგნობრები ნაწერებს უზიარებდნენ ერთმანეთს, ჩემს მარჯვნივ მჯდომმა კი მითხრა, პურობის წესზე ამგვარად დავწერე წუხელის: «მაშხალი ექვსი თუ ათამდისცა უნდა ტარგ[რ]ძელი, თვითოს მემაშხალეს აქვს და კალათით ალყა ძირსა უდგს და ბოძალი შეშა აქვს და თვითოს ჩასდებს, ვითარცა დაიწვას».

რომ დავაკვირდი მემაშხალეთ, წიგნში დაწერილის დარად იქცეოდნენ.

მეფეს უხასიათობა შევატყვე; ვიფიქრე, ვკითხავ კიდეც მიზეზს-მეთქი, მაგრამ სხვა მნიგნობარმა შემახსენა: – უუმური ბუნება აქვს, შეკითხვებს ყოველთვის თავად სვავს, მარტო მაშინ იმეტყველე, როცა ამას განიშნებს. ხელზე რომ გიმრის ბეჭედი აქვს, ხედავთ, ალბათ. საუბრის დაწყების ნიშნად იმ ბეჭედს მარცხენა საჩვენებელი თითით შეეხება, თავს იმას დაუკრავს, ვისაც სიტყვას აძლევს; გასაგებია?

– მაშასადამე, მეფეს ხელებში უნდა ვუყუროთ? ეს რა წესია! – შევჭიოთდი.

– მსახურმა ბატონს ხელებში უნდა უყუროს, რომ ის

* მიმწუხრი ჭამადი.

** წვრილი შანდალი.

აკეთოს, რაც ხელისუფალს ეამება.

ადამიანი ბუნებით თავისუფალი შვა ღმიერთმა და იმ მოხსენების წაკითხვა მომინდა, აკადემიაში ბერისგან რომ მოვისმინე; ვკითხე ახლა ხელმარცხნივ მჯდომ საწოლის მწიგნობარს, გვარად ინასარიძეს:

— გსმენიათ რამე თავისუფლების შესახებ? ან სად არის ზღვარი მასა და ტყვეობას შორის?

— მე ის ვიცი, რომ უფლებრივად ზემდგომი ვარ ყმა-გლეხებზე, მაგრამ მორჩილი მეფე-ვაზირების. აბსოლი-ტური თავისუფლება მეფესაც არ აქვს! ომში ამირსპასა-ლარს მორჩილობს, პირად ცხოვრებაში – სამღვდელოებას! შეეგუეთ, როგორმე მიეჩივით, ეს საქართველოა და არა იერუსალიმი, რომი ან ბიზანტია.

— დიალ, რასაკვირველია შევეგუები, მაგამ არ შეიძლება მათგან გადმოვიღოთ ის, რაც სასარგებლოა?

— სახელდობრ? — ჩამაცივდა მწიგნობარი. — რაში მი-ვბაძოთ, ბიძისწულთა შორის ქორწინებაში ან მსოფლიო ხალხთა გაძარცვაში ხომ არა, რომელნიც მილიონობით ადამიანებს აუბედურებენ, ხრწნიან, ოღონდ მათ კეთილ-დღეობას და პირად ბედნიერებას ჩინებულად ეპატრონონ, არაფერი დააკლონ!.. მე თუ მკითხავთ, ჩვენ ვართ სამაგა-ლითონი და მოძღვრება არავისი გვჭირდება.

— გეთანხმებით, თუმცა იქაური მსახური მეფე გიორგიზე უმჯობესად ცხოვრობს. სამართალია ეგა? — ვჯავრობდი.

— უსამართლობას რაში ხედავთ? ჩვენი მეფე ხარბი რო-დია, მას იმდენი ფული აქვს, რამდენიც სჭირდება, ხოლო იმდენი ესაჭიროება, რამდენსაც იმყოფინებს. ხელმწიფეს სრას ზეაღმატებით მოწყობას ერთი საყდრის აგება ურ-ჩევნია. რომელ ქვეყანაში არის იმაზე მეტი ეკლესია-მონა-სტერი, ვიდრე ჩვენსას?

ყველა ქალაქი გავიხსენე, სადაც ვიყავი ნამყოფი და მინ-დოდა რომელიმე დამესახელებინა, მაგრამ ამაოდ. თავი

დავხარე და მივუგე:

– სწორი ბრძანდებით.

ტაბაკთან ვისხედით და ვახშმად მწვადს უნდა შევქცეოდით. რაღა შექცევა ერქვა ამას, ძნელად მოსანელებელ ლორის ხორცს თუ დავაგემოვნებდით, რომელიც ბარქაშზე* დაეყარათ.

– ვახშმისთვის შეუფერებელი არ არის ეს ჭამადი? ლორი ხომ მავნებელია სტომაქისთვის? – ვიკითხე და ფეშუმზე** დალაგებულ ხილს მივწვდი.

– სასარგებლო რად არის? – კითხვითვე მომიგო ინასარიძემ.

– ზღვის პროდუქტი, წყალმცენარეები, ბოსტნეული, თევზი...

– იმ რაოდენობით არ მოვეპოვება, მთელს ქვეყანას ეყოს.

– სხვაგანაც აგრეა, მაგრამ მეფისთვის ერთი ულუფა მუდამ მოიძებნება. არც აქ გაჭირდება განსხვავებულად ხელმწიფის დაპურება.

– ჩვენი მეფე იმას სჭამს, რასაც საზოგადოდ – ერისკაცობა. გიორგიმ მძვინვარე ლომივით დაიღრინა:

– სიჩუმე იყოს! სუფრას გვიკურთხებს მოძღვარი.

– «პურსა ამას, რომელსა განვსტეხთ, ზიარება არს ქრისტეს ჭორცისა, ხოლო ღვინოდ – სისხლი უფლისა ჩვენისა. ჰოი, უფალო იესო, ღმერთო ჩუენო, აკურთხე ესე საჭმელი და სასმელი ჩუენი შენ მიერ მოცემული, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისააჭთა და ყოველთა წმიდათა შენთათა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნისამდე, ამინ»

დავამოწმეთ: «სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ამინ»

მოძღვარმა ტრაპეზს ჯვარი გარდასახა.

* მოღრმო თევზი.

** იგივე ბარქაში.

წესისამებრ, «საღამოს მეღვინე ფანჯას მომცროს მიიღებს მყინვარიანითა ჭურჭლითა ანუ ტაბაკითა, ზედა მყინვარსა დაჲყრის და წელთა მანდილი აქვს ბალდადისა», პირველ სადღეგრძელოდ მეფისგან ითქვა:

- დიდება უფალს, მშვიდობა ერს!
- გიორგიმ მერმე მკითხა:
- საიდანაც მოხველ, იქ როგორლა ამბობენ სადღეგრძელოს?

– პირველად იმპერატორს ლოცავენ, მერე ტაძრეულს, სულ ბოლოს ღმერთს ადიდებენ.

– სადღეგრძელოების ისევე არ გაეგებათ არაფერი, როგორც ღვინისა! უფალი სამყაროს მეუფეა და მარადიული განმგებელია იმ ყველაფრისა, რასაც ჩვენ მეფეები, იძლლის შემთხვევაში, სამ ან ოთხ ათეულ წელს რომ განვაგებთ. ვფიქრობ, უპირველესად უფალი უნდა ადიდოს კაცმა. – სხვას რას იტყვი? კეთილმოწყობილია იქაური ქალაქი? მჭიდროდ სახლობენ თუ შორიშორს? საირიგაციო სისტემა თუ უვარგათ? საპირფარეშოები სად აქვთ, ან ქუჩებს თუ გვავენ?

მეფეს ყველაფერი აინტერესებდა. იმდენ რამეს მეკითხებოდა ერთბაშად, რომ მიჭირდა პასუხის გაცემა.

– ქალაქი მჭიდროდ დასახლებულია, წელიწადში ორჯერ დემოგრაფიულ აღწერას აკეთებინებს იმპერატორი. მათი მთავარი საქმე ვაჭრობაა. სოფლის მეურნეობა უმეტესწილად განვითარებულია ქალაქებით. საირიგაციო სისტემით, ვიცი ქართლი სახელგანთქმულია და არა მგონია, რითიმე გაგაკვირვოთ, რასაც ვერ ვიტყვი საპირფარეშოზე. ის ყველა სოციალურ ფენას სახლში აქვს მოწყობილი.

– კვლავინდებურად მიწათმოქმედებენ? ან რას ფიქრობ, ისევ მათ მხარდამხარ ვიპრძოლოთ თუ მიმართულება შევიცვალოთ? – ბერძნებზე გეკითხები, – მეფემ

კითხვა დააზუსტა.

– მიწათმოქმედება მიივიწყეს, არადა ისინიც ადრი-დანვე მიწის მუშავნი იყვნენ. მაღალგანვითარებულნი ვართო, იჩემებენ... თავი მოაქვთ, მაგრამ ცხადია, რომ ამ ზესახელმწიფოს მოსახლეობა დამშეული ჰყავს... რაც შე-ეხება რწმენას, ერთი სარწმუნოებისანი ვართ, მეფევ ბა-ტონო! ამიტომ, რასაკვირველია, მათ გვერდით უნდა ვი-ყოთ, ჭირშიც და ლხინშიც! ახლა ჯვაროსანთა ბრძოლები მიმდინარეობს, წმინდა მიწის დაცვა არის მართლმადიდე-ბელთა უმთავრესი მიზანი.

ისე, თქვენც ხომ არ აშიმშილებთ ხალხს, მეფევ? – თავხედურად ვკითხე მეფეს.

– საჭიროებისამებრ! – ეს ისე თქვა მეფემ, თითქოს დიდი ხანია ამ კითხვის მომლოდინეა და პასუხიც კარგა ხანია მოეპოვება. დაამატა კიდეც, – მხოლოდ მათ ვაშიმ-შილებ, ვინც წესებს არ იცავს და იმ საქმეს არ აკეთებს, რაც ევალება. ქვეყანამ რომ განვითარების ზღვარს მიაღ-ნიოს, ამისთვის აუცილებელია ყველამ იშრომოს. ისე კი, ალბათ სწორად იქცევიან ბერძნები. უხვად რომ დაჰყარონ სანოვაგე, ჯარისკაცნი ბრძოლაზეც აიღებენ ხელს!

ისევ წინანდელს მივუბრუნდეთ, მართებულია შენეუ-ლი დასკვნა, მწიგნობარო... ბერძნებმა მრავალი სიკეთე შეგვამთხვიეს, არაერთი ციხე-ქალაქი ააშენეს ქართულ მიწაზე... მაგრამ მათ ეგონათ, საქართველო მუდამ პრო-ვინცია იქნებოდა და ძალაუფლებას შეინარჩუნებდნენ ნაწყალობები კურაპალატობის დადგენით. თუმცა, კარ-გად იცი, ერს დიდი მიზანი ამოძრავებდა. რანამს ძალ-ლონე მოიკრიბა, ბაგრატიონთა გვარი დაადგინა მესაჭედ. მართლაც დიდებული მეფე იყო გიორგი I. კურაპალატ-მაგისტროსობას ხელი ჰქონა და თავი ბაგრატიონად აღი-არა. ეს არცთუ ადვილი იყო მაშინ. იმოდენა იმპერიას, როგორიც ბიზანტია, ერთი ციდა ქვეყანა უცხადებს,

– დამაკვირდი, შენ, ვეშაპო, დაიმახსოვრე ჩემი სახელი და მაღიარე შენს სწორად. ამის პარალელურად დაიწყო ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. ხვდებოდა გიორგი, ვითომ მართლმადიდებელი ბიზანტიის სარწმუნოებას ფარად და მახვილად იყენებდნენ. [რადგან როცა ეკლესია-თა გვერდით მეჩეთებს აგებდნენ, კრინტი არ დაუძრავთ ქრისტეს საფლავისა და მრნამსის დამცველთ]. როცა ქართლის ძლიერება შეამჩნიეს მელიებივით მოცუნცულდნენ, ასე დაგვძახეს: ძმანო, ერთნი ვართ ჩვენ, ქრისტეს წიაღიდან გამოსული სახელმწიფოები და დაავიწყდათ, ლამის ბარბაროსებს რომ გვეძახდნენ ასეული წლები... ხომ მართლა, ისევ ღრმად მორწმუნენი არიან? – იდუმალ იკითხა გიორგიმ...

– როგორც საქრისტიანოს სჩვევია, რწმენა თავდასაცავად შეიქმნეს, მეფევ. იციან, რაც მეტად შეაშინებენ მრევლს, მით დამჯერი და იოლად სამართავნი გახდებიან. თუმცა, ჭეშმარიტად ქრისტიანი იქაც უხვად არიან. თეოლოგია აკეთილშობილებს სულიერს, რწმენაში გაძლიერებული კაცი კი ნაკლებსაშიში არის, ვგონებ.

– გელათსა და იყალთოს რომ აკადემიებია, იმგვარი თუ აქვთ, მწიგნობარო? ან ოპიზის სავანის მსგავსი?

– მარტო დიდ ქალაქებში კი არა, პროვინციებშიც არის; როგორც ჩემთვის ცნობილია, გელათს ტრივიუმსა* და კვადრიუმს** ასწავლიან. ოპიზაში – ხელობას, იქ კი სხვა დარგებიც ისწავლება, სახელდობრ: ლოგიკა, თეოლოგია, რელიგიის ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა; ვალიარებ, ისე მომრავლდა აკადემიის რიცხვი, მალე მსურველზე მეტიც იქნება ალბათ. ეს ყველაზე გონიერი საქციელია იმპერატორის მხრიდან. წიგნიერი საზოგადოება ყველა ხე-

* გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა.

** ფილოსოფია, რიტორიკა, ასტრონომია, გრამატიკა.

ლისუფალს ესაჭიროება. რაც მეტი იქნება, მით მაღე დარწმუნდებიან, რომ ომი უდიდესი დანაშაულია და ჩვენ მის დამწყებთ უნდა ვსჯიდეთ უპირველესად და არა უბრალო ჯარისკაცებს, ან წვრილმანი ქურდობის მომქმედთ.

– როგორ ფიქრობ, წიგნიერება აღმოფხვრის დედამიწაზე ომს? ან რისთვის იბრძვიან ადამიანები?

– ძნელად სათქმელია რისთვის იბრძვის ადამიანი. მას ჰქონია, რომ მიწა მეტი თავისუფლებისთვის სჭირდება, სინამდვილეში ისეთნი მზვაობრობენ და ომობენ, რომელნიც დამპყრობლური თვისებისანი არიან. თავისთავად, ორი სახის კაცი შექმნა ომის კანონმდებლობამ, – ერთნი იერიშის მომხრენი არიან და მათ დამპყრობელს ვეძახით, – მეორენი თავს იცავენ მხოლოდ! ძლიერი სუსტის ხარჯზე თავის საზღვარს იფართოებს და თითის ქნევით, მუქარით აფრთხობს მეტოქეს. მე თუ მკითხავთ, დიდი ალბათობაა წიგნიერებამ ომი აღმოფხვრას. თქვენ რას ფიქრობთ ჭკვიან კაცზე, მეფევ?

– სამაგიეროდ, ჭკვიანი კაცი ძნელად სამართავი ხდება. რასაც ბრიყვს ერთ თქმაზედ აჯერებ, იმას ბრძნოთან იოლად ვერ გაიტან. სულელს მტკიცება არ უნდა, რისამე შედეგის მიუღწევლადაც შეუძლია ხმალი ატრიალოს, შუაგულ ომში იბრძოლოს; მოფიქრალი კი წინდაწინ ჭვრეტს, რომ მხოლოდ იღბლის ანაბარა არ დარჩეს.

მეფემ მოულოდნელად ისეთი უხერხული რამ მკითხა, რომ შევცბი:

– ჩემს გარშემო როგორ ხალხს ამჩნევ, მეტისმეტად სულელთ, თუ უბრალოდ გონიერთ?

შევიშმუშნე, წვერებზე ხელი გადავისვი და დაუყოვნებლივ მივუგე:

– ერთი დღის მოსული ვარ და ძნელია დავახასიათოვინმე, ხელმწიფევ. ენაყბედობა იქნება მათ გონიერებაზე და უგუნურებაზე ვიღაპარაკო. ბრაზით ნათქვამი გამო-

მივა და მოსვლის დღიდან გავძულდები ვაზირთ. თუმცა, მათ ერთგულებაში დარწმუნება უფრო გარგებთ, მეფევ. ერთგული, თუნდ უჭკუო, მაინც სარგებლის მომტანია, იცოდეთ!..

— სხვას რას გვირჩევ? — მკითხა გიორგიმ.

— ძილიც დროული უნდა იცოდეს კაცმა, თუკი მენდობით, მეფე ბატონი.

— ცხადია ასეა, მაგრამ გსმენია რამე მეფეთა ცხოვრების შესახებ? თქვენ რომ მშვიდად იძინოთ, ამისთვის ჩვენ, მეფეები უნდა ვიყოთ ფხიზლად.

— კატაბალახა სცადეთ, დაგამშვიდებთ, მანდრაგორის* ჭამაც გარგებთ — კადნიერად ვუთხარი და ენაზე ვიკბინე! ჩემი სითამამის წყალობით, ხელმეორედ, ძალიან ღრმად შევცურე.

— ზრდილობის წამალიც გეცოდინება, ჭაბუკო, — მომიგო დაცინვითვე.

— დიახ, მეფე ბატონო! სიფრთხილე და ცოტათი ფიქრია ზრდილობის სანინდარი. მაპატიეთ, გულახდილობით მომივიდა და მეტისმეტი გითხარით. მეფის ძილ-ღვიძილი მსახურის გასარჩევი არ უნდა იყოს!..

— პირდაპირობა სასახლის მობინადრეთ სულ გადაავინდათ; რახანია გულიდან ამოსული კაცის სიტყვები არ მსმენია. ისე კი, დაიხსომე, მწიგნობარო, მე ყველასგან ერთს ვითხოვ, უმნიშვნელოვანესს — ფიქრს! ჩვენში წესად აქვთ, ენაზე რაც დაადგებათ იმას ამბობენ. ყრანტალი და ყბედობა ყოველდღიურობად ქცეულა.

ნასუფრალს გადახედა გიორგიმ და შეატყო, მსუბუქად ილუკმებოდა მწიგნობარი. ჰკითხა, რად არ სჭამ მწვადს დანაყრებამდისო?

— ზომიერება მმართებს, მეფევ! რასაც მშიერი სტუმარი

* ბალახია, ვაშლივით მოიბამს; ვინც სჭამს, ძილს მო(ჴ)გვრის.

ვერ ხედავს, იმას ადვილად ამჩნევს მაძღარი მასპინძელი. უხერხულია, ალბათ სხვის სახლში კუჭის ამოყორვა.

– ამიტომაც არის იქაური მასპინძელი მდიდარი... ხელ-გაშლილობას სიძუნნე ანაცვალეს. კარგი ცხოვრება სა-წოლთა მორთვაში და აგარაკის შენებაში დასახეს. ვაი, უბადრუკო კაცობრიობავ! როდის უნდა შეიგნო, რა უფრო ღირებულია ამ ცისქვეშეთში?!

იკუნკელიძემ ჩამჩურჩულა:

– მეფეს რა მოსწონს და რა სწყინს, ამის გაგება თითქ-მის შეუძლებელია. ამიტომ ნაკლები ისაუბრეთ. მეტყველი კაცი, თავისი რიტორი ბუნების წყალობით, მეტ შეცდომას უშვებს! ეცადეთ ზედმეტად დაფიქრდეთ, ვიდრე კრინტს დაძრავდეთ!..

მგონი მწიგნობარი არ ცდებოდა, რჩევაც გავითვა-ლისწინე. კვერი დავუკარი და საუბრის განგრძობას დუ-მილი ვარჩიე.

გვიან ღამით გავიყარეთ და ჩირალდნებით გაგვინათეს საწოლამდე მისასვლელი გზა.

* * *

მწიგნობრის ჩანაწერებიდან:

ნამგზავრი ვიყავი და ეტლის ჯაყჯაყმა დამღალა; ალ-ბათ ეს იყო მიზეზი, რომ გიორგის სასახლეში ძილქუში დამეცა.

ადრე ადგომას ჩვეული ვიყავ და როცა მზე მოადგა სარკმელს, ტარსიკონის ფეხსაცმელში შევაცურე ფეხები და შევამჩნიე, გაუხდელს დამძინებოდა. ეს ბავშვობიდან წესად მქონდა. მეცადინეობისას, ჭრაქის შუეზე, ხმირად ჩამძინებია და ამით ვამართლებდი ჩემს საქციელს, მა-გრამ სიმართლე ის იყო, რომ ტანსაცმლიანად დაძინება ჩვევად მექცა.

სამვიკის* საზიზლარი ხმა გაისმა. [ისე კი მერჩივნა მე-ჩანგეს დაეკრა]. ეს საკრავი ომს მაგონებდა, ზურნას და ნაღარის ხმას, ამიტომაც მძულდა. დიდხანს ვაყურადე, ექოთი მაინც ვერ გავარჩიე საიდან მოდიოდა ხმა. „ალბათ მეფის დავალებით უკრავენ“, – ვიფიქრე და ისევ მომინდა მეფე გიორგი მეხილა. მას წინა დღით კახური საფერავი დაელია და რატომდაც გადავწყვიტე მეფის ცხოვრების ყველა წვრილმანი უკლებლივ შემესწავლა, მათ შორის ხა-სიათები ლექა და ნაბახუსევისა.

მეტად უცნაურ ვითარებაში ვნახე მეფეთ მეფე.

მომიტევეთ, რომ მისგან უკითხავად ვწერ ამას!

მეფეს ვახტანგისეული ტახტი შუა ოთახში დაედგა და მის წინ გულმოდგინედ ლოცულობდა. ტახტქვეშ წითელი ხალიჩა ეგო...

მეფის მტკიცებით, ვისაც ტახტი უყვარს, მას ხალხის სიყვარულიც მოეთხოვება.

ვუთხარი, მდიდრული ამ სასახლეში მხოლოდ თქვენი ტახტი არის-თქო.

მან მომიგო: – მესაკუთრეობა საზიზლარი სენია კაცისა! [თუმცა ძვირფასიც]. ეს ტახტიც, ისევე როგორც მთელი ქვეყანა, ჩემი კი არა, ხალხის კუთვნილება არის!..

– წიგნის წერას როდის იწყებ, მწიგნობარო? – შემახსენა მან.

– დაწყება ჭირს ყოველთვის, მეფე ბატონო.

– მაშ, ასე ჩაწერე დასაწყისად: «ესევითარი საგოდებელი და საღალადო მოსაწევარი მოინია». დანარჩენს მოკლე ხანში გაიგებ... და კიდევ, თვალთვალიც ცუდი თვისება არის, ეცადე მოიშალო...

მართალს ბრძანებდა მეფე გიორგი. იმ ავაზაკს და გარე-

* უძველესი ქართული დასარტყამი სამუსიკო საკრავი; საბას ცნობით ნაღარის ქართული სახელწოდებაა, ამჟამად საქართველოში ცნობი-ლია დიპლიპიტოთი.

წარს ვგავდი, რომელსაც ეგონა, რომ მასზე კეთილშობილი არ დაიარებოდა ცისქვეშეთში!..

ვიდრე ოთახიდან გავიდოდი მომაძახა:

– სანამ სხვათა ცხოვრებას დასწერდე, აჯობებს საკუთარი დაწერილი და შეცნობილი გქონდეს...

სამვიკი კვლავ ხმაურობდა, ოღონდ უფრო გულისგამანყალებლად და მოსაწყენად...

მარტოობას ვეძებდი, რომ ცოტა დავფიქრებულიყავ, რა ხალხთან მქონდა საქმე. თუ მეფესავით უცნაური იყო ტაძრეული, ალბათ ჭკუიდან შევიშლებოდი.

* * *

წიგნს კითხულობდა გიორგი:

«ლაზიკეში მინა ყოველგნით ზღვიდანაა წამოჩრილი და მის დენას აფერხებს... აქ ზღვა თავის ნაპირებს ეხე-თქება, ის ვერც წინ მიიჩევს და ვერც უფრო მაღლა აწევას ახერხებს, არამედ უკან იხევს და კვლავ თავის ადგილს უბრუნდება. ის იცავს თავის კუთვნილ საზღვრებს»*

ზღვის ხმასავით ჩაესმა მოლოგინებული ხარჭის ნათქვამი: ჯერაც არ შეხებიხარ შვილს და უკვე როგორ მოახერხე მისი შეძულება, განა თამარიც ასული არ არისო?

ეს ნათქვამი ხან ერთ კლდეს მისწვდებოდა, ხან მისი სულის სხვა ჯებირს მიეხეთქებოდა. არ იცოდა, რომელი უფრო სძულდა, ახალშობილი ასული თუ დედად ქცეული ხასა!..

როცა ლაზიკა მოინახულა, მას ჩვილი მკერდზე მიეწვინა და რძეს აწოვებდა. ასეთი რამ გიორგის ნანახი არ ჰქონდა. ბურდუხანი დედოფალი იყო და მან ძუძუ არ აწოვა თამარს. „მკერდის გაფუჭება ანაღვლებს შვენიერ ბურდუხანს, შიშობს ძუძუ არ ჩამოეზნიქოს და შვილისთვის რძე ენანება“, – აზმნობდა.

* გეორგიკა, II, გვ. 142

ლაზიკას დედობრივი მზრუნველობა აცვიფრებდა მე-ფეს. მაგრამ იმწამს, ის ბრაზი ენთებოდა, უძეოდ რომ უნდა გადაგებულიყო! სამეფოს მემკვიდრე ესაჭიროებოდა, ხარჭამ კი ეს სურვილი ვერ აუსრულა. ქალისადმი გრძნობა გაუნელდა, წინანდელივით არ მიუწევდა გული და ნახვისას ზიზღი უფრო ეუფლებოდა, ვიდრე სიყვარული. ახლა იმას ფიქრობდა, ბურდუხანის და თამარის ისნის სასახლიდან დაბრუნებამდე, როგორმე მოეცილებინა ხარჭა და მისი ნამშობი.

ცხენები შეაკაზმინა, ლაზიკა იხმო და გაუმხილა:

– შენი ძმა ვიპოვე! ის ოპიზას არის. წადი, საკუთარი თვალით ნახე და დარწმუნდი ამაში. სთხოვე ბეშქენ ოპიზრელს რამდენიმე დღით თავშესაფარი მოგცეს, ამასობაში მეც მოვალ და სხვაგან წაგიყვან.

მას არ გახარებია ძმის პოვნა, რადგან გიორგისგან შე-თითხნილი ამბავი ეგონა;

– რა თქმა უნდა, თავიდან მიცილებთ, არა? სიცრუეში ცხოვრობდით აქამდე და ასე იქნება უკუნისამდე. ჩემთან გატარებული დღეებიც ფარსი ყოფილა. იქნებ საღვდელოებას მისწერეთ უკვე ჩემი მონაზვნად აღკვეცის თხოვნით? მარტოხელა დედობა არ გამიჭირდება, ავიტან როგორმე. არაერთგზის მცემა საწუთოობ და დამამცირა, მაგრამ განსაცდელს ჩვეული ვარ! სიყვარულის არაფერი გცოდნიათ, მეფევ. დარჩებით ისევ სასონარკვეთილი, ყველასგან უარყოფილი და ნუგეშად მოგინდებათ ხასასთან განმარტოება... გვიანი იქნება, ძალიან გვიან დაშვებული შეცდომის გამოსასწორებლად.

– წადი, ხარჭავ! შენთვის ღმერთს მხოლოდ ეშხი მოუცია; მწყაზარი ნაკვთის გამოყვანაში დიდი დრო დაუხარჯავს შემოქმედს, დედაკაცური გუნება კი ქაოსური და მოუწესრიგებელი დარჩენია. თუ დამჭირდები, ვიცი სა-დაც მოგაგნო!

– არასწორად თქვით, მეფეო. კი არ უნდა მომაგნოთ, არამედ მოგვაგნოთ, მე და შენს ქალიშვილს! – იყვირა ლაზიკამ. – ჩვენ უკვე ორნი ვართ, ვინც ვსაჭიროებთ თქვენგან ზრუნვას.

ვიდრე ტახტრევანში ჩასხდებოდნენ, სასახლისკენ მოტრიალდა ლაზიკა, დიდებულ პალატს გახედა და ჩაიბუტ-ბუტა: – ნუთუ ამისთვის აჯანყდი უფლისწულო დემნა?

* * *

6ინათ ვახსენე ზანქან ზორაბაბელი, იმხანად ყველაზე მდიდარი და სახელგანთქმული თბილისელი დიდვაჭარი. [წარმოშობით განძიდან]. აღმოსავლურ ტანსაცმელს ატარებდა, უფრო თურქულის მინამსგავსს, თუმცა სხვა სამოსიც ჰქონდა [ბერძნულ-სპარსული] და საჭიროებისამებრ გადაიცვამდა ხოლმე. მართალი იყო, ღმერთმანი, როცა დაუინებული აცხადებდა, ვაჭარი ყველა ხალხის საამებლად უნდა იცვამდესო სამოსს...

ძუნი და მეტად ხელმომჭირნე კაცი იყო ზორაბაბელი. ნივთის ჩუქება ეძნელებოდა, მუდამ სარტიანად გაყიდვას ლამობდა. მეფე რომ მეფეა, იმისთვისაც არაფერი მიეცა ფეშქამად. – დიდძალი ფული თუ გსურს იშოვო, დაზოგვა უნდა შეგეძლოს და ხელმომჭირნეობა ჩვევად გექცეს. მფლანგველი მალევე ღარიბდებიან, ამიტომ გონიერება განძის პოვნასადა მონეტების სიმრავლეში კი არ ვლინდება, არამედ მის შენარჩუნებაში, – ამბობდა ხოლმე დიდვაჭარი.

გადმოცემით, მას ოქროთი სავსე მღვიმე აღმოჩინა, სხვათა ნაუბრით, ჩაძირულ გემებს ეძებდა და კასპიის ზღვაში მიეგნო ასეთისთვის. სხვანი ამბობდნენ: – ყადის ქვეყანაში კამათი მოსვლია ქრისტიან ვაჭართან; მოჰვენებია სადღაც გაგონილი, არაფერი ისე ინდივიდუალურს არ ხდის კაცს, როგორც სამოსი. ტანსაცმლით იოლად იცნობა კაცი და

ზანქანს გადაუცვამს მათებრ, უფიქრია, მაჰმადის მცნების მიმდევრადაც თუ თავს გასაღებდა მის ნათევამს გაცილებით სარწმუნოდ მიიჩნევდნენ და ქრისტრიან ვაჭარს არც კი მოუსმენდნენ. ამიტომ ხელში ყურანი დაუჭერია და ალაპი დაუფიცნია, მართალი ვარ და ტყუილად მესარჩლება ეს ქურდი, ჩემი ნავაჭრის მითვისება ჰსურს და თავს ვაჭრად ასაღებსო.

მეორე ვაჭარს უთქვამს:

– ქურდი არ ვარ, ფიცით ვერ ვფიცულობ, რადგან ასე წერია წმინდა წიგნში: სთქვი ჰოზე – ჰო, არაზე – არა და, ეგ იკმარეო.

ჩემს ქვეყანაში კი ასე დაუწერიათო, თავი გამოუდვია ზანქანს: «თუ ქარავნისაგან ქურდმან წაუღონ რაიმე, მერმე მან მისი იცნას სხვს კაცის ზელთა, დაიფიცოს მან კაცმან რომე ქურდი არ ყოფილიყოს თავის მეტს არას ემართლების: თუ ვერ იფიცოს ქურდისა მაშინ საქონლის პატრონმან დაიფიცოს რად წილწდომია და ყველად უზღლოს»* რაკი ვერ ფიცულობს ეს ქურდი, მართალი ვარ და ტყუილად რად მესარჩლებაო.

ვითომ ალაპის მორჩილ ზორაბაბელს დაუჯერეს, თუმცა კანონთა წიგნებში მსგავსი რამ არასდროს შეხვედრიათ და ცოტათი იჭვნეულად იგულვეს. სადავო ქონება მაინც მას მიაკუთვნეს.

დაუფასა ზანქანმა ყადს მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება და ფეშქაშად მიართვა ნადავლის ნახევარი.

– მართლაცლვთის კაციყოფილა ეს ვაჭარი, – დაუმოწმებია ყადს.

ზანქანს ახლა ის მეორე ნახევარი აუღია და მეჩეთის

* “წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე”, ეს კანონი გიორგი ბრწყინვალის ეპოქაშია მიღებული, თუმცა სავარაუდოა, რომ გიორგი III-ის დროსაც ქურდობის წინააღმდეგ მებრძოლ ხელმწიფე მსგავსი კანონი ექნებოდა შემუშავებული, რაკი მან პირველმა შექმნა მპარავთმებნელთა ინსტიტუტი.

მშენებლობისთვის შეუწირავს. ამას იმიტომ აკეთებდა, იცოდა, სამჯერ მეტს მიუზღვავდა ერთგულებისთვის ხონთქარი. დამრუმებულ* ქალაქის მმართველს, ხონთქარის ნებართვით, საჭურჭლის მუქიბად** დაუნიშნავს. ორი ხაზინა ჰქონიათ, სათავო და სახარჯავი. თვენახევარი პატიოსნად ხაზინადრობდა, ამასობაში უმარჯვია, სრულად აღუნუსხავს ოქრო, დაკავშირებია თავის ხალხთ და ჯვალოს ტომრებით გაუზიდავთ ქალაქის სიმდიდრენი. სათავო ხაზინა ხელუხლებელი იყო წესისამებრ და როცა ხონთქარს შეუტყვია მუქარით შემოუთვლია: – რანამს ხელთ ვიგდებ თაღლით მეკობრეს კბილებს დავაძრობო.

ამგვარად, ზორაბაბელის სიმდიდრის წარმომავლობა ძნელად გამოსარკვევი გამხდარა, თუმცა ეჭვგარეშეა, ფულმა მეფესთან დაახლოებულ პირადაც აქცია.

სწორედ ამ ზანქანმა დაუხატა მეფეს შარვანი აბრეშუმით მდიდარ ქვეყნად და დაარწმუნა, რომ სახელმწიფო შემოსავალს ბევრად გაზრდიდა, თუკი შარვანს გამოსტაცებდა იქაურ მმართველს.

– საჭირო კაცია, ზორაბაბელი – ბევრჯერ უთქვამს გიორგის. მისი დახმარებით ვაპირებ სიყრმიდან აკვიატებული ოცნების ასრულებას.

მოგხესენებათ, დრაჟკანი და დრამი იყო საქართველოში ფულადი მიმოქცევის საშუალება, ეროვნული, მონეტალური სისტემა კი საჭირო რაოდენობის არ გაგვაჩნდა. მეფეს სურდა დავით ალმაშენებლის გამოსახულების ფული მოეჭრა ზარაფხანაში, თუმცა ამისთვის დიდალი ვერცხლი იყო საჭირო. ასეთი მონეტა თავის დროზე მეფე დავითს მოეჭრა, სავარაუდოდ მას შემდეგ, რაც ანისი თურქ-სელჩუკთაგან გამოეხსნა. ჩვენთვის უცნობი

* დაბრმავებული.

** ძღვენთ მნე, შემნახავი.

მიზეზით ამ მონეტამ ფეხი ვერ მოიკიდა და მალევე მიმოქცევიდან ამოვიდა.

– რატომ, რა მიზეზით? – უკითხავს თავისთვის მეფე გიორგის. – ეს ხომ გიორგაული თეთრის შემდეგ უმთავრესი ფულია, რომელზეც ქართველი მეფეა გამოსახული.* დრაჟანსა და დრამს ისევ ეროვნული არ სჯობდა? – პასუხიც ნათელია. უბრალო კაცი იყო დავით მეფე და ალბათ ძალიან მცირე რაოდენობით მოაჭრევინა იგი, თორემ სპილენძის შოვნა არ გაუძნელდებოდა. შედეგად, მოჭრილი მონეტები უცხოელ ვაჭრებს მოესწროთ და ქვეყნიდან გაეტანათ; თითო-ოროლა თუ მოიპოვებოდა საქართველოში, ისიც სამეფო სალაროში დარჩენილი.

სპილენძთან შედარებით ვერცხლი თვისობრივად უფრო ძვირფასი მეტალი იყო. სამწუხაროდ, იმხანად საკმარისი რაოდენობა არ მოიპოვებოდა.

– ვერცხლის კრიზისს ეშველბა რამე, ზანქან?

– რვალით ჩავანაცვლებთ, როგორც უწინდელ დროში. მთავარია კანონი მიიღოთ მეკობრეთა, ავაზაკთა და ქურდ-მძარცველთა წინააღმდეგ. ისინი ქარავანთა თავისუფალ მიმოსვლას აფერხებენ.

ხვდებოდა გიორგი, ზანქანს თარეში და სხვათა ძარცვა მობეზრებოდა, აურაცხელი სიმდიდრის პატრონი იყო და ახლა საჭიროება ითხოვდა ქონების მიტაცებისგან თავი დაეცვა.

* დავით IV აღმაშენებლის სპილენძის უნიკალური მონეტა. იწონის 10,73 გ. შუბლზე მოთავსებულია სამეფო ტანსაცმლით მოსილი მეფის პორტრეტული გამოსახულება და დაქარაგმებული ასომთავრული ზედნერილი “დავით მეფე”, ზურგზე - ჯვარი და ზედნერილი: “ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა”. მონეტა მოჭრილი უნდა იყოს მას შემდეგ, რაც დავითმა 1123 წელს სომხეთის დედაქალაქი ანისი თურქ-სელჩუკთაგან გაანთავისუფლა და თავის ტიტულაცურაში სომეხთა მეფის ნოდებაც შეიტანა (ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, 1118 წელს, ლორეს აღების შემდეგ). მონეტა დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში.

— ასეც მოვიქცევი, ზანქან. დრო მჭირდება, ცოტა მოსვენებაც არ მანყენს.

- თავრიზს მივალ და ხომ არაფერს დამაბარებთ?
- მხოლოდ ძაძებს, ზანქან, სხვას არაფერს.
- დაბრუნებისთანავე გესტურებით, მეფევ, — დაიბარა განძელმა და შეუმჩნევლად გავიდა სრადან.

ზანქანის წასვლისთანავე გიორგიმ მის წინ ვეებერთელა პეპლისფრთიანი ბეჭედი დაინახა, ძვირფასი თვლით მოჭედილი წაკეთობა საუცხოოდ ბრნებინავდა.

- რა სურს ვაჭარს ამის სანაცვლოდ? — გაითიქრა გიორგიმ. მეფე განძელთან ფრთხილობდა, ყოველი შეხვედრის შემდეგ კი თავისითვის იტყოდა:
- პირველი მე დავაძრობ კბილებს, თუ ჩემს გაცუცურაკებას შეეცდება ეს ვაჭარი.

* * *

ზანქანის წასვლისთანავე, ტყეში სეირნობა აიკვიატა მეფემ და მარტოკაცი გავიდა სრადან.

ჯერაც ბნელეთში დანთქმულიყო ტფილისი და ნისლი ჯგროდ გადმოფენოდა დედაქალაქს.

ჩირაღდნებში ცეცხლი ბოლომდე არ განელებულიყო.

დედოზართან ლამის აეშაგი ფხიზლობდა.

არწივნიც ალაგ-ალაგ ბოინობდნენ და შეჰვეფდნენ მეფედ კურთხეულ მყუდროებას.

შორიდან ძალლის ყეფაც ისმოდა. დამშეულისას უფრო ჰგავდა მისი წკმუტუნი, ვიდრე მგრძნობიარე ცხოველისას.

არა და არ თენდებოდა. უჭირდა აისს ლამის ბინდ-ბუნდ-თან ბრძოლა და ჭიდილში დამარცხებული ძალას იკრეფდა, რომ როგორმე გაემარჯვა მორიგი იერიშისას.

ელანდება გიორგის, ჯაგნარსა და ბუჩქთა შორის მსტოვარი ჩასაფრებულა და გულდაგულ უთვალთვალებს ხელმწიფეს.

საჯინიბოს მივიდა, ხევსურას ფაფარშუა მოეალერსა, უბრალო უნაგირი დაადგა, ალვირიც ამოსდო და სახეტიალოდ წავიდა.

სწორედ იმ დღეს, ლიაში დაეფლო მეფეს ხევსურა და თვითონაც ლამის ტალახში დაიხრჩო. ბედად, შეშის-მჭრელნი ყოფილან და საბელით მიეშველნენ ლაფში ჩაძირულ გიორგის. მეფე რის ვაი-ვაგლახით სიკვდილს გადაარჩინეს, ხევსურა კი დაიღუპა.

ალლოს რომ ეკარნახა ლიაში არ შევიდოდა, მაგრამ ნისლში დანთქმული ადგილი ალბათ წყლად მოეჩვენა ხევსურას და გასცდა ფილოპატს.*

პირქუშ და გაუცინარ ხელმწიფეს დარდი მოაწვა.

ხდება ზოგჯერ, კაცს სიავის ჩადენა სწყურია და ალბათ ეს იყო მიზეზი, სისასტიკემორეული ხელმწიფის გაგულისებისა.

სასახლეს ვიდრე შევიდოდა, ჯალათი დაიბარა, გაამზადებინა დილეგი და თქვა: – ყივჩაყ ყუბასარს აჩვენეთ, რაც უნდა მოხდეს შებინდებამდის!

მე, მეფის მწიგნობარს, მსმენია როგორ იმართლებდა თავს მეფეთ მეფე გიორგი: – ხევსურას დალუპვამ შემზარა და რამე ცუდი რომ არ მექნა, შევიშლებოდი. არის ადამიანი ზოგჯერ იმდენად გაურკვეველ ვითარებაში, რომ არ იცის რა აკეთოს, თუმცა სულის სილრმეში გრძნობს, რომ მავნებლობა და ვისიმე გაუბედურება დაამშვიდებს. დიახ, ისე მომწყურდა სისხლი, ჩვეულებრივ ნადირობამდე რომ მეუფლებოდა. სანადიროდ წასვლას ვერ შევძლებდი ხევსურას დალუპვის გამო და როგორმე სხვა უფრო საინტერესო თამაშობით უნდა გავრთობილიყავ!..

ჰყავდა სასახლეს ვინმე ჯალათი, რომელიც მეტად უცნაურ სასჯელებს იგონებდა; უცხოეთიდან ჩამოსულ

* სანადირო მეფისა შემოლობილი ახლოს მეფის სამყოფისა. (ვახუშტი)

სტუმარს, როგორც კი დაიმარტოხელებდა, ქვეყნის კულტურაზე, ეკონომიკაზე ან პოლიტიკაზე კი არა, დილეგზე და სხეულებრივ სასჯელზე ეკითხებოდა. აღტაცებით საუბრობდა ხოლმე: თავის წაგდებაზე, მორიელების და გველების მძინარე ტყვესთვის მისევაზე, ხელ-ფეხის მოკვეთაზე, დაშანთვაზე, ფრჩხილთა დაგლეჯაზე, კბილების ამოძრობაზე, თვალის დათხრაზე, დასაჭურისებაზე და სხვა. ასე ახარისხებდა საზოგადოებრივ ფენას: დამსჯელნი, დასასჯელნი და დასჯილნი, სხვა სოციალური კლასი მისთვის არ არსებობდა.

არ ვიცი, საერთოდ თუ გააჩნდა სული ან რწმენა, მაგრამ ვიდრე დასჯას დაიწყებდა, პირჯვარს ისახავდა. ზოგნი ამბობდნენ, ძალაუნებურად აკეთებსო, ზოგნიც პირიქით, სწამს და მიტომაც ისახავს პირჯვარსო!.. [ჩემთვის სულ ერთია, ამას შეგნებულად აკეთებს კაცი, თუ დაუმორჩილებელი ქვეცნობიერის წყალობით].

ჯალათზე ამბობდნენ, მეტყველება არ შეუძლიაო, თუმცა, ერთხელაც, როცა ვკითხე, ჯალათო, ასე სასტიკი როგორ ხარ-მეთქი, მომიგო: – ვიცი, რომ შეუბრალებლობა მტერია კაცისა, მაგრამ როცა სიყვარულის განცდას კარგავს ადამიანი, მას მერე არაფერი ეძნელება, მათ შორის სხვათა სიცოცხლის მოშთობაც! სიყვარულს მოკლებული კაცი სასტიკიც არის და ვერაგიც!..

ამ ჯალათს ლამის მეგობრად ვთვლიდი. სასახლეში დაბინავების დღიდან მას ვუყვებოდი სხვადასხვა ქვეყნის საპყრობილებზე. იცით, ერთხელაც ნიშნისგებით თქვა – ათზე მეტი სანამებელი იარაღი დავამზადე და სულ თქვენგან მოსმენილით; თქვენებრ გონიერები ქმნიან იარაღს, ჩვენნაირნი კი მას მხოლოდ ვიყენებთ. ამადაც, უფრო დიდი დამნაშავე შემქმნელია და არა ამსრულებელი.

დავუჩემე, – სინდისი არ განუხებს, ჯალათო-მეთქი, მომიგო:

— სინდისმა რომ შეგაწუხოს იგი უნდა გაგაჩნდეს! რაც არ მაქვს, ის როგორლა შემაძრნუნებსო!.. ზნეობა, სინანული, მორალი ამ სატუსალოში შემოსვლამდე დავაგდე... თუ რომელიმეს აღმოაჩენ შენს არსებაში, ცხოვრება ჯოჯოხეთად გექცევა. ამ ბოლო დროს სინანული შემომეჩვია. დაბინავდა ჩემს არსებაში და ყოველი საწამებელი იარაღის აღებისას ძვალ-რბილს მიმტვრევს, მზარავს, მჩხვლეტს... ბედნიერია კაცი, ვისაც არ ანუხებს მტარვალი სინანული.

ავუხსენი, სინანული კი არ არის მტარვალი, არამედ უამისოდ არსებობა-თქო. თუ გსურს ის დაამარცხო, უნდა როგორმე მოინანიო!.. ამიტომ არსებობენ: მღვდლები, პადრეები, იმამნი თუ მოლები...

ბნელსა და უკუნში მცხოვრებ კაცთა იგავიც ვუამბე.

ისე საზარლად გამოიყურებოდა, თვალს ვერ ვუსწორებდი. სახე დასერილი ჰქონდა და სამ-ოთხ ადგილას ნაიარევი უჩანდა. ბრგე კაცი იყო, განიერი მხრებით და ბალანმოვლებული ტანით. პირქუში მეჩვენა... მცინარიც არასდროს მენახა. სახეზე ღრმა მწუხარება აღბეჭდვოდა, თვალები რისხვით უციმციმებდა, ხოლო ტუჩებს გამუდმებით ნერვიულად აცმაცუნებდა.

შეხედავდით და მიხვდებოდით, ბოროტებისთვის იყო საგანგებოდ შობილი!.. ადამიანური არც არაფერი ჰქონდა.

ყოველი მკვლელობის შემდეგ იარაღს გულდასმით წმენდდა.

მსმენია მისგან:

— სისხლი იოლად აუანგებს რკინას, ამიტომ ვიდრე შეახმებოდეს, საჭიროა მისი ჩამორეცხვა.

თვითონ დილეგი სასახლისგან მოშორებით მოეწყო. შხამიანი ქვეწარმავლებით სავსე ღრმული ჭისებრ ღრმად იყო ამოთხრილი. იქედან გაქცევა წარმოუდგენელი იყო და ჯერაც ვერავის მოეხერხებინა.

სატუსალოში შემაწუხებელი ნესტის და შმორის სუნი

იდგა; ადრე ის სასახლეში იყო დატანებული, მაგრამ მძორის მოყვარული აფთრები შემოეჩვივნენ სრას და გიორგი იძულებული შეიქნა სადმე შორს გადაეტანა იგი.

დედოფალი ბურდუხანი წუხდა, ტყვეთა კვნესა და კივილი საძინებლამდე აღწევს და აღარ შემიძლია მათი მოთქმავაების სმენა! დროულად გააძევეთ, ბატონო, ეს ჯალათი.

მყის ბრძანა გიორგიმ:

– პალატს მგლები და ტურები შემოეჩვივნენ, აფთრებიც დაძრნიან შორიახლო და ნასახლარს ემსგავსება აქაურობა. სასწრაფოდ გამეცალე, ჯალათო, სადმე შორს ააშენებინე სამსჯავრო სახლი, საშენ მასალას და დამხმარემუშებს კი არ მოგაკლებ არც ერთ დღეს.

ჯალათმა თანხმობის ნიშნად კვერი დაუკრა გიორგის და გამოეთხოვა.

იყო ასეთი ადგილი, კლდეკარის ციხე;

მას შემდეგ, რაც არგვეთელი ფეოდალი ლიპარიტ । ბალვაში თრიალეთში გადავიდა, აქ ციხე ააგეს. ბალვაშთა გვარის პოლიტიკური სიძლიერის ზრდას ვერ ჰგუობდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება. ჯერ იყო და კლდეკარის ერისთავი რატი । ეურჩებოდა ბაგრატ III-ს. რატის, მეფის მამობილი, დავით კურაპალატი მფარველობდა და ურჩი ფეოდალი სარგებლობდა კიდეც ამ მოწყალებით.

XII საუკუნის დასაწყისში თრიალეთი და კლდეკარი ჭყონდიდელის დისწულს, ვინმე თევდორეს ჩააბარეს.

მრავალი უბედურების მოწმე იყო ეს ადგილი. კლდეკარი ქვეყნის ერთიანობის ხელისშემშლელი იყო, უბედურების მომტანი ადგილიც და მეფეთა ძილკრთომიანობის მიზეზიც.

გიორგი III-მ აქ დროებით სატუსაღო გამართა.

დემნას სიცოცხლის ბოლო დღეები თურმე აქ გაუტარებია. აი, როგორ მომხდარა ეს ამბავი.

კარისმცველთ შავად მოსილი ჭაბუკისთვის მკლავი გაე-

ყარათ. მორჩილად მოაბიჯებდა ტყვე და წინააღმდეგობის განევას სულაც არ ცდილობდა. მათგან მოშორებით სხვა დასასჯელნიც ფეხის თრევით მოდიოდნენ;

კარისკაცმა ძლივს ამოღერდა:

– მეფეთ მეფე გიორგი ბრძანებს ამათგან ორს, ორ-ბელსა და უფლისნულს თვალები დასთხაროთ, სუმბატს თავი მოჰკვეთოთ, სხვა დანარჩენთაც სასტიკი სასჯელი დაუდგინოთ. ჭაბუკის თვალთა დამრუმების შემდეგ დაასაჭურისეთ იგი და როცა ტკივილს დაიამებს, მასთან მიჰვაროთ!..

ჯალათისტვის დამახასიათებელი სიხარული დავიჭირე ტარტაროზის თვალებში. შანთის გაცხელებას შეუდგა იმწამს.

მსმენოდა, უფლისნული მეფის ძმისნული და ტახტის მემკვიდრე იყო. ვევედრე, ნუ დაასაჭურისებ ესოდენ მშვენიერს-მეთქი. იუარა, გაჯიქდა ჯალათი: – სამეფოში მეფის სიტყვას ვერვინ გადაუხვევს, ნუ მიწყენო...

სასოწარკვეთილი უფლისნული გონს ვერ მოსულიყო. მეფემ ხომ შეიწყალა იგი შეთქმულებისტვის; თან აგერ თვეზე მეტი გასულიყო აჯანყებიდან; თუ დასჯას აპირებდა რატომ მაშინვე არ დასაჯა აჯანყებულნი?

ივანე იფოფრებოდა, გალიაში მომწყვდეულ ნადირივით ბორგავდა:

– ხომ გეუბნებოდი, დემნა, უგულო კაცია გიორგი და არ შეგვარჩენს განდგომას-თქო. ვყოფილვარ თუ არა მართალი?

დინარა ორბელი იწყევლებოდა, სომხთა კათოლიკოს-მა ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნეში დაგვიბარა: «სრულად არ ეზიაროთ მათ [ქართველთ] არც ლოცვაში, არც ჭამა-სა და სმაში, არც მეგობრობაში, არც დედამძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ჩვენს ეკლესიებში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებისგანაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყი-

დეთ და მიჰყიდეთ, ვითარცა ურიებსო! ხოლო თუ უს-ნავლელად ვინმე ისე მოიქცევა, რომ მათ ეზიარება და ერთნება იქნება მათი სარწმუნოების სიბილნისა, ასეთები წყეულიმც იყვნენ სულით, წყეულიმც იყვნენ ხორცით და მთელი თავისი ცხოვრებით, განეშორონ ღმრთის წმიდა ეკლესიას. იყვნენ ბნელს დამკვიდრებულნი და სამარადისო საზრდო ცეცხლისა! ხოლო, თუ ვინმე გაამპარტავანდება და შეურაცხყოფს წყევლას, უწყოდეს, რომ სულიერი სასჯელის შემდეგ ვეცდებით, ხორციელსაც მივაწიოთ»* ჩვენ კი, უარვყავით კათოლიკოსის სიტყვები. შევითქვითეთ, შევზავდით ქართველებთან და დავივიწყეთ გვარი, ადათ-წესები, ტრადიციები! აი, ამიტომ დავისაჯენით. სად ქართველები და სად ჩვენ, ორბელები. არაფერი გვქონდა საერთო და მაინც ვცდილობდით დაგზავებოდით. უარესის ღირსი ვართ, უარესის. მცირედია ის სატანჯველი, რაც გვარგუნა ქართველთა მეფემ. ვაი, შენ გაუხარელო და ბედდამწვარო დინარა!

გიორგიმ ზიზღით შეხედა მაწყევარს, თითით ანიშნა ჯალათს, – კლდიდან გადააგდეთ ჯვალოს მოძრავი ტომარა! ამაზე სულმდაბალი და ნირნამხდარი ორბელი არ მეგულება არსად!..

ტარტაროზმა ბრძანება შეასრულა; მიწამდე სული არ დაჰყოლია დინარას. როგორც კი მოიცალა ჯალათმა, შანთებიც ცეცხლში ჩაალაგა. კარის მოძღვარს დაუძახა; ანაფორიანს სიკვდილმისჯილებისგან აღსარება უნდა მოესმინა. ივანეს უმცროსმა ძმამ ქავთარმა და მისი შვილმა სუმბატმა არ ინება ცოდვათა მიტევება, უკანასკნელ სურვილად კი ითხოვა: კუთვნილი იარაღი

* VIIს. I ნახევარში რელიგიური განხეთქილება მოხდა ქართველთა და სომეხთა შორის, სომხეთის კათალიკოსმა აბრაჟამ I-მა მრევლს სწორედ ასე მოუწოდა.

სალაროში შეენახათ.

მესრმლემ* ხმლის ერთი მოქნევით თავი გააგდებინა ქავთარს; თავმოჭრილი ქათამივით აფართხალდა სუმბატის ტანიც.

შემდეგ გახურებული შანთი თვალთან მიუტანეს ივანე ორბელს და დაამრუმეს მოხუცი. თაფლისფერ თვალებში წყალი ჩაუდგა ბერიკაცს, სიმხურვალემ ჩინი დააკარგვინა და საზარლად იყვირა; – ღმერთო, ვერაფერს ვხედავ, რა მეშველება ბრმას? ხელის მტევანი სახესთან მიიტანა. უფრო აეწვა ის ადგილი და სიკვდილი ინატრა.

– ნუთუ მეც ეს მომელის? – ცრემლი გადმოუგორდა დემნას. მეხსიერებაში ჩამრჩა ულისწულის მავედრებელი გამოხედვა, მიშველეთ, მიშველეთო სიმწრით გაჰკიოდა ბაგრატიონი.

[დინარასაც სახეზე სისხლისფერი ლაქა ემჩნია, სანაქებო სილამაზის არასდროს ყოფილა, მაგრამ არათუ მშვენიერი, ურჩხულივით საზიზლარი სანახავი გახდა.]

დემნამ უკანასკნელად ითხოვა ბიძისწულ თამართან შეხვედრა. მოახსენეს მსწრაფლ მეფეს ბატონიშვილის თხოვნა, გიორგიმ უარი შემოუთვალა უფლისწულს. უფრო მეტიც, თავად მობრძანდა კლდეკარს.

ისევ ევედრა დემნა და ის პირობა შეახსენა, ლორეს ციხეში რომ გამოსტყუა გიორგის.

– დემნა, გეხსომება ჩვენი ვარძიაში ყოფნა, არა?
– დიახ, ძია... კარგად მახსოვს, – და ამის თქმაზე გააკანკალა უფლისწულს.

მეფე შეიჭმუხნა, მერე კი განაგრძო:
– სწორად გენიშნა იქ გაგონილი, ჩემია ტახტიცა და მეუფებაც, მას არავის დავუთმობ-მეთქი. გვირგვინი მი-

* ქვ. საქართველოში ჯალათი, რომელიც სიკვდილის განაჩენს აღას-რულებდა თავის მოკვეთით.

წვავს თავს და ბისონ-პალეკარტიც გვემის ტოლფასად მაცვია, მაგრამ მაინც საამოა, როცა ხელის ერთ მტე-ვანზე გაქვს ქვეყნის ბედი გადაშლილი. რამდენი ომიც არ უნდა ნახოს მეფემ, ბრძოლის ველიდან დაბრუნებული მაინც ბედნიერია. რუკას ათვალიერებ და ანგარიშობ, რა დააკელ მამისგან დანატოვარს ან რაოდენ გაზარდე საზ-ლვარი!.. როგორც ყველა მოკვდავი, მიწად უნდა ვიქცე. საქმე, რომელიც ვერ დავასრულე, ჩემმა მემკვიდრემ უნ-და განაგრძოს.

დემნას გონება გაუბრნყინდა მემკვიდრის ხსენებაზე, იფიქრა, ეგებ მეფემ თავისი ძმის ანდერძის შესრულება მოიწადინაო.

— **უ**ფლისწულო, გინახავთ როგორ აწოვებს კატა ძუძუს თავის კნუტებს? თბილ ადგილს შეარჩევს, მზის-გულზე წამოწვება და შემოისვავს ძუძუსქვეშ დამშეულ ცხოველთ! დედა კატა მათგან ერთს განსაკუთრებულად ექცევა, ეალერსება, ბალანს ულოკავს, სანადიროდ სხ-ვათაგან მალულად დაჰჰყავს. ის ერთი რჩეულია და მასზე ამყარებს დიდ იმედებს. იცის, რომ დროებამ შეიძლება სანაგვეზე მოისროლოს, მაგრამ რჩეული კნუტი დედას მაინც მოძებნის და ჭირში იარებს დაუამებს.

რადგან ჩემი ძმა «მლარნველი, მკიცხველი იქნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი», ამისთვის გამომარჩია მამაჩემმა «ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღმამაღლა თა-ვისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამომაჩინა», მე კი ჩემს რჩეულად...

სიტყვა გააწყვეტინა უფლისწულმა, — ვის ასახელებთ, მამამძუძევ?

— ჯერ არ დამისრულებია სიტყვა, ჭაბუკო; მეტი მოთ-მენა გმართებს! განსწავლული კი ხარ დიდად, მაგრამ ცოტა დაკვირვება გაკლია. მგელთა შესახებაც უნდა მც-

ირედი გიამბო.

დემნას უფრო იმის წადილი ჰკლავდა, ვის უხმობდა მეფე გიორგი მემკვიდრედ. მაინც მოსასმენად მოემზადა, არ უნდოდა იმწუთას ბიძა გაერისხებინა.

– მგელი ზამთრის დამლევს, სურწყუნის-მირკანს მძუნაობს და მაკეობა 62-65 დღემდე გრძელდება. მერე მოითვლის თავის ლეკვებს და კატისგან განსხვავებით ძუძუს შვილებს თანაბრად უნაწილებს. წყაროზე დაჰყავს და აკვირდება, როგორ იკლავენ მწყურვალნი წყურვილს. მათგან ერთი განსაკუთრებულია; – მეტად მამაცი, ენერგიული და ძლიერი. თუმცა ის მგლის წესის და გვარის დარად როდი სვავს წყალს, ძროხასავით ხვრეპს, ამიტომ დედა მგელი ლეკვეს წყალში ახრჩობს. ასეა დემნა, თავისზე ძლიერი მემკვიდრე იმისთვის არ უნდა, შიშობს, რა გაიზრდება აღზრდილმა მისივე ტყავი არ დაფლითოს.

ყველაფერი ცხადი გახლდათ. მგლის ლეკვივით საშიში იყო დემნა, დახრჩობა და მოშთობა – გარდაუვალი.

– ტყუილად აზმნობ, დემნა, რომ მემკვიდრედ დაგასახელებ; სკიპტრას თამარს გადავცემ და ტახტზეც იმერთადერთს აღვაზევებ!

გიორგიმ მოჭუტული თვალები უფრო დახუჭა.

მეხის გავარდნასავით ყურს სწვდა უფლისწულს გიორგის ნათქვამი და თავით-ფეხებამდე შემზარავმა ტკივილმა დაურბინა; უბედურმა უფლისწულმა ახალა-მოსულ წვერზე ხელი მოისვა, ნიკაპზე იპწკინა და გამზრდელს შეეკითხა:

– კი მაგრამ ლაზიკამ არ მოილოგინა, მეფეო?

– საბოლოოდ გამანბილა ხარჭადყოფილმა და ქალი შვა!

– ღმერთს ასე ეწადა და უზენაესია ნება მისი! ხარჭას ბრალი არ მიუძღვის, ძია. ადამიანები თავიანთი სისუსტის დასაფარად ბრალს სხვას სდებენ ხოლმე. გვგონია

თუ ვისმე დავადანაშაულებთ, ამით ყველაფერს ეშველება. ბევრს ვფიქრობ ხოლმე თქვენზე. უძილობის მიზეზი ის ხომ არაა ცოდვები რომ გაწუხებთ?

– შეიძლება, უფლისნულო! წუწუნის უფლება არ მაქვს, სხვა მოკვდავთაგან განსხვავებით. ეს გზა ჩემი არჩეულია, ამიტომ კმაყოფილიც ვარ ბედისნერის. განაშენც შენი გზა არ აირჩიე? ახლა უკადრისობ, წუნიობ, უკმაყოფილო ხარ! ალშემორტყყმული ციხიდან რომ გამობრძანდი, გეგონა, მარტივად შემეძლო დამევიწყებინა შენი ორბელებთან დაზავება. საწამებლად იმიტომ გიმეტებ, რომ ასე შენ მაიძულე. მე კი... მოღალატეთა მიმართ ადრიდანვე უწყალო, ულმობელი და სასტიკი ვიყავ! რომ გაცოცხლო შიშით უნდა ვიცხოვრო და ყველა საფიქრალთა შორის შენც დამემატო. წარმოუდგენელია ერთხელ ამბოხებული, თუნდ შემორიგებული, გულისნერომისთანავე კვლავ არ ამბოხდეს;

– თამართან შეხვედრის უფლება მაინც მომეცით, – ხელმეორედ იხვენა ბატონიშვილმა. ამის თქმაზე ჰკრეს უფლისნულს დანა ლაჯებში და დაასაჭურისეს. შემდეგ ცხელი შანთიც უთავაზეს თვალებში.

ყმაწვილს წყევლისმაგვარად დასცდა:

– რამდენიმე საუკუნე ვერ ჩამოგეწმინდოს ცოდვა, საქართველოვ, შენგან დაღვრილი ბაგრატიონის სისხლისთვის!.. მომლოგინე ქალივით ეპოქები შეეწუხებინე გაუსაძლის ტკივილს, მაგრამ უკვე ვაუნამშობ დედასავით მაინც გაგეხაროს, შე უბედურო!.. ყველაფერში მაინც მე ვარ დამნაშავე, უკანასკნელი ძე ბაგრატიონთა გვარის.

მე, მეფის მწიგნობარი იქვე ვიდექი და მჭმუნვარედ ვუყურებდი ნატანჯ უფლისნულს. დამაბარა: – რასაც ხედავ თამარს ნუ მოუყვები, მხოლოდ სთხოვე, უკანასკნელი სურვილია დემნასი გაუქმდეს სხეულებრივი სასჯელები. ღვთისგან რაც საღ-სალამათი და მთელი

გაჩნდა, იმას ადამიანები ნუ ხელყოფენ.

ნავემი ბატონიშვილი ჯალათმა ციხის ერთ მიყრუებულ ოთახში შეიყვანა.

სიცოცხლის ბოლო დღეები იქ გაატარა დემნამ.

სხვა დანარჩენს უფრო გვიან გიამბობთ...

* * *

სრას წინ ჯაყა იდგა. მეფეს დაგვიანებოდა; წესად ჰქონდა მოხუცს, კიბეზე ჩამოჯდებოდა, ვიდრე გიორგი არ მობრძანდებოდა და მას სამშვიდობოს არ იგულვებდა.

ვინ იცის, რამდენი ლამე დასთენებია ჯაყას კიბეზე ჩამომჯდარს. ჩასთვლემდა ხანდაზმულს, მერე ლამურების ხმაზე შეფხიზლდებოდა, თვალებს მოისრესდა და ერთხანს აყურადებდა ცხენის ფლოქვის ხმას. ხევსურასთვის ნალის დაჭედებას შესწრებია თურმე და მას მერე მეფის ერთგული ცხენის თქარა-თქურს იოლად არჩევდა. გაახსენდა, ხევსურა წინადლით დაეკრძალა მეფეს.

სასახლეში გვიან ლამით დაბრუნდა გიორგი. კიბეზე მთვლემარე მოხუცი ხელში აიყვანა და ჩასჩურჩულა:

– რამდენჯერ გითხარ, დიდედა ჯაყავ, მოისვენეთ. ლამე ლმერთმა დასვენებისთვის გააჩინა და ძილ კრთო-მიანობა არ ივარგებს შენი ჯანმრთელობისთვის.

– რა დამაძინებს, გიორგუნა, შვილო. საგულეში პატა-რა გული რომ მიცემს, ის როგორდა დამშვიდდება, თუკი კარგად არ მეგულეთ. ამდენი მცდელობის მიუხედავად, ქურდებითა და მამაძალლებითაა ტფილისი სავსე. ეგებ ვინმე აშარი ან მთვრალი შემოგხვდეს, ან ორგულნი ჩა-გისაფრდნენ. კი ვერაფერს გიშველი, მაგრამ სანამ ეს მაქვს ფიქრად, რული მაინც არ მეკარება.

– ო, ჯაყა, რა დიდებული ხარ, ლმერთმანი! მითხარი, დედოფალი ხომ არ მობრუნებულა ისნიდან?

– ჯერ არა, შვილო. შემოუთვლია, კაი ორ კვირას შევყოვნდები, აგარად მყოფს მეამა დარჩენაო. სულმნათი დედოფლის და თამარის გარეშე კი ცარიელია ეს პალატები. ცივია, შვილო აქაური კედლები. მარტოობა ხელმწიფედ ქცეულა მეფისეულ სრაში. ასე იყო პაპაშენის და ან განსვენებული დემეტრეს დროსაც. ლხინი და ნადიმი თითზე ჩამოსათვლელად გქონიათ. მტერი კალიებივით გეხვიათ და სად გეცალათ პურობისთვის.

გიორგიმ გაუცინა მოხუცს, – კარგი მეხსიერება გაქვს, დიდედა ჯაყა. წერა-კითხვა რომ გცოდნოდა შენზე უკეთ ვერვინ დაწერდა მეფის ცხოვრებას.

– რის მომსწრე არ გავხდი შენთან, შვილო გიორგი. მნიგნობრის ჩანაწერს რად ვენდო, როცა ჩემი გონება უტყუარია. იქნებ კარგიც იყოს წერა-კითხვის არცოდნა. ჭკვიან კაცს ყოველ დროებაში, ქარაფშუტაზე ძლიერ უჭირს. წიგნს იშვიათად მოაქვს ბედნიერება, როგორც დემნა ბატონიშვილის შემთხვევაში. ჭრაქის შუქზე რამდენი ღამე უთევია საბრალოს. თქვენთან რომ ვაჭარი დადის, მასაც არაერთგზის მოუტანია მისთვის სხვათა ენებზე ნაწერი ეტრატები. ჯერ კიდევ ყრმა იყო მაშინ...

– აკი ვაფრთხილებდი ზანქანს, შეშლის უფლისწულს ამდენი კითხვადა ხედავ მალულად მაინც ახერხებდა წიგნის შოვნას? ოხ, ეს ვაჭრები, დიდედა ჯაყა, ყველაფერში ხეირს ეძიებენ მუდამ.

– ძალი ახსენე და ჯოხი ხელში მოიმარჯვეო, ხომ გს-მენია, გიორგი. ზანქანს კაცი გამოუგზავნია, არზრუმს ვრჩები მცირე ხანს და სიტყვა რომ არ გავტეხო მსახურს ვატან ორ ძვირფას შავ ქსოვილს; არმაღნად არ შემიძლია და ნუ მიწყენს მეფეთ მეფე, მოგვიანებით გავსწორდებით ჩვენ ორნი.

– ერთი შენი იყოს დიდედა, მუდამ მგლოვიარეს შავის მეტი თუ გცმევია ოდესმე არც მახსენდება! ძაძებმა

მიგიჩვიეს და სხვა ფერი არც მოგიხდება, მონი. დღეები გადის, შენ კი მეტად პირქუში და მოწყენილი ხდები. ყოველ მომდევნო დილას წინანდელზე ათჯერ მეტი წალველი და კაეშანი მოაქვს. ნეტა პირმცინარი მენახე და არას დავიჩივლებდი! როგორლა გასძელ, შე უბედურ დღეზე გაჩენილო, ასე სამშობლოსგან მოშორებულმა. ვაშა შენს გამძლეობას! მყის დასრულდება ეს ტანჯვა, დიდედავ. ამ კვირას ცხენებს შევაკაზმინებ მეჯინიბეს... შორ გზაზე მოგიწევთ მგზავრობა და საუკეთესონი დაგჭირდებათ ამისთვის.

თმას საბურავით იფარავდა მოხუცი ჯაყა.

მეფემ სთხოვა, – შეიხსენ, ყივჩაყო, ეგ მანდილი შენი ჭალარის მადლმაო...

დედაკაცმა რაკი თავი დაიმარტოხელა და არვინ ხედავდა, ლეჩაქი შეიხსნა და წადილასრულებულ მეფის წინარე თავშიმველი დადგა.

მიეალერსა მეფე მოხუცს, ანუგეშა: – სიბერეს შენთანაც ჩამოუთოვია თურმე, ყივჩაყო!.. ჩვენსას რომ მოხველ კუპრივით შავი დალალი გქონდა, ჩვენ ვართ ამაში, დიდედა დამნაშავენი!..

– შენ რა ბრალი მიგიძლვის, შვილო. კაცის ყველაზე დიდმა მტერმა და მოძულე უნდობარმა უამმა გამტეხა!.. ადრიდან გვისახლდება, ეს ოხერ-ტიალი, გველაძუა სიბერე, თანდათან გვეჩვევა, მერე ძვალს გვიმტვრევს, ჯანს გვტაცებს, უინს გვიკლავს და რაც სიყრმესა და ახალქალობაში ვერ მავნო, იმას სიბერეში მაზლვევინებს.

ბამბუკის ჯოხს ებჯინებოდა ჯაყა... წამოდგა; მეფემ მხოლოდ ახლა შეატყო, რა უბრალო არგანი ეჭირა მოხუცს, – არ შეგშვენისო, დიდედავ, ემაგ კეტზე დაყრდნობა, – ანიშნა მეფემ!

– გლეხთა ცხოვრება წმინდაა, შვილო და დიდებულთაგან განსხვავებით ყოველთვის უბრალო ჯოხს ეყრდ-

ნობა, – სიტყვა შეაგება ჯაყამ;

– დიდედა, ყუბასარი ამირსპასალარად დავნიშნე, ტა-შირის კლიტენიც მასვე გადავეცი... სამხიარულო ამბა-ვია, არა?

– სამხიარულო რა არის, შვილო... ის არასდროს დაბ-რუნდება ყივჩაყეთს. ჩვილი წამოვიყვანეთ და ეტყობა თავისი მიწის სიყვარული გაუნელდა. უმიწანყლო კაცი დიდად ცოდოა, რა პატივიც არ უნდა დასდო, მეფეო, ის მაინც უბედური იქნება. სხვისი მიწის დასაცავად ძალ-ლონეს არ დაიშურებს, არც მონდომებას დააკლებს, მა-გრამ მიხვდება ერთხელაც რომ იგი მაინც სხვის კუთ-ვნილზე ბოგინობს. იმ დროშას აფრიალებს, რომლის არც ერთი წაფლეთი თავად არ დაუკერებია, იმ გერბს იცავს, რომელზედ დატანებული რეგალიები ბუნდოვანია, იმ სამეფოს უკოცნის წატერფალს, ვინამც შეიძლება ერთ დღეს იპრიანოს და მის წამდვილ სამშობლოს ცეცხლი წაუკიდოს...

ქმარ-შვილნი აქ დავასაფლავე, შვილო გიორგი და ყუბასარიც ხელიდან მეცლება. მე რისთვის დავბრუნდე ყივჩაყებთან? სად მაგზავნით, შვილო, საქართველოზე უკეთეს ადგილას? ვენაცვალე ყივჩაყეთს, მაგრამ იქაუ-რი ენა ქართულივით საამური კი არ არის, არც ხალხია ასე ერთ მუშტად შეკრული, არც ჩვენებური სიმღერე-ბია აქაურზე ტკბილი! არც ყივჩაყური სარწებელია ქა-რთულზე ლამაზად გამოკვეთილი, მაგრამ მიწის წაფ-ლეთი, რომელზეც ფეხი ავიდგი მომნატრებია, შვილო... – ცრემლი მოებჯინა მოხუცს, სასულეში ნერწყვი გა-დაცდა...

მეგონა, ყუბასარსაც თან გამაყოლებდი... დამღუპე, შვილო გიორგი. ჯარის მთავარსარდლობა ოცნებად ჰქონდა მას და ისეთი რა უნდა შევაძლიო, რომ დავიყო-ლიო თან წამოყოლაზე.

— ჯაყა, — სიტყვა გააწყვეტინა გიორგიმ. — ნუ იქმისეთ საქმეს, შენს ქმარ-შვილებს რომ ეწყინებოდათ. ყოველთვის სამეფო კარს მსახურობდი. ყუბასარის გონიერება მე კი არ მჭირდება, ქვეყანას არგია. ორბელი კარგი მეთაური იყო, მაგრამ დაბერდა, სისხარტე დაკარგა, თვალიც ისე არ უჭრის და რაც უმთავრესია, შემიორგულდა. ძველთა ადგილას ახალ თესლს ყრიან გასახარებლად!.. ყივჩაყი საჭირო კაცია და ხათრი დიდი მაქვს შენი, დიდედავ, თუმცა უპრიანი არ იქნება ყუბასარის გაგზავნა ყივჩაყეთში...

— ადრიდანვე საჭირო კაცს სანთლით ეძებდი, ეგ გქონდა კარგი ჩვევა და გვარიშვილობას არ დაეძებდი. ასე იქცეოდა ცხონებული დავით ალმაშენებელი. საუკუნო ხსენება ჰქონდეს მის სულს უფლისგან... გიყვარდა, როცა მწვერვალზე აიყვანდი ხოლმე ადამიანს, იქ საბრძანებელს მოუწყობდი, ტახტრევანს დაუდგამდი, ხალხს მიუჩენდი; მერე კი შორით უწყებდი თვალთვალს, მზვერავთა მსგავსად; არასდროს გიკითხავს, იყო კი ის ადამიანი იქ დაბრძანების ღირსი. მაგრამ, ვაი იმას, ვინც არაკაცურს დაგანახებდა. მოიკილებდი, შეიძულებდი, მტრად მოეკიდებოდი და სულ ძმრად ამოადენდი წინანდელ პატივისცემას. როგორ ადვილადაც შეგეძლო წყალობის გაცემა, ისეთივე სისწრაფით გამოუთხრიდი ძირს უღირსებს...

მოხუცმა პირჯვრის გარდასახვა სცადა. — „მარჯვნივ, თუ მარცხნივ?“ — გაიფიქრა. ყოველთვის ეშლებოდა და მეფე გიორგი უსწორებდა.

— პირველად მარჯვნივ, ასეა დაწესებული მართლმადიდებლებში.

— რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია გწამდეს, შვილო! — გაცხარდა მოხუცი. — ღმერთმა ისედაც კარგად იცის, რა გულით აკეთებენ ამას მლოცველნი.

ვიდრე გავიდოდა ჯაყა, გიორგის შუბლზე წრიულად შემოავლო ხელი. მოზუცს ეს ჩვევად ჰქონდა, ნათვალავის შელოცვას წაუკითხავდა, ჯადოს აყრიდა მეფეს და დამშვიდებული საძინებლად გაეშურებოდა.

– როგორ გნამს ჯაყა ამ ეშმაკეულების, – ეტყოდა მეფე გიორგი.

– თუ რამის არ იწამე ამქვეყნად, ცხოვრება გაგიჭირდება, მეფევ.

– მერე ვინ თქვა, დიდედავ, რომ არ მიჭირს?...



გიორგი III-ის მიერ მოჭრილი მონეტა
სპილენძი, ქორონიკონი 394 = (1174 წ).

* * *

მეფე გიორგის დღიურებიდან:

სასწრაფოდ მამცნეს შიკრიკებმა, დემნა უფლისწული ჭკუიდან შეცდა და საბრალო ჭაბუკი კლდიდან გადახტომას ლამობსო.

ვერ მოვისვენე, სანამ არ მოვინახულე პირმშვენიერი, ოდესლაც სილამაზით ქებული უფლისწული. მას ხელში არგანი ეჭირა, თავზე გვირგვინისებურად მემოეხვია სამოსელი და ჯოხიც ხმლისებრ წელზე ჩამოეკიდა.

— უკანასკნელად გთხოვთ, ერთი დღით დამსვათ იმ საბრძანებელზე, რომელიც მეკუთვნოდა, ძია.

ისე საწყლად მთხოვა, ვერ ვიუარე. მსახურთ დავაბარე მოეტანათ რამე ტახტისმაგვარი, რადგან დემნა მას მაინც ვერ დაინახავდა. ვუთხარი: — აი ტახტი, რომელზეც ოცნებობდი, დროებით შენია, მაგრამ რომ ვერ ხედავ?..

დიდხანს ეფერა ძონისფერ სავარძელს, ფაფუკად გადაატარა ხელი, დაყნოსა და ზედ დაბრძანდა.

არათუ ბაგრატიონთა საბრძანებელზე, არამედ ვიღაცის ხელით ნაჭედ სკამზე მოკალათდა.

ტახტი ისე მიყვარდა, თვალდაშრეტილი კი არა, მომაკვდავი და უგონოდ მყოფიც კი ვიცნობდი. ამის მხილველს სული დამეწვა. რეჩხი მიყო გულმა და ვიგრძენი, დიდი ხნის სიცოცხლე არც მე დამრჩენოდა, რადგან შიგნიდან რაღაც საწამლავივით მთუთქავდა. ხუთვები და ჰაერის უკმარისობა მუდამ მაწუხებდა; ავად ყოფნაც დემნას დავაბრალე, ალბათ კლდეკარში ნანახმა შემძრა-მეთქი.

საწოლის მეკარემ მკურნალთუხუცესს დაუძახა.

წამლის სუნი შემოჰყვა აქიმს და ნიმადურით ბევრჯერ მომასულიერეს.

იმ წელს ანისს რატომ სამჯერ არ მომინია ყოფნა, იქ კი რაღაც ავადყოფობა გავრცელებულა. ოფლიანობა და გულისზიდვა ახასიათებდა ამ სწეულებას. სიცხეც მაღალი

მქონდა და ძლიერი თავის ტკივილები დამჩემდა.

დიდედა ჯაყას გამგზავრება ამის გამოც რამდენჯერმე გადაიდო. შემოვიდოდა, გულხელდაკრეფილს რომ მნახავდა, მაყურადებდა, ხომ არ გალია სულიო, ფიქრობდა ალბათ და რა ცოცხალს მიგულებდა, უმაღლ შაკიკის ლოცვას კითხულობდა. საცოდავად დაბერებული დიდედა ტუჩის აცმაცუნებდა და ბუტბუტებდა, – შაკიკი შამოჩვეულა სათიბის ბოლოსა, ასე ხვრემდა რკინასა, როგორც ხარი თივასა!.. გაუწყრა წმინდა გიორგი, გაპარულიყო დილასა!..

მაინც არ ცხრებოდა თავის ტკივილი; გვირგვინი კიდევ უფრო მტკენდა და ახლა აქიმის რჩევით ნაჭრით შევიკარი შუბლი.

– საცაა დათვლილია ჩემი დღეები! თუკი თამარს არ ვაკურთხებ მეფედ, ჩემი სიკვდილის შემდეგ მის გამეფებას დიდებულნი არ შეეგუებიან. ჯერხანობით წინააღმდეგობას ვერავინ გამიწევს, ურჩი ორბელები მკვდარნი არიან, სხვები შიშით თანხმობას განაცხადებენ.

მირჩიეს ღანუყობის ჟამს* წავსულიყავ და ცოტა ხნით მომესვენა. ნაჭარმაგევს მოსულმა სასწრაფოდ ლიხთი-მერეთიდან მოვიწვიე ხალხი ასულის გასამეფებლად.

«წარვიძლუანეთ ძელისა ცხოვრებისა, მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა».

რაკი თამარი და ბურდუხანი ისანს იმყოფებოდნენ, ჩვენც იქ წავბრძანდით. დარბაზის სხდომა მოვიწვიე და საგანგებოდ დაპატიუებული სტუმრების თანდასწრებით, სამხიარულო ტანისამოსში გამოწყობილმა, დავადგმევინე ვახტანგისეული ტახტი, ავაფრიალე დავითის დროშა და ქუთათელ მთავარებისკობოსს, ანტონ საღირისძეს ვთხოვე დაედგა თამარისთვის გვირგვინი.

ანტონსმხარსუმშვენებდარაჭა-თალკვეთისერისთავი კახაბერი.

* გაზაფხულის დრო.

რატომღაც ისევ ლაზურად გაგონილი გამახსენდა: «ყველა კაცი კაცია, ხოლო კახაბერი სულ სხვა კაციაო», მართლა სხვა კაცი იყო ერისთავი კახაბერი. ქუთათელმა საღირისძეებმა, სვანეთისა და არგვეთის ერისთავებმა – ვარდანისძეებმა და ამანელისძეებმა მოწინებით ჩემებრ სწორს ხმალი მიართვეს.

თამარი მწუხარედ იყო, – კი მაგრამ დემნა რა იქნა მამა, – მკითხა და აი, აქ კი დავიპენი. არ ვიცოდი როგორ გამემხილა ასულისთვის ის სისასტიკე, რაც ვემენ ამ ცოტა ხნის წინ.

– დემნა აღარ არის, თამარ! ტახტის მემკვიდრე შენს მეტი არვინაა, შეილო. შენი ბიძისწული ჭკუიდან შეცდა და კლდიდან გადახტა. მცხეთის შემოგარენში დავთალით უბედური უფლისწული. გელათის რეკონსტრუქცია დავიწყეთ, სამარხს ვაფართოებთ და საკურთხეველიც გვეპატარავა მრევლისთვის, ამიტომ ტაძარი დავახურინეთ. [სინამდვილეში დავუმალე ქალიშვილს, რომ გელათის საგოდებელი არ ვაღირსე დემნას და როგორც სირცხვილნაჭამი ბატონიშვილი, სვეტიცხოველში დავკრძალე]. დამდე პატივი და ნურაფერს შეიმჩნევ, სიხარულისა და წუხილის მიზეზს სხვადასხვაგვარად ხსნის ერისკაცობა.

ასულს ლოყაზე ცრემლი მაინც გადმოუგორდა. თუ ეს ყველაფერი მართალი იყო, ის ვერ გაერკვია თამარს, წესით მგლოვიარე მეფეს რატომ ეცვა მხიარული ფერის სამოსი...

თანამოსაყდრეობას ულოცავდნენ, ასულს არაფერი ეს-მოდა. უგონოდ იჯდა ტახტზე და სეფე-ქალები გარს ეხვივნენ.

პირველი, რაც მეფედ კურთხევისას უბრძანებია, თალ-სის და კუპრისფერი გავალაკის* შეკერვა იყო.

სწორედ ამ მიზნით დავავალე მაშინ ზანქან ზორაპა-ბელს სამგლოვიარო ნაჭრის ჩამოტანა.

ჯაყას ხელით შევაგზავნე ასულთან ვაჭრის მონატანი ფლასი.

* მეფეთა თავს ზეით საფარებელი ნაქსოვთაგან.

ჩემი გამეფება მომაგონდა. ჩემსებრ, თამარსაც ტახტზე ჩასთვლიმა იმ ლამეს.

* * *

კარგად იცოდა ლაზიკამ, მეფე ალარასდროს მოაკითხავდა მას, თუმცა შიოზე გაგონილის შემდეგ მაინც გადაწყვიტა ბეშქენ ოპიზრელთან მისულიყო. „იქნებ გიორგი არც ტყუოდა, მაგრამ რატომ შეხიზნა მეფემ ლაზიკას ძმა სამეფოსგან ასე მოშორებით?“, – ალბათ დედოფლის რიდი იქონია, – იფიქრა და ეტლიდან ბუნებას უწყო თვალიერება. თაკარა მზე ბუმბერაზ ხეებს ეალერსებოდა. არაერთი წისქვილი და ფარდული ნახა ლაზიკამ, ხიდიც გადაიარეს ბევრჯერ, გზა მაინც არ მოკლდებოდა. ჩვილსაც მოშივდა და ძუძუს ორგზის წოვება მოასწრო, კალთაში მძინარე ასულს ყვრიმალები დაუკოცნა და ისევ ჩაფიქრდა.

ცხენის ფლოქვის ხმა მიწყდა, როხროხა ეტლის კარი გაიღო და მეეტლისგან შემოემა: – აქ არის ბეშქენ ოპიზრელის საბრძანებელი.

შორით დაინახა ლაზიკამ, ვიღაც კაბოსანი მიწაზე რაღაცას ხატავდა. ღილინიც შემოესმა, ეტყობოდა, რაღაც ბავშვობისდროინდელს იგონებდა; ქარმა მიმოაბნია იმ უცნობის სიმღერა, ჰაერში გაფანტადა დაკარგული მელოდიის ნაცვლად ჩაესმა: – «ვიყავით სამი ძმა. ვიშოვეთ სამი მშვილდი: ორი – გატეხილი, ერთს ისარი არ ჰქონდა». – ალბათ კარგად ვერ ვაყურადე, დაასკვნა ლაზიკამ, – «უსულო იხვი მოვკალით უისრო მშვილდით და წავედით».

– შიოო, – დაიკივლა ლაზიკამ და მისი ხმა კლდოვანა ადგილებს მისწვდა. ღმერთო, რას მომასწარ შენი სახელის ჭირიმე, იმ ჯადოსნურ ზღაპარივით ხომ არ მეზმანება ყველაფერი? სანამ ხელით არ შევეხები და ნიშანს არ ვუპოვნი, ვერაფერს ვიწამებ!..

ბექას თავი არც აუწევია. ქვიშაზე ორნამენტის ნიმუშს

ხაზავდა, შლიდა და კვლავ ახლის გამოყვანას ცდილობდა. სახელოსნოში რომ შესცივდებოდა, გარეთ გამოსვლა უყვარდა.

კლარჯეთის ბუნება მეტად მკაცრი იყო. თითქოს სამყაროსგან მოწყვეტილი ოპიზა თავს არიდებდა სხვა დანარჩენებთან კავშირს და მარტოდმარტო დაყუდებულ, კარჩაკეტილ ბერს ჰგავდა. აქა-იქ ისმოდა ქვების გრუხუნი, კლდიდან მოწყვეტილი ფერდობისკენ რომ ეშვებოდა. ჯიხვთა ჭიუხიც ესმოდა ბექას და ამაყად ათვალიერებდა კლდეზე ათასფერად ამწვანებულ კორდსა და წიწვნარს.

მის ნინ აღმართულ კლდეზე წელინადის ყველა დროს მოეყარა თავი. შემოდგომასავით ყვითელი ქვის ფონზე მომწვანო წიწვები ჩამწკრივებულიყვნენ, მოიისფრო ადგილას ჩანჩქერი ეშვებოდა და ცისარტყელა, ფუტკარისებრ, შვიდი ფერით თავს ევლებოდა იქაურობას. შაბიამნისფერი ხავსი ალაგ-ალაგ სიმწვანეს იბრუნებდა. მერე ჯანღი დაირაზმა და ნისლში დანთქმული კლდე ზამთარივით დაიფოფრა. გადათეთრებულ მთებს ჯგროდ მოედო კუპრივით შავი ღრუბელი და ორი მოპირდაპირე კლდის ქიმზე სხვადასხვა ამინდი დადგა.

გაცვიფრებულ ბექას ჯერაც არ ეხილა ასე ერთდროულად პირმცინარი და მტირალი ბუნება. დასავლეთით, ცაზე, მეხიც გავარდა და ნიამორ-არჩვთა ჯოგი გამოქვაბულისკენ ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა.

ბექამ ისევ ჩანჩქერს გახედა; წინათ რომ წყალთან ცისარტყელა კეკლუცობდა, ახლა შვიდმნათობიერის ტრფიალი აერიდებინა და იმაზე ძლიერ ეხეთქებოდა უფსკრულს, ვიდრე ამ რამდენიმე წუთის წინ.

ლაზიკას ჩვილი ხელში აეტატა. გზააბნეულმა, თავი რომ სამშვიდობოს იგულა და ადამიანი დაინახა, ეიმედა, ბავშვს მაინც არ დავლუპავო და იფიქრა:

– „ხომ არ სჯობს გავერიდო აქაურობას?“ – თუნდ ჩემი

ძმა აღმოჩნდეს, რა ვუთხრა, ან რომ მკითხოს, როგორ იცხოვრე, დაო, ეს წლები, რით ვანუგეშო! ხომ ვერ მივახლი, მეფის ხარჭა გავხდი, შიო, ეს ჩვილიც სიძვით ნამშობია-მეთქი?

კლდოვანი ადგილი იყო, სიცხემ გაბანგა ლაზიკა და შუბლი მოიჩრდილა. შეატყო, სილაზე თავდახრილი ჭაბუკი იერით მამამისს საოცრად ჰეგავდა.

ძალა დაატანა თავს და ევედრა, ჭაბუკო, შეუძლოდ ვარ მგონი და ოპიზრელთა სამჭედლომდე მიმაცილე. საცაა აქაც იწვიმებს, ნაბადი არ მაქვს და უსაწვიმროდ ჩვილს დავასველებ.

სტუმრის დანახვაზე ნამოიჭრა ბექა, მხიარული შეეგება მოსულთ და დააყოლა, – რა თქმა უნდა, თქვენს სამსახურში მიგულეთ...

წყალიც ითხოვა ლაზიკამ, რა სული მოითქვა, ჭაბუკს მაღლობა გადაუხადა; მხოლოდ ახლა გაბედა ვაჟისთვის თვალებში ჩაეხედა.

მას შემდეგ დიდი დრო გასულიყო, ამიტომ უფრო გაზრდოდა ხალი. ნიშანი მეტად უხდებოდა ჭაბუკს და ძლიერ ვაჟკაცურს ხდიდა. დიდრონი თვალებიც ცოტათი გაფერმკრთალებულიყო. მოსულმა ლაზისტანის ზღვის ღელვა შეამჩნია ბექას თვალებში. ღელვას ვერ დაარქმევდი, ალბათ შედარებით დამცხრალ ზღვას სტიქია მოპეზრებოდა და სიმშვიდე ეძია...

„ცამდის მართალი ყოფილა მეფე გიორგი“... ახლა ის აწუხებდა, ხვაშიადი გაემხილა თუ არა თავის ძმისთვის. თქმაც უნდა და ენას ძლივს იჩერებს პირში, ბექა კი არა შიო ხარ, დაიპრუნე შენი ნამდვილი სახელი, რადგან კაცი სახელის უკვდავყოფისთვის უნდა ზრუნავდეს. თქმა დააპირა, მრავალი წელი გეძებდით მე და მამა და იმედი ლამის ამოგვენურაო; მაგრამ გაჩუმება არჩია. ჯერ გიორგის უნდა დალოდებოდა და შეეტყო, რას უპირებდა მეფე მხო-

ლოდშობილ ასულსა და თავად მას.

მეფე დაპირდა, უმალ, როგორც კი დროს გამოვნახავ, გინახულებთო, მაგრამ დანაპირები ეტყობა მსწაფლ და-ვიწყნოდა...

ლაზიკას გული ცუდს კარნახობდა. „მიმატოვა“, „აღარ ვუნდივარ“. ბოლო საუბარიც მოაგონდა, გაგულისებულმა ხელმწიფემ კადნიერად რომ მიანიშნა: – ქაოსურია ქალუ-რი ბუნება, მით უფრო ხარჭისეული! ლიბრი გადაგკვრია და ვგონებ ვერა ძალი განანათლებს მას...

ფაქტია, მეფესთან ცხოვრების უფლებას არც დედოფა-ლი მისცემდა, მით უფრო აუკრძალავდა მართლმადიდებ-ლური ეკლესია.

„სხვა გზა არ არის! სადმე გადავიკარგები. მე ვიცი, რო-გორც იციან გაბოროტებულმა ბაგრატიონებმა. თალზით შემმოსავენ, კლდიდან გადამაგდებენ ან სადმე მიყრუე-ბულ სოფელში მონაზვნად აღმკვეცავენ.

შიშით უნდა ვიცხოვრო დარჩენილი სიცოცხლე, არ მე-ცოდინება მძინარეს შემომისევენ მორიელებს თუ ასპიტთა დასაგესლად მიმაგდებენ! ტაძრის გზას რომ დავადგე არც ეგ ივარგებს. ვიცი, ამაოებით შეპყრობილი მეფე უინის და-საცხრავად ოდესმე მომძებნის და უღვთონი წმინდა ად-გილს წარვხოცავთ. საკმარისია, რაც ვცოდე და არ მსურს სულდაკარგულ ადამიანად ვიქცე!.. გლეხის ქალი ვარ და დედოფლობას ვინ მალირსებს; მუდამ ხარჭა ვიქნები გიორგის! უნამუსოდ უნდა გავარყუნევინო თავი მეფეს...

ასულს რა ვუყო? თან ვიახლო განსაცდელში? უტი-ფრობით და ჭკუასუსტობით შვილს ვერ დავღუპავ! აქვე დავტოვებ, მეფეს თუ გული არასდროს მოუპრუნდება, მსმენია, ოპიზრელნი ღვთისნიერნი არიან და ჩვილს არ მომიკლავენ! ჩემნაირი დედა მის მომავალს მაინც ვერას შესძენს, თუ პირიქით არრა დააკლო! ობლობა არ სჯობს ლაზიკასდარი დედის ყოლას?“

უკანასკნელად აწოვა დედამ ახალშობილს ძუძუ და უკვე მძინარე ქალიშვილი სახელოსნოს მაგიდაზე დააწვინა, თვითონ კი საჩქაროდ გაიპარა სამჭედლოდან.

ბედად, მეეტლე შემოხვდა, რომელსაც ხოჯა ზღვისპირეთში მიჰყავდა. მიზდი* მოსთხოვა იმ უდღეურმა; იძულებული გახდა მეფის ნაჩუქარი ლალისთვლიანი ბეჭედი დაეთმო; ძლივს წაიძრო მარჯვენა ხელის შუათითიდან და ვაჭარს ხელში მიაჩეჩა.

შვილის ტირილი მრავალჯერ ჩაესმა ყურში; უცნობი გულდაგულ ეჩურჩულებოდა:

– ზღვიდან გამოხველ ლაზიკა და ლაზისტანივით ღელვად ქცეული ცხოვრება გარგუნა საწუთრომ! შენს სანაპიროს ტალღასავით ასკდებოდა: უბედურება, ტკივილი, სასონარკვეთა... მშვიდობას ეძებდი, რომელიც არა და არ გერგო შავ დღეზე გაჩენილ მოკვდავს. დროა, დაცხრეს ლაზისტანის ზღვა. შეიღირსიოს ამდენნლიანი ტორტმანი და იქმაროს შენი მოლუსკისებრ ხრწნა.

კიდევ ერთი ძვირფასი თვლის და გიორგის ნაჩუქარი ყაბაჩა-რიდეს სანაცვლოდ ვაჭარმა გემზეც აიყვანა ლაზიკა...

მთვარიანი ღამე იყო...

გემბანზე წრიალი მოპეზრდა.

მეზღვაურთა გულისგამანყალებელი სიმღერაც საზარლად ჩაესმა. სიმშვიდე ვერაფრით ეძია, ურუანტელმა დაურბინა.

შიოზე და ასულზე ნაღვლობდა, გიორგიზე ფიქრებიც კვლავინდებურად მოძალებოდა.

ისევ ჩვილის ტირილი ჩაესმა; მშია, დედა, ძუძუ მაწოვე – ცხარობდა ხმა. სინდისშეწუხებულს დახრჩობა გადაეწყვიტა.

„მაშ რა ვქნა, როცა არ ვიცი, რისთვის ან ვისთვის ვიცოცხლო!“

* ქირა.

წყალში გადაეშვა. ცურვა არ სცოდნია უბედურს... სამოთხ წუთს ებრძოდა ის სიკვდილს თუ სიკვდილი ებრძოდა მას, დარწმუნებით ვერ გეტყვით.

სანაპიროზე ზღვამ გარიყა გოგოს გვამი. მეზღვაურებმა ქვიშაზე სახით ჩამხობილი ცხედარი იპოვეს.

ხელში ჯვარი ჩაებლუჯა, რომლზეც ენერა, მეფეთ მეფე გიორგი III...

ვერავინ გაარჩია ინიციალები.

ჯვარიც ადგილობრივს მიუთვისებია;

მუსლიმი ყოფილა და ქრისტიან ვაჭარს ეძებდა, რომ ქსოვილში ან საკვებში გაეცვალა...

მერე ეს ჯვარი რაღაცნაირად ზანქან ზორაბაბელის ხელში აღმოჩნდა.

ვაჭარი დამწუხებული წარსდგა გიორგის წინ და წმინდა რეგალია შეაჩერა.

გულმარების უყო მეფეს. იმ დღესვე ლოგინად ჩავარდა;

აქიმი ვიხმეთ, იკუნკელიძემაც გასინჯა, ხელები გაასავსავა და თქვა: – დღეს ლამემდე ვერ გაძლებს მეფეთ მეფე გიორგი.

ჯაყაც მკურნალობის მცოდნე იყო და მოვიწადინეთ მეფე ენახა. ორიოდ საათის წასული იყო ყივჩაყეთს.

მომაკვდავმა ხელმწიფემ მწიგნობარი დაიბარა და დააწერინა:

– ვიცი, მალე აღვესრულები! რაწამს მივიცვლები გლოვას გამოაცხადებენ სამეფოში და შავად შემოსავენ ერისკაცობას. მაგრამ ვარ კი, განა გლოვის ლირსი?

შენ გაგიმხელ და ჩაინიშნე, მწიგნობარო! საუბარი მიჭირს, გულზე ასე მგონია მძიმე ჯვარი მადევს! მთელი ცხოვრება მარტო ვზიდე ეს სიწმინდე და ნახე, ბოლოს მაინც წამაქცია.

ძალდატანებით არაფერი მიკეთებია, ყველაფერს ჩემი ერთი მუჭა ქვეყნისთვის ვაკეთებდი. პირადულიც უარვყ-

ავი და ყველა ბედნიერება დავასამარე. ხუდდანის ასული შემრთეს და ჩემი და რუსუდანიც იძულებით ვაქორნინე მუსლიმებზე...

მაგრამ, აჯობებს სულ თავიდან დავიწყო...

ღმერთო, მომეცი ძალა წვრილად ვუამბო მწიგნობარს ყველაფერი.

ასე დამაწერინა:

«დაჯდა მეფედ გიორგი, უმაღლესი ყოველთა მეფეთა-სა, მძლე და მორჭმული მტერთა და შეცოდებულთათვს, კეთილის-მსახური ღმრთისა. საყდართა, ეპისკოპოსთა მეუდაბნოვეთა, მღდელთათვს კეთილის-მყოფელი იყო და უკადრი შეცოდებისა დიდთა და ცოტათაგან, გლახაკთა და ქურივთათვს მოწყალე იყო და ერთგულთათვს უხვ და მბოძებელი იყო.

სპარსეთისა სულტანნი, შორს მყოფნი და ახლოს მყოფ-ნი, მეძღუნედ და მოხარკედ მისდა იყვნეს, და ყოველნი სანაპირონი სამეფოსა მისისანი უშიშად ჰქონდეს.

აიღო ანისი, ადრითგან წაღებული თურქთაგან, ქორონიკონსა სამას ოთხმოცსა. შეიძყრა სალდუხი, ამოსწყვიტა ყოველი ძალი მისი, მოაღებინა ძღუნი და საჭურჭლენი, რომელი არა აითუალვოდა. და აღივსეს სამეფო და ლაშქარნი მისნი.

უშიშად ჰქონდეს განძას სულტანი და ხლათის სულტანი. და შამისა, ჯაზირისა და არდოხისძე სალდუხი გააქცივნა და დაწოცნა. და მოვიდა ილდღუზი დიდითა ლაშქრითა სპარსეთისათა, დაარბია შავშეთი, კლარჯეთი და გავალის ჯარს ესრე დაჭოცნეს, რომელ მოამბე ერთიცა ვერ წავიდა.

და აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნ-და დაწყნარებით. და ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან, ეგრეთვე შარვანის სახლი.

მიიღო კანონი, რომლის ძალითაც ქარავანსა ვერავინ ძარცუიდა ამიერ და იმიერ... მპარავი, ავისმოქმედი აღარ

იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის კარსა, ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადგის. ოვსმან, მთიელმან და ყივჩაყმან და სუანმამ ვერ იკადრონ პარვა და იყო მდიდრად ესე სამეფო.

ამას შვილი არა ესუა და მისთვის მწუხარე იყო უშვილოებისათვის. მერმე ინება ზეგარდამო მოწყალებამან ღმრთისამან, და იწყო მობერვად ნიავმან ამომან, და იშვა მათგან ქალი, ქმნილ-კეთილი, ყოვლითურთ უნაკლულო და შესატყვისი. ამას დაარქუა სახელი თამარ.

და მოსცა ღმერთმან შვილი გვრგვნის ცოლსა თანა ბურდუხანს, მსგავსად აღთქმით შობილისა, ვითარ ანნას სამოელი, რომლისა მიერ გამობრწყინდა სიმართლე და მრავალი მშვიდობა დღეთა მისთა».

ტკივილი უფრო აღებეჭდა გიორგის სახეზე, მოიკრუნჩხა საცოდავად და ეცადა განეგრძო თხრობა.

ლამის დასწავლული მქონდა დემნა უფლისწულის ამბავი. ვკითხე: – დემნაზე რა დავწეროთ, მეფევ?

ილაჯწართმეულმა ძალ-ღონე მოიკრიბა:

– დემნა ქართული ისტორიის ტკივილია, მწიგნობარო. ძვირისხსენებად მაინც არ მემეტება ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე. თუმცა, მე ჩემი ტყავის დასაცავად გავიბრძოლე!.. ჭკვიანი იყო და წიგნიერებაში მასზე მჯობი სამეფოში არც მეგულებოდა, მაგრამ გულჩილი ბუნებისა იყო და მეფობისთვის შეუფერებელი.

ოდეს მამცნეს, დემნა განდგა და ორბელნი აჯანყდნენო, მაშინაც გულმა რეჩხი მიყო. უფლისწული უკანონოს არას ითხოვდა; დავითიცე: ომში სტრატეგიულად თუ იმოქმედებს დემნა და მეფისთვის საჭირო თვისებას დამანახებს, ჩემი გამარჯვების შემთხვევაშიც კი დავუთმობ მას ქვეყნის მეუფებას-მეთქი. ალბათ ძნელად დასაჯერებელია. მე ხომ ტახტმოყვარულ ხელმწიფეს მეძახის ხალხი. დამიჯერეთ, მართალს ვამბობ, ღმერთმანი.

მგონია, ახლა უფლისწული თავის დიდძალ მომხრეთ დამიპირისპირებს და მაოტნებს-თქო; და აი, განსაცდელი მოვუკლინე. ცეცხლი წავუკიდე ციხის გალავანს. პირველივე ჯერზე შეშინდა ის უბედური. ალმემორტყმული ციხიდან გადმოცოცდა და მუხლებში ჩამივარდა. დავრწმუნდი, მისნაირი ჩუკენი* და მხდალი არათუ სხვათა წინააღმდეგ გაილაშქრებდა, არამედ კუთვნილსაც ვერას-დიდებით დაიცავდა.

ორბელთა მზაკვრობას შეენირა უბედური უფლისწული. აკი ვიქადნებოდი, ანისს არასდიდებით დავუთმობ ვინმეს, ამაოდ მესარჩლებით, რაც მეფის და ხალხის კუთვნილებაა იმას თავგასულ დიდგვაროვანს არ დავუთმობ-თქო!.. ან როგორ უნდა დამეთმო ანისი. მაშინ შირვანზეც ხელი უნდა ამეღო და ამის მხილველი თურქი მოსაზღვრენი შემოესეოდნენ შატბერდს, ოპიზას, ხანძთას, კოლა-არტაანს, პაპის ნაშენ ქვეყანას კი დააქუცმაცებდნენ და ჯუჯა-სახელმწიფოდ აქცევდნენ. მომიტევოს ყველამ, ვისაც უფლება არ მივეცი ქართულ მინა-წყალზე თარეშისა! ისეთი ჯაბანი მეფე არ ვიყავ, მამის დანატოვარი ვერ დამეცვა. შეიძლება ბევრი ვერ შევმატე მამულს, მაგრამ დანაკლისიც არა მქონია...

ლაზიკაც ვუხსენე მეფეს:

– ხომ არ აღმერთებდით-მეთქი?

მომიგო:

– ის უნდა გააღმერთო, ვინც თავად ღმერთს ემსახურება, მაგრამ იმისთანა ღვთისმსახურს არ ვენდობი, ტაძარში ოქროთი მოვარაყებულ ხატთა სამზერად შესვლა რომ სჩვევია.

მევედრა: – თუ რამის ხათრი გაქვს მასზე ნურაფერს დაწერ. მაგრამ გაგიმხელ ხვაშიადად, გაცნობის დღი-

* ჯაბანი, ლაჩარი.

დანვე წინდანინ ვიცოდი, ლაზეთის ქვეყანასავით გაქრებოდა. როგორ მოულოდნელადაც გამოჩნდა, ისეთივე სისწრაფით გაუჩინარდა მშვენიერი ლაზიკა. დიდხანს ვეძებდი, სპარსეთამდე მივწვდი, ბოლოს ზანქანმა ის ჯვარი მომიტანა, რომელიც ქალს ადრე ვაჩუქე. მისგან ქალიშვილი დამრჩა, სხვა არაფერი. ჩემი და, – რუსუდანი არის ახლა მისი გამზრდელი. სწორედ ის რუსუდანი, რომელ არს: «ტკბილი და მოწყალე, ნუგეშისმცემელი და შემხვენელი გაჭირვებულთა, და მზრდელი ჩვილთა და ობოლთა, რომელ ღირსნი მათგან ზრდისანი ნაშობთა მათთა წინაშე მიუსხმიდიან».

დაც გაახსენდა სულთმობრძავს.

რაკი ოთახში გიორგისთან მხოლოდ მე ვიყავი, მეფის დას დავუძახე.

მშვიდად შემოიხედა, ზღურბლს გადმოაბიჯა და – რით ვემსახურო ჩემს ძმას და მეფე ბატონს?

გიორგიმ სასთუმალთან დაჯდომა სთხოვა.

– ყველაზე დიდი ვალი შენს წინაშე მადევს და გვედრებ, თანანადებნი შემინდო, დაო....

– რა სათქმელი ეს არის, გიორგი. გახსენებადაც არ ღირს, შენს თავს ვფიცავ.

– ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყვარს როცა მე მიფიცებ, დაო. ბავშვობა მახსენდება, დედის კალთას ამოფარებული რომ იდექი და პატარა დანაშაულის შემდეგ ხელებს გაასავსავებდი, შემომხედავდი და იტყოდი, – გიორგის მზეს ვფიცავ ლარნაკი მე არ გამიტეხავსო. დედა სიმართლის თქმას გვასწავლიდა, ჩვენ კი გვეგონა ერთ ლარნაკს მისტიროდა ჩვენი გამჩენი.

– როდინდელს იხსენებ, ძმაო გიორგი. შესაშური მეხსიერების პატრონი ხარ. შენს თვალისჩინს არაფერი გამოპარვია ათეულ წელთა განმავლობაში. გახსოვს თუთის ხეზე გასულ დიდედა ჯაყას კიბე რომ მოვპარეთ? სანამ

მამამ არ მოიკითხა ყივჩაყი, მისი ამბავი დავმალეთ!..

ჯაყაზე გამახსენდა, საცაა მოვა, მალემსრბოლი მი-ვადევნე, შენს ავადმყოფობაზე ვამცნე და როცა მობრუნ-დება ბევრ ფათერაკს ერთად მოვიგონებთ.

– ჯაყა როგორც იქნა ცისკრის ხანს გავამგზავრეთ და უკან მობრუნება მთლად სწორი არ არის, – აღელდა გიორგი.

– ის თუ გახსოვს, ძმაო, მამამ წყრომით რომ მიუგო ჯაყას: – ნუ ელოლიავები ბერქალო ამათ და ხელს ტყუილად ნუ გადააფარებ! თუ სიმართლეს არ მეტყვი ტყუილდაჩვეუ-ლი ბავშვები გვიან წლებშიც ვერ მოიშლიან მავნე ჩვევასო. ჯაყა თავჩაქინდრული იდგა: – წკეპლის შიშით თავზარდა-ცემულთ განა ოდესმე უთქვამთ სიმართლე? მოზარდთ ისე მოვექცეთ, ჩადენილის უმართლობა შევაგნებინოთ. ისინი ტყვენი როდი არიან, სისასტიკით რომ ენა დავტყუოთ.

მწიგნობართუხუცესს რომ ედავებოდა დიდედა, ის თუ გახსოვს?

მეფემ ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, – როგორ არ მახსოვს, დღევანდელივით, დაო, რუსუდან. საუბარი მიმ-ძიმს და ეგებ შენ გაიხსენო. ხომ იცი, მიყვარს ბავშვობის-დროინდელი ამბების ყურად მოღება.

– ახლავე, შენ დაგენაცვლოს შენი დის სიცოცხლე. არ დავიზარებ, წვრილად მოვიგონებ მათ ნაუბარს.

ერთხელ პაექრობაში გაცეცხლებულ მწიგნობართუხუ-ცესს უთქვამს:

– ამაოდ გეიმედება, დედაკაცო, შენგან გამოზრდილი ქვეყანას წაადგეს. აღზრდა გლეხის ქალს სად ხელენიფე-ბა. უფლისწული დავითის ცოდნასთან და ზრდილობას-თან სად მოვა შენი აღსაზრდელი გიორგი და რუსუდანი.

ამას ქირქილით ამბობდა და დაცინვით შეძრნუნებული ჯაყა მორიელივით გესლავდა:

– ნიგნიცხოვრების უკეთ შესამეცნებლად ვარგა, თუმ-

ცა მეეჭვება რამე განსაკუთრებული შესძინო უფლისწულ დავითს. ნაყბედებით რატომ უნდა ავურიო ბავშვებს გონება? ჭეშმარიტების გზაზე რომ ვინმე დააყენო, თავად უნდა გქონდეს იგი ნაპოვნი.

მწიგნობართუხუცესი არგანს ეყრდნობოდა. ამაყად გას-ცქერდა შავად მოსილ დედაკაცს:

— შენ, ჰეი, ყივჩაყო, მებრალები ბრიყვ და უწიგნურ კაცის მსგავსად.

უწიგნურის ხსენებაზე მოხუცს ნაღვერდალივით შემო-ენთებოდა და გულიანად გამოლანდავდა:

— არც შენი განათლებაა ისე ღრმა, ინდაურივით გაიბ-ლინძო და თავეერძობა შეგეტყოს. შენ არათუ განანათლებ უფლისწულს, ზეობრივადაც წაახდენ. კაცს წესიერად რამე ხომ უნდა ემარჯვებოდეს. დასწყევლოს ციურმა ძალამ ის-ეთნი, ხმლის ქნევის ასარიდებლად ეტრატს რომ ჩაებლაუ-ჯნენ და ფილოსოფოსობა დაიჩინეს. მეფე დემეტრეს თავს კი აწონებ, მაგრამ კარგად იცი, რა წრუნუნაც ბრძანდები.

რუსუდანი ცდილობდა გამოწვლილად მოეგონა ყოვე-ლი. მას შემდეგ დიდი დრო გასულიყო, ამიტომ ეძნელე-ბოდა ყველაფრის გახსენება.

— შენ გამოქცევიხარ საკუთარ ადათ-წესებს და მე მე-ძახი წრუნუნას? კერპმსახურმა პირჯვრის წერა ჩვენგან გადაიღე, საკუთარ ბომონთ ზურგი აქციე, ნამდვილი სახელი მიივიწყე და ჯაყა დაგარქვეს, ძველთა საფლავ-თა მოვლა იუკადრისე და უცხოეთში გაითხარე ახალი! შენ ისე აღიარე უფალი ღმერთი, რომ მისი სასწაულის არა გცოდნია. გერჩივნა თავად გეპოვა მრნამსი და მერე დაგეწყო მსხვერპლშეწირვა.

აქ კი, მოილუშებოდა ჯაყა, ბუსავით გაიყურსებოდა, მანდილის ბოლოთი თვალის უპეს ამოიშრობდა და:

— ბნელში გიცხოვრია მთელი ეს ხანი, შვილო. შენ რას გაიგებ, რისთვის ვარ აქ. მუდამ იმ სანახებში უნდა იტრია-

ლოს კაცმა, სადაც მას, როგორც სამყაროს განუყოფელ, ერთიან და სასარგებლო არსებად ჰეროინ და არა უბრალო მოკვდავად, რომელსაც აღარაფერს ეკითხებიან.

აქაური ჰაერი მაცოცხლებს, – მინა თავდაჯერებულს მხდის. მრავალი მხარე ვნახე და ასეთი განცდა მქონდა, სამყაროს ვამძიმებდი, არაფერი სარგებელი მომქონდა კაცთათვის. ტფილისში კი სხვა ძალა ვიგრძენი. უცნაური, მანამდე განუცდელი გრძნობა დამეუფლა და მივხვდი, არათუ ქვეყნიერებას ვამძიმებდი, არამედ ყველაზე ღირსეულ გვარს, – ბაგრატიონებს ვესაჭიროებოდი. შენ, ქართველობა რომ მადლი არის, განცდილი თუ არა გაგონილი მაინც უნდა გქონდეს.

უტიფრად აჯავრებდა მწიგნობართუხუცესი:

– სამშობლო შენი ყივჩაყეთსაა და ფარისევლური, რწმენამოკლებულია შენი ნაუბარი.

– სამშობლო ის არის, სადაც თავს მშვიდად იგრძნობ. ძუძუს წოვებისას, მშობელი დედა შიგადაშიგ რომ თმაზე გეალერსება, ასე უნდა გეამოს შენს ქვეყანაში ცხოვრება. სამწუხაოდ, თქვენ, ქართველთა უმეტესობას, ყველაფერი გაქვთ საქართველოში და მაინც არაქართული გიყვართ. სხვა ერის მონაპოვარს ქომაგობთ და კუთვნილი დაუცველი გრჩებათ.

– დიდედა, მოჟყევ, როგორ ჩამოხველ აქ, – შეახსენა მეფეებ.

რატომ ასჯერ მაინც არ ჰქონდა გიორგის ეს ამბავი გაგონილი, მაინც დაიწყო ჯაყამ:

– რამდენი რამ შემამთხვია წელმრუდმა წუთისოფელმა. ნაბიჯ-ნაბიჯ მდია, უამ და უამ მაოტნა! დედაბუდიანად გამომხიზნა ქართლის მინდვრებისკენ... კარგი ცხენოსანი ვიყავ, ყივჩაყებში ხომ ქალები მარჯვენი არიან ამ საქმეში. ცხონებულმა მამაჩემმა სიკვდილის წინ დამიბარა და მითხრა:

– სულ რომ საოცარ ქვეყანას დაეძებ, ასეთი ბედად ერთხელ ვიზილე. უკვდავებაა იქაურ წყალში! ვინც მას დალევს, არა ძალი მოერევა. წადი, ეძიე ის ადგილი. გვინია, ვაჭარბებ, მაგრამ თქმულის ჭეშმარიტებაში იოლ დარწმუნდები.

მამის დალუპვის შემდეგ, ცხენით წამოველ. მწყურვალი ვიყავ, ცხენსაც მოსწყურებოდა. ხელები შევატყუპე, წყალი ხელისგულზე მოვიქციე, ისე ვასვი ბედაურს. მერმე მეც დავეწაფე...

იქვე, ხის ჩეროში მოხუცი იწვა, მითხრა:

– ეგ პირუტყვი ერთგულებით ათას შენს ნაცნობს მაინც სჯობს. მიუშვი ნებაზედ, არა მგონია შეძლოს მდინარის გაჭუჭყიანება. რაც სათავეშივე სუფთაა, იმის გაბინძურება ყოველთვის უძნელდებათ, ხოლმე.

ასეა მართლაც... მე აქაური ქარის ხმაც კი შემიყვარდა, ზუზუნში გადასული ამოდ რომ მესალბუნება...

მერე, მეფეთ მეფე დავითის ცოლს დავუდექი შიმუნვარად! თავისუფალი ქალი ვიყავ, ტყვეობის მოძულე. მაგრამ მეფე-დედოფალზე უკეთესთან ვისთან უნდა მემსახურა...

უკუნეთს ერთი ჩირალდანი ძლივს ანათებდა, რუსუდანი კი ტირილით ამბობდა ბნელაში:

– გეხსომება, ალბათ ძმაო, საქართველოს სიყვარულში როგორ ეჯიბრებოდა დიდედა მნიგნობართუხუცესს.

ხანმოკლე დუმილი ჩამოწვა მათ შორის.

მეფემ ძალ-ღონე მოიკრიბა:

– დაო... იცი რა უნდა გითხრა? ერთი რამ მაწუხებს და მომაკვდავს ეგებ ეგ უკანასკნელიც მაპატიო?

მეფე დის თვალებში ცდილობდა ამოეკითხა, იყო თუ არა მზად რუსუდანი მის მოსასმენად.

– გისმენ, გიორგი – შენ დაგენაცვლოს და რუსუდანი. – სხვაც შეგიძლია მთხოვო, არ მოგერიდოს.

– ცოდვამ დამრია მაშინაც ხელი, ძალდატანებით რომ გაქორწინე ხორასნის სულთანზე. გაგაუბედურე და ვიცი, ნაწყენი იქნები. რა დამავინწყებს, როცა მზითევს ვამზა-დებდით და დედოფლური პატივით გაცილებდით, მაში-ნაც შეგახსენე: – სამეფო გადამირჩინე, რუსუდან, წადი სულთანთან, დაარწმუნე არ გამოილაშქროს ქართლზე, ამასობაში შეისწავლე მათი სუსტი წერტილი და როცა ხელსაყრელ დროს შეარჩევ, მამცნე, როგორ შეიძლება მაჰმადიანთ ვძლიოთ ქრისტიანებმა.

შემომხედე, თვალებში დაგუბებული ცრემლი მალუ-ლად მოიწმინდე და ნიშნისგებით მომიგე: – ჯერ ერთი ამის საჭიროება არ დამდგარა და მეორეც, რა გახდა ეს მიწის ნაფლეთი, ასე ძლიერ რომ შეგვარებიათ შენ და მამაჩვენს, თავგამოდებით იცავთ და ხელაუთრთოლე-ბლად უსაყვარლესაც სწირავთ ამისთვის!..

– დაბრძენებული არ ვიყავ მაშინ, გიორგი. რა ვიცოდი, მე უგუნურს, რომ ქვეყნისთვის ასე უმჯობესი იქნებოდა. ქორწინება რომ დიდხანს არ გასტანდა და რჯულის დაგ-დებას გულით ვერ შევძლებდი ეს ფაქტი იყო, უბრალოდ ორი-სამი წლითაც რომ გამეჯანჯლა მაჰმადიანების ქა-რთველებზე იერიში, მაინც დიდი მიღწევა იქნებოდა. [მარ-თალია მამამ ძლიერი სახელმწიფო დაგიტოვა სამართა-ვად, თუმცა ცხადი იყო, მუსლიმანური სამყარო ხელახლა ემზადებოდა იერიშისთვის]. გონიერი მრჩეველი იყავ მამი-სთვის, ვაღიარებ, მეფეც დიდებული გამოდექი.

– კარგად მსჯელობ, რუსუდან, მაგრამ ამ აზროვნებასა და მაშინდელს შორის ერთი სხვაობაა. რანამს დედოფლის გვირგვინი დაგადგეს, მიხვდი: – თავნება გოგოს ცხოვრე-ბა დამთავრდა და შენც პოლიტიკურ თოჯინად იქეცი. იმა-ზე მწყდება გული, რომ იმ ურჯულომ კი არ გვთხოვა შენი ხელი, არამედ როგორც მხევალი ჩვენ გაგაგზავნეთ...

დაქვრივების შემდეგ, შენს უბედურებას კი არ მი-

ვტიროდი, არამედ მზითევს, ესოდენ პატივით რომ გავამზადეთ. მაშინაც გონივრულად მამხილე: – ძმაო, გიორგი... ეს-ესაა ცხოვრება თავზე დამენგრა, ქმარყოფილი ქალი გავხდი, ვერ განვჭვრეტ უკან მობრუნებას ხალხი რას მიანერს, შენ კი მზითვთაშორის საოცრებას – ეტრუსკულ ლარნაკს, ჯამ-ჭურჭელს, ბარძიმ-აზარფეშასა და ძვირფას თვალ-მარგალიტს შებძლვერი?..

– ხომ დამმოძღვრე მართებულად, ძმაო: – დედაზარდლის ქსელში მოგიმწყვდია ბედისწერამ და ბევრად ლამაზად მოგაჩვენა თავი, ვიდრე სინამდვილეშია. დღეიდან შენი ცხოვრება ქარის ქროლვას ჰგავს, ყოველ წამს რომ შესაძლოა გრიგალად გადაიქცეს. აუცილებელია იწამო, ცხოვრებაა თავად მრნამსის დამწერი ღმერთი და იგი მაშინაც მშვენიერია, როცა თითქმის არაფერში გიმართლებს. შენი ტანჯვა მავანთ არ ენაღვლება, თავსაც ნურავის შეაცოდებ! უდრტვინველად მიემართება საწუთო თავის შარაზე და უკან მოხედვა ეთაკილება... და-ძმური რჩევა იყო მაშინდელი და ამიტომ მეამა, თორემ სხვა დროს შეიძლებოდა ბრაზს მოვეკალი. ძმაო, საპატიებელი არაფერი გიქნია, ნაღველი ნუ მოგერევა. განქორნინება სურდა სულძალლ სულთანს, ვერც კი მოასწრო, ისე განუტევა სული.

ამასობაში ჯაყას ძახილი გაისმა. – გიორგი, გიორგი, – სიმწრით გაჰკიოდა ყივჩაყი.

დაუკაუნებლად შემოირბინა, მეფის მუხლებთან ჩამოჯდა, გიორგის ქარვისფერი დადებოდა სახეზე. მკვდრის-დარი აჩრდილები ცეკვავდნენ ხელმწიფის ტკივილდაუამებელ ყვრიმალზე.

– ჩემი ხნის ყვავიც არ იქნება ქვეყანაზე, მე არ მსტუმრობს საზიზღარი სიკვდილი და შენთან რა ჯანდაბა უნდა. შვილმკვდარმა დედამ, წლების წინ თავის მოკვლა გადავწყვიტე, მაგრამ მეფეს როგორ ვულალატო-თქო.

შენ კი, რაწამს საშუალება მოგეცა დაუზავდი იმ ბოროტ-მოქმედს... რით ვერ გაძეხ წყეულო ბედისწერავ, ქმარი და სამი ძე არ მაკარე და ახლა აღზრდილიც უნდა წამგვა-რო!.. ღვარძლიანებს კეთილთა ჯიბრზე ხანგრძლივი სი-ცოცხლით ასაჩუქრებ, კეთილშობილ მამულიშვილს კი საფლავს უთხრი... მესაფლავედაც არ ვარგიხარ, სიკვ-დილო. შენ რა იცი ნიჩბის ხმარება, ორმოს ამოჭრა, ჭურ-ჭლის დამზადება. ამ ყველაფერს გული უნდა, გული რომ გქონდეს მეფისთვის დაგენანებოდა ტახტრევანი და ძა-ძისფერი არშია.

წვალებით ამოიგმინა მეფემ: – ორმოცი წელი ეტლი ვერ გაგიმზადე გამზრდელო, ცუდი შვილობილი გყოლია მეტად... გაყინული ხელი დაუკოცნა მოხუცმა.

– გიყვარდი და მიტომ გენანებოდა ჩემი წასვლა, თორემ ეტლში ცხენების შებმა რა ბედენა იყო შენთვის...

ჯაყამ გულ-მკერდიც დაუზილა ძმრით, მაინც ვერ შეა-ტყო მეფეს მომჯობინება.

– თუ ვინმე მყვარებია შენ ყველაზე ძლიერ მიყვარდი, დიდედავ.

– მღვდელი ხომ არ მოვიწვიოთ, შვილო?..

– ცოდვილი ვარ მე, ჯაყა და უხერხულია შევანუხოთ მოძღვარი. მწუხრის ლოცვებს კითხულობს ალბათ მრევ-ლთათვის.

– მენდე, ცოდვილთ გვესაჭიროება მღვდლისგან შენ-დობა, შვილო... განა შენ არ მიკითხავდი წმიდა წიგნიდან? წაჭუეულს სჭირდება წამოდგომაში დახმარება, თორემ ფეხზე მდგომი თავადაც გაიკვლევს გზას? – მიეალერსა ქვრივი.

– ჩემს მაგივრად ილოცე, დიდედავ, – ივედრა მეფემ...

– ტყუილი იქნება, რომ გითხრა, შენს სულზე გულით ვილოცებ-თქო. მე ჩემს სულზე ვერ ვზრუნავ და შენზე როგორლა ვილოცო... არა, არა, ნუ იფიქრებ ვზარობდე,

გიორგუნა!

ზენ იცვალა რუსუდანმა და ბრაზილიანმა უსაყვედურა ქვრივს:

– რამდენჯერ გაგაფრთხილე დიდედა, გიორგუნას ნუ ეძახი მეფეს-თქო! ხანდახან ხომ არ გავიწყდება, რომ ძმად ჩემი მეფეთ მეფეა!..

– დიდედას ამის უფლება მე მივეცი, დაო. – რუსუდანს სიტყვა გააწყვეტინა მისავათებულმა მეფემ.

ამასობაში ქლოშინით მოირბინა მღვდელმაც და მსწრაფლ ლოცვა წაიკითხა. მოძღვარმა მომაკვდავი მეფე აზიარა და ღვინოც გაჭირვებით შეასვა. შუბლზე მირონი სცხო, რამაც გიორგის ნათლობა მოაგონა.

რაც უკანასკნელად წარმოთქვა მეფემის იმ მეორე ნიგნში შევიტანე, სამეფო კარისგან მაღულად რომ გავხსენი;

– მომიტევე, ძმისწულო დემნა, ტახტმოწყურებულმა შეგამთხვიე ავი და ცხენ-კეთილ* ხევსურას დაღუპვით გამოწვეულ უგუნებობას დავაბრალე მე ვერაგმა... ძლიერ დამეუფლა შენდამი შიში, უფალო... მანიშნე, სად უნდა გაგრძელდეს მეფე გიორგის გაუკულმართებული ცხოვრება, იქ ხომ არა, სადაც უკანასკნელად შემაღამდა?

მეტი ვერ მოასწრო მეფეთ მეფემ, სული განუტევა.

რაკი სისხლიან ქრონიკას გიამბობთ, დავაზუსტებ, ვნების კვირის სამშაბათს, 1184 წლის 27 მარტს, მეფე კახეთს მიიცვალა.

¶ სანს მყოფ თამარს ამცნეს სამწუხარო ამბავი. ლოყები დაეკანრა ასულს და ქრილობიდან სისხლი სდიოდა.

ვიდრე თამარი მიცვალებულ მამას დაიტირებდა, ჯაყამ ხელში სანთელი ჩააწვა გიორგის, ჯვარი და კრიალოსანი დააჭერინა, ხოლო მეფის დამ ფსალმუნნი წაიკითხა.

* კარგი ჯიშის ცხენის მქონებელი.

უკანასკნელად აღიღინდა ჯაყა, რომ მეფის საწადელი აესრულებინა... უჭირდა მღერა, მაგრამ ძალი მოიკრიბა:

დედამიწაა ძუ ვეფხივით გაშოლტილი (და)

მის მკერდქემდაჭრილი საქართველო იარებს იშუშებს...

საქართველოს მართლაც გასჭირვებოდა, მით უფრო უმამოდ დარჩენილ პირველ ხელმნიფე-გოგონას, რომელიც ეს-ესაა მეფეთ მეფე გახდა და მეტი ყურადღება მართებს, უნდა გააათკეცოს თვალისჩინი, რომ არ შეუორგულდეს ერისკაცობა.

გაპატიოსნების შემდეგ, ჟამის სიძნელის გამო, მეფე მცხეთას დამარხეს, მოგვიანებით კი ცხედარი გელათში გადაასვენეს.

თან დაატირა რუსუდანმა:

– შუახნის კაცი უსწრაფესად დაგაბერეთ! მამა-პაპი-საებრ, შენც მიწის ნაფლეთის სიყვარულს შეეწირე... ხომ გაფრთხილებდი, არ ღირს ამ ერთი ციდა ქვეყნისთვის თავდადება, მით უფრო, რომ შეგიძლია დემნას მიუგდო ეს ვალდებულება-მეთქი! არ დამიჯერე, განმიდექი! მამის სული დაიფიცე, ქვეყანას ვერ დავღუპავ და ტახტის უღირსს ვერ დავადგენ ხელმნიფედო! ახლა მჯერა, ცამდე მართალი იყავი. სულ რომ არაფერი ვთქვა, ჭეშმარიტებაა – აგერ ათეული წლები მოანდომე ქვეყანაში შემორჩენილი მაჰმადიანური ელემენტების ამოძირკვას და ისეთი სახელმწიფო დაუტოვე ქართველთ, რომლის დარი ვერცა ძლიერებით, ვერცა სიდიადით მთელს დუნიაზე არ მოიპოვება. მხოლოდ ერთს დარდობდი, შეძლებდა თამარი ღირსეულ მესაჭეობას ერისას? სიკვდილამდე რაც ამოილულლულეთ, კარგად გავარჩიე, ძმაო. ბრძანეთ, – იმოდენა სახელმწიფოს და სამხედრო ძალას ვუტოვებ ქალიშვილს, რომ მის დასანაწევრებლად საუკუნეები არ ეყოფათ დამპყრობელს და რა ისე ძლიერ განრისხდება

ღმერთი, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უამ და უამ არ მოუვლინოს გონიერი მმართველიო.

მგლოვიარეთა შორის ბექა და ბეშქენ ოპიზრელიც იყვნენ.

მე, მეფის მწიგნობარმა ვიკითხე, – დაასრულა კი ბერიკაცმა ბერთის სახარება?

– დაასრულა! – დამიდასტურა იქვე მყოფმა მესაფლავემ, რომელსაც ჩემი კითხვა გაეგონა. – მას მერე, რაც უკანასკნელი ქარგილი გამოუსახავს კარედზე, ერთიანად დაბერებულა ოსტატი ბეშქენი და ძალა დაუკარგავს.

– კი მაგრამ, კმაყოფილად რად იყურება მაშინ?

– მომავლის ეიმედება, თურმე! ამბობენ, ისეთი შეგირდი ჰყავს, ლამის ოსტატს აჯობებს. აი, იმაზე გეუბნებით, შემოსასვლელ კართან რომ ატუზულა!

– კი, მოსვლისთანავე შევამჩნიე. ხან იატაკს უყურებს, ხანაც – გუმბათს. დიდად დაკვირვებული ყმანვილი ჩანს! იერზედ ეტყობა კაცს, რა ჩიტიც ბრძანდება.

– ჩიტი არა ის!!! – მომაძახა სხვა მესაფლავემ. – მოიტათოვი, რომ კუბო მინას მივაბაროთ.

ტახტრევანიც ისეთი ლარიბი იყო, როგორც მთლიანად მეფის სასახლე და საწოლი.

ქვეყანა გლოვობდა მეფის გარდაცვალებას.

გიორგისეული სრა ძაძებით შეამკეს და კიბის მოაჯირზეც სამგლოვიარო არშიები შეაბნიეს.

ორმოცი დღე შავი დროშა ფრიალებდა სასახლის თავზე.



საკუთარ სახელთა საძიებელი

(შედგენილია ენციკლოპედიური ცნობარისა და საიტორიო წყაროების მიხედვით)

აბრაჰამ I ალბათანეცი – სომხეთის კათოლიკოსი (607-615). წარმოშობით ვასპურაკანის რშტუნთა გავარის (პროვინციის) სოფ. ალბათანეჯიდან; კათოლიკოსობამდე ამავე გავარის ეპისკოპოსი. სომხეთის გაქალკედონიტებული საეპისკოპოსოთა უმრავლესობა მის დროს (607), ირანის შემწეობით, დვინის საპატრიარქო საყდარს დაემორჩილა და ერთიანი საკათალიკოს აღდგა. აბრაჰამ ალბათანეცი აქტიური მონაწილე იყო ქართლისა და სომხეთის ეკლესიების დოგმატური კამათისა და საეკლესიო განხეთქილებისა (607-610). „ეპისტოლეთა წიგნმა“ შემოგვინახა მისი სამი ეპისტოლე კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი და ერთი ენციკლიკა თავის სამწყსოსადმი. ამ ენციკლიკით მან ურთიერთობა განცვიტა ქართლისა და ალბათანეთის ეკლესიებთან. აბრაჰამ ალბათანეცს მიაწერენ კიდევ ორ დოგმატური ხასიათის თხზულებას. (Джавахов И. А., История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, «Известия Академии наук», 1908, VI серия, № 5; ალექსიძე ზ., ქსე, ტ. 1, გვ. 33, თბ., 1975)

ამირაპეტი ქურდი – მეფე გიორგი III-ის თანამედროვე და კეთილმსახური.

ათრაქა შარალანის ძე – ყივჩაყთა მთავარი XII საუკუნის I ნახევარში. მისი ასული გურანდუხტი ცოლად ჰყავდა დავით ალმაშენებელს, რომელმაც ათრაქა შარალანის ძე თავისი ოჯახითა და ტომით საქართველოში გადმოასახლა (1118-1120). შემდგომ მეფემ ყივჩაყთაგან 40 ათასიანი

მუდმივი ლაშქარი შექმნა. (შოშიაშვილი ნ., ქსე, ტ. 1, გვ. 229-230, თბ., 1975)

ანტონ გნოლისთავისძე – XII-XIII სს. საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. თამარის მეფობის პირველ წლებში ვაზირობა წაართვა მიქელ კათოლიკოსმა. ანტონ გნოლისთავისძე ბერად შედგა დავითგარეჯის მონასტერში. მიქელის სიკვდილის შემდეგ თამარმა კვლავ მიიწვია და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის გარდა, სამთავრელობაც (სამთავისის ეპისკოპოსობა) მისცა. მონაწილეობდა შამქორის ბრძოლაში (1195). ზრუნავდა სამეფო მონასტრებზე (შიომღვიმე, დავითგარეჯა, ვარძია, გელათი). თამარ მეფის 1201 სიგელიდან ვებულობთ, რომ ანტონს სხალტბიდან შიომღვიმის მონასტერში წყალსადენი გაუყვანია. ვაჟანის მონასტრის წარწერა გვამცნობს, რომ ანტონ გნოლისთავისძეს ამ მონასტრისათვის ზღუდე აუგია. ამის შემდეგ წყაროებში აღარ იხსენიება. (შოშიაშვილი ნ., ქსე, ტ. 1, გვ. 498, თბ., 1975)

აშოტ I დიდი, კურაპალატი – ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი. IXს. 20-იან წლებამდე იყო ქართლის ერისმთავარი. იბრძოდა არაბთა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა შავშეთ-კლარჯეთში გაქცეულიყო, რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიას ეკუთვნოდა. ის დაეპატრონა იმ ადგილებს და ბიზანტიის ვასალი გახდა, მიიღო ბიზანტიის სამეფო კარის კურაპალატის პატივი. განაახლა არტანუჯის ციხე, სადაც რეზიდენცია მოაწყო. საქართველოს ისტორიაში ამ ხანას ტაო-კლარჯეთის ან „ქართველთა სამეფოს“ პერიოდი ეწოდება. ამდენად, 809 წელი მიჩნეულია ბაგრატიონთა

სამეფო დინასტიის დაფუძნების წლად, თუმცა, ეს საგვარეულო ქართლს განაგებდა ჯერ კიდევ 575 წლიდან, როდესაც ქართლის ერისმთავარი გახდა გუარამ I კურაპალატი. აშოტ I მოკლულ იქნა შინაგამცემლების მიერ. (ბადრიძე შ., ქართველთა სამეფოს პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, «თსუ შრომები», 1965, ტ. 113; კეკელიძე კ., აშოტ დიდი კურაპალატის ქრონიკოსათვის, მის ნვნ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 8, თბ., 1962; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ნვნ., 2, თბ., 1963; ბადრიძე შ., ქს, ტ. 2, გვ. 68-69, თბ., 1977)

ბაგრატ III – გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, (975-1014 წწ) ბაგრატიონი, გურგენ მეფეთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლის შვილი, ტაოს მეფეთა მეფის დავით III კურაპალატის შვილობილი და აღზრდილი.

ისტორიულად, X საუკუნის დასაწყისიდან, შიდა ქართლს „აფხაზთა“ მეფეები ფლობდნენ. 70-იან წლებში შინაფეოდალური ომების შედეგად აფხაზთა სამეფო დასუსტდა. ფეოდალურმა ანარქიამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო თეოდოს III უსინათლოს მეფობაში (975-978). ამით ისარგებლეს კახეთის პოლიტიკურმა მესვეურებმა და დაინტერეს ბრძოლა ქართლისათვის (პოლიტიკური ცენტრი უფლისციხე). 975 წ. დავით III ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის დახმარებით დაეუფლა ქართლს და აქ გააბატონა თავისი შვილობილი ბაგრატ III, რომელსაც მცირენლოვანობის გამო თანაგამგებლად მამამისი გურგენი დაუნიშნა. ბაგრატის დედა, თეოდოს III-ის და, „აფხაზთა“ მეფის შვილი იყო. თეოდოსს შვილი არ ჰყავდა, უშვილო იყო დავით III-ც. ამრიგად, ბაგრატ III დედით დასავლეთ საქართველოსა და ქართლის, ხოლო მამით და მამობილით სამხრეთ საქართველოს კანონიერი მემკვიდრე იყო.

ბაგრატი ზოგჯერ უკიდურეს ღონისძიებებსაც მიმართავდა. მან თავისი ნათესავები, კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლები, სუმბატი და გურგენი, ბაგრატ არტანუჯელის ძენი, სადარბაზოდ მოიწყია ფანასკერტში, შეიძყრო და თმოგვის ციხეში დაამწყვდია, სადაც გარდაიცვალნენ 1012 წელს. კლარჯეთის ბაგრატიონთა სხვა მემკვიდრეებიც პატიმრობაში დაიხოცნენ.

ბექა ოპიზარი – XII ს. II ნახ. და XIII ს. დას. ქართველი ოქრომქანდაკებელი. წარმოშობით ან შემოქმედებითი მოღვაწეობით ოპიზასთან (კლარჯეთი) უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. თავისი დროისთვის და შემდეგაც სახელგანთქმული ხელოვანი. ჩვენს დრომდე მოაღწია ბექა ოპიზარის მხოლოდ ორმა ნამუშევარმა – ანჩის ხატის ჩარჩოსა და წყაროსთვის სახარების ყდის მოჭედილობამ. წყაროსთვის სახარების ყდის ერთ მხარეს, ვერცხლის მოჭედილობაზე (20 სმ ხ 17 სმ), „ვედრების” კომპოზიციაა გამოსახული, მეორეზე – „ჯვარცმისა”. გლუვ ფონზე ფიგურები და კუთხეების მცენარეული ორნამენტი მაღალი რელიეფითაა გადმოცემული, ტახტზე მჯდომ ქრისტეს თავთან და ფეხებთან მოჭედილობის საერთო კომპოზიციასთან შერწყმული, ჩარჩოშემოვლებული რელიეფური ასომთავრული წარწერებია, რომელთა მიხედვით წყაროსთავის სახარების დამკვეთია („წერით და მოჭედით：“) ტბეთის ეპისკოპოსი იოანე მტბევარი. მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებათა შორის კი ასეთი წარწერაა: „ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექა ა ოპიზარი”. ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერის თანახმად, ეს სახარება გადაიწერა 1195წ, ყდის მოჭედვის თარიღიც იგივე ან მომდევნო წელი უნდა იყოს.

სახელგანთქმული ანჩის ხატის მოოქრული ვერცხლის ჩარჩოს მოჭედილობა თამარ მეფის ბრძანებითა და ანჩის ეპისკოპოსის, ჰიმნოგრაფ იოანე ანჩელის რკინაელის შეკვეთით შესრულდა. ხატის წარწერაში ნათქვამია: „ქ. ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა ღმრთივ გვირგვინს-ნისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისაითა, მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ჭელვყავ საშინელისა, ამის ხატისა პატივით მოჭედად მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა მოიჭედა ჭე(ლი)თა ბექასითა, ქრისტე შეინყალე“. ხატის ჩარჩო (145 სმ, 71 სმ) შემკულია „ვედრების“ კომპოზიციით მარჯვნივ და მარცხნივ შვეული არშიების შუაში მოთავსებულია მაღალი რელიეფით შესრულებული ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის მთლიანი, ოდნავ დაგრძელებული ფიგურები, ორი ზემოთა კუთხე მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს უჭირავთ, ხოლო მათ შორის, ცენტრში, ე.წ. „საყდრის“ ალეგორიული გამოსახულებაა – სამეფო ტახტი ზედაღ-მართული ჯვრით. ქვემო არშიის შესაბამის ადგილებზე პეტრე და პავლე მოციქულებისა (კუთხეებში) და იოანე მახარებლის გამოსახულებებია.

ბექა ოპიზარს შეუსრულებია აგრეთვე ანჩის სახა-რების ყდის მოჭედილობაც, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. 1895წ, როცა ეს სახარება ე. თაყაიშვილმა პირველად ნახა წალკის რაიონის სოფ. წინწყაროში, მას მხოლოდ ხის ყდა ჰქონდა. ხელნაწერის ბოლოს დართულ ანდერძში ნათქვამია, რომ სოფრომ მწიგნობარმა წიგნის ყდა მოაჭედინა „...ღმრთისა მიერ კურთხეულსა ღირსსა ოქროდესმქანდაკებელსა ბექასა“.

ბექა ოპიზრის ვირტუოზულად შესრულებული ჩუქურთ-მები, მაღალმხატვრულად დამუშავებული ფიგურები მოწ-მობს პროფესიული დახელოვნების მაღალ დონეს. ბექა

ოპიზარის ნამუშევრები დამახასიათებელია ქართული ოქრომჭედლობის განვითარების იმ ეტაპისათვის, როდესაც დეკორატიულმა ტენდეციებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. (ბერიძე ვ., ქსე, ტ. 2, გვ. 346, თბ., 1977)

ბეშქენ ოპიზარი – XII ს. ოქრომჭედელი, ბექა ოპიზარის უფროსი თანამედროვე. წარმოშობითა და მოღვაწეობით ოპიზასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ბიოგრაფიული ცნობები ბეშქენ ოპიზარის შესახებ არ დარჩენილა. შემორჩენილია მისი ერთადერთი ნამუშევარი – ბერთის სახარების ვერცხლის ყდის მოჭედილობა (ინახებოდა გელათში, ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, – 9066). ყდის წარწერაში ნათქვამია: „მოიჭედა ჭელითა ბეშქენ ოპიზარისაითა“. ყდის ერთ მხარეს გამოსახულია „ჯვარცმის“, მეორე მხარეს „ვედრების“ კომპოზიციები. კუთხეები მოჩუქურთმებულია არშიებით, რომელთა ინტერვალები „ჯვარცმის“ მხარეს ძვირფასი ქვებისათვის იყო განკუთვნილი, „ვედრების“ მხარეს კი შევსებულია წარწერებით. განსაკუთრებით მეტყველია ტახტიზე მჯდომი ქრისტეს მძლავრი ფიგურა. ქრისტეს სამოსელის ნაოჭები, ტახტის ჩუქურთმები, არშიების ორნამენტაცია მოწმობს ბეშქენ ოპიზარის მაღალ ოსტატობას. (ბერიძე ვ., ქსე, ტ. 2, გვ. 348, თბ., 1977, შ. ამირანაშვილი)

ბურდუხანი – ბორდოხანი, საქართველოს მეფის გიორგი III-ის მეუღლე, თამარ მეფის დედა, ოსთა მეფის ხუდდანის ასული. გიორგის და ბურდუხანის ქორწინება 1150-იან წლებში მიზნად ისახავდა ჩრდილოეთის ძლიერ მეზობლებთან კავშირის განმტკიცებას. ბურდუხანი გარდაიცვალა 1180-იანი წლების დასაწყისში.

გამრეკელ-თორელი – XII ს. II ნახ. მოღვაწე ქართველი

დიდგვარიანი ფეოდალი. საისტორიო წყაროებში იხსენიება 1177-1190 წწ. ამბებთან დაკავშირებით. მან მემკვიდრეობით მიიღო თორის მამული და თეძმის ხეობა, აგრეთვე სახელო ქვეყანა – ჯავახეთი, რომელსაც განაგებდა როგორც ახალქალაქის ერისთავთერისთავი. 1177 წელს თორელი (ისევე, როგორც სამხრეთ საქართველოს სხვა ფეოდალები) თავის მამასთან ერთად მიემხრო, ორბელთა მეთაურობით, დემნა უფლისწულის გასამეფებლად მოწყობილ ამბოხებას, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, მიატოვა აჯანყებულები და გიორგი III-ის მხარეზე გადავიდა. ამის შემდეგ იგი თანდათანობით დაწინაურდა სამეფო კარზე. 1185 წ. თამარ მეფემ თორელს უბოძა ამილახვრობა და ციხე-ქალაქი თმოგვი (რომელიც ჩამოერთვა გადაყენებულ მსახურთუხუცეს აფრიდონს). 1186წ, ამირსპასალარ სარგის მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ, თამარმა თორელს ამირსპასალარობა უწყალობა. თორელი, როგორც მონაპირე მხარის, ჯავახეთის ერისთავთერისთავი, მტრებისგან იცავდა საქართველოს სამხედრო საზღვრებს. 1186-1187 წწ. მან დაამარცხა არანიდან და გელაქუნიდან შემოსული თურქები და განდევნა ისინი ჰალაკაციოდან და ძალისხევიდან (სამხრეთ საქართველო). თორელის სარდლობით მეფის ლაშქარმა ჯავახეთში დაამარცხა იური ანდრიას ძის (გიორგი რუსის) გასამეფებლად ამბოხებული ფეოდალები, რომელთაც სურდათ ახალქალაქისა და თმოგვის ხელში ჩაგდება.

თორელის გარდაცვალების შემდეგ თამარმა მის სახლს დაუტოვა როგორც თორის მამული, ისე ახალქალაქის საერისთავთერისთავო, მაგრამ ამირსპასალარობა გადასცა არა თორელის შვილს, არამედ – ზაქარია მხარგრძელს. გამრეკელის სახლს, თამარმა ჩამოართვა აგრეთვე თმოგვი და სამამულედ უწყალობა სარგის ვარამის ძე მხარგრძელს (თმოგველთა სახლის დამფუძნებელს). (ზუსხელიშვილი

ლ., თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა პამამლუს XII საუკუნის ნარწერებთან დაქავშირებით, «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10; შოშიაშვილი ნ., თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, ქრ.: შოთა რუსთაველი, თბ., 1966; ქსე, ტ. 4, გვ. 693, თბ., 1979б)

გიორგი I – საქართველოს მეფე 1014-იდან, ბაგრატ III-ის ძე. გამეფებისთანავე დიდგვაროვანი აზნაურები აუჯანყდნენ მცირენლოვან მეფეს და ჰერეთ-კახეთი საქართველოს ჩამოაშორეს. გიორგი I-მა ისარგებლა იმით, რომ 1014-1016წწ ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II ბულგარელებს ეომებოდა, გადალახა ბიზანტიის საზღვარი და ტაო დაიბრუნა. 1019წ. ბასილ II-მ ბულგარელებთან ომი დაამთავრა და გიორგი I-ს სადავო ტერიტორიის დაცლა მოსთხოვა. 1021წ. ბიზანტიის ჯარი საქართველოში შემოიჭრა. ქართველები რამდენჯერმე დამარცხდნენ. გიორგი I იძულებული გახდა თრიალეთში გადასულიყო, სადაც მაშველი ჯარი დახვდა. კეისარი მოერიდა ომს, დასაზამთრებლად ქალდიაში (ტრაპიზონის მახლობლად) წავიდა და საქართველოში ახალი ლაშქრობისათვის ემზადებოდა. გიორგი I-მა საზავო მოლაპარაკება დაიწყო და ამავე დროს ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ომის გასაახლებლად. ამ დროს ბიზანტიაში იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ნიკიფორე და ქსიფეს მეთაურობით. 1025 წ. გამომჟღავნდა ვასპურაკანის მმართველის ნიკიფორე კომნენოსის შეთქმულება იმპერატორის წინააღმდეგ, რომლის მონაწილეც გიორგი I იყო.

გიორგი I-მა ამით ისარგებლა, კავშირი დაამყარა დაუარი განაცხადა ბიზანტიასთან არახელსაყრელი ზავის დადებაზე. კეისარმა გიორგი I-ს კვლავ მოსთხოვა სადავო ტერიტორიების დაცლა. საქართველოს მეფემ განაახლა

საზავო მოლაპარაკება, თან ისევ ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაგრამ ბიზანტიამ დაასწრო ომის დაწყება. თავდაპირველად უპირატესობა გიორგი I-ის მხარეზე იყო, მაგრამ საბოლოოდ ქართველები დამარცხდნენ. 1022/23წწ. გიორგი I დათანხმდა ზავის მძიმე პირობებს: სადავო ტერიტორია ბიზანტიამ მიიტაცა; ტახტის მემკვიდრე ბაგრატი სამი წლის ვადით მძევლად გაიგზავნა კონსტანტინოპოლში. საქართველომ დაკარგა ე.წ. დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა. ჩანს გიორგი I ემზადებოდა რევანში-სათვის: გიორგი I-ის დროს დიდ საომარ ოპერაციებთან ერთად მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები. მის მეფობაში აიგო მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარი. (ლორთქიფანიძე გ. ქსე, ტ. 3, გვ. 158, თბ., 1978)

გიორგი III – ერთიანი საქართველოს მეფე 1156-1184 წწ. დემეტრე I-ის ძე. იგი, დავით ალმაშენებლის მსგავსად, აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდა. მისი მეთაურობით ქართველები განაგრძობდნენ ბრძოლას თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. საქართველოს საზღვრების შემოსამტკიცებლად 1161წ. გიორგი III-მ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო და მისი მართვა-გამგეობა ამირ-სპასალარ ივანე ორბელს მიანდო, თანაშემწედ სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. 1162წ. ქართველებმა სომხეთის ძვ. დედაქალაქი დვინი აიღეს. საქართველოს ასეთმა აქტიურობამ მაჰმადიანთა ამირები აიძულა ქართველები-სათვის შეერთებული ძალით შემოეტიათ. საქართველო-საკენ დაიძრნენ ხლათის, დიარბაქირისა და არზრუმის მმართველები. გიორგი III-მ ქართველ-სომებთა შეერთებული ლაშქრით უკუაგდო დამპყრობლები. მაჰმადიანთა უკან დახევა გიორგი III-მ და საქართველოს ლაშქრის მეთაურებმა საბოლოო გამარჯვებად მიიჩნიეს და სიფ-ხიზლე მოადუნეს. ამით ისარგებლეს მოწინააღმდეგებმა,

ქართული ლაშქრის დაზვერვა მოახერხეს და მოულოდნე-ლად შეუტიეს ანისს. ქართველებმა სათანადო წინააღმდე-გობა ვერ გაუწიეს. ბრძოლა გაჭიანურდა. ბოლოს, დადე-ბული ზავის თანახმად, ანისის მაჰმადიანი მმართველი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი გახდა. 1167წ. გიორგი III-მ ილაშქრა შირვანში მისი ყმადნაფიცისა და დისწუ-ლის აღსართან შირვანშაპის დასახმარებლად (შირვანშაპს დარუბანდის მხრიდან თავს ესხმოდნენ იმიერკავკასიის მფლობელები). ქართველთა მხედრობა მივიდა დარუბან-დის კარამდე, აიღო ქ. შაბურანი, რომელიც გიორგი III-მ აღსართანს უწყალობა. 1173წლიდან გიორგი III-ის მცდე-ლობის შედეგად დვინი, ანისი და მათი მიმდგომი მხარეები საქართველოს სახელმწიფოს შეუერთდა, თუმცა ბრძოლა ამ მხარეებისათვის შემდეგშიც გრძელდებოდა.

გიორგი III-ის დროს საქართველოში განსაკუთრებით გამრავლდნენ ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებული ე. წ. გლახაკნი და მეკობრენი. ლაშქარში შეიქმნა ქონების შეძენის მიზნით უცხო ქვეყნების ბოლომოულებელი რბე-ვისადმი მიდრეკილება, ქვეყანაში გახშირდა ღალატი და გარეშე დამპყრობელთა მხარეზე გადასვლა. განსა-კუთრებით თავგამოდებით ებრძოდნენ ცენტრ. სამეფო ხელისუფლებას დიდგვაროვანი ფეოდალები: ივანე ვარდ-ანის ძე, შოთა, ძე ართვაჩოს ძისა, ქავთარ ივანეს ძე და სხვ. ამბობებულები თითქოსდა დემნა (დემეტრე) უფლისწუ-ლის ინტერესებს იცავდნენ, სინამდვილეში კი სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და თავიანთი უფლებების გაფართოებისათვის იბრძოდნენ. აჯანყება რამდენიმე თვეს გაგრძელდა. 1178წ. დასაწყისში გიორგი III-მ შეძლო მისი ჩახშობა. იგი განსაკუთრებით სასტიკად მოეპყრა აჯანყების მოთავეებს – ორბელები სიკვდილით დასაჯეს, დემეტრე უფლისწულს თვალები დასთხარეს და დაასა-ჭურისეს. გიორგი III-მ ორბელთა მამულები თავის ერთგუ-

ლებს უწყალობდა, მ. შ. დიდი ნაწილი ყუბასარს, რომელიც მეფემ ორბელთა სამთავრო პატივში აიყვანა და საქართველოს ამირსპასალარად დანიშნა. გიორგი III-მ ასევე „უგვარო”, აზნაურის ნაყმევი აფრიდონი მსახურთუხუცესის თანამდებობაზე დააწინაურა.

ორბელთა ამბოხების ჩაქრობის შემდეგ გიორგი III იძულებული გახდა დაეთმო რეაქციონერი სასულიერო პირებისათვის და ეკლესიის შეუვალობის აღდგენის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

გიორგი მეფემ ააშენა გეგუთის სასახლე, მანამდე აქ მცირე სამეფო „სანადირო სახლი” ყოფილა. მან ნაწილობრივ აღადგინა უჯარმის ციხე-ქალაქი, გაამაგრა იგი და იქ საგანძური მოაწყო.

მის მეფობაშივე დაიწყო ვარძიის მშენებლობა.

იგი ერთიანი საქართველოს მეფების, დემეტრე I-ის, დავით V-ის დარად თავის მონეტებზე არაბულ ზედნერი-ლებს, ხალიფას და ერაყის სელჩუკი სულტნის სახელებს ათავსებდა, რაც წმინდა ეკონომიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი: ამით ქართულ ფულს გზა ეხსნებოდა ისლამური აღმოსავლეთის ბაზარზე. ქართველი მეფის ამაყი ტიტულიც „მეფეთა მეფე, მახვილი მესიისა დემეტრე“ და „გიორგი, მეფეთა მეფე, მესიის მახვილი“ – ამ მონეტებზე არაბულად იყო აღბეჭდილი. გიორგი III მოჭრილ მონეტაზე გამოსახულია ფეხმორთხმული გვირგვინოსანი, შევარდნით ხელში და დაქარაგმებული ქართული მხედრული ზედნერილი „გიორგი“ და თარიღი: „ქორონიკონი 394“ (=1174) რევერსზე არაბულად წერია: „მეფე მეფეთა გიორგი, ძე დემეტრესი, მესიის მახვილი“.

1179წ. მეფემ მეკობრეობის წინააღმდეგ გამოსცა სახელმწიფო დარბაზის მიერ შემუშავებული კანონი, რომელიც ამ „სენის“ აღმოსაფხვრელად მკაცრ ზომებს ითვალისწინებდა.

ორბელთა ამბოხების ჩახშობისთანავე, 1178 წ. გიორგი

III-მ საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი ასული თამარი. მამა-შვილის მეფობა გიორგი III-ის გარდაცვალებამდე, 1184 წლის 24 მარტამდე გაგრძელდა. გიორგი დაკრძალულია გელათში, მეფეთა საგოდებელში. (ზეტრეველი რ., ქსე, ტ. 3, გვ. 159-160, თბ., 1978)

დავით IV აღმაშენებელი – (დ. 1073, ქუთაისი – გ. 24 იანვარი, 1125), საქართველოს მეფე 1089-1125წწ., გიორგი II-ის ძე, ბაგრატიონთა დინასტიიდან. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი მონარქი, მოახერხა თურქ-სელჩუკთა ქვეყნიდან განდევნდა 1121წ. დიდგორის ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამარჯვებით. მის მიერ არმიაში და მმართველობის სისტემაში გატარებულმა რეფორმებმა შესაძლებლობა მისცა ქვეყანა გაეერთიანებინა და მთელი კავკასიის მიწები საქართველოს დაქვემდებარებაში შემოეყვანა.

1106წ. დაიწყო გელათის მთავარი ტაძრის მშენებლობა, ააშენა სამონასტრო კომპლექსი და დააარსა მეცნიერებათა აკადემია (1106-1110წწ.).

დაკრძალულია გელათში. ქრისტიანული კულტურის წამახალისებელი და თავად თავდადებული ქრისტიანი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხული.

დავით V – საქართველოს მეფე 1155წ, დემეტრე I-ის უფროსი ძე. უფლისწულობაში დავითმა დიდებულ აზნაურთა ერთი ჯგუფის მხარდაჭერით შეთქმულება მოაწყო მამის წინააღმდეგ, რომელსაც უმცროსი ვაჟის – გიორგის გამეფება სურდა.

თავდაპირველად დავითის ცდა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწია მეფობას. დემეტრე I იძულებული გახდა ბერად შემდგარიყო დავითგარეჯის მონასტერში. 6 თვის მეფობის შემდეგ, სრულიად მოულოდნე-

ლად, დავით V გარდაიცვალა და ტახტზე კვლავ დემეტრე I ავიდა, რომელმაც ახლა უკვე ტახტის მემკვიდრე გიორგი (შემდგომში გიორგი III) თანამოსაყდრედ დაისვა.

დემეტრე I – საქართველოს მეფე 1125-1156წწ., დავით აღმაშენებლის მემკვიდრე. მამის გარდაცვალების შემდეგ იძულებული გახდა ანისი ყმადნაფიცობის პირობით თურქებისათვის დაეთმო. 1138წ. დემეტრე I-ის სარდლობით ქართველებმა განძა აიღეს და გამარჯვების ნიშნად ქალაქის კარი საქართველოში მოიტანეს (დაცულია გელათში), მაგრამ დემეტრე I-მა ვერ შეძლო განძის შენარჩუნება და ქალაქი დიდხანს დარჩა მაჰმადიანთა საყრდენ პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. თავისი ძე დავითი რამდენჯერმე აუჯანყდა. ამისთვის, აჯანყების მოთავეები ივანე აბულეთისძე მოაკვლევინა, ხოლო მისი შვილი თირქაში საპყრობილეში დაამწყვდია.

საყურადღებოა დემეტრე I-ის პოეტური შემოქმედება. ჩვენამდე მოაღწია მისმა რამდენიმე იამბიკომ. განსაკუთრებით გამოირჩევა ლვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკოები. დემეტრე I-ის თხზულებათა პოეტური სახეები ქრისტიანულ სიმბოლიკაზეა დაფუძნებული, ზოგ მათგანს რითმაც ეტყობა. მისი „შენ ხარ ვენახი“ დღესაც ცოცხალი საეკლესიო საგალობელია. (მუზეუმელი რ., ქსე, ტ. 3, გვ. 458, თბ., 1978)

დემნა (დემეტრე) უფლისწული – საქართველოს მეფის დავით V-ის ძე. დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ მამამისმა დემეტრე I-მა თავისი უმცროსი ძე გიორგი გამოაცხდა თანამოსაყდრედ, რითაც დემნა უფლისწულმა ტახტზე უფლება დაკარგა. დემნა უფლისწულის კანონიერი უფლების დაცვის საბაბით მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე დიდგვარიანმა ფეოდალებმა ამირსპასალარ ივანე ორბელის მეთაურობით,

1177 წელს აჯანყება მოაწყვეს გიორგი III-ის წინააღმდეგ. უფლისწული საბოლოოდ დაწებდა მეფეს, ლორქს ციხიდან საბლით გადმოეშვა და პატიება სთხოვა ხელმწიფეს. ტახტის მაძიებელ უფლისწულთა მიმართ მოქმედი კანონის საფუძველზე მას თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. სჩანს უფლისწულმა ვერ გაუძლო სასჯელს და გარდაიცვალა.

დემნა-ორბელთა აჯანყება სტეფანოს ორბელიანისა და ლაშა-გიორგის დროინდელი შემატიანის ცნობაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში დათარიღებულია 1177 წლით. აღნიშნულ თარიღს მხარს უჭერს გიორგი III-ის ერთი სიგელი. უკანასკნელ ხანს გ. მაისურაძემ გამოაქვეყნა XII ს. სომები მოღვაწის დავით ქობაირელის „მოსახსენებელის“ ქართული თარგმანი შესავალი წერილით და შენიშვნებით, სადაც აჯანყებას 1178 წლით ათარიღებს. (ეს მოხდა ერთი წლით ადრე მანამ, ვიდრე მინისძვრა მოხდებოდა საქართველოში). (ლორთქიფანიძე გ., ქსე, ტ. 3, გვ. 461, თბ., 1978; რ. მეტრეველი, შინაკლასორივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, გვ 134-137).

დინარა – გამოგონილი პერსონაჟი, რომელსაც სახელი ფულის (დინარის) სიყვარულისთვის დაერქვა.

ზანქან (ზანქენ) ზორაბაბელი – თბილისელი დიდვაჭარი XII ს-ში. სახელმწიფო დარბაზის დავალებით ჩრდ. კავკასიაში გაიგზავნა თამარის საქმროს ჩამოსაყვანად. მან დიდი გულმოდგინება გამოიჩინა და დანიშნულ ვადაზე ადრე ჩამოიყვანა ვლადიმერ-სუზდალის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი იური (გიორგი), რომელიც ყივჩალთა ქ. სუნჯაში იყო თავშეფარებული. (კიკნაძე, რ., „ზანქან(ზანქენ) ზორაბაბელი“, ქსე, ტ. 4, გვ. 482. თბ., 1979)

კახა გამრეკელის ძე თორელი – (დ. დახლ. 1177), XII

საუკუნის შუა წლების მოღვაწე ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალი, ახალქალაქის (ჯავახეთის) ერისთავთერი-სთავი. საისტორიო წყაროებში იხსენიება 1152-1177 წნ. ამ-ბებთან დაკავშირებით. თორელი მოხსენიებულია საორბი-სის ეკლესიის (თეძმის ხეობა) 1152წ. წარწერაში, როგორც მაშენებელი და ამ მხარის მემამულე (ე. ი. თავისი ძირითა-დი საგვარეულო მამულის თორის გარდა, ამ პერიოდში მას უკვე ჰქონდა მამული თეძმის ხეობაშიც). თამარის ისტო-რიკოსის ცნობით, 1163წ. თორელი გიორგი III-ს სომხეთის (შირაქის) ცენტრის – ანისის – გამგებლად დაუნიშნავს. ამ ცნობაში ის იხსენიება როგორც „დიდი და სახელგანთქმუ-ლი მოლაშქრე“. 1177წ. თორელი თავისი შვილებით დემნა უფლისნულის ამბოხებას მიმხრობია, მაგრამ შემდეგ კვ-ლავ მეფის მხარეზე გადასულა. ამის შემდეგ თორელი საისტორიო წყაროებში აღარ იხსენიება. (მუსხელიშვილი ლ., თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა პამამლებს XII საუკუნის წარწერებთან დაკავშირებით, «საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1940, გ. 10; შოშიაშვი-ლი ნ., თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრ.: შოთა რუსთაველი, თბ., 1966; შოშიაშვი-ლი ნ., ქსე, გვ. 693, თბ., 1979)

თამარ მეფე – (დ. დაახ. 1160 – გ. 1213, შესაძლოა 1210 ან 1207) საქართველოს მონარქი 1184 წლიდან, გიორგი III-ის ასული, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომად-გენელი. თამარს საქართველოს ოქროს ხანაში მოუნია მე-ფობა და უაღრესად წარმატებული მმართველი აღმოჩნდა. ატარებდა ტიტულს: „მეფეთ მეფე და დედოფალთ დედო-ფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰინშაჰთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობითა მპყრობელი“. მემა-ტიანე მას მოიხსენიებს, როგორც: „დიდება ამა სამყაროსა

და სარწმუნოებისა, მესიის მოვლენილი“.

1179წ. მეფე გიორგიმ თამარი თანამოსაყდრედ გამოაცხადა. 1184წ. მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანაში რთული ვითარება შეიქმნა; ფეოდალურმა არისტოკრატიამ დაიწყო ბრძოლა დაკარგული პოლიტიკური პრივილეგიების აღსადგენად. 1185წ. გავლენიან ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა თამარს, მისი სურვილის წინააღმდეგ, შერთო ანდრეი ბოგოლიუბსკის შვილი, რომელიც ქართულ წყაროებში ცნობილია „გიორგი რუსის“ სახელით. ორი-ორნახევრი წლის შემდეგ თამარი განქორწინდა და იური საქართველოდანაც განდევნეს. მეფე თამარი მეორედ დაქორწინდა დაახლოებით 1189 (ან 1187) წელს დავით სოსლანზე. თამარის მეფობის პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძოლა გაიმართა, აღსანიშნავია 1195წ. შამქორისა და 1203წ. ბასიანის ბრძოლები.

ივანე ორბელი – სუმბატის ძე, XIIს. საქართველოს სახელმწიფო მოღვაწე, მანდატურთუხუცესი და ამირ-სპასალარი გიორგი III-ის დროს. იყო დავით V-ის ძის, დემნა (დემეტრე) უფლისწულის სიმამრი და სწორედ მისი გამეფების მიზნით მოაწყო დიდი აჯანყება. დამარცხების შემდეგ შეიპყრეს და თვალები დასთხარეს. (ბოგვერაძე ა., ქსე, ტ. 7, გვ. 554, თბ., 1984წ.)

ლაზიკა – არაისტორიული პირი, რომანში მეფე გიორგი III-ის ხარჭა.

ლიპარიტ ორბელი – XII ს. ქართველი ფეოდალი, პოლიტ. მოღვაწე, ჯერ ამირახორი, შემდეგ ქართლის ერისთავი გიორგი III-ის დროს. ამირსპასალარ ივანე ორბელის ძმა. აქტიურად მონაწილეობდა დემნა უფლისწულის გასამეფებლად მოწყობილ დიდებულთა აჯანყებაში.

(ბერძენიშვილი ნ., ქსე, ტ. 7, გვ. 555, თბ., 1984წ.)

მიქაელი – მიქელ მირიანის ძე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. დაახლოებით 1178-1190წწ. (სხვა მოსაზრებით 1178-1187) და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. მიეკუთვნებოდა ქართლის დიდებულთა სახლს. მკვლევართა ერთი ნაწილი მიქაელს რეაქციულ დიდგვარიანთა ჯგუფის წარმომადგენლად მიიჩნევს. მეფე გიორგი III-ის ერთგული მოღვაწე იყო, რომელიც მეფემ ნიკოლოზ I გულაბერიძის გადადგომის შემდეგ კათოლიკოსად დანიშნა. 1184წ. მიქაელი გახდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის შემდგომ მიქაელმა ეს თანამდებობა დაკარგა. იგი აქტიურად მონაწილეობდა თამარის დაქორწინებაში იური ანდრიას ძეზე. (ანთელავა ი., ქსე, ტ. 7, გვ. 24, თბ., 1984წ.)

მიქაელ მალლაკელი – XII საუკუნის I ნახევრის ქართველი მხატვარი. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, იგი სოფ. მალლაკიდან (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) უნდა ყოფილიყო. მიქაელ მალლაკელს მოუხატავს ზემო სვანეთის სოფ. მაცხვარიშის ეკლესია. ეკლესიაში შემონახულია რამდენიმე საქტიტორო წარწერა. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამია, რომ ეკლესია მოიხატა დემეტრე I-ის მეფობის მე-15 წელს, ე. ი. 1140 წელს „კელითა მიქაელ მალლაკელისათა“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალის გამოსახულება. ჩრდილოეთ კედლის მარცხენა თაღში დემეტრე მეფის ფიგურაა, მეფეს გვირგვინს ადგამს ანგელოზი, ქრისტე კი აკურთხებს, ორი ფეოდალი მას წელზე ხმალს არტყამს.

მხატვრულ-სტილისტიკური თვალსაზრისით მიქაელ მალლაკელის მხატვრობა XI-XIIსს. გარდატეხის ეპოქას განეკუთვნება. არსებითად იგი XIIს. მონუმენტური კედ-

ლის მხატვრობის ტრადიციებს აგრძელებს. შენარჩუნებულია ცალკეული კომპოზიციის დიდი ზომა, მხატვარი ფიგურებს მონიმენტური, განზოგადებული ფორმებით გადმოსცემს, მათი მოძრაობა დინჯი და თავდაჭერილია, დგომა მყარი და ბუნებრივი. იგრძნობა შინაგანი დინამიკა, თუმცა ეს უკანასკნელი ხაზგასმული არ არის. ამასთან ერთად საყურადღებო XII-XIIIსს. დეკორ. მონიმენტური ფერწერის სტილის ნიშნები. მხატვრობა, ერთი მხრივ, ატენის სიონის, მეორე მხრივ კი ყინწვის-ტიმოთესუბან-ბეთანიის მოხატულობის ნიშნებს ამჟღავნებს. კოლორიტის თვალსაზრისით მხატვარი თავდაჭერილია, იყენებს ორი ძირითადი ფერის – რუხისა და მოწითალო ყავისფერის ნიუანსებს. ნახატები გრაფიკულია. (ქს, ტ. 7, გვ. 24, თბ., 1984)

ნიკოლოზ I გულაბერიძე – საქართველოს კათოლიკოსი XII ს. II ნახევარში, გიორგი III-ის დროს; მწერალი და ფილოსოფოსი. დაახლოებით 1178წ. იგი კათოლიკოსობიდან გადამდგარა და, როგორც ჩანს, იერუსალიმში ნასულა. 1184 წელს ნიკოლოზ I თამარ მეფემ იერუსალიმიდან მოიწვია საქართველოში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად. თამარის თხოვნით, იგი ანტონ ქუთათელთან ერთად ხელმძღვანელობდა საეკლესიო კრებას, რომელიც მიქაელ მირიანისძის მღვდელთმთავრობის მიზანშეწონილობას იხილავდა. ნიკოლოზ I მიჩნეულია ავტორად თხზულებისა „საკითხავი სუეტისა ცხოველისად, კუართისა საუფლოდსა და კათოლიკე ეკლესიისა“. მასში აღნერილია საუფლო კვართისა და წმინდა ნინოს ამბავი, აგრეთვე სვეტიცხოვლის ძველი და ახალი სასწაულთმოქმედება, რომელსაც ბოლოში დართული აქვს შესხმა „გიხაროდენ“.

რუსუდანი – საქართველოს მეფის, გიორგი III-ისა და ბურდუხანის უმცროსი ქალიშვილი, თამარ მეფის და. 1180 წლისთვის რუსუდანი ცოლად შეირთო მანუელ კომნენოსმა, ბიზანტიის იმპერატორის, ანდრონიკე I-ის ვაჟმა. მათ ორი ვაჟი ეყოლათ: ალექსი და დავით კომნენოსი. 1185წ. როდესაც ანდრონიკე I კომნენოსი ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს, სავარუდოდ, ამ დროს დააბრმავეს და შემდეგ მოკლეს რუსუდანის მეუღლეც (ხორასის სულთანი). 1186წ. დედოფალმა დატოვა კონსტანტინოპოლი და თავის თრ ვაჟ-თან ერთად საქართველოში ჩამოვიდა, სადაც უკვე მისი და, თამარი მეფობდა. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს კონსტანტინოპოლში ქაოსი სუფევდა და თამარმა გამოიყენა ეს სიტუაცია. მან დაიკავა პონტოს პროვინცია, დალაშქრა რამდენიმე სხვა ქალაქი და თავის დისმივილებს გადასცა. ასე წარმოიშვა ტრაპიზონის იმპერია, რომლის სათავეშიც ალექსი ჩადგა. სწორედ საქართველოსთან კავშირმა გაახანგრძლივა იმპერიის სახელმწიფოებრიობა. რუსუდანმა შეასრულა ასევე დიპლომატიური მისია ელდიგუზ ათაბაგთან გიორგი III-ის შეთანხმებაში ქ. ანისის გამო (დაახლოებით 1165). რუსუდანი სათავეში ედგა დიდგვაროვან ფეოდალებსა და თამარს შორის ამ უკანასკნელის მეორედ მეფედ კურთხევისას (1184). რუსუდანი კარზე ალიზარდა თამარის მეორე ქმარი დავით სოსლანი. (C. Toumanoff, “On the relationship between the founder of the Empire of Trebizond and the Georgian Queen Thamar” in Speculum vol. 15 (1940) pp. 299–312; Varzos, K. (1984), Ē genealogia tōn Komnēnōn, Thessaloniki, especially vol. 2 p. 515 note 24; The Oxford Dictionary of Byzantium, Vol. 1, NY-Oxford, 1991, p. 63)

საღირისძე – დას. საქართველოს დიდებულთა საგვარეულო XIIს-ში. XII ს. 80-იან წლებში ამ საგვარეულოს წარმომადგენელი იყო ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონი. დას. საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად მონაწილეობ-

და თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალში (1184); მათ ვარდანისძებთან და ამანელისძებთან ერთად ხმალი შემოარტყეს თამარს. XII ს. შემდეგ წყაროებში აღარ იხსენიება. (შოშიაშვილი., ქსე, ტ. 9, გვ. 201, ობ., 1985)

ყუბასარი – XII საუკუნის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, სამეფო კარზე „გაზრდილი”, გაქრისტიანებული „ნაყივჩალარი”. დემნა (დემეტრე) უფლისწულის აჯანყების დროს ყუბასარი ყივჩალთა რაზმით გიორგი III-ის მხარეზე დადგა და მნიშვნელოვნად განაპირობა მეფის გამარჯვება, რისთვისაც ამირსპასალარისა და მანდატურთუხუსის სახელოები მიიღო. მასვე ებოძა აჯანყებულთათვის ჩამორთმეული მამულების ნაწილი, მათ შორის სახელო მამულად – ივანე ორბელის ნაქონი ლორე. თამარის გამეფებისთანავე გიორგი III-ის მიერ დამცრობილ ფეოდალთა მოთხოვნით მეფე იძულებული გახდა დაავადებული ყუბასარისთვის სახელოები და ლორე ჩამოერთმია. (ჩხატარაიშვილი ქ., ქსე, ტ. 10, გვ. 661, ობ., 1986)

ჭიაბერი – XII ს. II ნახევრის აღმ. საქართველოს დიდებული; გიორგი III-ის უახლოესი ვასალი, მისი „გაზრდილი”. დემნა უფლისწულისა და ორბელთა 1177წ. ამბოხების შემდეგ მეფემ ჭიაბერი დააწინაურა და მეჯინიბეთუხუცესად დანიშნა, ნაცვლად აჯანყების მონაწილე ქავთარ ივანეს ძისა. 1185წ. თამარმა მანდატურთუხუცესობა, ხოლო 1189წ. მცირე ხნით, ამირსპასალარობა უბოძა. 1191წ. ამირსპასალარობა მიიღო ზაქარია მხარეგრძერლმა, ხოლო ჭიაბერი მანდატურთუხუცესად დარჩა. (შოშიაშვილი, ნ., ქსე, ტ. 11, გვ. 393, ობ., 1987)

ბუდდანი – ოვსთა მეფე, ბურდუხან დედოფლის მამა.

ჯაყა – გამოგონილი პერსონაჟი.

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

აგარანი – ციხე ქვემო ქართლში. ისტორიულ წყაროებში ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც „აგარათა ციხე“. აგარანი ქართველ მეფეთა საზაფხულო სადგომი იყო. აქ გარდაიცვალა თამარ მეფე. XVს-დან მას კოურის ციხეს უწოდებენ და სოლადაშვილებს ეკუთვნის. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ამ ციხეს ადრე აზეულას ციხე ერქვა. (ბერძენიშვილი დ., ქსე, ტ. 1, გვ. 52, თბ., 1975; საქართველო, ენციკლოპედია, თბ., 1997 წ; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., 1975 წ; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964 წ.)

ანისი – სომხური სახელმწიფოს დედაქალაქი თურქ-სელჩუკების შემოსევამდე.

ბიზანტიის იმპერია – ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერია, შუა საუკუნეებში რომის იმპერიის აღმოსავლეთით წარმოიშვა. დედაქალაქი – კონსტანტინოპოლი. ქვეყანას მართავდა იმპერატორი და ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა. ბიზანტია ერთ-ერთ უძლიერეს ეკონომიკურ, კულტურულ და სამხედრო სახელმწიფოდ ითვლებოდა ევროპაში. ბიზანტია გარკვეული პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვან ტერიტორიებს კარგავდა, ეს ძირითადად გამოწვეული იყო რომაულ-სპარსული და ბიზანტია-არაბეთის ომებით. სპარსეთის და არაბეთის დასუსტების შემდეგ ბიზანტია აღზევებას იწყებს. მაკედონელთა დინასტიის მმართველობის პერიოდში ბიზანტია დომინანტი ხდება მთელს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. მოგვიანებით მცირე აზიაში დაიწყო თურქ-სელჩუკთა შემოსევები. 1071წ. მანასკერტის ბრძოლაში ბიზანტია დამარცხდა, ზავის შედეგად იმპერიამ

მნიშვნელოვანი ტერიტორიები დათმო. უკვე მოგვიანებით ქვეყნის სათავეში ექცევა კომნენოსთა დინასტია, რომლებმაც შეძლეს იმპერიის ერთიანობის შენარჩუნება; იმპერატორ ანდრონიკე I კომნენოსის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1204წ. ბიზანტიამ უდიდესი დარტყმა მიიღო, ამ წელს განხორციელდა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა.

იმპერიის ტერიტორიაზე შეიქმნა ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებული სახელმწიფოები. 1261წ. ბიზანტია კვლავ გაერთიანდა, ქვეყანას სათავეში პალეოლოგთა დინასტია ჩაუდგა. ბიზანტიაში ხშირი იყო სამოქალაქო ომები, ქვეყანა მნიშვნელოვან წინააღმდეგობას დამპყრობლებს ვეღარ უწევდა. 1453წ. 29 მაისს ოსმალეთის იმპერიამ კონსტანტინოპოლის აღება შეძლო. (ტივაძე გ., შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, თბ., 1967წ.)

გაგი – ისტორიული პროვინცია საქართველოში, ცენტრი გაგის ციხე. გაგი დაახლოებით ემთხვეოდა ძველი გარდაბნის პროვინციას და XII-XIII. დასაწყისისათვის მოიცავდა ტერიტორიას მდ. დებედიდან ქ. შამქორამდე (აზერბაიჯანი), მდ. მტკვარსა და განჯის მთებს შორის. გაგის პროვინციაში მოხდა საქართველოს ლაშქრის პირველი ბრძოლა მონლოლებთან, რომელთაც მალე გაგის ციხე დაიკავეს. (მუსხელიშვილი დ., ქუ, ტ. 2, გვ. 611, თბ., 1977წ.)

განძა – მას ერქვა ელიზავეტპოლი რუსეთის იმპერიის პერიოდში. შემდეგ დაიბრუნა ძველი სახელი და 1920-1935წწ. განჯა ერქვა. მისი სახელი კიდევ შეიცვალა და დაერქვა კიროვაბადი, რომელიც 1935 დან 1991 წლამდე ერქვა. საბოლოოდ მისი სახელი საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისას შეიცვალა და 1991 წლიდან დღემდე განჯა ჰქვია. ქალაქის დაარსების თარიღად მიიჩნევენ ჩვ.წ.-ის

V საუკუნეს. სახელის „განჯა“ ეტიმოლოგიად მიიჩნევენ სპარსულ სიტყვას განჯ („განძი“), ან თურქულ სიტყვას გენზ („ახალგაზრდა“). პირველი თეორია უფრო სიმართლესთან მიახლოებულად ითვლება, ვინაიდან ის რამდენიმე ძველ წყაროშია ამგვარად მოხსენიებული. ასევე ამ თეორიის მხარდამჭერთა მტკიცებით, ქალაქი ამ ადგილას გაცილებით ადრე არსებობდა ჯერ კიდევ ისლამის შემოსვლამდე. 1139 წლის მიწისძვრისა და 1231 წლის მონღოლთა შემოსევის შემდეგ განჯის ხალხი ეკონომიკურ და კულტურულ დაქვეითებას განიცდის. ქალაქი ხელახლა აყვავდა სეფიანთა დინასტიის გამეფების პერიოდში. მცირე ხნის განმავლობაში განჯას აბასაბადი ერქვა, შაჰ აბას I-ის პატივსაცემად. 1747წ. განჯა დამოუკიდებელი განჯის სახანოს დედაქალაქი ხდება. 1813წ. გულისტანის ხელშეკრულებით ქალაქი რუსების ხელში გადავიდა, სპარსეთ-რუსეთის ომში, სპარსების დამარცხების გამო.

გელათის მონასტერი – ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი, შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანესი ცენტრი. აგებულია ქ. ქუთაისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 11 კმ-ზე, მდ. წყალწითელის ხეობაში. დაარსებულია 1106წ, დავით აღმაშენებლის თაოსნობით. შემოზღუდულია გალავნით. ანსამბლში შედის სხვადასხვა დროინდელი (ძირითადად XII-XIII სს.) შენობები. მთავარი ტაძრის კონქში დაცულია ცნობილი გელათის მოზაიკა. (ლომინაძე ბ., გელათი, ქსე, ტ ვ, გვ. 37 თბ., 1977წ)

გუგარქი (გოგარენე) – ისტორიული ქვემო ქართლის ბერძნული სახელწოდება, სომხური წყაროებით — გუგარქი. პირველად მოხსენიებული აქვს სტრაბონს (ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24) როგორც იბერიის პროვინცია,

რომელიც ძვ. წ. II საუკუნეში სომხეთის სამეფომ შეიერთა. სახელწოდება უნდა მოდიოდეს ქართველი ტომის — გუგარებისაგან. ძვ. წ. I საუკუნეში აქ იქმნება საპიტიახშო. I-II საუკუნეებში გოგარენე ქართლის შემადგენლობაშია, მოგვიანებით ისევ სომხეთმა შეიერთა. საბოლოოდ კი, IV საუკუნის II ნახევარში გოგარენე ქართლის სამეფომ დაიბრუნა. გუგაქრის პიტიახშს სომხურ წყაროებში ქართლის პიტიახშიც ეწოდება. ტერიტორიულად გოგარენეს პროვინცია არსებითად მდ. ალგეთის, ქციისა და დებედის აუზებით ისაზღვრებოდა, თუმცა გუგარქის საპიტიახშოს ტერიტორია სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოცულობისა იყო. სომხური გეოგრაფიული თხზულების „აშხარჰაცუიცის“ (VII ს.) ცნობების მიხედვით, რომლებიც გაცილებით უფრო ძველ ვითარებას ასახავენ, გუგარქის საპიტიახშო მთლიანად მოიცავდა იბერიის სამეფოს სამხრეთ პროვინციებს კლარჯეთიდან ხუნანამდე. გოგარენე-გუგარქის ტერიტორია გაფართოების ამსახველ ფაქტად მიაჩნიათ ქართული ტოპონიმი გუჯარეთი. ძველი ქართული ადმინისტრაციული დანაწილებით საკუთრივ გოგარენე-გუგარქის გეოგრაფიული რეგიონი ემთხვეოდა სამშვილდის საერისთავოს ტერიტორიას. (ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, ნ. 1 — საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950; მუსხელიშვილი დ., ქსე, ტ. 3, გვ. 196, თბ., 1978)

დვინი — მსხვილი სავაჭრო ცენტრი, შუა საუკუნოვანი სომხეთის დედაქალაქი. აშენებული დიდი სომხეთის მეფის ხოსროვ III კოტაკის მიერ 335 წელს. ამავე წლიდან არშაკიანების სამეფო რეზიდენცია სწორედ ამ ქალაქში გადავიდა. დვინი მდებარეობდა არტაშატის ჩრდილოეთით, მდ. მენამორის ზემო წელზე, 35 კმ-ში ერევნიდან.

4286. სომხური სამეფოს ლიკვიდაციის შემდეგ დვინი გადაიქცა სომხეთის სპარსი მმართველების რეზიდენციად. 6406. სომხეთი არაბებმა დალაშქრეს და იმავე წლიდან სომხეთის ყოფილი დედაქალაქი გახდა ოლქ არმინიას ცენტრი. 10646. სომხეთი სელჩუკებმა დაიპყრეს. საქართველოს მეფემ გიორგი III-მ 1161—1162 წწ. აიღო დვინი. 1201—1203 წწ. თამარის მმართველობის დროს დვინი კვლავ შემოუერთდა საქართველოს. 12266. ქალაქი აიღო ჯალალედინმა, 12366. კი განადგურებულ იქნა მონღოლთა მიერ.

ვარძია – სამონასტრო კომპლექსი ძირითადად 1156–1203წწ იქმნებოდა. სამეფო მონასტერი დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. დაარსების ისტორია კი ამგვარია: მეფე გიორგი დიდებულებთან ერთად სანადიროდ ამოსულა, მეფეს თავისი ასული – პატარა თამარიც თან წაუყვანია. ნადირობა დაიწყო. ნადირობით გატაცებულ მეფესა და მის მხლებლებს ბავშვი აღარ მოჰვინებიათ. თამაშით გართული თამარი გამოქვაბულებში დაიკარგა. შეწყდა ნადირობა. აღელვებული და შემფოთებული მონადირენი აქეთ-იქით აწყდებოდნენ, თამარს ეძებდნენ. – სად ხარ, თამარ! დაიძახა ერთ-ერთმა მხლებელმა. გამოქვაბულში გზააბნეულმა თამარმა სიხარულით შესძახა „აქ ვარ, ძია!“, და დაერქვა ამ ადგილს „ვარძია“.

ამის შემდგომ, მდ. მტკვრის ხეობის ერთ მაღალ კლდესთან ვარძიის გამოკვეთა დაიწყეს. კლდე იფშვნებოდა და გამოქვაბულთა კვეთა გაძნელდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, საღამო უამს, მშენებლებმა იარაღი იქვე კლდესთან დააწყეს და დაღლილები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. მეორე დილით სამუშაოდ მოვიდნენ, მაგრამ იარაღი ადგილზე აღარ დახვდათ. დიდი ძებნის შემდეგ იარაღი ახლანდელ ვარძიის კლდესთან იპოვეს.

გაკვირვებულნი უკან დაბრუნდნენ და განაგრძეს გამოქვაბულთა კვეთა. საღამოს იარაღი კვლავ იქვე მიატოვეს. მესამე დილით იგივე ამბავი განმეორდა. იარაღი ისევ ნაცნობ კლდესთან გადატანილი აღმოჩნდა. ახლა კი მიუხვდნენ განგებას. ამიტომ ვარძია ამ კლდეში გამოკვეთეს, ხოლო ძველ მიტოვებულ ადგილს ამ ხნიდან ნავარძიევი ეწოდება. მტერს რომ არ შეეტყო თამარ მეფის ადგილსამყოფელი, ვარძიაში თამარის ბრძანებით სამასასამოცდახუთი ოთახი იყო გამოკვეთილი, იმდენი ოთახი, რამდენი დღეცაა წელიწადში; ყოველდღე თითო ოთახი იკვეთებოდა და მშენებლობა ერთ წელიწადში დამთავრდა. ვარძიის შესახებ ამბებში საგულისხმოა სამი მომენტი: მონასტრის დაარსების დაკავშირება მეფე გიორგი III და, განსაკუთრებით, თამარ მეფის სახელთან; ვარძიის მშენებლობის ადგილის შეცვლა და აქ მონასტრის დაარსებამდე ძველი გამოქვაბულების არსებობა. (ლიტ: გაფრინდაშვილი გ., ვარძია, თბ., 1976; მელითაური ა., ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკუთხები, თბ., 19616)

თავრიზი – სამხ. აზერბაიჯანის ადმ. ცენტრი (ჩრდილოეთ ირანი). გულისტანის შეთანხმების თანახმად, ისტორიული აზერბაიჯანი სრულიად გადავიდა სპარსეთის მხარეს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ტერიტორია, რომელიც ნარსულში კავკასიის ალბანეთისა და შირვანის გაერთიანების ნაწილი იყო, რუსეთის იმპერიის საკუთრება გახდა.

1918წ. მუსავათებმა პირველად გამოიყენეს ტერმინი „აზერბაიჯანი“ კავკასიის თურქი ტომების ახლადშექმნილი რესპუბლიკის აღსანიშნავად, რომლის შემდეგაც ხმარებაში შემოვიდა ტერმინები „ჩრდილოეთი აზერბაიჯანი“ და „სამხრეთი აზერბაიჯანი“.

ისნის ციხე – ისტორიული უბანი თბილისში, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIX-ში. VIII-IXს. არაბთა ბატონობის ხანაში, აյ გამაგრებულ დასახლება სოლდებილის მედინაში საპყორბილე იყო. IXს. იგი ქვიტ-კირის გალავნითა და თხრილით გაამაგრეს და სიმტკიცის გამო არაბულად ჰისნი – ისანი (ციხესიმაგრე) უწოდეს; იგი ქალაქს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან იცავდა, XI-XI-IIIს. ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიას ისნის ველს და სოლდებილის სანახებს ეძახდნენ (შემდეგდროინდელი ავლაბარი). XII-XIIIს. ისანში კლდეზე, მტკვრის პირას, იყო მეფის სასახლე, კარის ეკლესია და მეტეხთა ტაძარი. გვიანდელ შუა საუკუნეებში ისნის უბანი მეტეხად იწოდებოდა. (ძერიძე თ., ქსე, ტ. 5, გვ. 227, თბ., 1980)

კაენის ციხე – X-XI სს-ში ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს შემადგენლობაში შემავალი სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტი. (მუსხელიშვილი დ., ქსე, ტ. 5, გვ. 296, თბ., 1980)

კლდეკარი – ისტორიული ციხესიმაგრე საქართველოში, თრიალეთის ქედის კლდოვან მწვერვალზე (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი). აქედან ხელისგულივით მოჩანს, როგორც სამხრეთის, წალკისა და მანგლისის მიდამოები, ისე ჩრდილოეთის – მდინარეების ტანისა და თეძმის ხეობები. ამჟამად შემორჩენილია ნანგრევები. მდებარეობდა მნიშვნელოვან გზასაყარზე, იქ სადაც გაპობილი კლდე გასასვლელს ქმნის (აქედან სახელწოდებაც კლდეკარი ე. ი. კლდის კარი). (ძერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. I, თბ., 1964 ნ. ძერძენიშვილი დ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, გვ. 551, თბ., 1980)

კლდეკარის ციხე – ააგეს მას შემდეგ რაც არგვეთელი

ფეოდალი ლიპარიტ I ბაღვაში IXს. 70-იან წლებში თრიალეთში გადავიდა. მომდევნო ორი საუკუნის მანძილზე კლდეკარის საერისთავოს ცენტრი იყო. საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც ვერ ეგუებოდა ბაღვაშთა პოლიტიკური სიძლიერის ზრდას, რამდენჯერმე ჩამოართვა მათ კლდეკარის ციხე. (ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973 წ.)

ლაზიკა – ისტორიული მხარე დას. საქართველოში. ფეოდალური ხანის ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი პროვინცია. მოიცავდა ტერიტორიას მდ. რიონის ქვემო დინებასა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის. პირველად მოიხსენიება VIIIს. ანონიმური ავტორის „სომხურ გეოგრაფიაში“ („ლაზივის“ სახელწოდებით). აქვე ყოფილა ქიტროპოლია. VI საუკუნის II ნახევარში ლაზიკაში შენდება ცნობილი ციხე-ქალაქი პეტრა. VIII საუკუნიდან ლაზიკას პროვინციის უდიდესი ნაწილი გურიის სახელით მოიხსენიება. (ლომოური ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; ჯავახიშვილი ივ. თხულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979; მუსხელიშვილი დ., ქსე, ტ. 6, გვ. 106, თბ., 1983)

ლორე – შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი და ისტორიული მხარე ტაშირში (ახლანდელი სომხეთი). ქალაქის ნანგრევები შემორჩენილია ქ. სტეფანავანის ახლოს. დაარსდა XIIს, 1065წ.-დან კვირიკიდების დინასტიის მიერ ჩამოყალიბებული ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ცენტრი. მდებარეობდა მაღალ სამკუთხა პლატოზე. ორი მხრით ხეობები იცავდა, მესამე მხრით — ციხესიმაგრეთა კედლების სისტემა. 1118წ. მეფე დავით IV აღმაშენებელმა ლორე მიმდებარე ტერიტორიებით საქართველოს სახელმწიფოს შემოუერთა. განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობის გამო იგი საქართველოს ამირსპასალართა

სადგომი პუნქტი გახდა. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში მთელ ტაშირს ლორე ეწოდა. 1177წ. ლორე მეფე გიორგი III-ის წინააღმდეგ აჯანყებული ივანე ორბელისა და დემნა უფლისნულის უკანასკნელი საყრდენი პუნქტი იყო. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქალაქი ამირსპასალარ ყუბასარს გადაეცა. 1186წ-დან ლორეს მხარგრძელთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა და საქართველოს სანაპირო საერისთავოს ცენტრი იყო. მხარგრძელთა მმართველობის დროს ქალაქი აყვავდა. აშენდა სასახლეები, ეკლესიები, ხიდები. 1236წ. ლორე მონღოლებმა აიღეს და სასტიკად დაარბიეს. XIV-XVსს. ქალაქი მნიშვნელოვნად დაქვეითდა და ციხესიმაგრის ფუნქცია შერჩა. XVI-XVIIIსს. საბოლოოდ დააკნინა ირანელთა და ოსმალთა ლაშქრობებმა. (ბერძენიძეილი დ., ქართული საბჭოთა ენციკლობედია, ტ. 6, გვ. 292, თბ., 1983წ)

მაცხვარიში – სოფელი მესტიის რაიონში, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. სოფლის მახლობლად, გორაკზე, შემორჩენილია XI ს. დასასრ. – XII ს. დასაწყის. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – ერთნავიანი ეკლესია შიგნით კედელკამარიანად მოხატულია. წარწერიდან ირკვევა, რომ კედლები მოუხატავს მიქელ მაღლაკელს. (ქსე, ტ. 6, გვ. 511, თბ., 1983წ)

მცხეთა – ქალაქი აღმ. საქართველოში, მცხეთის რ-ნის ადმ. ცენტრი, მდებარეობს მდ-ბის მტკვრისა და არაგვის შესაყართან; ადრ. ფეოდ. ხანაში მცხეთაში მიმდინარეობს საკმაოდ ინტენსიური მშენებლობა საკულტო ნაგებობებისა – სვეტიცხოველი (IVს. ხის ეკლესია, VI-ქვის ბაზილიკა; არც ერთი აღარ არსებობს), ჯვრის მცირე ეკლესია (VIს. II ხახ.) და დიდი ტაძარი. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში შენდება დიდი ტაძრები – სვე-

ტიცხოველი (1010-1129, ხუროთმოძღვარი არსუკისძე), სამთავისი (XII ს. 30-იანი წნ). (აფაქიძე ა., მცხეთა - ქართლის სამეფოს ძვ. დედაქალაქი, თბ., 1959; ქსე, ტ 7, გვ. 256, 1984 წ.)

ოპიზა – XIII საუკუნის ქართული მონასტერი, ხუროთმოძღვრების ძეგლი სამხრ. საქართველოში, ისტორიულ კლარჯეთში (ახლა თურქეთის ფარგლებშია). ოპიზაში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწენი და მწიგნობრები: გრიგოლ ხანძთელი, მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი (IX-X სს.), ათანასე ოპიზელი (XI ს.), იოანე ოპიზელი (XIII ს.), ილარიონ ოპიზარი (XIII ს.); ოქრომჭედლები ბეშქენ და ბექა ოპიზრები და სხვანი. ოპიზა უძველესი მონასტერთაგანია. იგი ერთ-ერთი პირველი აღადგინეს არაბთა შემოსევის შემდეგ ჯერ კიდევ VIII საუკუნეში. მონასტრის მთავარი ჯვაროვან-გუმბათოვანი ეკლესია აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით უჩვეულოდ დაგრძელებული ნაგებობაა. გუმბათი კედლის შვერილებს ეყრდნობა. საკურთხევლის ორივე მხარეს უაფსიდო სამკვეთლო და სადიაკვნეა. დასავლეთის მკვლავი მთლიან, დაუნაწევრებელ, გრძელ დარბაზს წარმოადგენს. შიგნით კედლები და გუმბათი შემოსილია თლილი ქვის კვადრებით. გუმბათი პანდატივებს ეყრდნობა, მაგრამ ტრომპებიც არის ჩასმული. ეს თავისებური, გარდამავალი, ჰიბრიდული კონსტრუქციაა. დასავლეთის მკლავის გრძივი კედლები საკმაოდ პლასტიკურადაა დანაწევრებული სამსაფეხურიანი კედლის სვეტებითა და თაღებით. ყურადღებას იპყრობს XI ს. I ნახ. აღდგენილი გუმბათის ყელი. მას 12 წახნაგი აქვს და ყოველი მათგანი საკუთარი დრონტონით არის აღჭურვილი, რის გამოც

კარნიზი ჰორიზონტალურის ნაცვლად ტეხილი გამოდის, ხოლო სახურავი სანახევროდ გაშლილ ქოლგას ემს-გავსება. ეს და აგრეთვე გუმბათის ყელის შეწყვილებულ ლილვებზე დაყრდნობილი დეკორატიული თაღები მოწმობს დეკორაციულობისადმი ინტერესის გაძლიერებას. შენობის ფასადებიც, ისევე როგორც ინტერიერი, შემოსილია თლილი ქვით. ოპიზაში შემორჩენილია აგრეთვე მნიშვნელოვანი სამონასტრო შენობების ნაშთებიც. ერთი მათგანი, დიდი სამნავიანი შენობა, როგორც ჩანს, სატრაპეზო იყო. 1888წ. იქაურობა არქიტექტურის აკადემიკოსმა ა. პავლინოვმა ინახულა. უკვე მაშინ ეკლესიაცა და სხვა შენობებიც მიტოვებული და დაზიანებული იყო. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია რელიეფი ოპიზიდან აშოტ კურაპალატის პორტრეტით (IX ს. ქვა). (Беридзе В. В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981; Mapp H. Я., Дневник поездки в Шавшию и Кларджию, СПб., 1911; Павлинов А. М., Экспедиция на Кавказ 1888 года, «Материалы по археологии Кавказа», 1893, в. 3; ბერიძე ვ., მენაბდე ლ., ქსე, ტ. 7, გვ. 544, თბ., 1984)

სამშვილდე – ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქი აღმ. საქართველოში, ახლანდელი სოფ. სამშვილდის მახლობლად, ისტორიულ ქვემო ქართლში. შემორჩენილია ნანგრევების სახით. ქალაქისათვის შერჩეული იყო მდ. ჭივჭავისა და ხრამის (ქცია) შესართავში მდებარე ბუნებრივად გამაგრებული კონცხი, რომლის ორ მხარეს კლდოვანი, შვეული ხრამებია, მესამე მხარეს გალავანი შემოუყვებოდა. ქართული ეროვნული ტრადიციის თანახმად ააშენა ქართველთა ეპონიმმა ქართლოსმა. მისი თავდაპირველი სახელწოდება „ციხე ორბისა“. ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია აგრეთვე მთავარი ციხის ზოგადქართული სახელწოდებით – „დედაციხედ“.

ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. ნ. IV-III სს.) წარმოადგენდა სამშვილდის საერისთავოს ცენტრს. დროდადრო იგი უფლისწულთა სამყოფელი იყო. VIII-IX სს. სამშვილდე თბილისის საამიროს ექვემდებარებოდა. IX ს. ბოლოს ანისის სამეფოს დაეუფლა. X ს. დასაწყისში მთავარი გურგენი შეეცადა სამშვილდის განთავისუფლებას, მაგრამ უშედეგოდ. XI ს. ბოლოს სამშვილდე გახდა ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს დედაქალაქი (ამის გამო ქართულ წყაროებში სომეხი მეფე დავითი (989-1049) სამშვილდარად იხსენიება). 1001 წ. სამშვილდე დაიპყრო ანისის მეფემ გაგიკ I-მა. 1064 წ. სომეხთა მეფემ კვირიკე II-მ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს ცენტრი სამშვილდიდან ლორეში გადაიტანა. XII-XIII სს. ქართულ და სომხურ წყაროებში სამშვილდე ენოდება აგრეთვე ციხე-ქალაქის მიმდებარე ტერიტორიას – „ყოველი სამშვილდე“. ამ პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა სამშვილდის სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა. ქვემო ქართლის მრავალი ციხესიმაგრე ცნობდა მის პირველობას.

სამშვილდის ეკონომიკურ დაწინაურებას ხელს უწყობდა მისი მდებარეობა მთისა და ბარის რაიონების დამაკავშირებელ მაგისტრალზე. XII ს. 60-იან წწ სამშვილდე ბაგრატ IV-მ დაიბრუნა. 1110 წ. დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკთაგან გაათავისუფლა და შემოიერთა. XIII ს-ში სამშვილდეს ორბელთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა და საქართველოს ამირსპასალარის რეზიდენცია იყო. ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ (1178) უშუალოდ საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა. (ძერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1979; მირცხულავა გ., სამშვილდე, თბ., 1975)

ტაბახმელა – ისტორიულ წყაროებში პირველად თამარის ისტორიკოსთან მოიხსენიება, როგორც მისი ერთ-

ერთი სააგარაკე ადგილი. აქ შეეძინა თამარ მეფეს ლაშა-
გიორგი, აქვე გარდაიცვალა თამარ მეფე. ტაბახმელა თავად
სოლოდაშვილების, XVIIIს. II ნახ. კი ორბელიანების სამფლო-
ბელო მამული იყო. (ქს, ტ. IX, თბ., 1985 წ., გვ. 634 გ.)

ტაშირ-ძორაგეტი – სომეხ მმართველთა ფეოდალ-
ური სახელმწიფო ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. შეიქმ-
ნა 978წ. ამიერკავკასიის ხალხების არაბთა ბატონობის
ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში. სამეფოს
დამაარსებლის – გურგენის (978—979), იგივე კორიკეს,
კვირიკეს, სახელის მიხედვით კირიკიანების სამეფოსაც
უწოდებენ. ტაშირ-ძორაგეტის სამეფო განსაკუთრებით
გაძლიერდა დავით უმინანყლოს მმართველობის ხანაში
(979—1048), როცა სამეფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად
გაფართოვდა თბილისისა და განჯის სამეფოთა ხარჯზე
და კვირიკიანმა მეფეებმა ცნობილი ქართული ციხესი-
მაგრე სამშვილდე თავის რეზიდენციად აქციეს. კვირიკე
I-ის დროს (1048-90) სამეფოს ცენტრად იქცა ლორე. და-
მოუკიდებლობისთვის ბრძოლის მიუხედავად, ტაშირ-
ძორაგეტი ჯერ ანისის სომხური სამეფოს ვასალი გახდა,
ხოლო შემდეგ საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის მფლო-
ბელობაში მოექცა. დავით ალმაშენებელმა კი თურქ-სელ-
ჩუქთაგან გათავისუფლებული ტაშირ-ძოგარეტი უშუა-
ლოდ საქართველოს შემოუერთა (1118—1122) და სომეხ
ფეოდალ მმართველთა საგვარეულო გააუქმა. ისტორიუ-
ლად ქვემო ქართლის ეს მხარე, როგორც საქართველოს
განაპირა ნაწილი, სამართავად გადაეცათ სრულიად
საქართველოს მხედართმთავრებს – ჯერ ორბელებს,
ხოლო 1185 წლიდან – მხარგრძელებს.

ტბეთი – კულტურის კერა, რელიგიური ცენტრი შუა
საუკუნეების საქართველოში, ისტ. შავშეთში. (ახლ.

თურქეთის ტერიტორია); სახელნოდება წარმოდგება მცირე ტბებიდან. X ს. დასაწყისში ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა აქ საკათედრო ტაძარი ააგო და დანიშნა პირველი ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი. XI ს-ში ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა ააგო ციხესიმაგრე და დაიცვა მხარე ბიზანტიის აგრესისაგან. ამიერიდან სამეფო ხელისუფლებამ მტბევარ ეპისკოპოსს საერო ხელისუფლებაც – შავშეთის ერისთავობაც უბოძა. ტბეთის ხელნაწერებიდან უმნიშვნელოვანესია ტბეთის სახარება (995), რომელიც ამჟამად ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება. შემორჩენილია აგრეთვე „ტბეთის სულთა მატიანის“ ტექსტი (XII-XIII ს.), რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს შავშეთისა და აჭარის ისტ. გეოგრაფიისა და საგვარეულოთა შესახებ. XX ს. ტბეთი მოინახულეს და აღწერეს (ჯვარგუმბათიანი ტაძარი, მოხატული ლაპიდარული და ფრესკული წარწერებით) ქართული კულტურის მკვლევარებმა ნ. მარმა და გ. ყაზბეგმა. (კუკელიძე, კ, ძვ; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1987, ქსე, ტ. 9, გვ. 680)

ტფილისი – ვახტანგ გორგასლის მემკვიდრემ, დაჩი I უჯარმელმა, (VI ს. დამდეგი) როგორც კი დაამთავრა ქალაქის ზღუდე-გალავნის აგება, ქალაქის საზღვრები განავრცო და მამის ანდერძის თანახმად, სატახტო ქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა.

მომიჯნავე სახელმწიფოთა სამხედრო-სტრატეგიულმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა გაზარდეს ინტერესი მისადმი. VII ს. ბოლოდან იწყება საუკუნოვანი ბრძოლა თბილისისათვის.

შავშეთი – მხარე, ისტორიულ სამხრ. დას. საქართველოში. (ახლ. თურქეთის ტერიტორია); შემოსაზღვრუ-

ლი არსიანის მთით, არტანუჯის კლდის მასივით და მდ. ჭოროხით. სახელწოდება „შავშეთი“ მოდის ამავე დასახელების დაბიდან, რომელიც მისი ადრინდელი ცენტრი იყო. მხარე დასახლებულია უკვე პრინჯაოს ხანაში. IX. ისევე როგორც მთლიანად სამხრ. საქართველოში, აქაც დიდი აღმშენებლობა მიმდინარეობდა – განსაკუთრებით ეკლესია-მონასტრებისა; XI. დაარსდა ტბეთის საეპისკოპოსო.

შიომლვიმე – ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მონასტერი. მსხვილი სენიორია. დააარსა VII. II ნახევრის დამდეგს ერთ-ერთმა ასურელმა მამამ შიომ. XII. მლვიმეს ეკლესია დააშენეს, რომელიც მოგვიანებით იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას შეუერთეს.

შიომლვიმე VII-დან XII ს. დასაწყისამდე კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო მფარველობაში იმყოფებოდა, დავით ალმაშენებელმა იგი სამეფო საკუთრებად აქცია. დაუნესა საგანგებო „ანდერძი“-ტიპიკონი (1123) და შესწირა დიდალი უძრავ-მოძრავი ქონება. მონასტერმა მხარი დაუჭირა მეფეს ურჩ ფეოდალებთან ბრძოლაში. თბილისში მონასტერი ფლობდა სავაჭრო დუქნებს, საგანგებოდ აშენებდა გასაყიდ პირუტყვს. ჰქონდა სასამართლო (არასრული), საეპარქიო და სახელმწიფო გადასახადების შეუვალობის პრივილეგიები. მართვა-გამგეობის მხრივ მხოლოდ მეფე-პატრიონის უზენაეს უფლებას ცნობდა, ეპარქიალურად მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა. (ლომინაძე ბ., საღარაძე ბ., მენაძე მ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 11, გვ. 6, თბილისი, 1987)

შარვანი – შარვანი, ისტორიული ქვეყანა აზერბაიჯანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მტკვრის ჩრდილოეთ-აღმოსავ-

ლეთით, პოლიტიკური ცენტრი – ემაზა. შეადგენდა კავკასიის ალბანეთის ნაწილს. ირანის მიერ შირვანის კოლონიზაციისა და აქ ჩრდილოეთისგან თავდასაცავი დიდი მშენებლობების ხანაში ცნობილი გახდა სახელი „შირვანი“ და, შესაბამისად, სასანიანთა მიერ დანიშნულ ადგილობრივი მმართველთა შორის – წოდება „შირვანშაჰი“.

არაბთა სახალიფოს რღვევის ვითარებაში, 861წ. აქ დამკვიდრდნენ არაბი იაზიდიდები, რომლებმაც მიითვისეს „შირვანშაჰიაც“. იაზიდიდებმა მოქნილი და გონივრული პოლიტიკით მოიგერიეს თურქ-სელჩუკთა შემოსევები და სახელმწიფო შეინარჩუნეს. ეს განაპირობა ამიერკავკასიაში თურქთა ბატონობის წინააღმდეგ საქართველოს ბრძოლამაც. ნიშანდობლივია, რომ ამ ბრძოლაში დავით აღმაშენებელი სწორედ შირვანს ამოუდგა მხარში; მისმა რამდენიმე ძლევამოსილმა ლაშქრობამ ქვეყანა თურქთაგან იხსნა. საქართველოს სიუზერენობით ორი ქვეყნის მრავალმხრივი, მჭიდრო ურთიერთობა შემდგომშიც გაგრძელდა. ამავე ხანაში გაჩნდა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში წოდება „შირვანშაჰი“.

XIIIს. შირვანმა სოციალურ და კულტურულ-ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწია: განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნური წარმოება, ვაჭრობა, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება; გამოცოცხლდა კულტურული ურთიერთობანი, შირვანშაჰების კარზე აღორძინდა ლიტერატურული ცხოვრება – აბუ ლა-ალა განჯევი, ხაკანი შირვანი, ფალექი შირვანი სპარსულენოვანი პოეზიის შედევრებს ქმნიდნენ. (თოფურია პ., ქსე, ტ. 11, გვ 7-8, თბ., 1987)

ქართველი ძეგლთა განედების
ქართვის და იტერიის ძეგლები:

- . სამართ (ძეგლთის მამაკაციი) - 322 ძ.წ.
- . აზონი (ერისთავი) - 322-302 ძ.წ.
- . ფარნეზუაზი - 302-237 ძ.წ.
- . საურმავი - 237-162 ძ.წ.
- . ძირუაზე I - 162-112 ძ.წ.
- . ფარნეზომი - 112-93 ძ.წ.
- . არმაზი I (არმაზუნიანთა დინასტია) - 93-81 ძ.წ.
- . არმაზი - 81-66 ძ.წ.
- . ბარებომი - 66-33 ძ.წ.
- . ძირუაზე - 32-23 ძ.წ.
- . არმაზ II - 23-2 ძ.წ.
- . ადრეჯი - 2-1 ძ.წ.
- . ბარებომი II და ქართვი (ორმაზობის დასახური) - 55-72 ა.წ.
- . ქალ და ფარნემაზ I - 72-87
- . არმაზელი და აზორე - 87-103
- . დეროზი და ამაზეპი I - 103-113
- . ძირუაზე I და ფარნემაზ II - 113-129
- . ადამი - 129-132
- . ფარნემაზ III - 131-182
- . ამაზეპი II - 182-186
- . რევი (სასახლიანთა დინასტიის დასახური) - 186-213

- . ՀՄԲԴ - 213-231
- . ՑԵԽՋՐ I - 231-246
- . ՁՈՌԸՖԹ II - 246-262
- . ՏԼՇՑՃՅՐՈ - 262-265
- . ՁՈՌՈՒԹԵ (Յուրօնութեաւ լուսէկիքու լուսէկնցու) - 265-342
- . ՑԵԽՋՐ I - 342-364
- . ՁՈՌԸՖԹ III - 364-379
- . ՀՄԲԴՑ-ՑԵԽՋՐ II - 378-393
- . ՁՈՒԹՈՒԸ I - 393-405
- . ՑԵԽՆԼԵԺԵ IV - 405-408
- . ՁՈՌԸՖԹ IV - 408-410
- . ՏՌԲՈԸ I - 410-434
- . ՁՈՌԸՖԹ V - 434-446
- . ՀՄԵՔԴԵՑ I - 446-502
- . ԸՖԲՈ - 502-514
- . ՑԵԽՋՐ II - 514-528
- . ՑԵԽՆԼԵԺԵ V - 528-542
- . ՑԵԽՆԼԵԺԵ VI - 542-557
- . ՑԵԽՋՐ III - 557-560
- . ՑՅԱՌԱՑ I (1-Ը ՑԵԽՋՐԸՊՈԵՐՅՈՒ լուսէկիքուլաց) - 575-600
- . ԿԵՂՋԱԿԵՑ I - 600-619
- . ՏԸՖԱՆԿԱՂ (ՂՌՈՒԹԵՅՈ) - 619-639
- . ԿԵՂՋԱԿԵՑ II (ՂՌՈՒԹԵՅՈ) - 639-663

- . ძირი (ერისთავი) - 663-668
- . არჩივ II (ერისთავი) - 668-718
- . იოანე - 718-786

ქრისტიანულ ცხოვრიშვილის ძეგლები:

(ბაგრატიონთა დინასტია)

- . აშოგ I (ბაგრატიონი) - 813-826
- . ბაგრატ I (ბაგრატიონი) - 826-876
- . დავით I (ბაგრატიონი) - 876-881
- . გურგენ I (ბაგრატიონი) - 881-891
- . ალანებარე - 891-923
- . დავით II - 923-937
- . აშოგ II (ბაგრატიონი) - 937-954
- . სამხატვე I (ბაგრატიონი) - 954-958
- . ალანებარე III (ბაგრატიონი) - 958-961
- . ბაგრატ II - 961-994
- . დავით III (ბაგრატიონი) + 1001
- . გურგენ II - 994-1009

ერთიანი საქართველოს ძეგლები:

- . ბაგრატ III - 975-1014
- . გორგი I - 1014-1027
- . ბაგრატ IV - 1027-1072
- . გორგი II - 1072-1089

- დავით IV (აღმაშენებელი) - 1089-1125
- დემეტრე I - 1125-1156
- დავით V - + 1155
- გიორგი III - 1156-1184
- თადათ მეფე - 1184-1210
- გიორგი IV - 1210-1222
- რომელი - 1222-1245
- დავით VI ნერინგა (ძე რომელი) - 1249-1293
- დავით VII უცა (ძე წამა-გიორგის) - 1249-1270
- დიმიტრი II (თადეს ძე, ძე დავით-უცა) - 1271-1289
- კახეტენგ II (ძე დავით ნერინგის) - 1289-1299
- დავით VII - 1293-1313
- კახეტენგ III - 1302-1308
- გიორგი VI - 1311-1313
- გიორგი V (ზონგინვარე) - 1314-1346
- დავით IX - 1346-1360
- ბაგრატ V - 1360-1393
- გიორგი VII - 1393-1407
- კონსტანტინე I - 1407-1411
- აცელესტელე I - 1412-1442
- კახეტენგ IV - 1442-1446
- გიორგი VIII - 1446-1466
- ბაგრატ VI - 1466-1478

• კონცერნები 11 - 1479-1505

ქართვის მეფეები:

- დავით X - 1505-1525
- გორგი IX - 1524-1527
- დემეტრე I - 1527-1556
- სიმონ I - 1556-1600
- დავით XI (დავით-ხენი, მარციმანი) - 1569-1578
- გორგი X - 1601-1606
- დემეტრე II (შავენათელ I-ის ძირი ცამებული) - 1606-1614
- ბაგრატ VII (მარციმანი) - 1615-1619
- სიმონ II (მარციმანი) 1619-1630
- როსტომი (მარციმანი) - 1632-1658
- ვახტანგ V (მარციმან-ბაგრატი, შავენათელი) - 1658-1675
- გორგი XI (ძე ვახტანგის) - 1676-1688 / 1703-1709
- ერეკლე I (ცაგარ-აცი-ხენი, მარციმანი) - 1688-1703
- ვახტანგ VI - 1703-1724
- ქახოსტი (მარციმანი) - 1709-1711
- იქე (აცი-ყაჯი-ხენი) - 1714-1716 / 1724-1727
- ვახტანგ VII - 1744-1762
- თეიმურან II - 1744-1762

ქახეთის მეფეები:

- გორგი I - 1466-1476

- ՏԾՂՋԻՏԵՑՔՐԴԻ I - 1476-1511
- ԶՈՄՌՅՈ II (ԽՅ-ԶՈՄՌՅՈ) - 1511-1513
- ԸՂՅԱՆՈ - 1520-1574
- ՏԾՂՋԻՏԵՑՔՐԴԻ II - 1574-1605
- ՊԱՅՈՒՄ I - 1601-1602
- ԿՈՆԵՔՏԵՑՔՅՈՆԴ I (ԺՈՐԳԻ) - 1605
- ԹՂՈԺՄՅՐԴՔԻ I - 1606-1648
- ՏՌԲՈԾ II (ՕՁՖՃ-ԿԱՋԸ-ԵՖԵՆՈ) - 1709-1722
- ԿՈՆԵՔՏԵՑՔՅՈՆԴ II (ԺԱՖԻՄԸ ԿԱՋԸ ԵՖԵՆՈ) - 1722-1733

ԺՏՐՈՒԾ-ՀԱԵՂՏՈՍ ԺՂՅՈՂԻՑՈՒԹՅՈՒՆ:

- ԹՂՈԺՄՅՐԴՔԻ I - 1625-1632
- ՂՈՐԻԾ I II - 1762-1798
- ԶՈՄՌՅՈ XII - 1798-1800

ՕԺՂՈՂՏՈՍ ԺՂՅՈՂԻՑՈՒԹՅՈՒՆ:

- ԿՈՆԵՔՏԵՑՔՅՈՆԴ I - 1293-1327
- ՁՈՒՂԸ - 1327-1329
- ՑԱԶՈՒՄՔ I - 1329-1332
- ՏԾՂՋԻՏԵՑՔՐԴԻ I - 1332-1389
- ԶՈՄՌՅՈ I - 1389-1392
- ՑԱԶՈՒՄՔ II - 1463-1466
- ԿՈՆԵՔՏԵՑՔՅՈՆԴ II - 1484-1510

- აცექსინდრული II - 1510-1565
- გორგი II - 1565-1586
- დეკანი - 1586-1590
- როსტომი - 1590-1605
- გორგი III - 1605-1639
- აცექსინდრული III - 1639-1660
- ბაგრატ IV - 1660-1661; 1663-1665; 1666-1678; 1679-1681
- არჩიქ II - 1661-1663; 1678-1679; 1690-1691; 1695-1696; 1698
- დემეტრი გურიოლი - 1666
- გორგი III გურიოლი - 1681-1683
- აცექსინდრული IV - 1683-1690; 1691-1695
- გორგი IV გოჩია - 1696-1697
- სიმონი - 1698-1701
- გორგი V აბაშიძე - 1701-1703
- მამია III გურიოლი - 1701; 1711; 1713
- გორგი VI - 1703-1711; 1714-1716; 1718-1720
- გორგი IV გურიოლი - 1716-1718
- აცექსინდრული V - 1720-1740; 1741-1752
- გორგი VII - 1741
- სოცომინ I დილი - 1752-1784
- დავით II - 1784-1789
- სოცომინ II - 1789-1810

სარჩევი

კანი პირველი.....	3
კანი მეორე	32
კანი მესამე	87
საჯუთარ სახელთა საძიებელი	149
გეოგრიატიულ სახელთა საძიებელი	169
ქართველ მეფეთა გენეალოგია.....	185